

ბონდო კუპატაძე

საქართველო და რუსეთის IV  
სახელმწიფო სათათბირო

გამომცემლობა „არტანუჯი“  
თბილისი  
2005

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ავტორის მიერ 2000 წელს შესრულებული საკანდიდატო დისერტაციის უცვლელ გამოცემას. მასში განხილულია რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროში (1912-1917 წლები) მოღვაწე ქართველი დაჭურატების საქმიანობა. ქართველი საკითხის აქტუალობა სათათბიროში და ქართველი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალების მონაწილეობა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისა და შემდგომი საქმიანობის პროცესში. მონოგრაფია გათვალისწინებულია სპეციალისტებისა და საქართველოს ახალი ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი: აკადემიკოსი როინ მეტრეველი

რეცენზენტები: პროფესორი განეტანგ გურული  
პროფესორი დიმიტრი შველიძე  
პროფესორი ოთარ ჯანელიძე

© ბონდო კუპატაძე, 2005  
© გამომცემლობა „არტანუჯი“, 2005

ISBN 99940-11-05-7

## შესავალი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს არსებობის ფონზე საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, სათათბიროში მოღვაწე ქართველი დეპუტატების საქმიანობა და „ქართული საკითხის“ ისტორია რუსეთის საპარლამენტო სტრუქტურებში.

აღნიშვნული საკითხი დღვემდე არსებითად შეუსწავლელი იყო. ბოლო ათწლეულში საქართველოს უახლესი ისტორიის მიმართ მკვლევართა ინტერესის გამძაფრების მიუხედავად თქმა „საქართველო და რუსეთის IV სახელმწიფო სათათბირო“ მაინც ნაკლებად წარმოადგენდა შესწავლის საგანს.

ნაშრომის თითქოს ვიწრო სპეციფიკის მიუხედავად ჩვენს მიერ დიდი რაოდენობის საისტორიო წყაროების (მათ შორის 30-მდე საარქივო საქმე და 100-მდე დასახელების პერიოდული ორგანო) მოძიებამ და შესწავლამ კვლევის არეალი გააფართოვა და შეიძლება ითქვას, რომ მონოგრაფია ზოგადად XX ს. 10-იანი წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის, პოლიტიკურ პარტიათა და მოძრაობათა ისტორიის ასახვის მცდელობას წარმოადგენს.

საარქივო მასალებისა და პერიოდიკის გარდა მნიშვნელოვანი ცნობები აღმოჩნდა მოვლენათა თანამედროვე და მონაწილე პირთა მეტუარებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მაღაქია ბოლქვაძის, რევაზ გაბაშვილის, გიორგი თარხნიშვილის, გიორგი ლასხიშვილის, ნოე ქორდანიას, ვასილ წერეთლის, ალექსანდრე ხატისოვის მოგონებები. უშუალოდ IV სახელმწიფო სათათბიროსთან დაკავშირებით, „კულუარული პოლიტიკის“ შესწავლის თვალსაზრისით ღირებულებას წარმოადგენს ალექსანდრ გუჩიოვის, ვლადიმირ კოკოვცევის, პავლე მილიუკოვის, მიხეილ როძიანკოს მემუარები.

ისტორიოგრაფიული ბაზა, როგორც უკვე აღნიშნეთ, საკმაოდ მწირია და პრობლემის შეუსწავლელების გამო ბოლოდროინდელ სამეცნიერო ლიტერატურაშიც კი ელემენტარული ლაფსუსებია დაშვებული. მაგალითად, IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებად გამოცხადებულნი არიან ი. წერეთლი და ევგ. გეგეჭორი (131. 17). აკ. ჩხენკვალი რატომდაც მიჩნეულია ვ.

გელოვანის ნაცვლად დეპუტატად არჩეულად 1915 წელს (134. 104). შეცდომაა დაშვებული დიდი ინგლისელი ქართველოლოგის დევიდ მარშალ ლენგის წიგნშიც, სადაც ნათქვამია, რომ III სათათბიროს დეპუტატი გეგეჭკორი IV სათათბიროში შეცვალა ჩეხენკელმა (ისინი სხვადასხვა ოლქიდან იყვნენ არჩეულები – ბ. კ.), თავადი შერვაშიძე კი თავადმა გელოვანმა (212. 179), (ისინიც ასევე სხვადასხვა ოლქიდან იყვნენ არჩეულნი, თანაც სხვადასხვა პარტიას ეკუთვნოდნენ.– ბ. კ.).

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ისტორიის აღიარებულ ექსპერტად სამართლიანადაა მიჩნეული არონ იაკობის ძე ავრეხი, რომელმაც მარტო IV სახელმწიფო სათათბიროს საქმიანობას 4 მონოგრაფია მიუძღვნა, მათ შორის: ცარიზმი და IV სათათბირო. 1981; 3 იქნის სისტემის დაცემა. 1985; ცარიზმი დამხობის წინ. 1989. აღნიშვნის დირსია ე. დ. ჩერმანსკიც, ავტორი წიგნისა – სახელმწიფო სათათბირო და ცარიზმის დამხობა რუსეთში. 1976. ჩერმანსკი იყო პირველი ისტორიკოსი, რომელმაც სპეციალური უკრადღება მიაქცია სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების საკითხეს, მემარცხენე ძალების როლს და ფუნქციას სახელმწიფო სათათბიროში. მნიშვნელოვან გამოკვლევას „წარმოადგენს დიაკინის მონოგრაფია „ბურჟუაზია, თავად-აზნაურობა და ცარიზმი 1912-1914“. 1981. უახლეს გამოკვლევათა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის დირსია ანატოლ სმირნოვის ისტორიულ-სამართლებრივი ნარკევი „რუსეთის იმპერიის სახელმწიფო სათათბირო 1906-1917“. მოსკოვი. 1998.

ქართველ მკლევართაგან ბოლო პერიოდში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საქართველოსთან მიმართებით აქტიურად იკვლევს გელა საითიძე, მისი სტატიები შექხება სახელმწიფო სათათბიროებში მოვაწეობის ქართველ დეპუტატებს, არჩევნების დროს ქართულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ძალთა დაპირისპირების საკითხებს, მან შექმნა არაერთი ქართველი დეპუტატის პოლიტიკური პორტრეტი, მათ შორის: ჭოლა ლომთათიძის (იხ. ჟურნ. „ლიტერატურული ძიებანი“, XX ტომი, 1999 წ.), იოსებ ბარათაშვილის (ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, №1. 1991), ნოე ჟორდანიას (ჟურნ. „პოლიტიკა“, №5. 1991), არჩილ ჯაფარიძის („სახალხო გაზეთი“ 5-11 XI, 1996), ეგგენ გეგეჭკორის (ჟურნ. „კლიო“, №5, 1999), ირაკლი წერეთლის („სახალხო გაზეთი“ 16-22 VII, 1996)..

IV სახელმწიფო სათათბიროსთან დაკავშირებულ ქართველ მოღვაწეთა საინტერესო პოლიტიკური პორტრეტები შექმნა აგრეთვე ლეილა ნანიტაშვილმა, კერძოდ, აკაკი წერეთლის, არჩილ ჯორჯაძის,.. მასვე ეკუთვნის დეპუტატ ვარლამ გელოვანის პირველი სრულყოფილი პოლიტიკური პორტრეტი (ლეილა ნანიტაშვილი. ბრძოლის ველზე დაცემული რაინდი. წიგნში: ერის წელული აჩნდა წელულად. თბ. 1993.)

IV სათათბიროს ქართველი დეპუტატების აკაკი ჩხერიძელის და კარლო ჩხეიძის პოლიტიკური და საზოგადოებრივი საქმიანობა წარმოადგენდა გურამ შარაძის და ვახტანგ გურულის შესწავლის საგანს (იხ: გურამ შარაძე. აკაკი ჩხერიძელი. გაზ. „სახალხო განათლება“. 1989. 16. VIII; გურამ შარაძე. კარლო ჩხეიძე-„რესეფის რევოლუციის ბებერი არწივი“. გაზ. „სახალხო განათლება“. 1989. 22. II; გურამ შარაძე. უცხოეთის ცის ქვეშ. I ტ. თბ. 1991; Лидер Российской демократии (К. С. Чхеидзе). Публикация В. Гурули. газ. „Новейшая Грузия“. 9. III. 1994. Руководители демократической Республики Грузия (к 120-летию со дня рождения Акакия Чхенкели). Публикация В. Гурули. газ. „Новейшая Грузия“. 20. V. 1994.).

IV სახელმწიფო სათათბიროსთან კონტექსტში აღნიშნული პერიოდის პოლიტიკური საქტრის, პოლიტიკურ პარტიათ ისტორიის საკითხები შესწავლილი აქვთ რევაზ გრძელიძეს (საქართველოს დამკომის ისტორია), ვახტანგ გურულს და მერაბ ვაჩნაძეს (სოციალ-დემოკრატიული პარტიის ისტორიის შესახებ), დიმიტრი შველიძეს (საქართველოს სოციალისტურალისტთა პარტიის შესახებ) და ოთარ ჯანელიძეს (ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის შესახებ საქართველოში).

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა პოლოვესორ დიმიტრი შველიძის სტატიების ციკლი: „პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში“ (გაზ. „განათლება“—„ერი“, 1991, ნოემბერი), სადაც XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში წარმოქმნილი ყველა ძირითადი პოლიტიკური პარტიის (სოციალ-დემოკრატები, ფედერალისტები, ანარქისტები, ეროვნულ-დემოკრატები, ესერები) ისტორიის საწყისებია შესწავლილი.

ბოლო წლებში შეიქმნა ფუნდამენტური, შემაჯამებელი შრომები ცალკეულ პოლიტიკურ პარტიათა ისტორიის შესახებ. მათ შორის ვახტანგ გურულის სადოქტორო დისერტაცია: „ქართული სოციალ-დემოკრატია 1892-1904 წლებში. თბ. 1996“; მერაბ ვაჩნაძის სადოქტორო დისერტაცია: „ქართული სოციალ-დემოკრატია 1905-1918 წლებში. თბ. 1999“; დიმიტრი შველიძის სადოქტორო დისერტაცია: „საქართველოს სოციალისტულერალისტთა პარტია 1903-1917 წლებში. თბ. 1997“; ოთარ ჯანელიძის სადოქტორო დისერტაცია: „საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია 1917-1923 წლებში. თბ. 1999“. ამ შრომებმა ჩვენი კალევის ისტორიოგრაფიული ბაზის შექმნაში და რიგი თეორიული საკითხების გადაწყვეტაში დიდი დახმარება გაგვიწიეს.

ჩვენი ნაშრომის ქრონოლოგიაში (1912-1917) და კვლევითი არეალის გაფართოებაში აღძრა XX საუკუნის საქართველოს ისტორიის და ეროვნული მოძრაობის პერიოდიზაციის დაკონკრეტების საკითხი. ამ ორიოდე წლის წინ თრგანიზებულ დისკუსიაზე დაისვა პერიოდიზაციის საკითხი (ეროვნული მოძრაობისა და საქართველოს ახალი და უახლოესი ისტორიის), გაკეთდა წინასწარი მონახაზი, ქრონოლოგია გამსხვილებულად იქნა წარმოდგენილი (135. 24-25).

ჩვენი აზრით ახალი მასალების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანის და კვლევის გაფართოების შესაბამისად ახალი და უახლესი ისტორიის პერიოდიზაცია უფრო დაკონკრეტება, დაიხვეწია. ვინაიდან ჩვენთვის საინტერესო ქრონოლოგიური არეალი გამოჯნულია 1914 წლით (IV პერიოდი – 1905-1914 წლები, V პერიოდი – 1914-1918 წლები), გვაქვს მოსაზრება – 1912 წელი, როგორც გარდამტები და პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებების ბარომეტრი (ეროვნულ-დემოკრატიული ჯგუფის „კლდეესტების“ ჩამოყალიბება, სოციალ-დემოკრატთა საბოლოო გათიშვა, სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები – ნაციონალისტთა და სოციალ-დემოკრატთა დაპირისპირება და მისი ლოგიკური გაგრძელება – შემდგომ სუთწლედში მემარცხენეთა გამემარჯვენება და მემარჯვენეთა გამემარცხენება, ერთმანეთთან დაახლოების პოლიტიკა) შესაძლებელია ეროვნული მოძრაობის ისტორიაში გამოიყოს ცალკე პერიოდის მიჯნად (142. 5).

აქვე გვსურს ერთი თითქოს უმნიშვნელო საკითხის წამოჭრაც, რომელიც როგორც ჩანს საზოგადოების გარკვეულ ნაწილს თავის დროზეც, 90 წლის წინ აწუხებდა. დავით ბაქრაძემ 1913 წელს გაზეთ „იმერეთში“ (43. 51) დასვა საკითხი – რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს დასახელება არ თარგმნილიყო „სათათბიროდ“. შერჩენოდა საკუთარი სახელი „დუმა“. დღეს ყველა ევროპულ ენაში ეს სახელწოდება დედნის ენაზე გადმოდის, როგორც „დუმა“ – იქნებ ქართულ ენასა და სამეცნიერო მიმოქცევაშიც თანდათანობით დაგვემცილებინა ეს ტერმინი. თუმცადა, ამჟამად მხოლოდ საკითხის დაყენებით ვიფარგლებით და ნაშრომში ტრადიციას არ ვდალატობთ.

## I თავი. რუსეთის IV სახელმწიფო სათათგიროს არჩევნები საქართველოში

### §1. წინასაარჩევნო კითარება და არჩევნების ორგანიზაცია საქართველოში

1912 წლის 29 აგვისტოს უმაღლესი ბრძანებით ნიკოლოზ II-მ დაითხოვა III სახელმწიფო სათათბირო და 10 სექტემბრიდან დანიშნა IV სათათბიროს არჩევნები, 15 ნოემბერს უნდა გამართულიყო ახალი შემადგენლობის სათათბიროს პირველი სხდომა. დაწესდა შემდეგი საარჩევნო ვადები: რწმუნებულთა ასარჩევად – 10-20 სექტემბერი, ამომრჩეველთა ასარჩევად – 25 სექტემბერი-5 ოქტომბერი. დეპუტატის ასარჩევად – 15-25 ოქტომბერი (7. 31).

როგორც უხედავთ, ვადები მეტისმეტად შემჭიდროებულია და ნორმალური წინასაარჩევნო კამანის წარმართვა ასეთ პირობებში საქმარებლივი განვითარებულია. ალბათ, სწორედ ამიტომ მოუწოდებდა გაზეთი „თემი“ ყველა ოპოზიციურ ძალას, ერთიანად „აეფრიალებინათ“ დემოკრატიული დროშა, ვინაიდან „დღვენდელი რეაქციის სანაში ოპოზიციას ცალ-ცალკე ბრძოლა გაუჰქირდება“.

IV სათათბიროც, ისევე როგორც III სათათბირო 1907 წლის 3 ივნისის საარჩევნო კანონით ირჩეოდა, გარკვეული ცვლილებებით და დამატებებით.

IV სათათბიროში ასარჩევ დეპუტატთა ოდენობა პროპორციულად არ იყო განაწილებული იმპერიის მთელ მოსახლეობაზე. 442 დეპუტატიდან 403 დეპუტატს ირჩევდა ევროპული რესეთი, 15 – აზიური რესეთი, 14 – პოლონეთი, 10 – კავკასია. (193. 174)

10 სადეპუტატო ადგილიდან 3 იმთავითვე განსაზღვრული იყო კავკასიის რესი მოსახლეობისთვის. დანარჩენი 7 დეპუტატი კი განაწილებული იყო ადმინისტრაციული დაყოფის შესაბამისად და არა რეალური მოსახლეობის პრინციპით. 2 დეპუტატი მიკუთვნებული იყო იმიერკავკასიის ადგილობრივ მოსახლეობას, ხოლო 5 ამიერკავკასიას (3 დეპუტატი – საქართველოდან, 1-1 კი სომეხი და მაკმადიანი).

რესეთ კურიაში იმიერკავკასიის მოსახლეობა (ყუბანის და თერგის კაზაკთა სტანიცები) ირჩევდა 2 დეპუტატს, ხოლო

ამიერკავკასია ერთს. ამომრჩეველთა ამგვარი კვოტირებით: ბაქოს გუბერნია – 21 ამომრჩეველი, ტფილისის გუბერნია – 21, ელიზავეტოპოლის გუბერნია – 6, ქუთაისის გუბერნია – 2, ერევნის გუბერნია – 4, ყარსის ოლქი – 7, ბათუმის ოლქი და სოხუმის ოკრუები – 5, დაღესტნის ოლქი – 4.

კავკასიაში (საერთო კურია) დეპუტატთა და მათ ამომრჩეველთა შესატყვისობა დიაგრამულად ასე გამოიყერება.

N	ადმინისტრაციული კუთხეული	მემამულეთა კურია	საქალაქო კურია	გლეხთა კურია	სულ ამომრჩევლები	დეპუტატი
1.	ჯუანის ოლქი და შავიზლვისპირეთის გუბერნია თერგის ოლქი	31	14	10	55	1
		18	6	10	34	
2.	ტფილისის გუბერნია	29	14	12	55	1
3.	ქუთაისის გუბერნია	22	7	9	38	1
4.	დაღესტნის ოლქი და ზექათალის ოკრუები	4	5	24	33	1
5.	ბაქოს გუბერნია ელიზავეტოპოლის გუბერნია კრევნის გუბერნია	12	12	10	34	2
		22	5	9	36	
		16	5	14	35	
6.	ყარსის ოლქი ბათუმის ოლქი და სოხუმის ოკრუები	–	4	9	13	1
		4	5	5	14	

პ. ა. სტოლიპინისგან შემუშავებული 3 ივნისის საარჩევნო კანონით საარჩევნო უფლება საერთოდ წაერთვა ამიერკავკასიას და თურქესტანს. შემდგომში ეს უფლება ამიერკავკასიას დაუბრუნეს, მაგრამ IV სახელმწიფო სათათბიროში სადეპუტატო კვოტა 9-დან 6-მდე შეუმცირეს (84. 249).

საარჩევნო კანონის დისკრიმინაციულობა არარუსი ერების მიმართ ვლინდებოდა მის თითოეულ პუნქტში. კომისიის თავმჯდომარეები მხოლოდ რუსები იყვნენ (6. 3), თვით კომისიებში კი სამხედრო პირები და უანდარმები სჭარბობდნენ. ადმინისტრაცია ფლობდა არჩევნების მართვის ბერკეტებს. არჩევნებთან დაკავშირებული უწვრილმანები ინფორმაციაც კი ყველა მხრიდან თავს იყრიდა პოლიციის დეპარტამენტში. პავკა-

სიის მეფისნაცვლის მოადგილე სენატორი ვატაცი სპეციალური ცირკულარით გუბერნატორებს სთავაზობდა მიწერ-მოწერის გასაიდუმლოების დასაცავად შიფრის გამოყენებას, კონვერტზე გამოგონილი მისამართების, პერსონათა ფიქსირებას. „მემარცხენეები დიდძალ ფულს იხდიან ამ მიმოწერის ხელში ჩასაგდებად“ – ხაზს უსვამდა იგი (12. 16).

საარჩევნო კანონმა გარევეულწილად შეზღუდა რუსული კურიის ამომრჩეველთა უფლებებიც. 174-ე მუხლის ძალით აქ გაერთიანდნენ მართლმადიდგბელი, ლუთერანი და სექტანტი რუსები. კათოლიკური აღმსარებლობის რუსი მოსახლეობა კი საერთო კურიას მიუჟერთა მეფისნაცვალმა, რაზეც აშკარად გამოხატავდა თავის უკამაყოფილებას III სათათბიროს დეპუტატი ა/კ რუსი მოსახლეობისგან თევდორე ტიმოშკინი (5. 126).

საარჩევნო კანონის საბოლოო ვარიანტსაც ბევრი ხარვეზი გააჩნდა. სომებ-თათართა დაპირისპირების ფონზე ელიზავეტოპოლის, ბაქოს და ერევნის გუბერნიებში განგებ შექმნილი იყო საერთო კურია, როგორც სომები, ისე მაჰმადიანი ამომრჩევლისათვის. მოსახლეობა ერთმანეთთან დაპირისპირებაში (რაც კიდევ უფრო ამწვავებდა ისედაც რთულ ურთიერთობებს) ირჩევდა დეპუტატის ამომრჩევლებს. ისინი იკრიბებოდნენ კ. წ. ნეიტრალურ ტერიტორიაზე (ელიზავეტოპოლში) და სომებს ან თათარ ამომრჩეველთა რაოდენობის მიუხედავად იყოფოდნენ ორ ნაწილად. სომხები ირჩევდნენ სომებს დეპუტატს, მაჰმადიანები კი მაჰმადიანს.

ამით თითქოს დაცული იყო რუსეთის იმპერიის კანონმდებლობისგან „ტუხემცების“ თანასწორობის პრინციპი. რეალურად კი ამგვარმა კანონმა კინაღამ სისხლისდვრამდე მიიყვანა ორი ერი. მაგალითად, სამსონ არუთინოვის გაშავებამ მაჰმადიანი ამომრჩევლების უმრავლესობის წყალობით სომხეთში დიდი მდელვარება გამოიწვია (ს. არუთინოვი სომებთა საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე, ნაფიცი მსაჯული, კენჭის იყრიდა ყაზახის მაზრაში).

საარჩევნო კანონის აბსურდულობა იმაშიც გამოიხატა, რომ მუშათა კურიის 4 ამომრჩეველს, მცირერიცხოვნობის გამო სხვა ვერაფერი მოუხერხეს და ხელოვნურად მიუჟერთეს: 2 მათგანი სომებთა ნაციონალურ კურიას, 2 კი ტფილისის გუბერნიის ამომრჩეველთა სიას.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი გამოხატავდა კანონით უკმაყოფილებას. მაგალითად, იმასთან დაკავშირებით, რომ მუსლიმები და სომხები ნაციონალურ კურიებში ირჩევდნენ და პუტატს, ქართველები კი კონგლომერატულ კურიებში (84. 249).

ჩვენი აზრით ეს ორი მიზეზით იყო განპირობებული: 1. ქართველებისადმი ნიკოლოზ II-ის შედარებითი ლოიალობით. 2. ქართველ თავად-აზნაურობას ხმების გადამწყვეტი წილი პქონდა დათმობილი, ხოლო ტფილისის გუბერნიაში სჭარბობდა სომხური კლემენტი. ამდენად ეს ფაქტორი კანონის ავტორებმა, როგორც ჩანს, უსაფრთხოების მყარ გარანტად მიიჩნიეს (თუმცა ამას ხელი არ შეუშლია დასავლეთ საქართველოში – ნაციონალისტის და აღმოსავლეთ საქართველოში – სოციალ-დემოკრატის გამარჯვებისთვის. საერთოდაც ოთხივე სათათბიროში კავკასიის დაპუტატია ყველაზე მეტი მემარცხენებით გამოირჩეოდა).

საარჩევნო კანონის ნაკლად მიჩნეულ იქნა ისიც, რომ გეოგრაფიული, ეკონომიკური და ადმინისტრაციული თვალსაზრისით მკეთრად განსხვავებული ყარსის, ბათუმის ოლქები და სოხუმის ოკრუგი ხელოვნურად გააერთიანეს ერთ საარჩევნო ოლქად. ფაქტიურად აქაური დეპუტატი ვერაფრით იქნებოდა სამივე მხარის ინტერესების თანაბრად დამაკმაყოფილებელი.

საარჩევნო კანონის თანახმად შექმნილი იყო 4 საარჩევნო კურია: 1. მემამულეთა, მიწისმფლობელთა და თავად-აზნაურთა. 2. ქალაქების მოსახლეობის. 3. გლეხობის და სასოფლო თემების. 4. მუშათა.

საქართველოს ტერიტორიაზე რეალურად არსებობდა სამი კურია. არჩევნებში მონაწილეობის უფლება პქონდათ 25 წლის ზევით ასაკის მამაკაცებს, რომელთაც გააჩნდათ ცენზი. ცენზი კი კურიების შესაბამისად შეიძლებოდა ყოფილიყო ქონებრივი, საცხოვრებელი (ბინის ცენზი – ქალაქის მოსახლეობისთვის) და ა. შ. ამის გარდა სახელმწიფო მოხელეებს და მოსამსახურეებს კ. წ. გონებრივ ცენზის თვით დაწესებულება-ორგანიზაციის აღმინისტრაცია უსაზღვრავდა.

I კურიაში ამომრჩევლის უშუალოდ არჩევის უფლება პქონდათ იმ მემამულეებს, რომელთა საერობო გადასახადი აღემატებოდა წელიწადში 30 მანეთს, ნაკლები გადასახადის გადამხდელი მონაწილეობას იღებდა დეპუტატის ამომრჩევლის

რწმუნებულთა ასარჩევ კრებაში. თუ მაგალითად, დამსწრეთა საერთო საერობო გადასახადი შეადგენდა 600 მანეთს, ისინი რაოდენობის მიუხედავად თავიანთი რიგებიდან ირჩევდნენ 20 რწმუნებულს. ამ უკანასკნელთ მაზრის სათავადაზნაურო კრებაზე უკვე უშუალოდ შექმლოთ დეპუტატის ამომრჩევლის არჩევა. უკანონო ან წესების დარღვევით წარმოებული არჩევნების გასახივრება შეიძლებოდა 3 დღის ვადაში.

II კურიაში ქალაქელ ამომრჩევლად ითვლებოდა პირი: ა) ვისაც გააჩნდა უძრავი ქონება, უკანასკნელი 1 წლის მანძილზე დაბეგრილი საერობო ან საქალაქო გადასახადით. ბ) ვინც მაზრის საზღვრებში იხდიდა სამრეწველო გადასახადს. გ) ვისაც ბოლო ერთი წლის მანძილზე ქალაქში ქონდა ნაქირავები ბინა, რომელსაც გააჩნდა ცალკე ჰოლი, სამზარეულო და თუნდაც 1 ოთახი. ამასთან 1912 წლისთვის ბინის გადასახადი გადახდილი უნდა ყოფილიყო. დ) ბინის მფლობელი.

ამ უკანასკნელი 2 პუნქტით ცენზიან ამომრჩევლებს ევალ ჟბოდათ 1912 წლის 12 ივლისამდე ქუთაისის საქალაქო თვითმმართველობაში, ხოლო 1912 წლის 8 აგვისტომდე ტფილისის საქალაქო თვითმმართველობაში წარედგინათ პასპორტები ან პირადობის დამადასტურებული მოწმობები, ზემორე აღწერილი ბინის პროექტით. მოქალაქეთათვის დაწესებული იყო ვადა, რომლის გათავებამდე უნდა მოქსწროთ რეგისტრაციაში გატარება არჩევნებში მონაწილეობისთვის.

III კურიაში საწყის ეტაპზე ათი კომლი ირჩევდა ერთ წარმომადგენელს, რომელიც მონაწილეობდა სოფლების გაერთიანებულ ყრილობაში. აქ ირჩევდნენ 2 რწმუნებულს, რომლებიც შემდგომ მონაწილეობდნენ სამაზრო კრებებში დეპუტატის ამომრჩევლის ასარჩევად.

IV კურია საქართველოში და მთლიანად ამიერკავკასიაში მცირერიცხოვნობის გამო ფაქტიურად არ შექმნილა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 4 ამომრჩევები ხელოვნურად მიუერთეს სხვადასხვა საარჩევნო ოლქებს. კანონის თანახმად 50-დან 2000 მუშამდე კოლექტივს უფლება ჰქონდა აერჩია 1 რწმუნებული, 2000-ზე მეტს კი – 2 (აქაც გამომჟღავნდა კანონის სიმახინჯე, როდესაც ერთი კაცის მეტ-ნაკლებობა წყვეტდა რწმუნებულთა რაოდენობას).

მუშათა კურიაში საარჩევნო ცენზის სახე პქონდა ერთ ადგილზე მუშაობის სანგრძლივობას, რაც განსაზღვრული იყო 6 თვით. როგორც ს. კაპაბაძე აღნიშნავს, 3 ივნისის კანონით, საქართველოს პირობებში, მემამულეთა კურიაში 1 ამომრჩეველს ირჩევდა 230 მემამულე და 1000-მდე მსხვილი ბურუჟა, საქალაქო კურიაში 15 000, გლეხთა კურიაში 60 000 და მუშათა კურიაში – 125 000 კაცი (138. 230).

არჩევნები ბუნებრივია ფარული კენჭისყრით მიმდინარეობდა. მხოლოდ ერთი კორექტივი იყო შეტანილი საარჩევნო კანონში არჩევნების გამარტივებისთვის. კერძოდ შემოღებული იყო არჩევის 2 ვარიანტი. პირველი ვარიანტით არჩევნები მოხდებოდა უშუალოდ კანდიდატებისთვის საარჩევნო ყუთებში შავი და ოქტოი კენჭების მიცემით (კენჭი პირობითი ცნებაა, დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ მაზრაში ხმის მიცემისას გამოიყენებოდა სიმინდის და ლობიოს მარცვლები (34. 2), რასაც ხმირად გაუგებობები და არეულობა მოცყვებოდა ხოლმე), ეს იმ შემთხვევაში თუ ამომრჩეველთა რაოდენობა 500-მდე იყო. თუ 500-ზე მეტი ამომრჩეველი შეგროვდებოდა ხმის მიცემა მოხდებოდა ბარათებით, შემდეგ კი 2 საუკეთესო კანდიდატი (ვისაც ბარათების უმეტესობა მიუვიდოდა) კენჭის საყრელად ყუთს იდგამდა.

საარჩევნო კანონით კავასია ირჩევდა 471 ამომრჩეველს (10 დეპუტატის ასარჩევად). მათგან ტფილისის გუბერნია – 55, ქუთაისის – 38, ბათუმის და სოხუმის ოკრუგები – 14 ამომრჩეველს. მაზრების მიხედვით კი შემდეგნაირად-იხ: დიაგრამა (91. 237).

მოსახლეობის და ამომრჩევლების დამოკიდებულება არჩევნებისადმი არაერთგაროვანი იყო, გვხვდებოდა კურიოზებიც, როგორც იყო მაგალითად 14 ოქტომბერს ტფილისის მაზრის III უბის არჩევნებზე ერთ-ერთი ბარათის აღმოჩნა, რომელიც შემდეგნაირად იყო შევსებული: „ჩემი კანდიდატებია: 1. ექს-შაპი მაპომედ ალი, ადრესი არდებილის მახლობლად, სამხედრო ბანაკი. 2. ექს-სულთანი აბდულ ჰამიდი, ადრესი ახალგაზრდა ოსმალთ ჰეითეთ. 3. ჩემი მზარეული მელიტონ ჩახოხბილაძე, რომელიც ვერმშელს საუკეთესოდ ამზადებს.“ ანალოგიური კურიოზი მოხდა რუსთა კურიაშიც, სადაც ბარათზე ეწერა: „გირჩევთ თევდორე ტიმოშკინი აირჩიოთ მოსამსახურეთ სახ-

ელმწიფო სათათბიროში, სადაც ის შეცდომით დეპუტატად იყო.“ (61. 725).

### **ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო კურიების მიხედვით**

საარჩევნო უბანი	შემამულეთა გურია	საქალაქო გურია	გლეხთა გურია	სულ
ტფილისის მაზრა	3	8	1	12
ახალქალაქის მაზრა	2	1	2	5
ახალციხის მაზრა	2	1	1	4
ბორჯალის მაზრა	6	—	1	7
გორის მაზრა	7	1	2	10
დუშეთის მაზრა	2	1	1	4
სიღნაღის მაზრა	2	1	2	5
თელავის მაზრა	3	1	1	5
თანავის მაზრა	2	—	1	3
<b>ფულისის გუბერნია</b>	<b>29</b>	<b>14</b>	<b>12</b>	<b>55</b>
ქუთაისის მაზრა	4	3	2	9
ზუგდიდის მაზრა	3	1	1	5
ლეჩეუმის მაზრა	2	—	1	3
ოზურგეთის მაზრა	3	1	1	5
რაჭის მაზრა	3	—	1	4
სენაკის მაზრა	3	2	1	6
შორაპის მაზრა	4	—	2	6
<b>ძვირაისის გუბერნია</b>	<b>22</b>	<b>7</b>	<b>9</b>	<b>38</b>
ბათუმის ოკრუგი	2	3	1	6
სოხუმის ოკრუგი	2	1	2	5
ართვინის ოკრუგი	—	1	2	3
<b>შავიზებისისიმი</b>	<b>4</b>	<b>5</b>	<b>5</b>	<b>14</b>

## §2. პოლიტიკური პარტიების და ჯგუფების წინასაარჩევნო სტრატეგია და ტაქტიკა

IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებზე საქართველოში ძირითადად სამი პოლიტიკური ძალა დაუპირისპირდა ერთმანეთს.

I) ეროვნული ბანაკი, რომელიც არაერთგვაროვანი იყო. მის რიგებში წამყვან როლს ასრულებდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, რომელსაც ფართო სააგიტაციო საშუალებები გააჩნდა „სახალხო გაზეთის“ (გამოდიოდა ტფილისში, არჩილ ჯორჯაძის ფაქტიური ხელმძღვანელობით) და „იმერეთის“ (გამოდიოდა ქუთაისში მის. შევარდნაძის ფაქტიური რედაქტორობით, ყველაზე აქტიური თანამშრომლები იყვნენ ვასილ წერეთელი – „ურო“ და ალექსანდრე ასათიანი) სახით.

II სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში ფედერალისტთა პარტიის დიდერების კიტა აბაშიძის და გიორგი ზდანოვიჩის დამარცხების (65. 48) შემდგომ III სათათბიროს არჩევნებს პარტიამ ბოკოტი გამოუცხადა, როგორც ჩანს მოსალოდნელი მარცხის შიშით ან უპერსპექტივობის გამო, ოუმცა ოფიციალური განცხადებით ბოკოტის მიზეზი ახალი სათათბიროს ძველის მსგავსად სწრაფად დათხოვნის საშიშროება იყო (162. 8).

ახალი საარჩევნო კანონის ცვლილების თანახმად გიორგი ზდანოვიჩი, როგორც წარმოშობით პოლონელი, მიაკუთხნეს რუსულ კურიას. ამიტომ მთავარმა კომიტეტმა არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო თავისი კანდიდატების მზადება. 1911 წლის 26 დეკემბერს „სახალხო გაზეთის“ რედაქტორის ნიკ. კურდოდელაშვილის ბინაზე ქიფის საფარით გაიმართა პარტიის კონსპირაციული კრება, რომელსაც ესწრებოდნენ: არჩილ ჯაჯანაშვილი (გაზეთის ფაქტიური რედაქტორი), გრიგოლ რცხილაძე (თავადაზნაურობის სამიწათმოქმედო ბანკის ნაფიცი მსაჯული), შალვა მესხიშვილი (მისი თანაშემწევი), ვარლამ გელოვანი, რომან ბებიევი, დავით კასრაძე, იაკობ ცინცაძე, გიორგი სალარიძე... სულ 12 კაცი. კრებამ დაადგინა ვარლამ გელოვანის კანდიდატურა, რომელიც საარჩევნო ცენზის დასაგროვებლად (1 წლის მანძილზე მუდმივად ცხოვრება) პეტერ-

ბურგიდან ტფილისს გადმოსახლდა ოჯახით. მეორე ნომრად დასახლდა შალვა მესხიშვილი (21. 5).

საინტერესოა, რომ არჩევნებამდე დიდი წნით ადრე მოწინააღმდეგ ბანაკებმა სცადეს მოსალოდნელი სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებისთვის გვერდის ავლა და შეთანხმება. აგენტურული წყაროებით პოლიციის დეპარტამენტისათვის ცნობილი გახდა, რომ პეტერბურგში მატარებლით მიმავალი ზდანოვის 1912 წლის 24 იანვარს შეჩერდა ქ. როსტოვში, პარტიის ცაის ყოფილ წევრ სამსონ ფირცხალაგასთან მოსალაპარაკებლად (ეს უკანასკნელი 1910 წელს ფედერალისტთა პარტიის დარბევის შემდგომ 4 წლით გაასახლეს კაგეასიძან). საუბარს დაესწრო ს-დ პარტიის ტფილისის კომიტეტის წევრი ნიკოლოზ კლიაგა, შეთანხმდნენ: სათათბიროს არჩევნებზე ტფილისის გუბერნიიდან აირჩიონ ვარდამ გელოვანი, ქუთაისიდან ევგენი გეგენჭკორი და დაპირისპირების გარეშე, მშვიდობიანად ორივე შემთხვევაში მხარი დაუჭირონ ერთმანეთის კანდიდატებს (21. 4). თუმცა ეს გარიგება არ შედგა, ალბათ პოლიტიკური ამინდის შეცვლის გამო.

ეროვნული ჯგუფი შემოკრებილი იყო აგრეთვე უურნალ „კლილის“ გარშემო. ესენი იყვნენ: ფაქტიური რედაქტორი რევაზ გაბაშვილი, კომერციული ხელმძღვანელი დათა ვაჩნაძე, შალვა ამირეჯვიძი, შალვა ქარუმიძე, დიმიტრი ჯავახიშვილი, ალექსანდრე ყიფშიძე-ფრონელი და სხვები (33. 126). ამ ჯგუფმა 1917 წელს ქუთათურ „სამშობლოსთან“ ერთად საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას (26. 112) და ფაქტიურად ეროვნული მოძრაობის „ახალ ტალღას“ წარმოადგენდა, რომელსაც ხშირად დაპირისპირებაც, კამათიც კი უწევდა ნაციონალისტთა უფროს თაობასთან – სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიასთან (ა. ჯორჯაძე, გ. ლასხიშვილი, გრ. რცხილაძე, კ. აბაშიძე). ვინაიდან პოლიტიკურ ასპარეზზე „კლილებისტები“ ფაქტიურად 1912 წელს აკეთებენ სერიოზულ განაცხადს, ამიტომ სათათბიროს არჩევნებში საჭუთარი კანდიდატი არ ჰყოლიათ, მაგრამ აქტიურად ეწეოდნენ აგიტაციას ეროვნულ კანდიდატთა სასარგებლოდ.

2) რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის თანამგრძნობი ქართული საზოგადოება, როგორც ტფილისის, ასევე ქუთაისის გუბერნიებში აქტიურად ეწეოდა წინასაარჩევ-

ნო კამპანიას და საკუთარი კანდიდატებიც ჰყავდა წამოყენებული პროგრესისტთა პარტიის სახელით. სააგიტაციოდ იყენებდა ტფილისში გამომავალ „ზაგავგაზიე“-ს და ერთჯერად აღმანახებს.

ეს პარტია საგმაოდ ჭრელი შემადგენლობით და სიმყიფით გამოირჩეოდა, თავის საპროგრამო დებულებებში გამოდიოდა შეზღუდული მოთხოვნებით. უარყოფდა საქართველოსთვის პოლიტიკური ავტონომიის იდეას და საერთო-კავკასიურ „ბუნდოვან“ ოკითმმართველობას სჯერდებოდა.

ძირითად აღსასრულებელ პირობად თავის პროგრამა-მინიმუმში პროგრესისტები დებდნენ: 1) სრული ერობის შექმნა. 2) ტფილისში უმაღლესი სასწავლებლის გახსნა. 3) ბატონიფმობის ნაშთების მოსპობა. 4) ენის, ლიტერატურის, ქართული ეპლების და ქართველი ხალხის უფლებების დაცვა. (50. 143).

პროგრესისტებს III სათათბიროში ჰყავდათ თავისი წარმომადგენელი პროკოფი შერვაშიძე, რომელიც ენერგიული სოციალ-დემოკრატების ფონზე საგმაოდ უფერულად გამოიყენებოდა.

3) ამიერკავკასიაში ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ძალა – სოციალ-დემოკრატიული პარტია, უკვე სერიოზული პოლიტიკური გამოცდილების მქონე, ამ არჩევნებზეც მაქსიმალური წარმატების მოპოვებას ცდილობდა. წინა სათათბიროებში მათ დიდი უმრავლესობა ჰყავდათ ამიერკავკასიიდან, ამჯერადაც სამივე „ქართულ“ საარჩევნო ოლქში საგმაოდ პოპულარული წარმომადგენლები წამოაყენეს კანდიდატებად: III სათათბიროს დეპუტატები კარლო ჩხეიძე და ევგენი გეგშეკორი, აგრეთვე აკაკი ჩხენაველი.

სოციალ-დემოკრატიამ ეროვნულ საკითხში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა, მის რიგებში ჩამოყალიბდა ავტონომისტთა ფრაქცია დადო დარჩიაშვილის მეთაურობით და ა/კ-ის საოლქო ოკითმმართველობის მომხრე ნაწილი აკაკი ჩხენაველის სახით, რომელმაც აღგილობრივი პარლამენტის იდეაც კი წამოაყენა (185. 131), ხოლო ნოე ქორდანიამ რევოლუციის წინ რომ გააფორმებით ებრძოდა ავტონომიას, კულტურული ავტონომიის აუცილებლობა აღიარა (165. 306).

არჩილ ჯორჯაძის აზრით „მათ აზროვნებაში ღრმა ცვლილებები ხდება თანდათანობით, ხ. ქორდანიას წერილები ეროვ-

ნულ საკითხზე ამ ათიოდე წლის წინათ „ცნობის ფურცელში“ რომ დაბეჭდილიყო, მას სასტიკად შეებრძოლებოდნენ „კვალე-ლები“, დღეს ეს წერილები სწორედ „კვალში“ იბეჭდება (61. 723). მიუხედავად ამისა პარტიის ძირითადი ნაწილი და „გენე-რალური ხაზი“ ყოველგვარი ავტონომიის წინააღმდეგი რჩებოდა, რაც III სათათბიროში მათმა მოღვაწეობამაც აჩვენა.

გერონტი ქიქომის აზრით, „ქართული სოციალ-დემოკრატია ყოველთვის ევროპული ტიპის იყო, გარკვეულ პერიოდში მათ შეიძინეს რუსულ-ქართული უარგონი, მაგრამ ჩქარა ქართულს დაუბრუნდნენ“ (175. 110). თვით რადიკალმა ბოლშევიკებმაც კი დაიხიეს უკან, ნაწილი ცეკის მითითებით გაავტონომისტდა კი-დეც (169. 66). თუმცა ქართველი ბოლშევიკები ფილიპე მახარაძის მეთაურობით მაინც ძველ დროს მისტიროდნენ: „ნაციონალისტებთან პოლემიკამ მუშათა კლასიც გაჟღინთა მათი ბანგით, ჩვენ – მთავარ საქმეს პოლეტარიატის აღზრდას, მარქსიზმის პოლაგანდას შევეშვით და ნაციონალური რომანტიზმის წყლით მოსველებულ თავდაღმართში დავეშვით“ (71. 4). ამ აღიარების რეალურ სურათს ბაქოში იღიას საწინააღმდეგო ლექციის კითხვისას პეტრე გელეიშეილისათვის ბოლოკის დაშენის ფაქტიც ადასტურებს (51. 11).

გარდა ამისა არსებობდა საარჩევნო კამპანიაში არ მონაწილე, მაგრამ აქტიური მეთვალყურე ჯგუფი გრიგოლ დიასამიძის „თემის“ (იგი აპოლიტიკურობის ლოზუნგით გამოდიოდა) და დ. დუმბაძის „ზაკავკაზებია რენ“-ის სახით. გარეგნული ნეიტრალობის მიუხედავად „თემი“ მაინც აქტიურად ერეოდა შეხლა-შემოხლაში. მისი აზრით, „თუ რომელიმე დამონაგებული ერის დემოკრატიული ნაწილი ააფრიალებს ულტრანაციონალისტურ დროშას, იგი უსათვოდ ძლიერ გაახარებს ახლანდელ მთავარ პოლიტიკის შემქმნელთ. საჭიროა სიფრთხილე და ტაქტიკა, მაგალითად პოლონეთის „კოლოს“ მსგავსი ჯგუფი ჩვენთვის სრულიად მიუღებელია, რომელიც დღეს თუ მთავრობის ოპოზიციაშია, რომელიმე საკითხის განხილვისას, ხვალ მთავრობის გულის მოსაგებად მას უჭერს მხარს და ეროვნული იდეალით ხსნის ამგვარ რეაქციონერობას. ამიტომ ჩვენმა დეპუტატებმა უნდა მონახონ გავლენიანი დემოკრატიული პარტია, მას მიეკედლონ და სათათბიროში ერთად იმოქმედონ საჭირო ჟამს“. (41. 87).

„თემი“ წინააღმდეგობაში ექცევა უკვე 3 ნომრის შემდეგ, როდესაც ამტკიცებს, რომ უმჯობესია ჩვენი დეპუტატი დამოუკიდებელი იყოს და ვითარების შესაბამისად „იქ, სადაც ერთი ჯგუფი თავს სუსტად იგრძნობს, მან უნდა ძლიერს დაუთმოს თავისი ხმები, რომ უკუდმართს ვისმე არ გაამარჯვებიოს“ (41. 90).

განსხვავდებული დამოკიდებულება ჰქონდა ქართველი დგუტატის უზნქციისადმი „სახალხო გაზეთს“. არჩილ ჯორჯაძის აზრით, ვინაიდან „რესერტის პირობებში საარჩევნო ბრძოლა გართულებულია, ამიტომ ჩვენგან წასულმა დეპუტატმა სათათბიროში ვაჭრობა კი არ უნდა დაიწყოს – იქნებ რაიმე დავცინცლოო (IV სათათბიროზე, ისევე, როგორც III-ზე რაიმე პოლიტიკური ხასიათის იმედების დამყარება პოლიტიკური სიბეჭვა), მან თავისი დამოუკიდებული სიტყვა უნდა თქვას და რუსეთის საზოგადოებასაც ამცნოს, რომ სულისკვეთება ქართველი ხალხისა ენის დაცვიდან არ იწყება და ქუჩების მოკირწყლვით არ თავდება“ (61. 688).

ანალოგიური აზრი აქვს გატარებული თავის სტატიაში გ. მ.-ს (50. 150), რასაც „თემი“ აღფრთოვანებით ეგებება. გ. მ. პირველი იძლევა არჩევნებში პოლიტიკურ ძალთა განლაგებას და გამოყოფს „3 მიმართულებას“. მისი წერილი ღრმა ანალიზით გამოირჩევა და ტენდენციურობისგანაც თავისუფალია. (ჩვენი აზრით ამ ფსევდონიმს მიღმა შეიძლება მიხეილ გაჩეჩილაძე იფარებოდეს-142. 69). განსხვავდებულად ფიქრობდნენ სოციალ-დემოკრატები, მათი აზრით არჩევნებში ერთმანეთს ებრძოდა დემოკრატია და თავაღ-აზნაურობა.

გაზეთმა „იმერეთმა“ პ. ჩხეიძეს და მგბ. გმბეჭვორს ბრალი დასდო იმაში, რომ მათ სათათბიროს ტრიბუნა არ გამოიყენეს ქართველი ერის ინტერესების დასაცავად და არ დააყენეს იქ შემდეგი საკითხები: 1. სოხუმის ოლქის გლეხების უმიმებესი მდგომარეობა, რაც გამოწვეული იყო სახელმწიფო მოხელეებისგან უდაბურ და ხროიკ ადგილებზე მათი ჩასახლებით. ხოლო, როდესაც სამოთხედ გადააქციეს გლეხებმა ეს მხარე, ისინი დაუყოვნებლივ აყარეს. „ჩვენმა დეპუტატებმა“ კი მათი უბედურება „ფეხებზე დაიკიდეს“ და შეკითხვაც კი არ დასვეს სათათბიროში. 2. ქართველი ჯარისკაციისგან სამხედრო სამსახურის საქართველოში მოხდის შესახებ. 3. ქართველი გლეხების

უმიწობის და მცირებიწიანობის პრობლემა. 4. საშუალო და უმაღლესი განათლების ქართულ ენაზე სწავლების დაწესება. (42. 13).

დეპუტატის პიროვნების გარშემო კამათი ფედერალისტებსა და გორში გამომავალ „ქართლს“ შორისაც გაიმართა. ამ უკანასკნელის აზრით ეროვნულ კუთხით ებაზე უურადღების გამახვილება არასწორი იქნებოდა, რადგან ამოსავალი პრინციპი უნდა ყოფილიყო „უხეირო ქართველს ყველა ჯურის ხეირიანი სჯობია“. ამ თეზის „სახალხოებთა“ უკმაყოფილება მოჰყავა, ეროვნული ნაკილიზმის ბრალდებით და განცხადებით „ე. ი. ოქენი აზრით ქართველებში ხეირიანი არ მოიძებნებაო“. (61. 706).

ა. ჯორჯაძე და „სახალხო გაზეთი“ ილაშქრებდა „თემის“ ცენტრისტულ და ინერტული პოზიციის წინააღმდეგაც, „იგი წუნია პატარძალივით იქცევა, რომელსაც ვერ გამოურკვევია თუ რომელი საქმრო სჯობია“. „ზაკავკაზსკაია რებ“-ის საყვედურებზე, თქვენი კანდიდატი თქვენვე გააშავეთ ანგისომხეური აგიტაციით, ა. ჯორჯაძე იხსენებს 1911 წლის საქალაქო არჩევნებს, როდესაც ზემოხსენებული რედაქცია გვერდში დაუდგა შავრაზმელ რუს-ხულიგნებს და ხმოსნის 2 სავარძლის გულისთვის ძირფესვიანად იკლებდნენ და უსისინებდნენ ერთმანეთს (61. 721).

მნიშვნელოვანია თვით ა. ჯორჯაძის დამოკიდებულება მომავალი დეპუტატისადმი, მისი აზრით ქართული საკითხი სათათბიროში ინტეგრალურად და გადაჭრით უნდა დაისვას და არა ნაკურ-ნაკურ. სწორედ ამის გამო „სახალხო გაზეთი“ თავდაპირველად და ანდრონიკაშვილის კანდიდატურას სიფრთხილით და თავშეეკვებით ეკიდებოდა, მაგრამ შემდეგ „ნაკლები ბოროტების“ პრინციპით მხარი მას დაუჭირა კ. ჩხეიძის საწინააღმდეგოდ. ა. ჯორჯაძე ამავე მოსაზრებით ამჯობინებდა, რომ თუ ეროვნული ინტერესების დამცველი დეპუტატი ვერ გავიდოდა სათათბიროში, სხვას ისევ ცენტრალისტი დემოკრატი ემჯობინებინათ, ვინაიდან ის საერთო-სარუსეთო დემოკრატის ინტერესებს მაინც დაიცავდა. (61. 691-92).

რუსული ცენტრალური პრესა საქართველოში მიმდინარე არჩევნებს საქმაოდ ზერგლედ უყურებდა, მაგალითად „რუს-კოე სლოვო“ წერდა: „ჩხეიძის მომხრენი, რომლებმაც წარსულ

არჩევნებში დიდი მხნეობა და დისციპლინა გამოიჩინეს ახლა მიიმაღნენ, ჩეიძე და გეგეჭკორი რეპრესიებით შეშინებული სტამბოლს წავიდნენ. მეორე ძლიერი პარტია ქუთაისსა და ტფილისში თავად-აზნაურული პარტიაა“. როგორც ვხედავთ აქაც 2 ძირითადი მიმართულებაა ხაზგასმული, რაც მოწმობს აღნიშნული ორგანოს საქმეში ჩაუხედაობას. (61. 697).

არჩევნები ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში არაერთვაროვანი იყო. თუკი ქუთაისის გუბერნია მთლიანად არჩევნების პარტიოთა გაუღენილი, ტფილისში წინასწარი საარჩევნო კრებებიც კა არ გამართულა (61. 710, 722). ამასთან ქუთაისში არჩევნების გასაჩივრების და განმეორებითი არჩევნების შემთხვევები გაცილებით მეტი იყო.

საარჩევნო ციებ-ცხელების უმეტესი დრამატულობა დასავლეთ საქართველოში აიხსნება:

1) უფრო ეროვნული – ქართული მოსახლეობის მონაწილეობით ვიდრე აღმ. საქართველოში, სადაც სომხეური ფაქტორი მნიშნელოვანი იყო.

2) დასავლეთ საქართველოში დეპუტატობის კანდიდატები გაცილებით პოლარულ პოზიციებზე იდგნენ და მათ შორის საკამათოც მეტი იყო, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში.

ამასთან მოსახლეობის გულგრილობას ტფილისის გუბერნიაში ადმინისტრაციის გამიზნული დაუდევრობაც ერთვოდა. აი რას წერდა თავის გასამართლებლად ცნობილი ქართველი მწერალი თედო რაზიკაშვილი (ვაჟა-ფშაველას ძმა): „გლეხთა კურიიდან მე და გლეუჯიდე ვიყავით არჩეულნი ამომრჩევლად, მაგრამ ჩვენ არ გაგვიგია, არც გვიპროპაგანდია. პოლიციამ დაპირების მიუხედავად არ შეგვატყობინა სამაზრო კრების დრო, არც გაზეოებში წერა და ვერ გაგვიგეთ სამწუხაროდ. ამდენად ხმები, თითქოს მე სიზარმაცის გამო არ მომენტომებინოს არჩევნებში მონაწილეობის მიღება, არასწორია“ (68. 45).

კავკასიის ადმინისტრაცია (მეფისნაცვალის აპარატი, პოლიციის დეპარტამენტი) განსაკუთრებით დაძაბული მოლოდინით შეხვდა სათათბიროს არჩევნებს. გრაფი ვორონცოვ-დაშვილი ასე ამშვიდებდა ნიკოლოზ II-ს: „კავკასიაში სიმშვიდეა... ქართველთა ნაციონალური მისწრაფებანი არ არის სეპარატული ხასიათის და იმპერიის მიმართ არავითარ საფრთხეს არ შეიცავს. ერთი მუჭა ავტონომისტების და ფედერალისტების მთა-

ვარი საზრუნავი ქართული ენა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაა. მთავარი პრობლემა სოციალისტების დიდი გავლენაა, მაგრამ 20 დეკემბრის კანონი და ხიზნობის გაუქმების მომავალი პროექტები გლეხობაში სოციალიზმის პოპულარობის საყრდენს მოშლის“ (197. 8).

ამ იდილიას სრულებით ფანტაზის პოლკოვნიკ პასტრულინის საქციელი (მისი აზრით სოციალ-დემოკრატიული მიმღინარეობა ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობს, თუმცა პარტია ორგანიზაციულად არცოუ ძლიერია). იგი წინასაარჩევნო პერიოდში ერთმანეთის მიყოლებით გასცემდა სოციალ-დემოკრატი ამომრჩევლების გაჩხერების, დაკავების ბრძანებებს, რომელთა უმეტესობას თვითონვე აუქმებდა (22. 135, 137, 173).

მოსკოვის და პეტერბურგის პრესა დარწმუნებით, ერთხმად წინასწარმეტყველებდა სოციალისტთა წარმატებას კავკასიაში (11. 18). თვით ისეთი კონსერვატორიც კი, როგორიც იყო საქართველოს ეგზარქისი ინოკენტი, განწირულად და უაზრობად თვლიდა არჩევნებში სამღვდელოების ჩაბმას და სინოდს ატყობინებდა „ტყუილად შევრცხებით, პოლიტიკურ ჭურვში გავისვრებით, აქ დეპუტატად სოციალ-დემოკრატი ან ქართველი ნაციონალისტი გავაო“ (11. 46).

მხოლოდ „ნოვოე ვრემიას“ არ სჯეროდა ამ პროგნოზების და იმდოვნებდა საერთო კურიის 7 სადეპუტატო ადგილიდან 5-ს კადეტები დაიკავებენ. დარწმუნებული იყო III სათათბიროს არჩევნებში განცდილ მარცხს ამჯერად გამოასწორებდნენ მისი ფავორიტები, განსაკუთრებით ალექსანდრე ხატისოვის ემედებოდათ (11. 52). გული კი იმაზე წყდებოდათ, რომ ქუთაისის გუბერნიაში მტკიცე პოზიციები ეჭირათ „III დუმის საჩუქარ გეგმებორს და ტიპიურ ქართველ ყბედ აბაშიძეს“.

ავგასიის მეფისნაცვალმა ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა (1837-1936) თავისი „სახელოვანი მოგვარის“ მსგავსად კავკასიაში ახლებური პოლიტიკის გამომუშავება დაიწყო, იგი უფრო „სომხოფილობას“ იხენდა და უველა პრობლემას მათ სასარგებლოდ აგვარებდა. ამასთან ვორონცოვ-დაშკოვი, რომელსაც ყველაზე რთულ პერიოდში მოუწია მოღვაწეობა, საქართველოში ნაციონალისტური მოძრაობის შესაკავებლად ყველაზე უფრო დაუჯერებელ გარიგებებსა და ალიანსზეც კი მიღიოდა ანტიმპერიულ და რევოლუციურ ძალებთან. (126. 145).

ამიერკავკასიის რუსული მოსახლეობის დეპუტატი შვერილი მეფისნაცვალს ლიად აბრალებდა სოციალ-დემოკრატებთან კავშირს, განსაკუთრებით ლიდ დანაშაულად უთვლიდა მას 1905 წელს, რევოლუციის ქარცეცხლში სოციალ-დემოკრატებისთვის 500 შაშხანის გადაცემას (199. 195). როგორც ჩანს სოციალ-დემოკრატების მიმართ პროტექციონის-ტური პოლიტიკა მეფისნაცვალს შემდგომშიც მეთოდურად გაუგრძელებია და იმდენად აქტიურადაც, რომ ნიკოლოზ II-ის შეკითხვაც გამოუწვევია ამის თაობაზე.

მისი იმპერატორობითი უდიდებულებების მიმართ 1907 წლის „უქვეშევრდომილეს მოხსენებაში“ გრაფი ვორონცოვა-დაშვილი ახასიათებს კავკასიაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას და აღნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია „ეს არის ერთადერთი პარტია, რომელიც იცავს რუსეთის მთლიანობას და ებრძვის ქართველ თავად-აზნაურობაში დამკვიდრებულ ნაციონალიზმსა და სეპარატიზმს“ (132. 36). თუმცა ვორონცოვს მხოლოდ ერთი პარტია არ ეგულებოდა დასაყრდენად ქართული ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. აი, რას აცხადებდა სახელმწიფო სათათბიროს ტრიბნიდან დეპუტატი პოვანეს საგარელიანი: „სომხეთში არ არსებობს არავითარი სეპარატიზმი და ამაში ნათლად დაგვარწმუნებს კავკასიის რუკის შესწავლა. სომხეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთა მხოლოდ მესამედია სომები, რაც გამორიცხავს სახელმწიფოს შექმნის სურვილს. ისტორია მოწმობს, რომ პეტრე I-დან მოკიდებული სომხები რუსეთის მხარეზე იდგნენ, აღვრთოვანებით ეგბებოდნენ მათ მსკლელობას ამიერკავკასიაში. 1904-1905 წლებში, როდესაც საყოველთაო გამოკითხვა მოჟწყო რეფორმებთან დაკავშირებით სომებმა მოსახლეობამ ერთხმად უარი განაცხადა ავტონომიაზე“ (199. 201).

რომანოვთა მონარქიისადმი ამგვარი ერთგულების და ქვეშევრდომული თავდადების საპასუხოდ კავკასიის მეფისნაცვალი მაღლობასაც კი უხდის მათ და საგანგებოდ აღნიშნავს მთელი ერის „პეტოლ თვისებებს“: „სომხები მშვიდობიანი, სარწმუნოების ერთგული, ზნეობიანი, გონიერი და ფხიზელი ხალხია. რუსეთის ძალა იცავს კავკასიაში მათ საკუთრებას და შრომას, ხელს უწყობს მათს ეროვნულ ძალის გაფართოებას.

სომხებს კარგად აქვთ შეგნებული თუ რა მნიშვნელოვანია მათვის ძლიერი რუსეთის მთავრობა კავკასიაში“ (61. 732).

ამასთან დაკავშირებით სომხური ბურუუაზის ლიდერი ალექსანდრე ხატისოვი აღნიშნავდა, რომ „სომხისთვის მთელი კავკასიაა სამშობლო, მხოლოდ ლირსშესანიშნავ დღეებში აგონდება მას კონკრეტული სამშობლო-სომხეთი. ამიტომაც დაშნაკების პოლიტიკური იდეალი იყო „შვეიცარიის“ ტიპის ფედერაცია და არა სომხეთის დამოუკიდებლობა.“

იგივე ხატისოვის აზრით, ვორონცოვ-დაშკოვის „სომხოფილობა“ გამოწვეული იყო სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარესთან პეტრე სტოლიპინთან ცუდი ურთიერთობებით. ეს უკანასკნელი მისი პირადი მოწინააღმდეგებე იყო, როდესაც სტოლიპინმა ათასობით სომები ჩაყარა ციხეებში და „დაშნაკცაკანს“ სასამართლო პროცესი მოუწყო, ვორონცოვმა მიმართა იმპერატორს: „ეს პარტია დიდი ძალაა სომხებში, რომელიც ჩვენდამი კარგად არის განწყობილი, იგი მომართულია ოსმალეთის სომხების განთავისუფლებაზე, რაც ჩვენს ინტერესებშიც არის. სომხებს სამი რამ უყვართ: „ეკლესია, სკოლა და მატერიალური კეთილდღეობა“, რაც გამორიცხავს მათი და „დაშნაკცაკანის“ ანტისახელმწიფოებრიობას. იგივე აზრი ვორონცოვ-დაშკოვმა გამოოქვა 1914 წელს ოსმალეთის სომხების მისაშველებელი მოხალისე რაზმების შექმნისას (211. 770).

მეფისნაცვლის მიერ ქართველი ერის დახასიათება ლამის სოციალ-დემოკრატებისგან მიწოდებულ დირექტივას მიაგავს: „ქართველი ხალხი ჩვენი ისტორიულად ნაწროთობი მეგობარია. მტრობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. სოციალ-დემოკრატიის შექრა გურია-იმერეთის გლეხობაში კი ეკონომიკური მიზეზით – მიწის სიმცირით აიხსნება. ამასთან ქუთაისის გუბერნია დიდი ხნის მანძილზე პოლიტიკურად არაკეთილსამედოთა გადასახლების ადგილი იყო... მაინც და მაინც ქართველი სოციალ-დემოკრატები სეპარატისტები არ არიან, არამედ იმ პარტიის წარმომადგენლები, რომელსაც დირექტივები ცენტრიდან მოსდის“. (61. 732).

როგორც განცხადებიდან ჩანს, ვორონცოვი ხაზგასიმით დაპარაკობს „ისტორიულად ნაწროთობ მეგობრობაზე“, რაც, ეტყობა, თავადაც არ სჯერა. ყურადსალებია ისიც, რომ ქართველი ერის ისტორიულ სამოსახლო ტერიტორიად მეფისნაცვალი

მხოლოდ ქუთაისის გუბერნიას ცნობს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით ქართლს იგი სომეხი ბურჟუაზიის და ოსი ხიზების საცხოვრისად აცხადებს (126. 119-129). აღნიშნული დამოკიდებულება და შეხედულება მემკვიდრეობით გადაეცა შემდგომ მეფისნაცვალს, დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვს, რომელმაც, როდესაც უკვე კავკასიონან მისი გაქცევის დროც დადგა, 1917 წელს ქვეყანა საპატრიონოდ ყველაზე სანდო ხალხს: ნოე ქორდანიას და სომხური ბურჟუაზიის ლიდერს, ტფილისის ქადაქისთავს ალექსანდრე ხატისოვს დაუტოვა, „დროებითი მმართველობის წესრიგის დასაცავად (126. 115).

ტფილისის გუბერნიაში ნაკლები გავლენა პქონდათ პატრიოტულ ძალებს და ეროვნულ იდეებს. ეს ერთი მხრივ მოსახლეობის სიჭრელით, მეორე მხრივ კი სოციალ-დემოკრატია გავლენით და ტფილისის, როგორც სამხარეო-კავკასიური ცენტრი სტატუსით აისხება. IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებმაც აჩვენა ეს ვითარება. ქართული პოლიტიკური ძალების გაფანტულობა, უხერხემლობა და სოციალ-დემოკრატია პეგუმნია გამოხატა უურნალმა „კლდემ“, როდესაც სტატიაში „ჩვენ და ისინი“ წერდა:

„ისინი ამბობენ-კარგი სომეხი, ჩინებული ვაჭარი, განათლებული კომუნისანტი, მდიდარი მრეწველი, ვექილი, სარგებელი, ბანკი, ხატისოვი, ეჩმიაძინი.

ჩვენ ვამბობთ-კარგი სოციალისტი, იდეური ფედერალისტი, დიდებული კრიტიკოსი, ვალი, ნედოიმები, ვექსილის პროტესტები, რესული გაზეთები, ფ. მახარაძე, ფ. მახარაძე, ფ. მახარაძე.

ისინი სწერენ-სომხის საკითხი, სომხის საკითხებე, სომხის საკითხით.

ჩვენ ვსწერთ-განხეთქილება ს-დ. ფრაქციაში, ს-დ. ფრაქციის განხეთქილება, განხეთქილება სოციალისტურ ფრაქციისა.

ისინი ქადაგებენ-ააშენეთ ბანკები, აქციონერული საზოგადოებანი, სავაჭრო სახლები და სჭამეთ თქვენი მტრები.

ჩვენ ვქადაგებთ-ააშენეთ ახალი კლუბები, სჭამეთ ერთმანეთი და თქვენი თავი.

ისინი ყიდულობენ-ჩვენ ვყიდით. ისინი აშენებენ-ჩვენ ვანგრევთ.

ისინი მდიდრდებიან-ჩვენ ვღატაკდებით. ისინი ხარხარებენ-ჩვენ ვსტირით“ (163. 225).

საბოლოო შედეგებით IV სახელმწიფო სათათბირო უფრო მემარჯვენე აღმოჩნდა, ვიდრე III სათათბირო. ძირითადი სცვაობა იყო ოქტიაბრისტა მარცხი და საპარლამენტო ცენტრის დაკარგა, რაც შემდგომ ნაძალადევვად იქნა შეკოწიწებული. ოუმცა ამიერკავკასია ამ შემთხვევაშიც საერთო ტენდენციისგან გამონაკლისი აღმოჩნდა. ქვემოთ მოტანილ დიაგრამაზე ამიერკავკასიიც დეპუტატების პარტიულობის მაგალითზე ნაჩვენებია IV სახელმწიფო სათათბიროში მათი გამემარცხენება III სათათბიროსთან შედარებით.

**ამიერკავკასიელი დეპუტატები**

**III სათათბირო**

**IV სათათბირო**

1. ქუთაისის გუბერნია

კვაბენი გამეჭპორი (ს. დ.)

კარლამ გელოვანი

(ტრუდოვიკი)

2. ტფილისის გუბერნია

კარლო ჩხეიძე

(ს. დ.)

კარლო ჩხეიძე

(ს. დ.)

3. სოხუმის, ბათუმის, ართვინის ოკრუგები, ყარსის ოლქი  
პროკოფი შერვაშიძე  
(პრობ.)

აკაკი ჩხენკელი

(ს. დ.)

4. ა/ქ. სომების მოსახლეობა

პოვანეს საგატელიანი

(ტრუდოვიკი)

მიხეილ პაპაჯანოვი

(კადეტი)

5. ა/ქ. მაკედონიანი მოსახლეობა

ხალილ-ბეგ ხას-მამელოვი

(მუსლ. ფრაქ.)

მამედ ჯაფაროვი

(მუსლ. ფრაქ.)

6. ა/ქ. რუსი მოსახლეობა

ოვედორე ტიმოშეკინი

(მემარჯვენე)

მათე სკობელევი

(ს. დ.)

### § 3. IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის არჩევნები აღმოსავლეთ საქართველოში

ტფილისის გუბერნია გამოყოფილი იყო ცალკე საარჩევნო ოლქად, აქვე ირჩეოდა ამიერკავკასიის რუსი მოსახლეობის დეპუტატი. არჩევნების ბოლო დღედ განსაზღვრული იყო 20 ოქტომბერი. ამ დღეს საერთო კურის ამომრჩევლები შეიკრიბებოდნენ ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს შენობაში, რესთო კურის ამომრჩევლები კი საქალაქო თვითმმართველობის შენობაში, სადაც პარტიების და ჯგუფების მიერ წამოყენებულ კანდიდატებს (ამასთან ეს კანდიდატი ცხადია ამომრჩეველთა რიგებიდან უნდა ყოფილიყო) ჯერ ბარათებით მისცემდნენ ხმას, ხოლო შემდეგ მაქსიმალური მაჩვენებლის მქონე კანდიდატებს (მათი რაოდენობა შეიძლება 2-ზე მეტიც ყოფილიყო) კენჭს უყრიდნენ.

წინასაარჩევნო კამპანია ფაქტიურად III სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო. 1912 წლის 24 მარტს ტფილისში შეიკრიბენ გუბერნიის თავადაზნაურობის დეპუტატები და სამაზრო წინამდღველები, შემდეგი შემადგენლობით: გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალი გ. ა. ბაგრატიონ-დავიდოვი, ტფილისის – პ. ი. თუმანვი, თვლავის – მ. ზ. ჭავჭავაძე, სიღნალის – მ. ა. ანდრონიკოვი, დუშეთის – დ. ა. გურამოვი, ბორჩალოს – ნ. ი. საგინოვი. დეპუტატები: გ. ი. ტულავი, ა. ლ. მაგალოვი, გ. ზ. ტერივი, კ. ზ. მაყავი. (27. I). არშად გიორგი ბაგრატიონის განცხადებით, ახალი საარჩევნო კანონი მიწათმფლობელებს აძლევს არჩევნების შედეგებზე დომინირების და განსაზღვრის საშუალებას, „ამდენად ჩვენ აქტიურად უნდა გამოყიუჯოთ ეს ფაქტორი წინა არჩევნებისგან განსხვავებით, როდესაც ინერტული ვიყავით“.

მარშალმა პ. ი. თუმანვის და ზოგიერთი დაახლოებული პირის აზრის გათვალისწინებით სახელმწიფო სათათბიროში დეპუტატობის კანდიდატად წარმოაყენა გიორგი დურმიშანის ძე ქურული, ტფილისის საქალაქო მმართველობის წევრი, რომელიც მარშლის აზრით სიმპატიურია მაღალ წრეებშიც და მისაღებია საზოგადოებისთვის. თავადაზნაურობის საკრებულომ ერთხმად დაუჭირა მხარი გ. ჟურულის კანდიდატურას და

დაადგინა მასთან მოლაპარაკება, შემდგომ კი არჩევნებში აქტიური მონაწილეობა მის გასაყვანად (27. 2).

მისი კანდიდატურა, როგორც სენატორ ვატაცის მეფისნაცვალ ვორონცოვისადმი წერილიდან ირკვევა, მისაღები ყოფილა აღმინისტრაციისათვის. მისთვის გარანტირებული იყო მხარდამჭერთა ფართო სპექტრი: თავადაზნაურობა, ლიბერალები, სომები ამომრჩევლები (12. 1). ურულის კანდიდატის სიმყარემ განსაკუთრებით შეაშფრთა სოციალ-დემოკრატები, მათ ცენტრალური პრესის მეშვეობით ინსინუაციათა გროვა დააყარეს ჟურულს. „რუსსკოე სლოვო“ და „კოლოკოლი“ წერდნენ, გუბერნიის თავადაზნაურობის საკრებულო 6 000 მანეთს დაპირდა ჟურულს გამარჯვების შემთხვევაში (112. 208). ფედერალისტთა აზრით ამ კამპანიის მიზანი საკმაოდ შორსგამიზნული იყო და ყველა არა სოციალ-დემოკრატი კანდიდატის სახელის შედახვას ემსახურებოდა (21. 143; 84. 210). ამ ჭორებმა, რაც ფედერალისტთა ერთმა ნაწილმაც აიტაცა (61. 689), აიძულა გიორგი ჟურული საჯაროდ გამოსულიყო და მოეხსნა თავისი კანდიდატურა, „მივლინებაში ვიმყოფებოდი და არაფერი ვიცოდი, ამასთან არც არჩევნებში მონაწილეობის სურვილი მაქვსო“ (21. 103).

25 ივნისს ტფილისის ქალაქის თავმა ალექსანდრე ხატისოვმა წერილი გაუგზავნა თავადაზნაურობის საკრებულოს, რომელშიც ითხოვდა საკრებულოდან, ტფილისის მაზრის ტერიტორიაზე მცხოვრებ, არჩევნებში ხმის უფლების მქონე იმ პირთა სიის გამოგზავნას, რომელთაც უკვე შეუსრულდათ 25 წელი, მისამართის, ეროვნული და სარწმუნოებრივი კუთხით და აღნიშვნით. წერილში ხატისოვს მოყვანილი პქონდა კანონის ის მუხლები, რომელთა ძალით უცხოეთის ქვეშვრდომებს, სამხედრო პირებს და მათ, ვისაც არ გააჩნდა მუდმივი, დანიშვნითი ხელფასი ხაზინიდან და გამომუშავებით შემოსავალზე იყვნენ, ეკრძალებოდათ არჩევნებში მონაწილეობის სურვილი მაქვსო“.

საქალაქო ამომრჩეველთა ყრილობაში მონაწილეობის მისაღებად საკრებულომ განსაზღვრა 8 კაცი, მათგან: а) ტფილისის I უბანში: საკრებულოს მდივანი ი. ე. ზურაბოვი, მისი თანაშემწე კ. ნ. შათოროვი, კანცელარიის მოხელენი: ი. რ. შატბერივი, გ. ა. იორდანოვი, ი. გ. ტაზიევი. ბ) ტფილისის II უბანში: საკრებულოს მამულების მმართველი პ. გ. მამრაძე, გ) ტფილი-

სის III უბანში: მისი თანაშემწე გ. რ. კორინთელი და ელექტროსადგურის კანტორისტი დ. დ. კიქაძე. (27.5).

გახეთი „ქართლი“ 1912 წლის სექტემბერში აცხადებდა, რომ ტფილისის გუბერნიიდან დეპუტატობის შესაძლო კანდიდატებად ასახელებენ: კარლო ჩხეიძეს, ალექსანდრე ხატისოვს, ალექსანდრე ქალანთარს, ლუარსაბ ანდრონიკაშვილს და გიორგი უურულს (68. 30). ალექსანდრე ხატისოვი (1874-1945) ახალგაზრდობაში რევოლუციონერობდა კიდეც, 1903 წლს მონაწილეობდა მთავარმართებელ გიორგი გოლიცინზე და სინოდის ენიამინის პროკურორ ყაჩელზე მოწყობილ თავდასხმაში. 1905 წლიდან „დაშნაკცუთიუნის“ თბილისის კომიტეტის წევრი, 1908 წლიდან კი „აღმოსავლეთის ბიუროს“ ცკის წევრია (პარტიული მეტსახელი „ბერუა“). მიუხედავად გუბერნატორის წინააღმდეგობისა 1910 წლიდან გახდა ტფილისის ქალაქის თავი (24.2) და ძლიერ დაუახლოვდა მეფისნაცვალს.

სომხური გაზეთის „მშაკის“ რედაქტორმა ალექსანდრე ქალანთარმა (იგი პროგრესისტთა პარტიას ეკუთვნოდა და მათი სიით მონაწილეობდა არჩევნებში) განაცხადა, მხოლოდ იმ შემთხვევაში დავიდგამ ყუთს, თუკი ტფილისის გუბერნიაში ხმას ქართველებიც მომცემენ (61.693).

მნელი საოქმელია, ეს გულწრფელი სიტყვები იყო, თუ მას ხატისოვის სასარგებლოდ ქართველთა ხმების მოკრება სურდა, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ტფილისის I საქალაქო საარჩევნო უბანში მან მარცხი განიცადა, როგორც სოციალ-დემოკრატებთან, ისე „სახალხო გაზეთის“ ეროვნული ჯგუფის კანდიდატებთან (84. 226). საბოლოო შედეგი ასეთი იყო: ს. ს. ჩხეიძე – (771 ხმა), ა. ს. ბაბოვი (768 ხმა), ალ. მდივანი (231 ხმა) მ. გედეგანიშვილი (159 ხმა), ა. ქალანთარი (74 ხმა). სულ ამ უბანში 1115 რწმუნებულმა მოიყარა თავი.

გორის მაზრის ამორჩევლებს, როგორც ჩანს სურდათ ეპისკოპოს კირიონის კანდიდატურის წამოყენება, მაგრამ ამ იდეამ საყოველთაო მხარდაჭერა ვერ პოვა და არ განხორციელებულა (87. 217; 11. 69).

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი (1872-1939) – დაიბადა თელავის მაზრის ს. ოქონში. დამთავრა თბილისის I გიმნაზია და პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის II კურსიდან გერმანიაში გაემგზავრა განათლების მისაღებად. ჰაი-

დელბერგში ისმენდა კუნო ფიშერის, ხოლო სტრასბურგში – ვინდელბანდის ლექციებს. რუსეთში დაბრუნებისას მუშაობა დაიწყო ნაფიც მსაჯულად და პეტერბურგის ნაფიც მსაჯულთა საბჭოს წევრიც გახდა. შემდგომში მოღვაწეობდა ბათუმის და ბაქოს საქალაქო ოფიტმართველობებში. დავით კლდიაშვილი იგონებს, რომ იგი იცავდა მუშებს, ბათუმში ჯარისკაცებთან შეტაქების გამო გამართულ პროცესზე. ამის შესახებ და 1905 წლის გურიის ამბებთან დაკავშირებით ანდრონიკაშვილმა პეტერბურგში, „პრაგოს“ რედაქტორ პოლივანოვის პინაზე გააკუთა მოხსენება, რომელსაც ესწრებოდნენ გიორგი ზდანოვიჩი, ივანე ჯავახიშვილი, ვარლამ გელოვანი და დავით კლდიაშვილი (140. 540). ანდრონიკაშვილი აღვოკატობდა სომებ-თათართა შეტაქების და „დაშნაკცანის“ თაობაზე გამართულ პროცესებზე, სადაც სომებთათვის საკმაოდ სასიამოვნო პოზიცია ეჭირა. I და II სახელმწიფო სათათბიროებში მუშაობდა ტრუდოვითა ფრაქციასთან კომისიაში. III სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისას იყო დეპუტატობის კანდიდატი ტფილისის გუბერნიიდან, მაგრამ კარლო ჩხეიძესთან დამარცხდა (87. 235).

ლ. ანდრონიკაშვილის კანდიდატურა, როგორც პროგრესისტთა პარტიის მხარდამჭერისა პირველად წამოაყენა გაზ. „ზაკავკაზიე“-ზ (87. 219), რომლის აზრით იგი „ამიერკავკასიელთა რეალური ინტერესების დამცველი იქნებოდა“.

ლ. ანდრონიკაშვილს თავდაპირველად უარყოფითად ეკიდა ბოდნენ სოციალისტ-ფედერალისტები, რადგან იცოდნენ მისი დამოკიდებულება საქართველოს ავტონომიის საკითხისადმი. ამიტომ მხარი დაუჭირეს ა. მდივანს, მაგრამ იგი ვერ გავიდა ამომრჩევლად (12. 73). ამდენად იძულებულნი გახდნენ 4 ოქტომბრის სამაზრო არჩევნების დამთავრებისთანავე მხარი დაუჭირათ ანდრონიკაშვილისთვის (61.716).

ფედერალისტთა ორჭოფობას მკაცრად აქრიტიკებდნენ მათი ოპონენტები მემარჯვენეთა ბანაკიდან. „აბისელის“ აზრით ამ „2 სკამზე ჯდომაშ“, საქუთარი კანდიდატის უყოლობამ, უურულის და ანდრონიკაშვილის ლანბლეგამ ფედერალისტთა საბოლოო მარცხიც განაპირობა და ამ კანდიდატის წარუმატებლობაშიც დიდი როლი ითამაშა (22.170). „ზაკავკაზიე“ და „ზაკ. რეჩ.“ გაუგებრობად, ტაქტიკურ შეცდომად უთვლიდნენ ფედერალისტებს ჩხეიძე-ანდრონიკოვის ერთ სიბრტყეზე განხილვას, არჩე-

ვანის გაკეთებას პირველის სასარგებლოდ (კერძოდ, ზოგიერთი „სახალხოელი“ პუბლიცისტი მოუწოდებდა ამისკენ, ჩეიიძე შრომისმოყვარე მაინც არის და უუნარო ანდრონიკაშვილს აჯობებსო). (84. 228; 87.224).

ფედერალისტებს ტფილისში, II საარჩევნო უბანში წამოყენებული ჰყავდათ ვახტანგ მუსხელიშვილი, ნიკოლოზ მელიქიშვილი და შალვა მიქელაძე. აქ „ჩეიიძისტების“ უპირატესობა თვალინათლივი იყო, მათმა კანდიდატების 1381 ბარათიდან 836 მიიღეს, პროგრესისტების სიაშ – 229, ხოლო „სახალხო გაზეთის“ სამეულმა 154 ხმა. საბოლოოდ ამ უბნიდან ამომრჩევლად გავიდნენ: ა. გ. ბებურიშვილი (840) დ. გ. გაგლოვი (842), ა. ჯ. არუთინიანცი (838).

III საარჩევნო უბანში სოციალ-დემოკრატებმა 547 ხმა მიიღეს, პროგრესისტებმა კი – 531, ამიტომ არჩევნები ხელმეორედ გაიმართა. სოციალ-დემოკრატებმა თვალინათლი კანდიდატები (კაფიევი, ბასტიანოვი, პასან-ზადე) შეცვალეს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ პროგრესისტებთან (გ. თუმანოვი – 399, გ. სტეპანოვი – 396, ი. ხუნუნცი – 402) (12. 71-73).

კარლო (ნიკოლოზ) სიმონის ძე ჩეიიძე (1864-1926) – დაიბადა შორაპნის მაზრის ს. ფუთში. ქუთაისის გიმნაზიას VIII კლასიდან დაანება თავი. იყო ოდესის უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი, შემდეგ ხარკოვის ვეტერინარულ ინსტიტუტში სწავლობდა. 1898-1902 წწ.-ში იყო ბათუმის საქალაქო მმართველობის ხმოსანი, ბათუმის საავადმყოფოს ზედამხედველი. 1907 წ. აირჩიეს ტფილისის საბჭოს ხმოსნად (კანონის დარღვევით ვინაიდან არავითარ მეურვეობას არ ეწეოდა, არჩევა კი მეურვის ცენზით მოხდა), 1907 წ. 14 ოქტომბერს გახდა III სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან (ფრაქციის თავმჯდომარე).

ისე მოხდა, რომ III და IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები საერთო სცენარით წარიმართა. გადამწყვეტ ეტაპზე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ჩეიიძე და ანდრონიკაშვილი. ორივე შემთხვევაში კანდიდატის ბედი უპარტიო სომებმა ამომრჩევლებმა გადაწყვეტილი იყო.

აი, რას სწერდა ნოე ჟორდანია III სათათბიროს არჩევნებზე: „გუბერნიაში უმრავლესობა ამომრჩევლებისა გავიდა არა სოციალ-დემოკრატები, რასაკვირველია, უმთავრესად ლიბერალები

და დემოკრატები. ამათ წამოაყენეს კანდიდატათ ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, ჩვენებმა მას დაუპირისპირეს კარლო ჩხეიძე. საკითხს სწევებრდნენ სომხები, რომელთაც მეთაურობდა ალ. ხატისოვი. მე გამგზავნეს მასთან მოსალაპარაკებლად ქალაქის გამგეობაში; მქონდა შეხვედრა ორჯერ. მე ვუთხარი: ჩვენ ვართ დემოკრატები, თქვენც ხართ, ჩვენ ვართ სოციალისტები, თქვენ არ ხართ, მაგრამ სოციალისტისათვის დღეს არ ვიპრძვით, არც მის განხორციელებაზე ვფიქრობთ ახლო მომავალში; ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ მირითადი პოლიტიკური, ადამიანური უფლებები. თქვენი მიზანიც ეს არის. ნაციონალურ საკითხში ჩვენი პოზიცია იცით, ვიცავთ ვეგელა დაჩაგრულ ერებს თანასწორად, თქვენსას, ჩვენსას, ვეგელას და მათ მოთანხმებულ თავისუფალ ცხოვრებას და სხვა. ხატისოვი გულწრფელი კაცი იყო და არ დაუმალავს არაფერი. მან სავსებით დამეთანხმა, მხოლოდ ჰქვობდა ამხანაგების დაჯერებაში. ლუარსაბი კადეტი, ჩვენც კადეტები ვართ, რანაირათ შეიძლება პარტიულ ამხანაგს არ მივცეთ ხმა და თქვენ მოგცეთო. ვეცდები მაინცო. არჩევნები დამთავრდა კარლოს არჩევით. სომხებში ნაციონალურმა საკითხმა ითამაშა გადამწყვეტი როლი. ანდრონიკაშვილი დასახეს ქართველ ნაციონალისტად და როგორც ამნაირი-სომხების მოწინააღმდეგებთ“ (158. 58-59).

პოლიციის დეპარტამენტმა (პოლკოვნიკი პასტორულინი) ჯერ კიდევ 18 სექტემბერს იცოდა, რომ საერთო კურიაში სომხები სოციალ-დემოკრატებს დაუჭერდნენ მხარს (12. 38). ეს მხარდაჭერა უანგარო რომ არ იყო, არამედ საქმიან გარიგებას წარმოადგენდა, ირკვევა 14 სექტემბრის ბაქოს ოხრანკის დეპეში-დან. ბაქოელი სოციალ-დემოკრატები შეპირდნენ სომხებს, რომ მათი ამომრჩევლები მხარს დაუჭერდნენ „დაშნაკთა“ პარტიის ელიზავეტოპოლეს კანდიდატს. (12. 44).

სოციალ-დემოკრატების და სომხერი ბურჟუაზიის საარჩევნო კავშირის დამადასტურებელია არჩევნების შედეგები. „გორში 46 გლეხთა რწმუნებულში 1 სომეხი ერია და ზუსტად ის აირჩიეს (ვ. სტეპანოვი-პ. კ) თელავ-სიღნაღ-გორში ესდეკებმა სომხები წამოაყენეს კანდიდატებად. ტფილისში 8-დან მხოლოდ 2 ქართველია, 1-კარლო ჩხეიძე. მოკლედ სდა და „დაშნაკცუთიუნი“ არჩევნებში ბლოკად გამოდიან“-წერდა გ. ბარელი (გერონტი ქიქოძე) (61. 716).

ნაციონალისტური პრესა „დემაგოგიას და ერის დაღატს“ უწოდებდა სოციალ-დემოკრატთა მოქმედებას. პეტერბურგის „დენ“ კი წერდა: „ტფილისში 2 ბლოკი ებრძვის ერთმანეთს სოციალ-დემოკრატების და პროგრესისტების, რომელთა კან-დიდატები ხატისოვთ და ანდრონიკოვია“.

კარლო ჩხეიძე თურმე პეტერბურგშიც იქრიდა კენჭს საბი-ნაო ცენზით (III სათათბიროს სხდომების განმავლობაში იქ ცხოვრობდა) და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვა-ნელობის განმარტებით, რაც „ბირჟებია ვეღომოსტიში“ დაიბეჭ-და, პეტერბურგში გამარჯვების შემთხვევაში ტფილისში მის კანდიდატურას მოხსნიდნენ და ასპარეზს ალ. ხატისოვს დაუთ-მობდნენ.

„ხედავთ, თურმე ჩხეიძესთვის სულერთი ყოფილა ტფილისში აირჩევენ თუ პეტერბურგში-გაკირვებით აღნიშნავდა „ზაკავკა-ზიე“ და ორნიულად დასძენდა-მაგრამ იქ მარცხი განიცადა, რადგან სოლოლაკელები არ ჰყავდა“.

სოლოლაკი, ტფილისის სომხური ოლიგარქის უბანი, რო-მელიც ქალაქის თვითმმართველობაში გაბატონებული სომეხი „მამების“ განსაკუთრებული ზრუნვის საგანს წარმოადგენდა, მათი იდეოლოგიის და პოლიტიკური ზრახვების აღმასრულებ-ბელი ციტადელი იყო.

„სოლოლაკელმა კრეზებმა“ იოლად მოახერხეს მემამულეთა კურიაში ივ. ჯაბადარის გვერდით ალ. ხატისოვის გაყვანაც, რასაც „ისტორიაში დაუგიწეარი დალატის ამბავი“ უწოდეს პროგრესისტებმა. ფაქტიურად ვიწრო შოვინისტური ინტერესების მქონე „სოლოლაკელთა“ პარტიის წარმომადგენელმა და ბელადმა, ვინც სრულიად უცხო უნდა ყოფილიყო ქართველი მოსახლეობისათვის, არათუ გაბედა თავისი კანდიდატურის წა-მოყენება, არამედ ტფილისის მაზრის ქართველი თავადაზნაუ-რობისაგან სრული მხარდაჭერა მიიღო (87. 220).

ჩხეიძის მომხრენი ბრალს სდებდნებ ანდრონიკაშვილს: ა) საქართველოში არ ცხოვრობს და ქართველთა ინტერესებს როგორ დაიცავსხო; ბ) თავისი მოღვაწეობით ცნობილი არ არის საქართველოში, ჩხეიძეს კი ყველა იცნობსხო. მა პრეტენზიებს „კლდეისტები“ „სამაზრო პატრიოტიზმს“ უწოდებდნენ და კონ-ტრარგუმენტებსაც სთავაზობდნენ ოპონენტებს: ა) „საუკათესო ქართველნი, ქართული აზროვნების კორიფენი: მარი, ავალიშ-

კილი, ჯავახიშვილი, ცაგარელი იქ ცხოვრობენ და აბა გა-დაუდგეს წინ ჩვენებური დასელი, რომელიც „ლოტეფის გორას“ არ გასცილებია და საქართველოს ჭირვარამზე ლექცია წაუ-კითხოს“ ბ) „ლუარსაბ ანდრონიკაშვილს ყველგან იცნობენ, განა თქვენ რომ 5-6 წლის სათათბიროში წერეთელს და გეგმჭ-კორს აგზავნიდით, იცნობდა მათ ვინძე“.

4 ოქტომბერს დასრულდა საუბნო არჩევნები და დაიწყო მსჯელობა, ამომრჩევლების გამოკითხვა, პროგნოზირება თუ რომელი კანდიდატი რამდენ ხმას მიიღებდა. ტფილისის გუბერ-ნიაში 55-ის ნაცვლად აირჩიეს 49 ამომრჩეველი, ვინაიდან დუ-შეთის, ახალციხის და თიანეთის მემამულეთა კურიებში არჩევ-ნები არ შედგა. მუშათა კურიედან 2 ამომრჩეველი ასევე ტფი-ლისის გუბერნიას იყო მიერთებული, ამდენად ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 51 კაცს აღწევდა. წინასწარი მონაცემებით ანდრონიკაშვილის მომხრეთა რაოდენობა აღემატებოდა ჩეკიძი-სას, რასაც მოწმობს პარტიული მონაცემებიც, არჩეულთა შო-რის იყვნენ: 3 ფედერალისტი, 11 სოციალ-დემოკრატი, 16 პრო-გრესისტი, 1 ოქტიაბრისტი, 1 ნაციონალისტი, 4 მემარჯვენე, 13 უპარტიო (10, 12).

ამომრჩეველთა საბოლოო სია ასე გამოიყერებოდა:

### ტფილისის გუბერნიის ამომრჩეველები

I. ტფილისის მაზრა: 12 ამომრ-  
ჩეველი.

#### მემამულეთა კურია:

1. ალექსანდრე ივანეს ძე ხატისოვი (ტფილისის ქალაქის თავი)
2. ივანე სპირიდონის ძე ჯაბადარი (ნაფიცი მსაჯული)
3. დავით ივანეს ძე ყორდანოვი (ნაფიცი მსაჯული)

#### საქალაქო კურია:

1. არშაკ სერგის ძე ბაბოვი (ტფილისის სათათბიროს ხმოსა-ნი)
2. ნიკოლო (კარლო) სიმონის ძე ჩხეიძე (ქურნალისტი, ყო-ფილი დეპუტატი)

- დაგით გიორგის ძე გაგლოვევი (სახლის მფლობელი)
- ანდრეი გიორგის ძე ბებურიშვილი (ნაფიცი მსაჯულის თანაშემწევე)

3. არშავ ჯამალის ძე არუთუნიანცი (სასულიერო სემინარის პედაგოგი)

1. იოსებ ნიკიტას ძე ხუნუნცი (სომხური სასულიერო სემინარის რექტორი)

2. გიორგი მიხეილის ძე თემანოვი (საურთ-საკრედ. მმართ. დირექტორი)

3. გერასიმე ნიკიტას ძე სტეპანოვი (ტფილისის სანიტ. ინსპექტორი)

*გლეხთა ქურია:*

1. აბრაამ ნიკოლოზის ძე ხაჯიევი (მეწისქვილე)

## II. ახალქალაქის მაზრა: 5 ამომრჩეველი

*გემამულეთა ქურია:*

1. გიორგი გაბრიელის ძე ქანანოვი (მემამულე)

2. მუსტაფა ფაგრამ-ბეგ ფალაგანდოვი (მილიციის პროპორშიკი)

*საქალაქო ქურია:*

1. ოპანეს კარაპეტას ძე მეცატუნოვი (ახალქალაქის „ხტაროსტა“)

*გლეხთა ქურია:*

1. თოროს ღუპასის ძე ტერ-ეზეკოვი (გლეხი, ეჩმიაძინდამთავრებული)

2. კარაპეტ სარქისის ძე ხრიმიანცი (გლეხი, სომხური განათლებით)

## III. ახალციხის მაზრა: 4 ამომრჩეველი (აირჩა 2)

*გემამულეთა ქურია:*

არ აირჩა 2 ამომრჩეველი

*საქალაქო ქურია:*

1. არმენავ გიორგის ძე ბუდუგოვი (პეტერბურგის ოლქის ნაფიცი მსაჯულის თანაშემწევე)

*გლეხთა ქურია:*

სულეიმან იბრაჟიმ-ოდლი (გაუნათლებელი გლეხი)

**IV. ბორჩალოს მაზრა:**

7 ამომრჩეველი.

*მემამულებითა ქურია:*

1. ნიკოლოზ ივანეს ძე საგიოვანი (ბორჩალოს თავადაზნაურობის წინამდ.)
2. ალექსანდრე მიხეილის ძე სუმბათაშვილი (მემამულე)
3. იოსებ შანშეს ძე შანშიაშვილი (მემამულე)
4. ასან-ბეგ ისრაფილ-ბეგის ძე იედიგაროვანი (მემამულე)
5. ისმაილ-ბეგ ალახვერდი-ბეგის ძე იედიგაროვანი (მემამულე)
6. სადიფ-ბეგ აბას-ალიბეგის ძე იედიგაროვანი (მემამულე)

*გლეხთა ქურია:*

1. გარეგინ სერგის ძე ტერ-აკოფოვი (შედეგერის „სტაროსტა“)

**V. გორის მაზრა:**

10 ამომრჩეველი.

*მემამულებითა ქურია:*

1. დავით ლუარსაბის ძე ამილახვარი (მემამულე)
2. როსებ თადეოზის ძე ამირეჯიბი (მემამულე)
3. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ამირეჯიბი (მემამულე)
4. ვასილ დარისპანის ძე ფალავანდიშვილი (მემამულე)
5. გიორგი ნიკოლოზის ძე ვეზირიშვილი (მომრიგებელი მოსამართლე)
6. ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე-ფრონელი (ჟურნალისტი, მწერალი)
7. გიორგი დომენტის ძე მაჭარაშვილი (თავადაზნ. მიწის ბანკის გამგე)

*საქალაქო ქურია:*

1. ლეონ სულხანის ძე ამირაგოვი (ნაფიცი მსაჯულის თანაშემწევე)

*გლეხთა ქურია:*

1. სერგო ლუარსაბის ძე ლომიძე (გლეხი)
2. ვასილ ისაკის ძე სტეპანოვი (გლეხი)

**VI. დუშეთის მაზრა:** 4 ამომრჩეველი (2  
არ აირჩა)

არ აირჩა 2 მემამულებელი:  
არ აირჩა 2 მემამულებელი.

- საქალაქო კურია:
1. გასილ გიორგის ძე თუჯიშვილი (ვაჭარი)
  2. გიორგი სოლომონის ძე კობაიძე (ვაჭარი)

**VII. სიღნაღის მაზრა:** 5 ამომრჩეველი

არ აირჩა 2 მემამულებელი:  
1. ნიკოლოზ ლაზარეს ძე ტურაშვილი (პრაქტიკანტი ექიმი)  
2. ქონსტანტინე იოსეს ძე ტეავაძე (ურთ. დახ. კრედ. სახ. დირექტორი)

- საქალაქო კურია:
1. გიორგი სერგის ძე ოგანოვი (პრაქტიკანტი ექიმი)

გლეგებთა კურია:

1. ბაგრატ სპირიდონის ძე ჭუმბურიძე (ს. ლელიანი, „ზინგვ-რის“ აგენტი)
2. დიმიტრი მიხეილის ძე გონაშვილი (მირზაანის სასოფლო თემის უფრ.)

**VIII. თელავის მაზრა:** 5 ამომრჩე-  
ველი

(5-ვე ს. შილდას მკვი-  
დრი)

არ აირჩა 2 მემამულებელი:  
1. ლუარსაძ ნიკოლოზის ძე ანდრონიკაშვილი (ნაფიცი მსა-  
ჯული)  
2. ალექსანდრე რევაზის ძე ვახვახიშვილი (მემამულე)  
3. დავით გიორგის ძე ჯორჯაძე (სამთო ინჟინერი)

- საქალაქო კურია:
1. ლევან რევაზის ძე ვახვახიშვილი (მიწისმზომელი)

გლეგებთა კურია:

1. ილია ომანის ძე ხინჩაკაშვილი (გლეგები)

**IX. თიანეთის მაზრა:**  
არ აირჩა)

3 ამომრჩეველი (2

მემამულების კურია:  
2 ამომრჩეველი არ აირჩა.

გლეხთა კურია:  
1. წოთეშ შინდილიკას ძე დარჩიევი (მუცოველი ქისტი, მოწისძიებელი)

მუშათა რწმუნებულების ყრილობამ აირჩია:  
1. პეტრე ფედოტის ძე მუშინენკო (მჭედელი)  
2. ბაგრატ ბადალის ძე მიკირტუმოვი (ცინკოგრაფი)

1912 წლის 20 ოქტომბერს 12 საათზე ტფილისში თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს შენობაში მარშლის ნაცვალ პავლე თუმანოვის თავმჯდომარეობით გაიხსნა საარჩევნო კრება. 51 ამომრჩევლიდან გამოცხადდა 44 ამომრჩეველი (26. 23) თავმჯდომარის წინადაღებით გამოცხადდა შესვენება 14 საათამდე, რომ დაგვიანებულ დეპუტატის ამომრჩევლებსაც შეძლებოდათ ხმის მიცემა, ამ ხნის მანძილზე კი დარბაზში მიმდინარეობდა მსჯელობა კანდიდატების ავკარგიანობაზე. ეს ფაქტი შემდგომში საბაბად გამოიყენა ტფილისის გუბერნატორმა ჩერნიავსკიმ,.. გააპროტესტა ჩევიძის არჩევის კანონიერება, რადგან კრებაზე არ შედგა პროტოკოლი და ფაქტიურად 2 საათის მანძილზე მიმდინარეობდა წინასაარჩევნო კამპანია (10. 81).

ვინაიდან არავინ მოვიდა, 14<sup>15</sup>-ზე დაიწყო არჩევნები. არჩევნებში არ მონაწილეობდნენ შემდეგი ამომრჩევლები: ხაჯიევი (I მაზრის I უბანი), მეცატუნოვი (II), ტერ აკოფოვი (IV), ასან-ბეგი იედიგაროვი (IV), სადიქ-ბეგი იედიგაროვი (IV), სულეიმან იბრაჟიმ-ოღლი (III), ჭუმბურიძე (VII).

ბარათები შევსებული იყო 3 ენაზე, შემდეგი თანმიმდევრობით: რუსულად, სომხურად და ქართულად. I ეტაპზე, ბარათების მიხედვით ყუთი დაიდგა სამმა კანდიდატმა, ხმები განაწილდა შემდეგნაირად: ლ. ანდრონიკაშვილი – 23 ბარათი, კ.

ჩხეიძე – 18, ალ. ხატისოვი – 1. შემდგომ გაიმართა კენჭისყრა დარჩენილ 2 კანდიდატზე: კ. ჩხეიძე – 26 თეთრი, 18 შავი. ლ. ანდრონიკაშვილი – 21 თეთრი, 23 შავი. (26. 30-31).

ამრიგად IV სახელმწიფო სათაობიროს დეპუტატად ტფილის გუბერნიიდან აირჩა ნიკოლოზ (კარლო) სიმონის ძე ჩხეიძე.

ქართული ნაციონალისტური პრესა ძლიერ უარყოფითად შეხვდა ამ ამბავს. გაზეთი „იმერეთი“ ტფილისის ამბებს უკავშირებს ვარშავის საარჩევნო ოლქში მომხდარ ინციდენტს, სადაც ამომრჩეველთა 2/3 ებრაელი იყო და მოსალოდნელიც იყო დეპუტატად ებრაელის გასვლა. ამის საწინააღმდეგოდ პოლონელები ფიქრობდნენ არჩევნების ბოიკოტირებას. ებრაულმა ლობმა რუსეთის კადეტთა პარტიის ლიდერის პეტრე მილიუკოვის რჩევით არ წამოაყენა თავისი კანდიდატი, მხარი დაუჭირა ავტონომისტ სოციალ-დემოკრატ იაგელოს პოლონელ ნაციონალისტთა კანდიდატის კუხარევების საპირისპიროდ და გაამარჯვებინა. პოლონელთა ნაციონალური გრძნობები ძლიერ შეურაცხეო ამგვარმა ორპირობამ და ებრაელებს საყოველთაო უნდობლობა გამოუცხადეს (141. 54), პოლონელებს აუკრძალეს ებრაელებთან ვაჭრობა (42. 50).

მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ივ. ჯაბადარის პოზიციამ, რომელმაც ისევე როგორც III სათაობიროს არჩევნებისას ამჯერადაც თეთრი კ. ჩხეიძეს მისცა. განსხვავება ის იყო, რომ წინათ იგი ფედერალისტთა სით გავიდა, ამჯერად კი „სოლოლაკელთა“ კადეტური სიით. (41.96).

„ზაკაგაზიე“-ს მოჰყავს არჩევნებზე კანონის დარღვევის ფაქტი. ოურმე დარბაზში შესვენების პერიოდში ხატისოვი აგიტაციას ეწეოდა ქართველ ამომრჩევლებში ჩხეიძის სასარგებლოდ (კერძოდ, ყიფშიძე, კობაიძე, ამირეჯიბი, ფალავანდოვი, ვახვახიშვილი, ხინჩაგაშვილი, მაჭარაშვილი). როდესაც ჩხეიძის არჩევა გამოცხადდა ა. ბაბოვს სიხარულის ისტერიამ დაუარა, ხუნუნცი ტიროდა, ბედნიერებისგან აცრემლებულმა ხატისოვმა კი პ. ოუმანოვი თავისთან, სუფრაზე მიიპატიქა (87.237).

თვით ნეიტრალური „ზაკ. რენ.“-იც კი შექმნა არჩევნების შემდგომ მომხდარს. „აბისელი“ ქართულ პრესას სდებს ბრალს დამარცხებაში, არაორგანიზებულად და უთავბოლოდ იმუშავეთო (84. 245), „რატომდაც იდეალისტები თვლიდნენ – ადნიშნავს „ერთი მარცხის შედეგების“ ავტორი – რომ სომხის ბურ-

ქუაზია გადავიდოდა თავის გეგმას და ლ. ანდრონიკოვს ერთეული დამსახურების გამო სამეხთა წინაშე, ხმას მისცემდა“. ამ დამსახურებაში ავტორი გულისხმობს ბაქოს მოვლენებში და „დაშნაკცაკანის“ პროცესის დროს ანდრონიკაშვილის ადგომატობას.

„ნეიტრალთა“ აზრით, სომებმა ამომრჩეველმა იმთავითვე განაცხადა, რომ „სოციალ-დემოკრატია მათვის ნაკლები ბოროტებაა“, ამდენად თვით ანდრონიკოვის მომხრენი არიან დამნაშავენი, როდესაც არჩევნები ბეჭის სასწორზე მიაღდეს და სომებთავის გამაღიზანებელ-დამამცირებელ წერილებს წერდნენ, კითომც ლ. ანდრონიკოვის მხარდასაჭერად. (84. 242).

სომებთა საქციელს შეფასება თვით სომხებმაც მისცეს. მაგალითად გ. გვანგულოვი წერდა: „ჩემთვის აბსოლუტურად გასაგებია სოციალისტი სომხების და „დაშნაკცაკანის“ პოზიცია, არ მესმის მხოლოდ სომხები ნაციონალისტებისა – ისინი ვითომც წინასწარ არჩევნებში სოციალ-დემოკრატებს ებრძოდნენ და პროგრესისტთა სიით იყვნენ არჩეულნი (მართლაც საკითხავია, რადა საჭირო იყო ცალკე სია თუ სოციალ-დემოკრატების მომხრენი იყვნენ? – ბ. კ). განა პაპაჯანოვის ნაცვლად ერევანში ბეჭადიანს რომ გაემარჯვნა, ეროვნული ტრაგედია არ იქნებოდა სომებთავის?“ (87. 237). ავტორი არწმუნებს მკითხველს, რომ ანდრონიკაშვილი სულაც არ არის შოგინისტი, ის ამაღლდა „საერთო პრობლემებამდე“, ბაქოს და „დაშნაკცაკანის“ ამბები კი მისი „სომხოფილობის“ მაუწყებლივი.

სოციალ-დემოკრატები ფედერალისტთა ბრალდებებზე თავს იმართლებდნენ და კონტრარგუმენტებით იქით სდებდნენ ბრალს. „ჰორენტორი ლოდიკის“ ავტორი აღნიშნავს: „ოდესაც „სახალხოელები“ იძახიან დაშნაკებს შეეკარითო, მათ რატომდაც ავიწყდებათ 1904 წლის კონფერენცია, 1905 წლის სომებთართა შეტაკება, ყოველთვის რომ სომებთა მხარეზე იდგნენ. I ღუმაშიც ფედერალისტებმა სპარათაშვილი სომხების წყალობით გაიყვანეს, ხოლო სომხებმა – სომები, ფედერალისტთა დახმარებით. შემდეგ „რასკოლი“ მოხდა, დაშნაკები მარცხნივ გადაიხარენ. ჩვენ არავითარი ბლოკი არ გვაქვს არცერთ პარტიასთან და თვით „სახალხოელება“ დამსახურებაა, რომ სომხები ჩვენ მოგვემხრენენ, რაც სომებ-ებრაელთა პაგრო-

მებისკენ მოწოდება აქვთ, რომელი ნორმალური სომეხი დაუჭერდა მხარს. (34. 2).

კარლო ჩხეიძის არჩევაში ხელისუფლების წრეებშიც ვნება-თაღელვა გამოიწვია, განსაკუთრებით იმ ხმებთან დაკავშირებით, რომლებიც ტფილისში გავრცელდა და ეხებოდა კ. ჩხეიძის კანდიდატურის წამოყენებას პეტერბურგში. გან. „ლურმა“ დაბეჭდა ჩხეიძის წინასაარჩევნო სიტყვა, სადაც ის პეტერბურგში კენჭისყრის მიზეზად ასახელებდა ტფილისში სოციალ-დემოკრატთა ძლიერ შევიწროებას, „აკაკი ჩხერიელი 1 წლის წინ მხოლოდ იმიტომ გაასახლეს, რომ გაიგეს მისი სურვილი დეპუტატად გახდომისა“ – აცხადებდა იგი (11. 83).

ალბათ ამ პუბლიკაციიდან გაირკვა ჩხეიძის ერთდროული კენჭისყრის ამბავი და ტფილისის გუბერნატორმა წერილიც გაუგზავნა პეტერბურგის ქალაქისთავ დრაჩევსკის, სადაც აღნიშნული ფაქტის დადასტურება სოხოვა (84. 247), პასუხი დადებითი აღმოჩნდა – ნ. ს. ჩხეიძეს მართლაც ეყარა კენჭი პეტერბურგში ბინის დამქირავებლის ცენზით, მაგრამ ამიმრჩეველთა არჩევნებზე მარცხი განცემდა. ტფილისის გუბერნატორი მიუთითებდა, რომ ამით დაირღვა 1907 წლის 3 ივნისის საარჩევნო კანონის მე-12 და 57-ე მუხლი. ამიტომ გუბერნატორის აზრით არჩევნების შედეგები უნდა გაუქმდეს და გადაიდოს მომავლისთვის, ხოლო კანონის 329-ე მუხლის მალით ჩხეიძე უნდა დაისაჯოს (84. 252).

აღნიშნულ პოტესტებს ყურადღება არ მიაქცია სათათბირომ და როგორც ჩხეიძის, ისე სკოპელეფის არჩევა დაამტკიცა IV განყოფილების თანხმობის შემდგომ. (53. 4). აღმინისტრაციის თვითნებობის ნიშანდობლივი მაგალითია კოტე ჯაფარიძის (კარლო ჩხეიძის საარჩევნო კამანიის ხელმძღვანელი) თავგადასავალი. პოლკოვნიკ პასტრულინის მოთხოვნით გუბერნატორმა ჩერნიავსკიმ იგი გაანთავისუფლა ტფილისის მმართველობის იურისტ კონსულტის თანაშემწის მოვალეობისაგან და მხოლოდ არჩევნების დასრულების შემდგომ აღადგინეს. (22. 64, 300).

\* \* \*

ტფილისის გუბერნიის რუსთა კურიაში 4 პარტია დაუპირისპირდა ერთმანეთს: 1) „რუსული პატრიოტული საზოგადოება“

(თ. ტიმოშენის კანდიდატურას აყენებდნენ. პერიოდული ორგანო „Летопись П. О.“). 2) „რუსები ამიერკავკასიაში“ (კაზარინოვის კანდიდატურას ემხრობოდნენ. პერიოდული ორგანო „Русское дело“). 3) პროგრესისტთა პარტია (პროხანოვის კანდიდატურას აყენებდნენ. მათ მიუერთდნენ სექტანტები და სოციალ-დემოკრატები. გამ. „Утро Тифлиса“). 4) „რუს ნაციონალისტთა პარტია“ (სტრელბიცის კანდიდატურა. გამ. „Голос Кавказа“). (22. 53; 12. 38, 58).

III სათათბიროს დეპუტატი ტიმოშენი დამარცხდა ტფილისის საარჩევნო უბანში. საქმაო წარმატებას მიაღწია ახლადშექმნილმა რუს ნაციონალისტთა პარტიამ. ამ პარტიას შუალედური მდგრადარეობა უკავა პროგრესისტებსა და მემარჯვენე ნაციონალისტებს შორის, რომლის ლიდერიც ტიმოშენი იყო.

პარტიის საარჩევნო კომიტეტი შემდგვ დეპულებებს უკენებდა სათათბიროს მომავალ დეპუტატს: 1) რუსეთის იმპერიის მთლიანობის განმტკიცება, ბრძოლა ყოველგვარი ავტონომიების წინააღმდეგ. 2) იმპერიის სამხედრო ძალების გაძლიერება. 3) მართლმადიდებელი ეკლესიის საჭიროებათა დაცვა, მრევლის განვითარება. 4) სარწმუნოების თავისუფლება. 5) ენათა თავისუფლება, იმ პირობით, რომ სკოლებსა და ოფიციალურ დაწესებულებებში იქნება სახელმწიფო ენა – რუსული. 6) თანასწორუფლებიანობა იმ ერების, რომელთა მოქმედება ეთანხმება სახელმწიფოებრივ ინტერესებს. 7) სკოლის ზნეობრივ-სარწმუნოებრივი და ეროვნულ-პატრიოტული განვითარება. 8) გლეხთა მიწათმფლობელობის ფართო გაუმჯობესება და რუსების გადმოსახლება თავისუფალ სახაზინო მიწებზე. 9) საქალაქო თვითმმართველობის რეფორმა. ერობის შემთხვევაში რუსთა ინტერესების დაცვა. (61. 696).

საბოლოოდ ტფილისში არჩევნებმა ასეთი შედეგები მოგვცა: 1) პროგრესისტები – 1130 ხმა; 2) ნაციონალისტები – 599 ხმა; 3) რუსთა პატრიოტული პარტია – 411 და 4) „რუსები ამიერკავკასიაში“ – 125 ხმა. (42. 4; 8. 217).

პოლიციის დეპარტამენტის ინფორმაციით სოციალ-დემოკრატები ლოდინის ტაქტიკით მოქმედებდნენ. თუ ამიერკავკასიის მასშტაბით მემარჯვენეთა უპირატესობა დაფიქსირდებოდა, მემარცხენეთა ხმების გაუყოფლობის მოსაზრებით, სოციალ-დემოკრატი ამომრჩევლები ხმას მისცემდნენ პროგრე-

სისტემას. მემარცხენეთა უპირატესობის შემთხვევაში კი თავისი კანდიდატის გაყვანას შეეცდებოდნენ (12. 38), რაც გააკეთეს ქიდება.

საქართველოში პროგრესისტების წარმატების მიუხედავად, არჩევნების საბოლოო ბედი აღმოსავლეთ ამიერკავკასიამ გადაწყვიტა, სადაც საგრძნობი იყო სოციალ-დემოკრატების გავლენა. ყალბი ბარათების გამოყენებაში, „მკვდარი სულების“ ჩართვით შემჩნეული იყვნენ პატრიოტები და სოციალ-დემოკრატები (103. 134).

1912 წლის 20 ოქტომბერს ტფილისის საქალაქო მმართველობის შენობაში კამერჰერ ბეზობრაზოვის თავმჯდომარეობით გამართულმა კრებამ, რომელსაც 68 ამომრჩევლიდან 62 ესწრებოდა, შემდეგი შედეგები აჩვენა, ბარათებით: მ. ი. სკობელევი (28), ი. ს. პროხანოვი (10), ა. ტ. სნარსკი (6), ა. ა. კრასოვსკი (11). ვინაიდან ბოლო სამეულში გამოკვეთილი უპირატესობა არავის პქონდა. კენჭისერაში მონაწილეობა ოთხივე კანდიდატმა მიიღო: მ. ი. სკობელევი – 43 თეთრი, 18 შავი. ი. ს. პროხანოვი – 18 თეთრი, 43 შავი. ა. ტ. სნარსკი – 28 თეთრი, 33 შავი. ა. ა. კრასოვსკი – 15 თეთრი, 46 შავი. (91. 239).

მათე ივანეს ძე სკობელევი (1885-1938) – სათათბიროს ყველაზე ახალგაზრდა დეპუტატი, აღმსარებლობით მოლოგანი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. პროფესიით ინჟინერ-ტექნიკოლოგი. დაამთავრა ვენის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. წისქვილების მფლობელი ბაქოში. IV სახელმწიფო სათათბიროში მისი საარჩევნო კამპანიის ორგანიზატორი იყო ინა კორენევა, ნ. ეორდანიას ცოლი, რისთვისაც მას 3 წლით კავკასიაში ცხოვრება აეკრძალა (158. 61). მოგვიანებით სკობელევი იყო კურენსის დროებით მთავრობაში შრომის მინისტრი. შეეწირა 1937 წლის რეპრესიებს.

#### § 4. IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის არჩევნები დასავლეთ საქართველოში

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა ორი საარჩევნო ოლქი: 1. ქუთაისის გუბერნია და 2. სოხუმის, ბათუმის, ართვინის ოკრუგები.

ქუთაისის გუბერნიაში, მონოეთნიკურობიდან გამომდინარე სრულყოფილად იყო წარმოდგენილი ყველა პოლიტიკური ძალა და მიმდინარება. აქ ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ სოციალისტ-ფედერალისტები (კანდიდატი კიტა აბაშიძე), სოციალ-დემოკრატები (ეგგენი გეგმჰკორი) და პროგრესისტები (ვლადიმერ მიქელაძე).

31 აგვისტოს ქუთაისის ქალაქის თავის დავით ლორთქიფანიძის მეთაურობით უპარტიო პროგრესისტთა ჯგუფმა დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა ვლადიმერ მიქელაძის კანდიდატურა (21. 77; 84. 200).

ვლადიმერ მიქელაძემ განსაკუთრებული აქიოტაჟით დაიწყო საარჩევნო კამპანია. იგი საბაკეო მოღვაწე და პოლიტიკაში შემთხვევით კაცი იყო. დეპუტატობა მას პირადი მიზნების განსახორციელებლად სჭირდებოდა, რასაც ისიც მოწმობს, რომ მის უკან არ იდგა პარტია, საარჩევნო კამპანიას ფაქტიურად თავისი ხარჯით წარმართავდა, თუმცა კი თავს პროგრესისტად აცხადებდა და გარკვეული პოლიტიკური პროგრამაც ჰქონდა. ეს უპარტიობა მიქელაძეს როგორც ჩანს ძლიერ აწუხებდა. არჩევნების შემდგომ 1912 წლის ნოემბერში პეტერბურგში გამართულ პროგრესისტთა ყრილობაზე დღის წესრიგის გვერდის ავლით პარტიის შექმნის საკითხი წამოჭრა მიქელაძის ჯგუფმა. ამის შედეგი იყო რაიონული ორგანიზაციების შექმნა. მათ შორის ტფილისშიც, თუმცა პარტიის დაფუძნების საკითხი მაინც არ განუხილავთ. (188. 174-175).

12 სექტემბერს ქუთაისის მმართველობის შენობაში პროგრესისტთა თავყრილობაზე გაწნდა ფედერალისტებთან ბლოკის შეკვრის და ქუთაისში ყოველდღიური გაზეთის დაარსების აზრი. „6 წელია სათათბიროში იგზავნება ქართული ინტერესებისადმი გულგრილად განწყობილი დეპუტატი... დროა სოციალ-დემოკრატიის მეურვეობას თავი დააღწიოს ქართველობამ და ეროვნულ ძალთა ერთიანობით გამარჯვების შანსი წავართვათ

ესდეკებს“ (22. 2; 84. 213). ეს ინიციატივა ვერ განხორციელდა ამ ორ ბანაკს შორის პრინციპულ საკითხებში შეუთანხმებლობის მიზეზით.

გიორგი ლასხიშვილის ცნობით, მიქელაძე ადრე პედაგოგურ მოღვაწეობას ეწეოდა, თანამშრომლობდა რუსულ („ვეტერანის“ ფსევდონიმით) და ქართულ („დავიწყებული მწერლის“ ფსევდონიმით) პრესაში, იყო ტფილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მმართველი, საიდანაც აირჩიეს რუსეთის საურთიერთობით კრედიტის საზოგადოების ცენტრალური ბანკის გამგეობის წევრად. რწმენით კადეტებს განეჯუთვნებოდა და ჭირის დღესავით სტულდა ყოველგვარი სოციალიზმი (147. 286).

თავისი პოლიტიკური კრედიტული ვლადიმერ მიქელაძე გადმოსცა 24-გვერდიან წიგნაკში „ვინ ხარ შენ“, სადაც ის ხაზგასმით ჩამოთვლის თავის დამსახურებებს, „სახელოვან ბიოგრაფიას“, რაც ხშირად კურიოზულ სახესაც დებულობს. მაგალითად ის წერს: ბანკის დირექტორი ვარ, 15-ათასიანი ჯამაგირი მაქვს, მინისტრთან მისაუზმია და „რეჩიც“ მითქვამსო.

ამ წიგნაკში აზროვნების ასეთ „მარგალიტებსაც“ წააწყდება კაცი: „რუსეთის მიერ ნაყოფიერი და მდიდარი ტერიტორიების ხელთ გდება ვერც პეტრე დიდმა და ვერც მისმა მემკვიდრეობმა ვერ შეძლეს. ამ საქმის შესრულება შესაძლოდ შეიქნა მხოლოდ მაშინ, როცა საქართველომ ნებაყოფლობით მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა და რუსეთს მხარი გაუმაგრა“. პატივ-მოყვარეობისგან დაბრმავებული კაცის განცხადებას პგაგს შემდეგი სიტყვები: „ჩემს სამშობლოში 22 წელი გავატარე, შემდეგ კი პეტერბურგში გადავედი. ამ დიდ და მაღალ პატივზე მე უარი ვერ ვყავი, განა კი პეტერბურგში ჩემი ქვეყნისთვის უსარგებლო ვიქნები. თქვენ ერთი აბაზისთვის ეშმაქს ჯურდ-მულში ჩავვებით და იქ კელაპტარს აუნთვებო და რატომ გიკვირთ ტფილისს პეტერბურგი ვამჯობინო და 5000 მანეთს 15 000 მანეთი“. ამ სიტყვებზე გ. ბარელი შენიშნავდა: „ამისთანა კაცი 100 000-ად საქართველოსაც გაყიდისო“ (61. 697).

მიქელაძის დაქირავებული აგნტები ხალხში ავრცელებდნენ ამ წიგნაკს და ფარულ აგიტაციასაც ეწეოდნენ (61. 700), რაც ხშირად წიგნაკის თავზე გადახევით მთავრდებოდა (მაგ: შორაპანში). თუმცა ქუთაისში გამოსვლისთანავე დაიტაცეს (84. 207). მიქელაძემ ქუთაისში საარჩევნო ბიუროც კი მოაწყო, სადაც

ნებისმიერ მსურველს შეეძლო მისვლა და მუდმივი მორიგე-  
მდივნის საშუალებით ყველანაირი ინფორმაციის მიღება კან-  
დიდაგზე, მის პოლიტიკურ მრწამს ზე.

ფულს ამ ბიუროს შენახვისთვის, როგორც „მიქელაძისტები“ ამტკიცებდნენ ე.წ. „მოწინავე ელემენტები“ იღებდნენ. (61. 695). მიქელაძე არ ერიდებოდა საარჩევნო კამპანიაში ბინძური ხერხების გამოყენებასაც, თავისი წიგნაკის საშუალებით მან ხმები გაუვრცელა კიტა აბაშიძეს, თოთქოს ის საზღვარგარეთ გაიქცა (სინამდვილეში კ. აბაშიძე სამკურნალოდ იყო წასული) და ჭიათურის ბანკის 100 000 მანეთი გაიტაცა, რასაც ბანკის თანამშრომლებს გადაახდევინებსო. (42. 5). ამ ბრალდებაზე „დასელებიც“ კვერს უკრავდნენ – მართალია, რადგან კიტა არ პასუხობსო. ფორში „მიქელაძისტები“ დემაგოგის ეწეოდნენ – ფედერალისტებს ხმა არ მისცეთ, თორემ კიტა სათათბიროში თუ გავიდა „საფუთო გადასახადს“ მოგისპობთო. (50. 149).

მიქელაძის მოქმედებას და კანდიდატურას ყველა მოწინააღმდეგე ბანაკის პროტესტი მოჰყვა. სოციალ-დემოკრატები მას დაცინვით „პეტერბურგის ბანკიდან მოვლენილ მესიას“ უწოდებდნენ. (29. I) და ისეთ პიროვნებად თვლიდნენ, რომელ-საც დაჯგუფება პყავს არა გარკვეული პროგრამის, არამედ საქართაო პერსონის გარშემო. სწორედ ამიტომ მოუწოდებდნენ ამომრჩევლებს, თუ „იმერული კენჭობიას“ და „ნათელ-მირონობის“ საზოგადო ასპარეზზე გაბატონება არ გსურთ მი-ქელაძე გააშავეთ. ზოგი უფრო შორს მიდიოდა არჩევნების შეფასებისას, სოციალ-დემოკრატები იმასაც კი წერდნენ: „ქუთაისის გუბერნიაში თავადურ-ნათესაური ჭიდაობაა მიქელა-ქება და აბაშიძებს (ე. ი. ზემო და ქვემო იმერეთს) შორის“ (29. I).

ვასილ წერეთელი („ურო“) ვ. მიქელაძეს „დახავსებულ, დრომოჭმულ საზოგადო მოღვაწეს“ უწოდებს (42. 5). ოვით ნეიტრალური „ოქმიც“ კი ასე ახასიათებდა მას: „მართალია ვ- მიქელაძემ თვით წამოაყენა თავი კანდიდატად, მაგრამ მას მხარს უჭერს უკელა რეაციონურ-შავრაზმული ელემენტი, ისინი ელოდნენ ბელადს, რომელიც გამოჩნდა და ახლა ჩატარდნენ და ცდილობენ გაათრიონ სათათბიროში. ამიტომ მასთან ბრძოლაში სიფრთხილეა საჭირო“ (41. 89).

ვლადიმერ მიქელაძე ჯერ კიდევ 1907 წლის სათათბიროს არჩევნებზე ბათუმში აცხადებდა, არაფითარი პოლიტიკური მრწამსი არ მაქვს და პოლიტიკაც სისულელედ მიმაჩნიაო. (50. 138), სასტიკად უარყოფდა ეროვნულ ავტონომიას და სრული ერობის განხორციელებით კმაყოფილდებოდა. მის სადეპუტატო მიზანდასახულობაში 4 პუნქტი შედიოდა: 1. ერობა, 2. უნივერსიტეტი, 3. ბატონიუმობის ნაშთების მოსპობა. 4. ენის, ლიტერატურის, ეკლესიის და ხალხის უფლებების დაცვა. (50. 143).

ფაქტიურად ყვალა ეს პუნქტი შედიოდა აღმინისტრაციის განზრახულობაში, მათზე საზოგადოებაში მიმდინარეობდა მსჯელობა, კამათი, ნაწილი აღსრულდა კიდეც. ამდენად მიქელაძის საპროგრამო დებულებები ლია კარის მტვრევა იყო. ამ პიროვნებას რომ დასაყრდენი არ გააჩნდა ქუთაისის მსხვილი მიწათმფლობელების არჩევნებმაც დაადასტურა, სადაც ვ. მიქელაძემ მარცხი 2-ჯერ განიცადა. პირველი არჩევნებისას, როცა შეატყვეს გმარცხედებითო, მისი მმა დიმიტრი მიქელაძე შეიჭრა ოთახში და ყუთები გადააბრუნა, რის გამოც არჩევნები გაუქმდებულად გამოაცხადეს. „ყუთების გადააბრუნების“ მანევრი წარმატებით გაიმუორეს ბანძის არჩევნებზეც (8. 95).

სასტიკი დამარცხება განიცადა ამ პარტიამ ქუთაისის საქალაქო არჩევნებზეც, 3380 ხმიდან მათ 34 მიიღეს, მხოლოდ ქუთაისის მემამულეთა კურიიდან მოხერხდა 4 კადეტურად განწყობილი ამომრჩევლის გაყვანა.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის კანდიდატს კიტა აბაშიძეს, მისი საქართველოში არ ყოფნის მიუხედავად, „კადენდა“, „იმერეთი“ და „სახალხო გაზეთი“ ბრწყინვალე აგიტაციას უწევდა. ვასილ წერეთელი ევგენი გეგმჭკორის ფონზე, რომელსაც პროლეტარიატის დგპუტატად ოვლიდა და საყვედურობდა III სათათბიროში 5 წლის მანძილზე ავტოკეფალიის, თვითმმართველობის და გლეხთა საკითხის დაუყენებლობას, კიტა აბაშიძეს ყველაზე ღირსეულ კანდიდატად მიიჩნევდა საქართველოში (42. 5). მის საარჩევნო კამპანიას ადგილებზე წარმართავდნენ: ვასილ წერეთელი, იოსებ ასლანიშვილი (ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის სტუდენტი) – ქუთაისში, სვიმონ მდივანი (პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი) – რაჭაში, პეტერ ქავთარაძე (ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის სტუდენტი) – სამეგრელოში.

კ. აბაშიძეს არჩევნებში გამარჯვებაში განსაკუთრებით შეუშალა ხელი ადმინისტრაციის თვითნებობაში. იგი ვაჭარმრეწველთა ცენზით შორაპნის მაზრის მემამულეთა კურიაში იყრიდა კენჭს და აშკარა უპირატესობაც პქონდა, მაგრამ შორაპნის მაზრის მიწათმფლობელთა სახელით რაუდენ ჩეიიძემ თხოვა მეფისნაცვალს ვაჭარ-მრეწველთა ჩამოშორება, რადგან მსხვილი მიწათმფლობელები უპირესობაში მოექცნენ (50 მემამულე, 800 მრეწველი) და თავისთვის სასურველ კაცს ვეღარ გაიყენდნენ.

მეფისნაცვლის კანცელარიის განმარტებით I და II სათათბიროს არჩევნების დროს საქალაქო კურიის არქონის გამო სამი მაზრის ვაჭარ-მრეწველები მიუერთეს მსხვილ მიწათმფლობელებს (8. 19-21), ახალი კანონის 154-ე მუხლი კი ადმინისტრაციას ლაგირების საშუალებას აძლევდა და არჩევნებამდე 2 დღით ადრე, 26 სექტემბერს მეფისნაცვლის განკარგულებით შორაპნის, რაჭის და ლეჩხუმის მაზრის ვაჭრები, მოხელენი და სამდველოება ქუთაისის საქალაქო კურიას მიუერთეს, ამიტომ არჩევნები 28 სექტემბრიდან 4 ოქტომბერს გადაიტანეს. ვაჭბიურად აგიტაციისთვის დრო აღარ რჩებოდა და ქუთაისში სოციალ-დემოკრატების გავლენა უფრო იგრძნობოდა (ამასთან აქ ამომრჩევლად გადიოდა მათი დეპუტატობის კანდიდატი – ევგენი გეგეტკორი, რომლის საარჩევნო კამპანიას მეთაურობდა გრიგოლ ურატაძე – 23. 58, 74-75).

ფედერალისტებს სასწრაფოდ მოუწიათ მოსე ქიქოძის ნაცვლად ქუთაისის საარჩევნო სიაში აბაშიძის ჩასმა და შემდეგი სიის წარდგენა არჩევნებზე: 1. ივანე (კიტა) გიორგის ძე აბაშიძე. 2. გრიგოლ ივანეს ძე გველესიანი. 3. დავით ბესარიონის ძე ხელოუფლიშვილი. (პროფესიით – სამივა ადოკატი).

სოციალ-დემოკრატებმა შემდეგი სია წარმოადგინეს: 1. ევგენი გეგეტკორი, 2. ლეო ნათაძე (პედაგოგი), 3. მიხეილ მგალობლიშვილი (ექიმი) და გაიმარჯვეს კიდევ 2121 ხმით 1226 ხმის წინააღმდეგ. 8500 ამომრჩევლიდან მივიდა 3500 კაცი. უნდა აღინიშნოს, რომ სოციალ-დემოკრატები ჩვეულ დემაგოგიას მიმართავდნენ, ხმებს ავრცელებდნენ, თუ ევგენის არ აირჩევთ დაპატიმრებენო და ა. შ... (61. 721).

4 ოქტომბრის არჩევნები ქუთაისის უბანში გაუქმდა და ეგეგეტკორი საარჩევნო სიიდან ამოიშალა. სამაზრო კომისიის

გადაწყვეტილება განაპირობა იმან, რომ ე. გეგეჭკორს ქუთაის-ში შესაბამისი ცენზი არ ჰქონდა. იგი თავდაპირველად ემზადე-ბოდა სენაკის მაზრაში, საიდანაც ის III სათათბიროში აირჩიეს, მაგრამ ვინაიდან შეატყო გამარჯვების ალბათობა თავისი თავი ქუთაისში გადაატანინა ბინის მოქირავნის ცენზით. გე-გეჭკორი ბინის მოქირავნედ ითვლებოდა 5 წლის მანძილზე პეტერბურგში, III სათათბიროში მოღვაწეობის მანძილზე და ქუთაისში არჩევნების წინ ბინის დაქირავება მას კანონის თანახმად ცენზი ვერ ჩაეთვლებოდა. (50. 231). მისი მოქმედების სისწორე დაადასტურა არჩევნების შედეგებმა, როდესაც სენაკ-ში ფედერალისტებმა გაიმარჯვეს, ხოლო ქუთაისში მისი გა-მოკლების მიუხედავად კვლავ სოციალ-დემოკრატებმა. იქ მათი პოლიტიკური ლობი მყარი იყო.

ამის მიუხედავად სოციალ-დემოკრატები აკრძალულ ილე-თებსაც იყენებდნენ. არჩევნების წინ ხელაძის სტამბილან, ქუ-თაისში, ჩუმად გაიტანეს 250 ბიულეტენი, დაარტყეს ზედ ქალა-ქის მმართველობის ბეჭედი და ხმის არმქონე მოსახლეობას დაურიგეს. ამ საქმის ინიციატორები: სერგო არსენიქ (ნაფიცი მსაჯულის თანაშემწე) და ვიქტორ მახვილაძე (საქმეთა მწარ-მოებლის თანაშემწე) პოლიციამ დააპატიმრა (12. 85-88; 116. 219).

როგორც ვნახეთ ადმინისტრაციამ საარჩევნო ხრიკებით სა-წყის ეტაპზევე ერთმანეთს დაუპირისპირა და თავიდან მოიშო-რა ორივე არასასურველი კანდიდატი: გეგეჭკორი და აბაშიძე. განმეორებითი არჩევნებიც ქუთაისის საქალაქო კურიაში 17 ოქტომბერს ფედერალისტებმა 370 ხმით წააგეს. ადმინისტრა-ციამ მეორე არჩევნების შედეგებიც და ფოთის საქალაქო კუ-რიის არჩევნებიც გააუქმა. ვინაიდან 2 დღეში დეპუტატის არ-ჩევნები იყო დანიშნული იმპერიის შინაგან საქმეთა სამინი-სტრომ შეუძლებლად ცნო ასეთ შემჭიდროებულ ვადებში გან-მეორებითი არჩევნები და ქუთაისის გუბერნია 5 ამომრჩევლის გარეშე დატოვა (9. 67-102, 143).

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისის გუბერნიაში, გარდა რაჭის და ზუგდიდის მაზრებისა, ყველგან 2-3 ჯერ მაინც მოქმედ არჩევნები. (8. 37, 62). გასაჩივრებებით განსაკუ-თორებით „მიქელაძისტები“ აქტიურობდნენ.

ფედერალისტებმა კიტა აბაშიძის ნაცვლად დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს ვარლამ გელოვანი (ლეჩხუმის მაზრის

ამომრჩეველი), ხმები ამის შესახებ მანამდეც იყო, თუმცა თვით გელოვანი უარყოფდა თავისი კანდიდატურის შესაძლებლობას (84. 231). ეს მოხდა ფაქტიურად არჩევნებამდე თრი დღით ადრე, რაც ძალიან აროვლებდა მის მდგომარეობას, მაგრამ სოციალ-დემოკრატებსაც ადარ პყავდათ გამოკვეთილი ლიდერი.

გარდამ ლეგნის ძე გელოვანი (1878-1915) – დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ნაფიც მსაჯულთა კორპორაციამ თავის მდივნად აირჩია. I სახელმწიფო სათათბიროში ავტონომისტთა ფრაქციის (თავმჯდომარებოდუენ დე კურტენე) მდივნი იყო.

ვიდრე მიმოვიზილავდეთ 20 ოქტომბრის არჩევნებს, წარმოვადგენთ ჩვენს მიერ შედგენილ ამომრჩეველთა პარტიული კუთხილების სქემას და მათ ვინაობას მაზრების და კურიების მიხედვით. (96. 42; 8. 56; 9. 17).

### I. მემამულეთა კურია:

დეპუტატის 22 ამომრჩეველი.

(არჩევნები გაიმართა – 16 და 19 სექტემბერს).

შორაპნის მაზრა – 400 რწმუნებული (200 ფედერალისტი) – აირჩიეს

4 ფედერალისტი ამომრჩეველი.

ოზურგეთის მაზრა – 40 რწმუნებული (30 სოც-დემოკრატი) – აირჩიეს

3 სოციალ-დემოკრატი ამომრჩეველი.

გვლო.

ლეჩეუმის მაზრა – 35 რწმუნებული (30 ფედერალისტი) – აირჩიეს

2 ფედერალისტი ამომრჩეველი.

რაჭის მაზრა – 35 რწმუნებული (ერთხმად) – აირჩიეს

3 ფედერალისტი ამომრჩეველი.

სენაკის მაზრა – 280 რწმუნებული (120 ფედერალისტი) – აირჩიეს

3 ფედერალისტი ამომრჩეველი.

ქუთაისის მაზრა – 50 რწმუნებული (30 პროგრესისტი) – აირჩიეს

4 პროგრესისტი ამომრჩეველი.

ზუგდიდის მაზრა – 40 რწმუნებული (ერთხმად) – აირჩიეს

### **3 ფედერალისტი ამომრჩეველი.**

#### **II. საქალაქო კურია:**

დეპუტატის 7 ამომრჩეველი

(არჩევნები გაიმართა – 28 სექტემბერს. განმეორებით ქუ-  
თაისში – 17 ოქტომბერს).

ქ. ზუგდიდი – (279 ხმის უპირატესობით) – აირჩიეს 1 ფედე-  
რალისტი ამომრჩეველი.

ქ. ოზურგეთი – (30 ფედერალისტი, 270 ს. დ.) – აირჩიეს 1  
სოციალ-დემოკრატი ამომრჩეველი.

ქ. ფოთი – (260 ფედერალისტი, 485 ს. დ.) – აირჩიეს 2 სო-  
ციალ-დემოკრატი (გაუქმდა).

ქ. ქუთაისი – (1480 ფედერალისტი, 1850 ს. დ.) – აირჩიეს 3  
სოციალ-დემოკრატი (გაუქმდა).

III (გლეხთა) კურიაში არჩევნები 14 სექტემბერს გაიმართა  
ლეჩხემის მაზრაში გაიმარჯვა ფედერალისტმა, ზუგდიდში  
„ალიონელ-ავტონომისტმა“. დანარჩენი 7 ადგილი სოციალ-  
დემოკრატებს ხვდათ წილად.

#### **ქუთაისის გუბერნიის ამომრჩეველები**

##### **შორაპნის მაზრა:**

6 ამომრჩეველი.

მემამულეთა კურია:

- 1) პეტრე (ალექსანდრე) ალექსანდრეს ძე წერეთელი (იურისტი).
- 2) იოსებ ალექსანდრეს ძე გუნცაძე (აგრონომი).
- 3) ილია ზურაბის ძე აბაშიძე (აზნაური).
- 4) ალექსანდრე ხახულის ძე აბაშიძე (აზნაური).

გლეხთა კურია:

- 1) არჩილ დიმიტრის ძე არაბიძე (გლეხი).
- 2) გრიგოლ მიხეილის ძე ფხალაძე (გლეხი).

##### **ოზურგეთის მაზრა:**

ველი.

5 ამომრჩე-

**მემკვიდრეობა კურია:**

- 1) პლატონ დიონისეს ძე ტუსკია (აზნაური).
- 2) ივანე საქვარელას ძე ნიკოლაიშვილი (აზნაური).
- 3) ვალერიან პორფირეს ძე ჭეონია (აზნაური).

**საქალაქო კურია:**

- 1) იობა ამბაკოს ძე დლონტი (გაჭარი).

**გლეხთა კურია:**

- 1) პანტელეიმონ გიტოს ძე ჭანიშვილი (გლეხი).

**ლეჩეუმის მაზრა:**

3 ამომრჩეველი.

**მემკვიდრეობა კურია:**

- 1) გარლამ ლეგანის ძე გელოვანი (ნაფიცი მსაჯული).
- 2) ოთარ თეგნიზის ძე დადემქელიანი (თავადი).

**გლეხთა კურია:**

- 1) სამსონ გაბრიელის ძე ფრუიძე (გლეხი).

**რაჭის მაზრა:**

4 ამომრჩეველი.

**მემკვიდრეობა კურია:**

- 1) დიმიტრი ალექსანდრეს ძე ყიფიანი (თავადი).
- 2) ალექსანდრე იოსების ძე კვიტაშვილი (აზნაური).
- 3) სიმონ თომას ძე ჯაფარიძე (აზნაური).

**გლეხთა კურია:**

- 1) სიმონ იოსების ძე აღლაძე (გლეხი).

**სენაკის მაზრა:**

6 ამომრჩეველი.

**მემკვიდრეობა კურია:**

- 1) ვლადიმერ ნესტორის ძე დადიანი (თავადი).
- 2) ვლადიმერ (ბონდო) მიხეილის ძე მიქელაძე (თავადი).
- 3) ირაკლი ფილიპეს ძე თოფურიძე (აზნაური).

**საქალაქო კურია (ქ. ფოთი)**

(გაუქმდა):

- 1) ლავრენტი მაქსიმეს ძე ტუდუში (ტოპოგრაფიული საწარმოს მფლობელი).
- 2) დიმიტრი მათეს ძე რუსია (სახლის მფლობელი).

*გლეგხთა ქურია:*

- 1) ნესტორ ბესიკის ძე ქავთარაძე (გლეხი).

**ქუთაისის მაზრა:**

9 ამომრჩეველი.

*გემამულეთა ქურია:*

- 1) დავით ოტიას ძე ნიუარაძე (თავადი).
- 2) ვარლამ ბიჭიკოს ძე მიქელაძე (თავადი).
- 3) ივანე ბიჭიკოს ძე მიქელაძე (თავადი).
- 4) ვასილ ლევანის ძე ქორქაშვილი (აზნაური).

*საქალაქო ქურია:*

(გაუქმდა)

- 1) ლეო ნათაძე (მასწავლებელი).
- 2) მიხეილ მგალობლიშვილი (ექიმი).
- 3) სერაპიონ მიქაძე.

*გლეგხთა ქურია:*

- 1) პავლე ტარიელის ძე კოპალეიშვილი (გლეხი).
- 2) დიმიტრი ლაზარევს ძე ბელთაძე (გლეხი).

**ზუგდიდის მაზრა:**

5 ამომრჩეველი.

*გემამულეთა ქურია:*

- 1) კალისტრატე ასლანგერის ძე კობახიძე (სასამართლოს ბოქაული).
- 2) დეისმა მიხეილის ძე ჩიჩუა (თავადი).
- 3) ლევან (კიტი) ბეჭანის ძე მხეიძე (თავადი).

*საქალაქო ქურია:*

- 1) ნიკოლოზ საველის ძე ბუკია (მასწავლებელი).

*გლეგხთა ქურია:*

- 1) იოსებ ანტონის ძე კვარაცხელია (გლეხი).

ამრიგად 20 ოქტომბრისათვის 38 ამომრჩეველიდან დარჩა 33, არჩევნებზე გამოცხადდა 32. მათგან ფედერალისტებს ემსრობდა 17 კაცი, სოციალ-დემოკრატებს – 12, პროგრესისტებს – 3.

სოციალ-დემოკრატები ძალიან ცდილობდნენ არჩევნების ბეჭი თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტათ და ვინაიდან ლიდე-

რო არ პყავდათ, დაიწყეს აგიტაცია დავით ნიუარაძის სასარგებლოდ, რომ იქნებ პროგრესისტები მიემხროთ და ვ. გელოვანის კანდიდატურა ჩაეგდოთ. ეს ხმები მათ დაყარეს 15 ოქტომბრამდე. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ფოთის საქალაქო კურიის არჩევნები 16 ოქტომბერს გაუქმდა (შემდგომში უმაღლესმა სენატმა გააუქმა ქუთაისის საგუბერნიო კომისიის დადგენილება და ცნო ფოთელი ამომრჩევლების, ტულუშის და რუსიას არჩევის კანონიერება, თუმცა ამით ადარაფერი შეცვლილა, 54. 23) და ქუთაისისა ჯერ არ იყო გამართული, ადგილი ასახსნელი იქნება სოციალ-დემოკრატთა გარაუდი – ამ შემთხვევაში ისინი 17 იქნებოდნენ, იმდენივე, რამდენიც ფედურალისტები და თუკი დ. ნიუარაძეს დაუჭერდნენ მხარს (რომელიც მათვის „ნაკლები ბოროტება“ იყო) იოლად გაიმარჯვებდნენ.

მათი ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა. 5 გამოკლებულ სოციალ-დემოკრატ ამომრჩეველს არგამოცხადებული პროგრესიც დაემატა და ვარლამ გელოვანმა მარტო დაიდგა უუთი. კენჭისყრამ მას 17 თეთრი და 15 შავი ბურთი არგუნა. (41. 96). ვარლამ გელოვანის დეპუტატობას სოციალ-დემოკრატები ლანდგის კორიანტელით შესვდნენ, რაც მოგვიანებით სათათბიროს ტრიბუნიდანაც გაგრძელდა.

ფოთისა და ქუთაისში რუსთა კურიის ამომრჩევლებმა (423-დან 51) 30 სექტემბერს აირჩიეს ალექსანდრე ანტონის ძე კრასოვსკი (42. 6), რომელმაც მონაწილეობა მიიღო 20 ოქტომბერს საბოლოო არჩევნებში (იხ. § 3).

\*\*\*

VI საარჩევნო ოლქში (ბათუმის, ართვინის, სოხუმის ოკრუგები და ყარსის ოლქი) აირჩეოდა 25 ამომრჩეველი (მათგან 14 ოკრუგებიდან).

**ბათუმის ოლქის და სოხუმის ოკრუგის ამომრჩევლები**

**ბათუმის ოკრუგი:**

6 ამომრჩეველი

მემამულეთა კურია:

1) ჯემალ-ბეგ აჭარელი (გადამდგარი პოლკოვნიკი) – მე-მარჯვენა.

საქალაქო კურია:

1) გრიგოლ სტანისლავის ძე სოლორაშვილი (უკრნალისტი, ქართველი კათოლიკი) – სდპ

2) კაპიტონ ალექსანდრეს ძე გოგოლაძე (საკრედიტო საზოგადოების ბუღალტერი) – სდპ

3) ფილიპე ანდრიას ძე ქიქავა (ზეინკალი) – სდპ

გლეხთა კურია:

1) ჰეილულ ბეგ აზაბ-ალა-ზადე (მუსლიმი გლეხი ს. მაჭახლის-პირიდან) – მემარჯვენე

მუშათა კურია:

1) პავლე კოკის ძე დოლბაიძე (ბათუმის ქარხანა „მარსის“ მუშა) – სდპ

### ართვინის ოკრუგი:

3 ამომრჩეველი

საქალაქო კურია:

1) აკოფ პეტროსის ძე ფილონიანი („ბრიტიშ პეტროლეუმის“ ბათუმის კანტორის მმართველი) – პროგრესისტი

გლეხთა კურია:

1) ახმედ ადა ჩილ ჰუსეინ თლილი (გლეხი. ს. ქვაცხანა) – უპარტიონ

2) მოლა ქარიმან მევლუდ ადა-ოდლი (გლეხი. ს. შავგულარი) – უპარტიონ

### სოხუმის ოკრუგი:

5 ამომრჩეველი

მემამულეთა კურია:

1) ალექსანდრე გრიგოლის ძე შერვაშიძე (თავადი) – პროგრესისტი

2) მელიტონ ემუხვარი (თავადი) – პროგრესისტი

საქალაქო კურია:

1) ივან შარვანის ძე კოზმავა (ნოტარიუსის თანაშემწევი) – სდპ

გლეხთა კურია:

1) პავლე იორდანეს ძე ჩაჩა (ბერძენი, სოფლის მასწავლებელი) – სდპ

2) აკაკი ივანეს ძე ჩხენკელი (იურისტი, ნაფიცი მსაჯულის თანაშემწევე) – სდპ

სოხუმის და ბათუმის ოკრუგში ხელისუფლება განსაკუთრებით მობილიზებული შეხვდა არჩევნებს, რათა სასურველი კანდიდატი გაყევანა. საარჩევნო კომისიებში მხოლოდ მიღიციელები და სამხედრო პირები დაუშევს, გუდაუთაში რუსული მოსახლეობისთვის საგანგებოდ შექმნეს საარჩევნო უბანი (5. 92, 105, 108).

ოხრანკის ინფორმაციით ბათუმის ოლქში არჩევნების მიმართ საქმაოდ გულგრილი დამოკიდებულებაა. შედარებითი აქტიურობა იგრძნობა სოხუმის ოკრუგში, სადაც სოციალ-დემოკრატები ფართო აგიტაციას ეწევიან. პოლიტიკურ ცხოვრებაში აქ მხოლოდ ქართველები მონაწილეობენ, სომხებსა და ბერძნებს პოლიტიკა არ აინტერესებთ, აფხაზებს კი ფაქტიურად ინტელიგენცია არ ჰყავთ. ამდენად ერთმანეთს უპირისპირდება 2 ბანაკი: ნაციონალისტების და პროგრესისტების ბლოკი (ნიკოლოზ თავდგირიძე, ალექსანდრე შერვაშიძე, ტატაშ მარშანია...) და სოციალ-დემოკრატები (აკაკი ჩხენკელი, ივანე კოზმავა, დიმიტრი ზახაროვი), (12. 85-88).

აკაკი ივანეს ძე ჩხენკელი – დაიბადა 1874 წელს სოფ. ოქუმში, მდგრლის ოჯახში. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდგომ ისმენდა ლექციებს კიევის უნივერსიტეტში (2 წელი), ჩაბარა გამოცემები და 1903-1904 წლებში ეწეოდა კერძო საადვოკატო პრაქტიკას ქუთაისსა და ოჩამჩირეში. 1904 წელს თედო სახორციასა და ანთომოზ ჯუდელთან ერთად მოთავობს „აფხაზეთის ქართულ პარტიას“, რომელიც მოითხოვდა სკოლებში ქართულ ენაზე სწავლებას და უკლასიებში ქართულად (და არა რუსულად) წირვას. პოლიციის დეპარტამენტის ცნობით „ხელს უშლიდა ადგილობრივი მოსახლეობის დაახლოებას რუსებთან“, ამიტომ ჩხენკელი სხვებთან ერთად კავკასიიდან გააძევეს. ცხოვრიბდა ოდესაში, 1911 წელს მცირე სნით დაბრუნდა და ტფილისში გამოსცემდა გაზეოს. პარტია ფინანსურად ძლიერ ეხმარებოდა მას IV სათათბიროს დეპუტატად გახდომაში. ჩხენკელის ცენტის საფუძვლად იქცა

მისი მეუღლის მარინე თურქიას სავაჭრო დუქანი ოჩამჩირეში. ადმინისტრაციამ დიდი ხნით ადრე იზრუნა და წინ აღუდგა მის შესაძლო დეპუტატობას. 1911 წლის 3 ნოემბერს, ამჯერად უკვე 5 წლის ვადით აეკრძალა კავკასიაში ცხოვრება და იგი როსტოგში გადასახლდა (12. 114-121).

1912 წლის 20 ოქტომბერს აკაკი ჩხერიძემ არჩევნებამდე 2 საათით ადრე ინკოგნიტოდ ჩამოვიდა ბათუმში და მივიდა ქალაქის თვითმართველობის შენობაში, სადაც დეპუტატის არჩევა უნდა მომხდარიყო. არჩევნების დრამატულობას მოწმობს ორი საინტერესო მოგონება, რომლებიც ემიგრაციაში მყოფ ქართველ მოღვაწეებს ვ. ჩუბინიძეს და ვ. წულაძეს ეკუთვნის. წარმოვადგენთ ამ მოგონებებს ჩვენი განმარტებებით, ვინაიდან ისინი გარკვეულ უზუსტობებს შეიცავენ.

ვ. ჩუბინიძის გადმოცემით, „გადასახლებული აკაკი ჩუმად ჩამოივანეს როსტოვიდან, ვექილმა გრიშა გიორგაძემ საჭირო მოწმობები მოამზადა. დეპუტატობის კანდიდატებად წამოყენებული იყვნენ: სოხუმის ქალაქის თავი ნიკო თავდგირიძე (შეცდომაა, იგი ამომრჩევლადაც კი ვერ გავიდა და პირველსავე ეტაპზე დამარცხდა. ის: 41. 91 – ბ. კ), ალექსანდრე შერვაშიძე, გაზეთ „ბატუმსკი ვესტნიკის“ რედაქტორი გრიგოლ ვოლსკი (იგი არ ყოფილა დეპუტატობის კანდიდატი – ბ. კ) და აკაკი ჩხერიძე. სულ ორივე საარჩევნო ოლქიდან იყო 16 (უნდა იყოს 14 – ბ. კ) დიდი ამომრჩეველი. პირველმა ორმა სულ ცოტა ხმები მიიღეს, ვოლსკიმ – 7, ხოლო აკაკიმ – 11 ხმა. როცა ბათუმის პოლიცემისტერმა გაიგო არჩევნების შედეგები, თვითონ მივიდა ოტელში, სადაც აკაკი ცხოვრობდა, ჩაისვა ფაიტონში და დიდი ამბით მიიყვანა ქალაქის თვითმართველობაში, მიულოცა და გადასცა დეპუტატობის მანდატი. აკაკიმ მადლობა გადაუხადა, როგორც პოლიცემისტერს, ისე ამომრჩევლებსა და დამსწრე საზოგადოებას და გასწია პეტერბურგისაკენ“ (178. 68-69).

მეორე მოგონება უფრო ზუსტია და არჩევნების ბოლო დღეს დაწვრილებით ეხება. სოციალ-დემოკრატ ვასო წულაძის ცნობით: „ჩვენი პარტიის კანდიდატი იყო აკაკი ჩხერიძე... მის წინააღმდეგ ყუთს იდგამდა ალ. შერვაშიძე... ამომრჩეველთა რიცხვი 27-მდე (25 – ბ. კ) იყო, ყარსიდან, ართვინიდან, სოხუმიდან და სხვა... დადგა დღე დეპუტატის არჩევნებისა. ალ.

შერვაშიძე დიდი რიხით მოვიდა ბათუმს, 30 შეიარაღებული თანმხლებელით.

ქადაქის თვითმმართველობის დარბაზში იყო დანიშნული არჩევნები, რომელიც სრულ თორმეტ საათზე უნდა დაწყებულიყო. მანამდე დერეფანში ვუცდიდით და მოლაპარაკებას ვეწეოდით ამრჩევლებთან.

აკაკი ჩეჩენკელი დიდ ამბავში იყო; ის ყარსიდან ჩამოსულ ამრჩევლებს – თათრებს უსსნიდა თავის საარჩევნო პროგრამას, რომელსაც ჩეგნი თარჯიმანი უთარგმნიდა. დარბაზის გახსნის დრო იყო და თავმჯდომარე კი – დამოუნის ჩინოვნიკი ზიკოვი – რატომდაც კრებას არ ხსნის. თურმე ნუ იტყვით! რაღაცას უცდიან: ნამესტნიკთან დეპეშა ჰქონიათ გაგზაფნილი, რომ ჩეჩენკელი, როგორც როსტოვში ადმინისტრაციულად გადასახლებული, და ახლა აქ მყოფი, დაიჭირონ და ამით უზრუნველყონ შერვაშიძის არჩევა.

და აი, კიდევაც ბათუმის პოლიცმეისტერი რუხი, გააფთრებული კიბექე ამორბის, ხელში უკავია დეპეშა და ხმამაღლა ყვირის: „გასპადინ ჩეჩენკელი, გასპადინ ჩეჩენკელი!“ დააპატიმრეს და წაიყვანეს.

მაგრამ მისმა დაჭერამ მისი საარჩევნო შანსები ასწია, სომხებმა გამოგვიცხადეს, რომ ახლა ჩვენ ჩეჩენკელს ვაძლევთ ხმასო!

საარჩევნო დარბაზი გახსნეს და არჩევნებს შეუდგნენ.

აკაკი ჩეჩენკელმა მიიღო 14 ხმა, ხოლო შერვაშიძემ – 12, არჩეულ იქნა ჩეჩენკელი. ამასობაში პოლიცმეისტერს ჩეჩენკელი გუბერნატორთან წაეყვანა; იქ ჩეჩენკელს ხელი მოაწერინეს, რომ იმ საღამოსვე დატოვებდა ბათუმს...

გამოვედით ოუ არა თვითმმართველობის შენობიდან, ჩეჩენკელი საგუბერნატოროდან დაბრუნებული, ჩვენ ეტლით მოგვადგა; მაგრამ ის უკვე დეპუტატად იყო არჩეული და მეორე დღეს იმავე გუბერნატორმა დიდი პატივით მიიღო და კანონის თანახმად საგზაო ხარჯები და საჭირო საბუთები მისცა“. (178. 69-70).

არჩევნების საბოლოო დღეს ბარათუბით ხმები შემდეგნაირად განაწილდა: ი. ა. ლაშევიზი (10 თეთრი, 15 შავი), ა. გ. შერვაშიძე (12 თეთრი, 12 შავი, 1 ბათოლი), ა. ი. ჩეჩენკელი (12 თეთრი, 13 შავი). ვინაიდან გადამწყვეტი უპირატესობა არცერთ

კანდიდატს არ პქონდა, ყუთი სამივემ დაიღია. კენჭისყრის შედეგებით: ი. ა. ლაშველიშვილი (7 თეთრი, 18 შავი), ა. გ. შერგვაშიძე (12 თეთრი, 13 შავი), ა. ი. ჩხერიძელი (13 თეთრი, 11 შავი, 1 – ბათილი).

კანონის თანახმად ჩხერიძელი, როგორც დეპუტატს მოქმედა მეთვალყურეობა და მხოლოდ 300 მანეთი ჯარიმის გადახდა დაეკისრა თვითნებური გადაადგილებისთვის.

ამრიგად IV სახელმწიფო სათაობიროს დეპუტატი გახდა აკაკი იგანეს ძე ჩხერიძელი (1874-1959), რომელმაც სათაობიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ცენტრში დაიკავა ადგილი. (84. 243).

## §5. არჩევნები და ქართველი საზოგადო მოღვაწენი

რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები ქართული საზოგადოების ფურადღების ცენტრში იყო მოქცეული, განსაკუთრებით იგრძნობოდა საარჩევნო ვნებათადელვა ქუთაისის გუბერნიაში, სადაც პაერიც კი ამ მოლოდინით იყო გაფლენილი (84. 722). ბუნებრივია ერის მოჭირნახულენი და სულიერი წინამდობარი ამ პროცესს გვერდს ვერ აუგლიდნებ და ბევრად თუ მცირედ ჩაერეოდნენ მასში.

ქუთაისის გუბერნიის არჩევნებში განსაკუთრებული რეზონანსი ჰქონდა აკაკი წერეთლის მონაწილეობას პირველ ეტაპზე და მოულოდნელ დამარცხებას. თვით ეს საგალალო ფაქტი ორივე პოლიტიკური ბანაკის მიერ თავისებურად იქნა გამოყენებული და „პოლიტიკური აბრაკადაბრის“ ნიმუშად იქცა, ამასთან სულმნათი მგოსნის სახელი ყველასგან ინტერპრეტაციის ობიექტი გახდა.

თვით აკაკის მონათხობიდან (41. 105) ირკვევა, რომ პოეტს თავიდან არც ჰქონდა განზრახვა ამომრჩევლად უყარა კენჭი და მხოლოდ მაგანთა თხოვნით დათანხმდა, რაც მოგვიანებით არასწორი აღმოჩნდა. ამ თხოვნას გამიზნული ხასიათი ჰქონდა, მისმა ავტორებმა ძალიან კარგად იცოდნენ აკაკის რთული ხასიათი და მისი დაძაბული ურთიერთობა კიტა აბაშიძესთან, რაც დაკავშირებული იყო ჭიათურის მანგანუმთან და შავი ქვის მრეწველთა კავშირთან, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელიც კიტა აბაშიძე იყო.

ვასილ წერეთლის გადმოცემით აკაკი ვერ იტანდა კიტას და ზდანოვისს, რადგან მანგანუმის პირველადმომჩენის უფლება წაართვეს და რუსეთის იმპერიის კანონით კუთვნილი მუდმივი პენსია არ არგუნეს. „კაცხში ხე არ იზრდება სწორი და კაცი როგორ გაიზრდება“ (კიტა აბაშიძე წარმოშობით ს. კაცხიდან იყო – ბ. კ.) – იტერდა ხოლმე აკაკი. (182. 195).

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქუთაისის გუბერნიაში ნაციონალისტთა (სოციალისტ-ფედერალისტთა) წამყვანი კანდიდატი დეპუტატობაზე კიტა აბაშიძე იყო და მას რეალური კონკურენტი არ ჰყავდა, გასაგები გახდება აკაკისთან სათხოვნელად მისულთა ვინაობა. სოციალ-დემოკრატები იმედოვნებდნენ, რომ აკაკის გამოყენებით (აკაკიც და კიტა აბაშიძეც კენჭს შორაპ-

ნის მაზრაში იყრიდნენ) კიტა აბაშიძეს პირველსავე ეტაპზე გამოთიშავდნენ საარჩევნო ბრძოლიდან და ამით თავიანთ კან-დიდარს გაუიოლებდნენ გზას დეპუტატობისკენ.

მათი ანგარიშით პატრიოტულად განწყობილი ზემოიმერული საზოგადოება (სადაც განსაკუთრებით დიდი იყო სოციალისტ-ფედერალისტთა გავლენა და ეს არჩევნებმაც ნათლად აჩვენა) თავს არ შეირცხვენდა და თავისი კუთხის სამაყო შეიღს – დიდ აკაკის არ „გააშავებდა“. გადამწყვეტ ეტაპზე კი სოციალ-დემოკრატები იმედოგნებდნენ ერთი მხრივ აკაკის ლოიალობას პოლიტიკურ ბრძოლაში და ასაკოვნებას, რაც სულმათ მგო-სანს არ მისცემდა საშუალებას ეფიქრა აქტიურ პოლიტიკაზე და მითუმებეს დეპუტატობაზე. უკიდურეს შემთხვევაში კი სო-ციალ-დემოკრატები თავის ელექტორატზე ამჟარებდნენ იმედს.

აკაკის ხასიათის და როგორი პიროვნული ფსიქოლოგიის ასახსნელად მოვიხმობთ ერთ საინტერესო მოგონებას, რომელიც ეპუთვნის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ თავმჯდომარეს გიორგი ყაზბეგს (1839-1921). მას გულში ხინჯად დარჩენია „საზოგადოებასთან“ აკა-კის დამოკიდებულების ერთი ფაქტი.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა სა-ზოგადოებამ“ გამოსცა აკაკის მიერ თარგმნილ-გადმოქართულებული კრილოვის ოგაფ-არაკების კრებული, პო-ნორარიც წესისამებრ გადასცა პოეტს, რომელიც მუდმივად ვალებში იყო და დიდ ფინანსურ შეჭირვებას განიცდიდა. აკა-კის ფული ჩქარა შემოეხარჯა და ჭორი გაავრცელა „საზოგა-დოებამ“ ფული შემიჭაო. (147. 261-262).

მიუხედავად იმისა, რომ აკაკის ქუთაისის საადგილმაზულო ბანკიდან ყოველთვიური პენსია – 100 მანეთი პქნებდა დანიშნული, ფული არასდროს არ ყოფნიდა, რადგან ბევრს მოზაურებდა და საოცრად უყვარდა ბანქის თამაში, რაშიც მთელი მისი დანაზოგი იხარჯებოდა. მიუხედავად ამისა აკაკი ყოველთვის ხელგაშლილი იყო ქველმოქმედებისას. სწორედ მან ასესხა „ქ. შ. წ-კ. გ. ს“-ს 20 თუმანი უვადოდ თავისი „ფონდი-დან“ ა. ჯორჯაძის აგარაკზე სამკურნალოდ გასაგზავნად, რადგან არც მათ და არც „სახალხოელთა“ რედაქციას თანხა არ გააჩნდა (147. 263).

აკაკი შემდგომშიც ზრუნავდა მძიმე მდგომარეობაში მყოფ არჩილზე, ფინანსურად ეხმარებოდა მას და მხოლოდ არჩევნებთან დაკავშირებულმა გაუგებობამ და აკაკისთან გართულებულმა ურთიერთობებმა არჩილ ჯორჯაძეს პრინციპულად ათქმევინა უარი მისთვის ამ ფაქტიურად ერთადერთ მუდმივ შემოსავალზე, რამაც შესაძლოა იმოქმედა მისი ჯანმრთელობის გაუარესებაზე.

გიორგი ლასხიშვილის თქმით, ხანდახან ჩამოვარდებოდა უსიამოვნება აკაკის და ქართული ინტელიგენციის შორის, პოეტს ერთი უცნაურობა ჭირდა, ბრძოლით გატაცებული ხშირად თითქოს ინტელიგენციის ჯიბრით მხარს უჭერდა უფრო მავნეს და ცუდს, როგორც იყო გიორგი ზდანოვის წინააღმდეგ. (47. 263).

აკაკის ეს თვისება და საერთოდ მისი დამოკიდებულება არჩევნებისადმი გამოვლინდა არჩილ ჯორჯაძესთან პოლემიკაში, რომელიც გაზეთებში „თემსა“ და „სახალხო გაზეთში“ მიმდინარეობდა. გარდა სოციალ-დემოკრატებისა და ნაციონალისტებისა (მათი დაპირისპირება კიდევ უფრო გაამძაფრა „აბაკის საქმეში“, პოლემიკაში ხაებნენ „ცენტრისტები“ („თემის“ და ჯგუფები) და „რადიკალები“ („კლდეისტები“)).

„თემის“ რედაქტორი გრიგოლ დიასამიძე უშეალოდ მეთაურობდა აკაკის „დასაცავად“ წამოწყებულ კამპანიას. შორაპნის „გაზუსზე“ „თემი“ წერდა: „ყოველი მოკენჭე ზნეობრივად ვალდებული იყო მისთვის თეთრი მიეცა, რაკი წარჩინებულმა ქართველმა მოისურვა კენჭი ეყარა რწმუნებულობაზე. მისი „გაშავება“ – პოლიტიკური სიბერის და მეწვრილმანეობის შედეგია, რაც შეძლებულ მემამულეთა ნაქარია“. (41. 91).

მოვლენას ზუსტ შეფასებას აძლევს შალვა ამირეჯიბი („ფარსმან-ფარუხის“ ფსევდონიმით), რომელიც აკაკის „გაშავებას“ კურიოზიად მიიჩნევს, მის „დასაცავ“ კამპანიას კი დემაგოგიად. იგი გრიგოლ დიასამიძეს „არარაობას“ უწოდებს, რადგან სწორედ მისი წაქეზებით არჩილ ჯორჯაძემ უარი თქვა „ქ. შ. წ-კ. გ. ს“-ის პენსიაზე (46. 8). ფაქტიურად „პუზის სპილოდ ქცევაში“ გადამწყვეტი როლი შეასრულა გრიგოლ დიასამიძემ, იმდენად, რომ აკაკი წერეთებულმა არჩილ ჯორჯაძე სამედიატორო სასამართლოშიც კი მიიწვია მტყუან-მართლის გამოსარკვევად. (47. 3).

ნაციონალისტთა ბანაკიდან განსაპუთრებით მძაფრი პოლე-  
მისტობით გამოირჩეოდა სილოვან ხუნდაძე. მისმა მოუზომავმა  
სიტყვამ კიღევ უფრო არასასიამოვნო ატმოსფერო შექმნა, მან  
პარტიული ონტერესებიდან გამომდინარე შეურაცხვოფაც კი  
მიაუქნა მგრსანს.

შემდგომ გაკრიტიკებული სილოვანის დასაცავად სმა აი-  
მაღლა დონ-მა (ალბათ, დავით ნაცუცრიშვილი – 149, 126) და  
„თემთან“ პოლემიკაში ეცადა მის გამართლებას. სილოვანის  
გაწიწმატების მიზეზად მან შორაპანში ნათქამი აკაკის საჯა-  
რო განცხადება მოიტანა, „კიტას თეთრს არ მივცემო“ (47, 21,  
27), მაგრამ ს. ხუნდაძის „ეპითეტი“ აკაკის მიმართ („შინაური  
მტერი“...) აბსოლუტურად გაუმართლებელია. არანაკლებ გადა-  
ჭარბებულია „შინაურის“ რეაქცია, რომლის აზრითაც „აკაკის  
„გაშავება“ მაღალი პოლიტიკური შეგნების მაჩვენებელია“. (61.  
722).

ყველაზე ზუსტი შეფასება ამ მოვლენას მისცა არჩილ  
ჯორჯაძემ სტატიაში „კერპორა აღდგენა“ (61, 731), სადაც გაა-  
ნალიზა აკაკის მოქმედების ბუნება და ამომრჩევლის დამოკი-  
დებულება მის მიმართ. ამასთან სტატია პოლემიკის ნორმების  
და წესიერების ნიმუშია, მაგრამ მან მაინც გაანაწყენა აკაკი,  
რომელმაც არ იყადრა გამოხმაურებოდა ს. ხუნდაძის პასკვილს  
და მხოლოდ „იმერეთის“ მიმართ სარკასტული შენიშვნით დაპ-  
მაყოფილდა. (43, 6).

ამ შემთხვევაში აკაკი გამოეხმაურა არჩილ ჯორჯაძეს,  
მიუხედავად გარეგნული სიმწვავისა მიმართვაში მაინც ჩანს  
გულწრფელი პატივისცემა მის მიმართ და გულისტყვილიც  
არჩილის „სილოვანის ბანაკში დგომის გამო“. აკაკის თქმით  
„ყუთის დაღვმის შემდგებ მოვიზნენ ვიღაც კაცები თვალების  
პრაწვით და მითხრეს ყუთი არ დაიდგა, თორემ შავს მოგცემო,  
ვინაიდან შენ კიტას გაშავება გწადიაო. მე ჯიბრზე მაინც და-  
ვიდგი ყუთი და გავშავდი, მაგრამ არ მწყენია, ვინაიდან ეს არ-  
ჩევნები საპირადო იყო და არა საზოგადო“. (41, 105).

ამ სიტყვებიდან ნათლად იკვეთება აკაკის მოქმედების მი-  
ზეზი, მისი თავდაპირველი პასიურობა და შემდეგ „ჯიბრზე“  
მონაწილეობა არჩევნებში. როგორც ჩანს, ილიასაგან განსხვა-  
ვებით, რომელიც აქტიურად თანამშრომლობდა სახელმწიფო  
საბჭოში და რესეფის I სახელმწიფო სათაობიროსთან, აკაკი

არ თვლიდა სათათბიროს იმ ინსტანციად (ან უოველ შემთხვევაში 1912 წლისთვის მაინც), რომელსაც შეეძლო რაიმე რეალური გაეკეთებინა ქართველი ერისათვის. სწორედ ეს განაპირობებდა აკაკის „აპოლიტიკურობას“ და მყარ საფუძველს აძლევდა სოციალ-დემოკრატია იმედსაც, რომ აკაკი მაზრაში გამარჯვების შემთხვევაშიც კი დეპუტატობაზე პრეტენზიას არ განაცხადებდა.

საპასუხო წერილში არჩილ ჯორჯაძე, უაღრესი პატივისცემით და მოკრძალებით აკაკის მიმართ, უარყოფს სილოვან ხუნდაძესთან თანაზიარობას, ყურადღებას კი თვით არჩევნებისადმი დამოკიდებულების პრობლემაზე ამახვილებს. აკაკის შეთავაზებას სამედიატორო სასამართლოში მსჯელობაზე (აკაკიმ თავის შეამაღლებად დაისახებლა იაქობ ფანცხავა და ივანე ელიაშვილი), არჩილ ჯორჯაძე მხოლოდ იმ შემთხვევაში ეთანხმება, თუ განხილვის საგანი იქნება არჩევნების ხასიათი: საზოგადო თუ პირადული მოვლენაა იგი, ხოლო „სხვა თქვენთან საკამათო არაფერი მაქსიმ“ – დასძენს ა. ჯორჯაძე (61. 796). იგი უკიდურესი მდელვარებით გამოწვეულ დიდ შეცდომას უწოდებს აკაკის სიტყვებს: „თუ მე გავმტყუნდე, მწერლობაზე ხელი ამილია და თუ თქვენ – მე ისიც მეყოფა თქვენ რომ დაგარწმუნებოთ“.

აკაკის სოციალისტ-ფედერალისტთა წინააღმდეგ გამოსვლა კიტა აბაშიძესთან პირადი დამოკიდებულების შედეგი რომ იყო და არა „კუდის ქნევა სოციალ-დემოკრატიულებისათვის“, როგორც სილოვან ხუნდაძე ამტკიცებდა (42. 21), ადასტურებს ერთი ლექსის ისტორიაც, რომლის გარშემო ატეხილმა აურზაურმა დამატებითი მუხტი მისცა „აკაკის საქმეს“.

ეს ლექსი – „ვაშა! დეპუტატს“ აკაკიმ დაწერა 1909 წელს, ევგენი გეგეჭკორის მიერ III სახელმწიფო სათათბიროში წარმოთქმული სიტყვის პასუხად, სადაც გეგეჭკორმა პოლონეთის ავტორომის წინააღმდეგ გაილაშქრა. თავის დროზე ლექსის დაბეჭდვაზე აკაკის უარი უთხრა სამსონ ფირცხალავიმ, სოციალისტ-ფედერალისტური ორგანო „ფასკუნჯის“ რედაქტორმა, ალბათ იმ მოსაზრებით, რომ ევგენი გეგეჭკორი შედარებით უფრო „ნაციონალისტობდა“ და ქართული ეკლესიის ინტერესების დასაცავადაც აუმაღლებია ხმა სახელმწიფო სათათბიროში. მოგვიანებით აკაკისაც გადაუფიქრებია ევგენის საქვეფნოდ

გაპამჟულება, რადგან პირადად გაიცნო და აზრიც შეეცვალა მასზე. თუმცა ლექსის გამოქვეყნება არ სურდათ – სოციალ-დემოკრატების ეს მტკიცება გადაჭარბებულია. (53. 7).

აკაკის ლექსის დედანი იპოვა სერგო ბახტაძემ, მისი ანდერძის ერთ-ერთმა აღმსრულებელთაგანმა და გადასცა იოსებ გრიშაშვილს, რომელსაც იგი თავისი მეგობრისათვის „სახალხო გაზეთში“ მიუტანია, მათ კი „იმერეთის“ რედაქციას გადასცეს (121. 273; 41. 95). ამასთან დაკავშირებით ცნობილმა „თაგუნამ“ (შალგა შარაშიძე) ექსპრომტიც კი შეუთხა აკაკის: „სათუო შაირს რომ დასწერ, დაუმალე კარგად სერგოს, ისეთი პლიტე დაადგ, გასაღები რომ არ ერგოს!“ (54. 1).

ლექსის ხელში ჩაგდებას ცდილობდა გრიგოლ დიასამიძეც, ვინაიდან აკაკის „დასაცავ კამპანიაში“ მისი ძირითადი არგუმენტი იყო აკაკის სიმპატიები სოციალ-დემოკრატებისადმი, რაც თითქოს განაპირობებდა სოციალისტ-ცენტრალისტებთან, პირველ რიგში კი კიტა აბაშიძესთან აკაკის დაპირისპირებას. ამ ლექსის გამომზეურებით კი გაირკვეოდა სოციალ-დემოკრატებთან აკაკის ჰეშმარიტი დამოკიდებულება (184. 137), ამდენად არჩევნებში აკაკის დამარცხების პირადული ხასიათი და გრიგოლ დიასამიძის მთელი თეორია ხუცულასავით დაინგრეოდა.

სწორედ ამიტომ, უარით განაწყენებულმა გრიგოლ დიასამიძემ დრამატულ საზოგადოებაში 24 ოქტომბერს ლადო ალექსიმესხიშვილის თანდასწრებით „სიშიკი“ და „დანოსტიკი“ უწოდა იოსებ გრიშაშვილს, რაზეც ამ უკანასკნელმა საჯაროდ ბოდიშის მოხდა მოითხოვა (61. 733). თვით გ. დიასამიძის განმარტებით, იგი მოერიდა ამ ლექსის გამოქვეყნებას, რადგან გაუფრთხილდა „აკაკის სიბერის სიმშვიდეს და ახალგაზრდა პოეტი ი. გრიშაშვილის სახელს“ (41. 95).

არჩევნებისადმი დამოკიდებულების საკითხმა ამ პოლემიკაშიც იჩინა თავი. არჩილ ჯორჯაძის რეპლიკას: „თქმს“... პოლიტიკური არჩევნები ალბად რაჭა-ლეჩხეუმში გამართული ნადიმების (იგულისხმება აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხეუმში, რაც ჰეშმარიტად სახალხო ზეიმად იქცა) გაგრძელება პგონიაო“, გრიგოლ დიასამიძემ ლიბერალურ-ხალხოსნური განწყობილებით გაუდენითილი პასუხი გასცა: „ეს მოგზაურობა შეიძლება

უფრო სასარგებლო იყოს, ვიდრე პურიშკევიჩების წინაშე ქლურტული ქართულ ეროვნულ იდეალის შესახებ“.

ეს ლექსი გამოქვეყნდა გაზეთ „იმერეთის“ 26 ოქტომბრის ნომერში (42. 26).

## აკაკი წერეთელი

გაშა! დეკუტატს

ნეტავ დარჩა ჩვენი კიდევ იმისთანა ერთი-ორი,  
როგორც არის დალოცილი, დეკუტატი გვეჭიორი?  
ნამდვილ რუსი შევინისტი, მტკიცე ისე ვით მარკოვი;  
არა-რუსთა მოქულარი, სხვა ხალხების სისხლის მწოვი!

ტრაბახობს მით, ვითომც იყოს ის სოციალ-დემოკრატი,  
და კუჭხე კი გასაძლომად მას კიდია რუსის ხატი!  
ისე როგორც სირაჭლემი თავს მალავს და იჩენს ბოლოს!  
რომ აამოს პურიშკევიჩს, დაეტაკა რისხვით „პოლოს“  
ეუბნება: რადათ ეძებთ აწ უფლებას დაკარგულსო  
მონას რასაც მოგაწვდენენ არ აჯერებთ მასზე გულსო?

მე და ჩემი ამხანაგი ვართ ორივე ქართველიო,  
მაგრამ მისთვის არას ვითხოვ და არც არას მოველიო!

რას მიქვიან ეროვნება? სჯობს მოისპოს ნაციათ!  
და დამყარდეს ქვეწად მხოლოდ პროლეტარიზაციაო!  
მემარჯვენებს გაეხარდათ, ეს სიტყვა რომ გაიგონეს!..  
რომ სოციალ-დემოკრატი უმატებდა იმათ ღონეს!..  
და გულში თქვეს ჩვენც ის გვინდა ხმა გაკმდოს ყველამაო,  
რომ ჩვენ მოვმწეროთ სხვა ერები ვით საქათმო მელამაო!  
ქართველი კი ამბიონზე შემდგარიყო ვითომც გმირი  
და სხვებისგან ჩანაბერსა გაკიოდა როგორც სტკირი!  
კურიშკევიჩ და მარკოვის მოაზრე და თანასწორი,

ხომ ხვდავთ თუ რა კაცია დეკუტატი გეგმეჭიორი?..

ეს განაწყენება აკაკის არჩევნების ბოლომდე გაპყვა, რაც გა-  
მომდევნება გაზ. „მერცხლის“ კორესპონდენტთან საუბრისას. მან  
კ. გელოვანის გამარჯვება ამგვარად შეავასა: „ხანდახან მწევრე-  
ბის მიერ დადღილ კურდღელს ქოფაკი დაიჭერს და ასე მოუვიდა  
გელოვანსაცო“ (43. 27).

არჩევნების შემდეგ აკაკი წერეთელი მოსკოვში ეწვია ქართულ  
სათვისტომოს, იქიდან კი პეტერბურგში სახელმწიფო სათაობიროს  
კავასიელ დეკუტატებს შეხვდა (47. 5). ოფიციალურმა „პავბაზმა“  
დიდი ყურადღება დაუთმო ამ სტუმრობას (ისევვ, როგორც არჩევ-  
ნებში „ქართველთა ლევ ტოლსტოის“ დამარცხებას, რამაც რუ-

სულ საზოგადოებაში გაკვირვება და მთექმა-მოთქმა გამოიწვია, პრესა აშენებდა აქტიურად), რომლის დროს პეტერბურგის ელიტამ თავადაზნაურთა სასახლეში საღამო და ბანკები გაუმართა აკაკი წერეთელს. (156. 220).

ბანკების დროს წარმოთქმულ სიტყვებში აკაკი ჩხენგლიძა და გვარი გმირებირმა უფრო მეტი უფრადლება დაუთმეს ეროვნულ საკითხს. აკაკიმ კი IV სათათბიროში კავკასიის რესი მოსახლეობის წარმომადგენლის მიმართ წარმოთქმულ სამადლობელ სიტყვაში აღნიშნა: „მე გულწრფელად ვისურვებ, რომ ამ ახალგაზრდა რესეპტიდან, ნაცვლად ტიმოშენითა თაიგულისა, მომავალშიც სკობელვეთა თაიგული მიგვედოს“ (47. 6). ამით აკაკიმ დიად გამოხატა დამოკიდებულება რეაქციონერი ტიმოშენის მოღვაწეობისადმი III სახელმწიფო სათათბიროში.

IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში ნაციონალისტთა „ახალი თაობის“ „თავდასხმების“ ობიექტად იქცა ნიკოლაძე. მის წინააღმდეგ გამოდიოდა „იმერეთის“ პუბლიცისტი „ურო“ (ვასილ წერეთელი – 1862-1937). „ურო“ ნ. ნიკოლაძეს ბრალს დებდა სოციალ-დემოკრატების მხარდაჭერაში სათათბიროს არჩევნების დროს. მან, როგორც ფოთის ქალაქისთავმა (ამ თანამდებობაზე იმყოფებოდა 1894-1913 წლებში – 124. 177-182) საქალაქო არჩევნებში უზრუნველყო მათი კანდიდატების გამარჯვება, „გააშავა“ ეპისკოპოსი ლეონიდე, ეწერდა კიტა აბაშიძის საწინააღმდეგო აგიტაციას (61. 703). „უროს“ სიტყვებით რომ ვთქვათ „ბავშვური არგუმენტებით ილაშქრებდა ავტონომიის წინააღმდეგ“. (42. 27).

ავტონომიის თაობაზე პოლემიკამ განხოგადებული ხასიათი მიიღო და ფაქტიურად ნ. ნიკოლაძის და კ. წერეთლის სახით ჩვენ წარმოგვიდგა 2 ძირითადი მიმართულება, პარტია: „სამოციანებლთა“ და „ახალთაობის რადიკალთა“ (თვით ვასილ წერეთელმა რთული პოლიტიკური მეტამორფოზა განიცადა ხალხოსნობიდან ეროვნულ-დემოკრატობაში უკეთებლისტთა პარტიის გავლით).

ვასილ წერეთელი ნიკოლაძის რეფორმატულ მოღვაწეობას ფოთში პირადი მისწრაფებების გამოვლენად მიიჩნევს. მის აზრით, ჯერ კიდევ „ნოვოე ობიექტერენიეს“ გამოცემის პერიოდში იგი კარიერასა და გამდიდრებაზე ფიქრობდა, ულმობლად გრძოდა რკინიგზის მთავრობას, ვიდრე თვით არ ჩაიგდო ხელში ადგილი, მერე როტმილდს მიექირავა და ფოთის ნავსადგური ააშენა.

ამ ბრალდებების ასუხად ნიკოლაძემ გამოსცა ბროშურა „ჩემ პოლიტიკაზე“, სადაც დაწვრილებით გასცა პასუხი „იმერეთის“ პუბლიცისტებს. „მე ფულიან ადგილებს კი არ ვესწრავფოდი,

პრაქტიკული საქმის კეთება მიმაჩნდა საჭიროდ, ვერავინ მიზრახ-ავს, რომ მოჯამაგირედ სხვას დაუჭდგვ, სანამ არ დამიმტკიცებს ამ მოჯამაგირების ვნებას ჩემი ქვეყნისთვის. ჩემდა თავად კი დავრწმუნდი მწარე გამოცდილებით, მღიქნელებთან თანამშრომ-ლობას, ისვე როგორიცის მოჯამაგირებობა სჯობნებია, ჩემთვისაც და ჩემი ქვეყნისთვისაც“ – აცხადებს ნ. ნიკოლაძე (154. 28).

ნიკო ნიკოლაძის თქმით „სამოციანელთა“ ქრედო კონკრეტული საქმის კეთება იყო ყოველთვის. „დროება“ და „ნოვოე ობოზრენიე“, საადგილმამულო ბანკი და ბრძოლა საქალაქო თვითმმართველო-ბაში ქართული ინტერესებისათვის. აი მოკლე ნუსხა ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობისა ქვეყნის საკეთილდღეოდ. რაც შეეხება არჩევნებში ეპისკოპოს დამარცხებას, ნ. ნიკოლაძის განმარტებით ეს თვით ეპისკოპოსის პოზიციამ და ფოთელთათვის არასასურველ წრეებთან (მიხა ესაკია და სხვები) გვერდში დგომაშ გამოიწვია. დაახლოებით ანალოგიური კოთარება იყო იონა მეუნარგიას და იაკობ ფანცხავას შემთხვევაში (154. 16-18).

ნიკო ნიკოლაძე უარყოფს „ახალ თაობასთან“ ბრძოლის აუცი-ლებლობას. მოქმედებს ლეხინგის სიტყვებით, რომ „ოცნებით დამთვრალ ჭაბუკს ვერავითარი რჩევით, წყრომით, ძალით ვერ ჟეგნებინებ მის იმედის სიფუჭეს, უნდა ნებაზე მიუშვა, დაე თვი-ოთონ დარწმუნდეს, რომ სტომით და ბდავილით მოვარე ციდან არ ჩამოსვენდება... რადიკალები დუმილსაც მსაყვედურობენ და თუ ხმას ამოვიდებ – რატომ ჩვენნიარად არ ლაპარაკობო“ – ჩივის „მეორე დასელთა“ აღიარებული იდეოლოგი. (154. 38-39).

ნიშანდობლივია, რომ „მამათა თაობა“ ფრთხილად უდგება „ახ-ალ თაობასთან“ ურთიერთობის საკითხს. ამის მიზეზია ერთი მხრივ ამ უკანასკნელთა გააქტიურება და ფაქტიური პირველობა საზოგადოებრივ ასაპარეზე, მეორე მხრივ კი მიმდინარეობათა მკვეთრი დიფერენცირება (სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები, ანარქისტები...) „ახალ თაობაში“, რაც „მამათა თაობისაგან“ ლავირებას და ხშირ შემთხვევაში დუმილსაც მოითხოვდა. ილიას ტრაგიკული აღსა-სრულის შემდეგ „მამათა თაობა“ (ამ შემთხვევაში იგულისხმება არა ასაკობრივი, არამედ იდეური წინამორბედობა) ჩამოშორდა საზოგადოებრივ ასპარეზს და პირველობა „ახალ თაობას“ დაუთ-მო (ნიკო ნიკოლაძის აქტიური პოლიტიკიდან წასვლაც, ფაქ-ტიურად „მესამე დასელთა“ გამოსვლისთანავე, ამ კონტექსტში ზის).

ვასილ წერეთელი ნიკოლაძის მსოფლმხედველობას პირმოთნებს და ქვემოხრილს უწოდებს. „არსებობისთვის ბრძოლის“ პრინციპის უარყოფა და მტერთან პარმონიული თანამშრომლობის ქადაგება, ზიზდი ამბოხებისადმი შავრაზმული სულისკვეთების მაჩვენებელია – წერს იგი (43. 7). ნიკო ნიკოლაძე პასუხად აღნიშნავს, რომ სძულს ისეთი ამბოხება, რომელშიც მეთაურობა პროგოკატორების და „კინტოების“ ხელთა, რომლებიც ბრბოს იყოლიებენ და გასაჭირის დროს კი ქრებიან. „დიალაც მეტულება ყველაფერი, რაც ჩემ ქვეყანას ვნებს“ – დასძენს „ჩემი პოლიტიკის“ ავტორი. (154. 53).

3 მტერი ჰყავს ქართულ განვითარებას, სამივე შინაგანი ბუნებიდან გამომდინარებს და ეს სენი, როგორც ძველ, ისე ახალ თაობას ერთნაირად უხვად აბადია. ნიკო ნიკოლაძის აზრით პირველი მტერია აზრის სივიწროვა, ინერციულობა, ჩაქეტილობა (თითქოს დედა-ენის გარდა ერს არაფერი ჭირდებოდებს), როდესაც მოღვაწეს „ჩარჩოდან“ გამოსვლა უჭირს. მეორე – სხვისი მდაბლის და ცუდის უკეთ შეთვისება, ვიდრე კარგის და მესამე – განათლებამიღებული ქართველი ქართულ საქმეს ძნელად თუ მიეკარება და ქვეყნის პატრონობა და საზოგადო ასპარეზზე პირველობა „პროვკატორების“ ხელთაა.

სწორედ ამ და სხვა გარეშე მიზეზებით არის გამოწეული ნიკო ნიკოლაძის ფრთხილი დამოკიდებულება ავტონომიის საკითხებადმი. ვასილ წერეთლის აზრით ეს სიცრთხილე ნიკოლაძის ვოწრო ფინანსურ შეხედულებას და ბიუროკრატიულ განწყობილებას ემყარება. თავის პასუხში ნიკო ნიკოლაძემ ნათლად ჩამოაყალიბა ავტონომიის საკითხთან დამოკიდებულების ძირითადი პრინციპები.

„გონიერი ერი თავისუფლებას, ავტონომიას მით იძენს, რომ ანგარიშიანი მართვით ჯერ თავის შინაურ, მერე სამრეწველო, შემდგე საზოგადო, ბოლოს პოლიტიკურ საქმებს საშუალებათ იგროვებს სახელმწიფო საკითხების გადასაწყვეტად“ (154. 60), თორემ თავისი „სუკერტნიტეტის“ შენარჩუნებისთვის და გარეშე მტრებისგან თავის დასაცავად „რაპა-ნუის“ წელიწადში 3 მანეთი ჰყოფნის, დროშის და მისი ამწევი თოვის გამოსაცვლელად“ – ავლებს პარალელს 6. ნიკოლაძე. მისი აზრით გათვალა და ანგარიშიანობაა წინსვლის საფუძველი და არა წინდაუხდავი მოთხოვნები, რაც წარსული წლების მსხვერპლმაც დაადასტურა. (154. 48-50).

„არავინ დამიღუპავს უსწორ, უიმედო ბრძოლაში ჩათრევით, არავის დატანჯული სახე სინიდისს არ მიშფოთებს“ – აცხადებს იგი რადიკალების გასაგონად. (154. 64).

„ავტონომიის მომხრე (მე ფართო თვითმმართველობას ვუწოდებ, თქვენ სახელშიც მედავებით) ვიყავი კოველთვის, ოდონდ ზომიერებით, უკიდურესობის მომხრე სოციალ-დემოკრატების იაკობინიზმს ვერ აცდება – მიმართავს იგი ვასილ წერეთელს – სოციალისტ-ფედერალისტების პროგრამა გამწარებული კაცისთვისაა, ამისთანებს კი ერთი პარტიაც ჰყოფნის ჩვენში“ (154. 67). (შეიძლება აქ იგულისხმებოდნენ სოციალ-დემოკრატები. – ბ. კ.).

ნიკო ნიკოლაძემ თავისი ბროშურის დასასრულს თავისებური პოლიტიკური და დიპლომატიკური დევიზი დატოვა, რომელიც ინტერესმოქლებული არ უნდა იყოს არა მარტო იმდროინდელ რადიკალთათვის: „სანამ შავი ზღვიდან გამავალი სრუტე თბილოს ხელშია, სანამ სამხრეთით თბილეთი და სპარსეთი გვაკრავს, აღმოსავლეთით ლეკი და თათარი, ჩრდილოეთით – რუსეთი, ბევრიც რომ ვიწრიალოთ იმ პოლიტიკას ვერ ავცილდებით, რომელიც აურჩევიათ საქართველოს უადრეს გმირებს, ბევრი ცდის, მსხვერპლის და ქების შემდგა. უკავეთსი რომ შესაძლებელი კოფილიყო განა მათ დაემალებოდათ. ჩვენზე ცოტა სწყუროდათ ვითომ დამოუკიდებლობა, საკუთარი გვირგვინი ჩვენზე ნაკლებ უქვარდათ?“ (154. 81).

საარჩევნო ბრძოლაში განსაკუთრებული ენერგიით იყო ჩაბმული ლამის სასიკვდილო სარეცელს მიჯაჭვული სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის აღიარებული ლიდერი და იდეოლოგი არჩილ ჯორჯაძე გარდა ნაციონალური მისტრაფებებისა, რაც თვით არჩილის პირველსავე სტატიაში გაცხადდა (იგი წერდა: „ჩვენი დუპუტატების მთავარი მიზანი ეროვნული საკითხის ინტეგრალური დასმა და სარუსეთო-საერთაშორისო ასპარეზზე გატანა უნდა იყოს“ – 61. 692), ფედერალისტებს სერიოზული ზრახვები გააჩნდათ კონკრეტული პოლიტიკური თვალსაზრისითაც.

ის ფაქტი, რომ ტფილისის გუბერნიაში მიმდინარე საარჩევნო კამანიაში სიმატიკის გამოვლენისას ფედერალისტებმა თავი შეიკავეს და მხოლოდ მოგვიანებით, თითქმის ბოლო ეტაპზე დაუჭირეს მხარი ლუარსაბ ანდრონიკაშვილს, მოწმობს, რომ მათ საკუთარი კანდიდატი ჰყავდათ (შეიძლება არა ისეთი „ფალაგანი“, როგორიც ქუთაისის გუბერნიაში იყო კიტა აბაშიძე, მაგრამ იქ ფედერალისტებს მტკიცე პოზიციები ეჭირათ, ტფილისის გუბერნიაში კი მათი პოლიტიკური ლობი შედარებით არამყარი იყო), რომელიც შეიძლება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველსავე ეტაპზე გამოეთიშა არჩევნებს.

1 წლის წინ ფედერალისტები ტფილისის გუბერნიაში აყენებდნენ ვ. გალოვანის კანდიდატურას, მაგრამ სოციალ-დემოკრატებთან შეთანხმების ჩაშლის შემდგომ (21. 4-5) იგი ქუთაისის გუბერნიაში წამოაყენებს ზდანოვის ადგილზე. ამდენად ფედერალისტები იძულებული გახდნენ მათვის უფრო მისაღები კანდიდატურისთვის – ლუარსაბ ანდრონიკაშვილისთვის დაქვირათ მხარი (რასაც, სხვათაშორის ორპირობასა და უპრინციპობაში უთვლიდნენ ფედერალისტებს ოპონენტები, რომლებიც ვერ ხვდებოდნენ ამ პოლიტიკური ნაბიჯის მიზებს).

შესაძლებელია ფედერალისტთა კანდიდატი ბოლომდე შემორჩა საარჩევნო ბრძოლას, მაგრამ ტაქტიკური მოსაზრებით პარტიამ (აარიდა რა თავი მოსალოდნელი მარცხის სირცხვილს და წინასწარგამიზნელი უკანდახევა არჩია) არ გაამჟღავნა მისი არსებობა და „საუკეთესო უმრავლესობას“ შეუერთდა.

ამ უკანასკნელ შესაძლებლობაში ჩვენ ვვარაუდობთ ცნობილ პუბლიცისტებს, ისტორიკოსებს და უურნალისტებს ალექსანდრე ფიფშიძე-ფრონელს, რომელიც ბოლო ეტაზზე ამომრჩევლად მონაწილეობდა გორის მაზრის მემამულეთა კურიიდან (იხ. ზემოთ).

არჩილ ჯორჯაძისგან ლუარსაბ ანდრონიკაშვილის მხარდაჭერა (ანუ სფაქ-თვის მისაღები კანდიდატურის მოქების აუცილებლობა) განაპირობა „სომხურმა საკითხებაც“ ანუ იმისმა შიშმა, რომ ტფილისის გუბერნიაში სომეხი ეროვნების წარმომადგენელს არ გაჰმარჯვნა, ქართული ძალების დაქსაქსის ხარჯზე. თუმცა გადამწყვეტი მაინც, სოციალ-დემოკრატებთან დაპირისპირება იყო. ა. ჯორჯაძემ უარყოფითი შეფასება მისცა კარლო ჩხეიძეს, რომელმაც სომეხი ბურჟუაზიის მხარდაჭერით გაიმარჯვა და „სუსტი მოაზროვნება“ უწოდა აკაკი ჩხეიძელს, როგორც საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური ავტონომიის უარმყოფელს და უსახო „კაჭკასიის საოლქო თვითმმართველობის“ მომხრეს (153. 8-9).

არჩილ ჯორჯაძის აზრით, ეროვნულ ძალთა მარცხი ტფილისის გუბერნიაში უპირველესად ტფილისის ინტელიგენციის გულგრილობამ და დაუდევრობამ გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატებს საჯაროდ და არაორაზოვნად პქონდათ გაცხადებული: „საქართველომ რომ ავტონომია მოიპოვოს, სომხებსა და ებრაელებს დაჩაგრავს“ (42. 11).

ამგვარი გულგრილობის შედეგი იყო, ჯორჯაძის აზრით, ისიც, რომ ჯერ კიდევ 1911 წლის საქართველო არქენებში სენსაციის ელფერი მიეცა ქართველების ბუნებრივ მონაწილეობას, ხოლო ქართველობაში ეროვნული თვითმმართველობის აზრის გაჩქნაშ 5-6

წლით ადრე ნამდვილი სკანდალი გამოიწვია გაბატონქბულ პოლიტიკურ წრეებში.

არჩილ ჯორჯაძე 1911 წლის საქალაქო არჩევნებში გადაჭრით იცავდა ეროვნულ-პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპს, იგივე პრობლემა დადგა 1912 წლის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისას. ეს საკითხი გადაჯაჭვული იყო „სომხურ საკითხთან“ და მითვე იყო გამოწვეული. მაინც რატომ გაჩნდა პოლიტიკურ ასპარეზზე, ქართულ სინამდვილეში (ვგულისხმობთ, რა ოქაუნდა უახლესი ისტორიის მონაკვეთს) სომხური საკითხი?

საინტერესო თვალსაზრისი და სოციალ-დემოკრატების სომხურ ბურჟუაზიასთან დაკავშირების (ე. წ. „სომხურ-ქედექური ალიანსი“) რეალურ მიზეზთა ასენა აქვს მოცემული არჩილ ჯორჯაძეს.

იგი წერს: „როდესაც ეროვნული პრობლემა მიმწიფდა ქავპასიაში, როდესაც სხვა პოლიტიკურ საკითხთა შორის, ისიც გახდა ჩვენში სერიოზულ და რთულ პრობლემად; იმ დროიდან, როდესაც ქართველთა მიერ წამოყენებული ეროვნულ თვითმმართველობის პრინციპი არ ვგაშნია სომხურ ბურჟუაზიას და როდესაც ამ საკითხში მან მოუღლოდნელად მხურვალე დახმარება ნახა სოციალ-დემოკრატების მხრივ; იმ დროიდან, როდესაც ქართველებს დაებადათ სურვილი ეროვნული ცხოვრება და ერთა შორის ურთიერთობა განსაზღვრულ დაწესებულებათა ფარგალში ჩაეყენებინათ, რათა ამ ურთიერთობებისთვის და ცხოვრებისათვის კანონიერი ელფურ მიუცათ და მოესპორ მისი სტიქიური ხასიათი; იმ დროიდან, როდესაც ეს ორგანული მუშაობა ქართველი ინტელიგენციისა ჭკეუაში არ დაუჯდა სომხის ბურჟუაზიას და მან თქვენის შეწევნით და კურთხევით შოგინისტებად და რეაქციონერებად დაგხსახა, ამ დროიდან იყო, რომ „ინტერნაციონალისტები“ სომხის ბურჟუაზიის სასარგებლოდ მოქმედებდნენ“ (186. 231). ამგარად სცემს პასუხს სოციალ-დემოკრატ ოპონენტებს არჩილ ჯორჯაძე.

სტატიაში „პოლიტიკა და ზნეობა“ მას მოცემული აქვს სომხურ ბურჟუაზიის ფსიქოლოგიის და პოლიტიკური განწყობის სრული სურათი: „რა მოტივი ამოძრავებს მშვიდ, ანგარიშიან სომებს ბურჟუას, როცა მხარს უჭერს მოუსვენარ, „ცრამთლივ“, მთავრობის თვალში სახელგატებილ ქართველ სოციალ-დემოკრატს. ხოლო სომხეთში კი ზომიერ ნაციონალისტს ამჯობინებს.“

ბევრი დაიბეჭდა იმაზე, რომ სომებთა კათალიკოსის და მთელი ინტელიგენციის მირითადი საზრუნავი ისაა, როგორმე რუსის მთავრობის სიმარტია და ნდობა დაიმსახურონ, რათა ოსმალეთის სომხეთის საქმეში ჩაერიოს რუსის მთავრობა და მცირე აზიაში

მცხოვრები სომხები თავის საზღვრებში მოაყოლოს, მაგრამ ანდრონიკაშვილის გაშავებას სხვა სარჩულიც უდევს, სომეხი მარტო თავის „ლოიალობაზე“ წარდგენაზე კი არ ფიქრობს (გავისენოთ ლ. ანდრონიკაშვილიც ავტონომიის წინააღმდეგია), მას ქართველების „კრამოლიკობა“ უხარია და ხელს აძლევს. მთავრობამ უნდა იცოდეს, რომ სომეხი სანდოა, „ლოიალური“, ქართველი კი რეგოლუციონერი. კაგასიაში მთავრობა მარტო სომხებს უნდა ქნდოს. ეს არის სომეხთა ნაციონალური პოლიტიკა და ერთი მიზეზი მათი ესდევის მხარდაჭერის“ (61. 736).

„სომხური ნაციონალური ინტერესების“ ასეთ ოჯალნათლივ გამომზეურებას, ბუნებრივია, აღმფოთების და უკმაყოფილების ტალღა მოჰყვა თვით სომეხი ნაციონალისტების მხრიდან. განსაკუთრებით მყვანე პასუხი გასცა არჩილ ჯორჯაქს გაზეობა „პორიზონმა“, რომლის სარკასტული შენიშვნით, „ჩხეიძის გამარჯვებას ისე დაუჭრია ბატონ პეტლიცისტის გული, რომ ამ მოვლენის ასახსხელად „ევფრატის წყაროებამდე მისულა და ანდრონიკაშვილის გაშავებას მთელ სომებს ერს აწერს“, იგი ველიჩკოს ლირსეული შეგირდია, მაგრამ ქართველ-სომეხთა გამუდმებულ მეგობრულ კავშირს ვერ დაარღვევს“.

სომეხმა ოპონენტებმა ვერცერთი კონკრეტული არგუმენტი ვერ მოიშველიეს ჯორჯაძის მტკიცებათა გასაბათილებლად, მხოლოდ უადგილო სარკაზმი და ორი ერის მეგობრობის ლოზუნგი აიფარებს წინ, ამიტომ პასუხის პასუხსაც არ დაუყოვნებია ჯორჯაძის მხრიდან. მან ორი კონკრეტული შეგითხვა დაუსვა „პორიზონს“, რომელზეც ცხადია არავის გაუცია პასუხი.

— „მაშ აგვიხსნას „პორიზონმა“ — სვამდა კითხვას არჩილ ჯორჯაძე — 1) რატომ მისცა სომხურმა ბურჟუაზიამ ხმა სოციალ-დემოკრატის? და 2) რატომ გამოვიდნენ „სოლოლაკელები“ ტყილისის მაზრის III უბანში ცალკე სიით (კადეტების პარტია), თუ საბოლოოდ მათი ხმა კადეტს (ანდრონიკოვს) არ მიემატებოდა?“.

სამწუხაროდ, არჩილ ჯორჯაძის გულწრფელი მცდელობა გაერკეთა ქართველი საზოგადოება საქმის არსები ზოგიერთ ძალის-გან „დათვეურ“ სამსახურად შევასდა. ეს პოლიტიკისგან შორს მდგომი ხალხი (როგორც თვითონ აცხადებდნენ) სინამდვილეში ყველაზე მეტადაც ერეოდა პოლიტიკურ საკითხებში და ყველთვის უსიამოვნებას იწვევდა დაინტერესებულთა შორის.

მხედველობაში გვაქს ე. წ. „ცენტრისტული“ მიმართულების გაზეთი „თემი“, რომელმაც თავისი ვიწრო შეხედულებით და მიკერძოების მაგნე სენიორ საარჩევნო კამპანიის დროს განსაკუთრე-

ბით გაითქვა სახელი, კერძოდ აკაკისთან დაკაგშირებული სკან-დალით. „თემბა“ არჩილ ჯორჯაძეს „სომხოფობიაც“ კი დასწამა.

„ჩვენი მიზანი ქართული დამოკრატიის ერთიანობა და საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლა იყო, როცა საქმე არჩევნებზე მიღვა, განზე გავდექით, რადგან ხეირიანს არაფერს გამოველოდით სა-თათბიროსგან. სამწუხაროდ ეროვნული იდეალების მქადაგებელმა ჯგუფმა აკაკი გამაჟვა და ამით ესდექებზე დაბლა დააყენა თავი. – წერდა „თემი“ – ბატონი ა. ჯორჯაძე აპოლიტიკოსობას გვწა-მებს, თითქოს აქაურ რესულ გაზეთებთან კიყოთ შეკრული (სხვა-თაშორის ჯორჯაძემ ერთადერთხელ, სათავადაზნაურო არჩევნები-სას განსაზღვრა „თემის“ ადგილი პოლიტიკურ სპექტრში და თუ „ზაკავკაზიებს“ ორგანოს დაჯგუფებას კონსერვატული უწოდა, „თემის“ ბანაკი გაზეთ „ზაკავკაზსკაია რეწოან“ ერთად პროგრე-სულ-დემოკრატიულ ჯგუფად გამოაცხადა – 186. 269, ამდენად სა-ფუძველს მოკლებული ჩანს „თემის“ ეს ბრალდება – ბ. კ.), არჩილ ჯორჯაძემ შეცდომა დაუშვა, როდესაც ლუარსაბ ანდრონიკაშ-ვილს (აგზონომიას არ ემხრობათ) ლანდიავდა, მერე კი მხარი დაუჭირა, ვინაიდან სომხები – ესდექები შეეპრნენ და უარესი „დათვერი“ სამსახური გაუწია ლ. ა.-ს, როდესაც ავტონომიის მომ-ხრედ და სომხეთა დამაფრთხობელად გამოიცხადა“ (41. 93).

სრულებით მოკლებულია ლოგიკას უკანასკნელი ბრალდება, რომ თითქოს ლუარსაბ ანდრონიკაშვილის დამარცხებაში „ლომის წილი“ არჩილ ჯორჯაძის პუბლიცისტურ წერილებს მიუძღვოდეს.

სომებ-ქართველთა ურთიერთობებზე აქტიურად მუშაობდა და მასალებს აქვეწებდა სოციალისტ-ფედერალისტთა ერთ-ერთი ლი-დერი გიორგი ლასხიშვილი („გან“-ის ფსევდონიმით). იგი თანამ-შრომლობდა ბაქოს რუსულენოვან გაზეთში (ბაქოში იძულებით იყო გადასახლებული, საქართველოში ცხოვრების ნებართვის გა-რეშე), სადაც პოპულარიზაციას უწევდა სომხურ მოსახლეობაში ლუარსაბ ანდრონიკაშვილს და ფაქტიურად საარჩევნო აგიტაციას ეწეოდა. მას პოლემიკა პქონდა ბაქოშივე გამომავალ სოციალ-დემოკრატიულ ორგანო „წყაროსთან“ (ქართულ ენაზე), რომელსაც ფილიაკ მახარაძე რედაქტორობდა.

შესაძლებელია „გან“-ის დამსახურება იყოს ის ფაქტი, რომ სომხური ბურუჟაზიის სოციალ-დემოკრატებთან თანამშრომლობა გაკიცხეს გ. მ. თუმანიშვილმა, ა. ევანგელოვმა და განსაკუთრებით „ბაქუს“ რედაქტორმა ქრისტეფორე ვერმიშეგმა (ტფილისის ქალა-ქის თავი იყო რევოლუციის პერიოდში – 147. 280).

აი რას წერს IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებზე, მოვლენათა ეპიცენტრიდან შორს მყოფი, მაგრამ აქტიური დამკაირვებელი და შემფასებელი გიორგი ლასხიშვილი: „მიუხედავად 3 ივნისის კანონისა, ქვეყანაში თბოზიციური სულისკვეთება გამოიჩინა – ადგილებიც მეტი მიიღო, გაიზარდა მემარჯვენეთა ოდენობაც, პარლამენტის ცენტრმა – ოქტობრისტებმა სასტიკი მარცხი განიცადეს, მიზეზი მათი 5-წლიანი უმსგავსო პოლიტიკა იყო. თვითმ-პყრობელობამ მემარჯვენე დეპუტატების შემწეობით კვლავ მორჩილი ცენტრისტული პარლამენტი მიიღო.

საქართველოში ისევე როგორც წინა არჩევნებში ბრძოლა მიმდინარეობდა არა რეაქციასა და ოპოზიციას შორის, არამედ ოპოზიციურ ჯგუფებს შუა. ამჯერადაც უმეტესობა ს.-დ.-ს ხდა. მხოლოდ ქუთაისში გაიმარჯვა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ, რაც გარკვეულად შემთხვევითი იყო, ვინაიდან კ. აბაშიძის კანდიდატურა იყო წამოყენებული, მაგრამ მთავრობამ გააბათილა იმ ამომრჩეველთა ჯგუფის არჩევნები, სადაც კიტა იყო ამომრჩევლად, პარტიამ მის ნაცვლად გელოვანი წამოყენა (ლასხიშვილი არ აღნიშნავს, რომ კიტამ ისედაც მარცხი განიცადა ლეო ნათაქესთან – ბ. კ.). „სახალხოელები“ უსაყვადურებლენებ სომებს ამომრჩეველს, რომ თავისი რწმენის წინააღმდეგ მოიქცენენ. შეიქმნა უცნაური სიტუაცია: სომხები თავის ქვეყანაში დეპუტატად ირჩევენ პროგრესულ მოღაწეს, დაინტერესებულს ეროვნული საკოთხო, ხოლო საქართველოში სოციალ-დემოკრატს“ (147. 279).

დასავლეთ საქართველოში (ქუთაისის გუბერნია) არჩევნების შედეგები ივარაუდა ცნობილმა წერალმა და საზოგადო მოღვაწემ სიმონ ქვარიანმა. „იმერეთის“ რედაქციისადმი გაგზავნილ განმარტებაში იგი აღნიშნავდა: „მე მივრცელებენ ხმებს, თითქოს ვლადიმერ მიქელაძის მომხრე ვიყო, განსაკუთრებით სოფლად, რაც არ არის მართალი. მე უპარტიო ვარ და მიმაჩნია, რომ ვლადიმერ მიქლაძის პროგრესულ პარტიის სახელით მოქმედება – ამასთან ის რესულ ბანკისგან კრედიტს იღებს, არაგულწრფელია. იგი არ გამოდის არცერთი პარტიის სახელით და სამშობლოს ინტერესების დაცვაზე დემაგოგიურად ლაფხობს, მისი მოქმედება და სოციალ-დემოკრატების გაკოტრება მიანიშნებს ახალი, ნამდვილად ეროვნული პოლიტიკური პარტიის შექმნის აუცილებლობაზე“ (42. 4).

ეს ვარაუდი აღბათ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ეხება და ამას ისიც ადასტურებს, რომ წერილის ადრესატი გაზეთი „იმერეთია“, მაგრამ მთავარია, რომ მწერალმა ზუსტად დააფიქსირა საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება და ვითარება.

ამრიგად, ჩვენ მიმოვისილეთ IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებთან დაკავშირებული ყველა თაობის საზოგადო მოღვაწის პოლიტიკური სახე, მათ ნააზრევსა და მოქმედებაში ყველაზე ნათლად გამოჩნდა თვით საარჩევნო კამპანიის ფსიქოლოგია და ელექტორატის ბუნება.

## II თავი. ქართველი დეპუტატები რჩეთის IV სახელმწიფო სათათბიროში

### §1. სახელმწიფო სათათბიროს სტრუქტურა და ორგანიზაცია

1912 წლის 15 ნოემბერს მუშაობას შეუდგა რუსეთის IV სახელმწიფო სათათბირო. III სათათბიროსგან განსხვავებით IV სათათბიროში დაირღვა საპარლამენტო წონასწორობა. ცენტრმა, რომელიც ძირითადად ოქტიაბრისტებით იყო წარმოდგენილი მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადა და უმრავლესობის სასწორო მემარჯვენებისკენ გადაიხარა.

ოპოზიციური ძალები არჩევნების წინ წინასწარმეტყველებდენენ სათათბიროს გაესქაბას „ანაფორიანებით“, მართალია სასულიერო პირთა რაოდენობას IV სათათბიროში III სათათბიროსთან შედარებით არ მოუმატია, მაგრამ მემარჯვენეთა „ტრიუმფი“ თვალნათლივი აღმოჩნდა, რამაც კიდევ უფრო დამძიმა რუსეთში რეფორმების და კონსტიტუციური ცვლილებების პროცესი. წვრილმა პარტიებმა მეტნაკლებად შეინარჩუნეს ადგილები პარლამენტში, ზომიერ ოპოზიციას (კადეტები...) უმნიშვნელო წარმატება ჰქონდა.

საბოლოო სურათი კი, მითუმეტეს წინა სათათბიროს მესამედი კვლავ მოხვდა დეპუტატთა რიცხვში (84. 252), იძლევდა ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას, რომ მემარჯვენეთა სიძლიერე და ცენტრის უნებელობა, ფაქტიურად კი არარსებობა, გამორიცხავდა ნებისმიერი პროგრესული კანონპროექტის გატანას და საბოლოო გამარჯვებას სათათბიროშე. ამასთან IV სახელმწიფო სათათბირო იქნებოდა დაპირისპირების, შეხელაშემოხლის წეაროც, რადგან 30%-იანი გაერთიანებული ოპოზიცია მას მშვიდ ცხოვრებას ვერ დაპირდებოდა.

1912 წლის 15 ნოემბერს პეტერბურგში გაიხსნა IV სახელმწიფო სათათბიროს I სესია (156. 250). პირველი სხდომა მიეძღვნა საორგანიზაციო საკითხებს. სათათბიროს თავმჯდომარის პოსტზე ასარჩევად კენჭი იყარა სამშა დეპუტატმა. პირველ ტურში რომიანკომ მიიღო 234 ხმა, ბალაშოვმა 147, ვოლკონსკიმ – 10. მეორე ტურში ორმა უკანასკნელმა ყუთი აღარ დაიდგა და ოქტიაბრისტთა პარტიის ლიდერმა მიხეილ გასი-

ლის ძე რომიანქომ 251 ხმით 150 ხმის წინააღმდეგ დაიკავა სა-  
თათბიროს თავმჯდომარის ადგილი.

მოგვიანებით მოეწყო თავმჯდომარის მოადგილის არჩევნებ-  
იც. იაროსლაველმა დეპუტატმა დიმიტრი დიმიტრის ძე ურუ-  
სოვმა (პროგრესისტი) პირველ ტურში მიიღო 197 ხმა, ვლადი-  
მერ მიხეილის ძე ვოლკონსკიმ 173. მეორე ტურში მხოლოდ  
ურუსოვმა იყარა კენჭი და 217 ხმით 178-ის წინააღმდეგ გახდა  
კიდეც სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილე.

იმ საპარლამენტო ფრაქციებს (კერძოდ, სოციალ-  
დემოკრატთა და შრომის ჯგუფი), რომელშიც გაერთიანებულნი  
იყვნენ ქართველი დეპუტატები, არ მიუღიათ მონაწილეობა არ-  
ცერთ კენჭისყრაში (42, 45, 49).

რომიანქოს კვლავ არჩევას (იგი III სათათბიროს თავმჯდო-  
მარეც იყო) რუსეთის ლიბერალური პრესა სიხარულით შეხვდა,  
რადგან იგი მიიჩნიეს სტაბილურობის და კონსტიტუციონალიზ-  
მის გარანტად, რასაც „უროს“ აზრით სერიოზული საფუძველი  
ვერ ექნებოდა, ვინაიდან კანონპროექტებს ზედა პალატაში –  
სახელმწიფო საბჭოში უნდა გაევლოთ აპრობაცია, ეს უკანასკ-  
ნელი კი სანახევროდ თვით მეფის მიერ იყო დაქომპლექტებუ-  
ლი და მემარჯვენეთა დასაყრდენს წარმოადგენდა (42, 52)

მთავრობას რომიანქოსთან იმთავითვე ჰქონდა უთანხმოება,  
იყო ხმები მის გადარჩევაზე და მემარჯვენე ვოლკონსკის და-  
ნიშვნაზე (65, 12). თუ III სათათბიროში ოქტიაბრისტები მთა-  
ვრობის დასაყრდენი ძალა იყო და მათი ლიდერი – გუჩკოვიც  
თავმჯდომარეობდა, IV სათათბიროში თავის დასაყრდენად  
ხელისუფლებამ მემარჯვენეები და ნაციონალისტები გაიხადა,  
ოქტიაბრისტები კი ფარულ კადეტებად გამოაცხადა და რო-  
მიანქოც არასასურველ მდგომარეობაში აღმოჩნდა (65, 21; 206).  
ამ გაურკვევლობამ მთლიანად ფრაქციაზეც იმოქმედა, მას ჯერ  
25-კაციანი უმცირესობა გამოიყო და ზომიერ მემარჯვენეებს  
(ნაციონალისტებს) მიემხრო, შემდეგ უმრავლესობაც გამოიყო-  
შა და მემარცხენე ოპოზიციის ბანაკში ჩადგა.

ამიერკავკასიელთა დეპუტაცია სათათბიროს მასშტაბით  
ერთ-ერთი ყველაზე უფრო ოპოზიციური იყო. IV სათათბიროში  
სოციალ-დემოკრატთა ფრაქციის 14 წევრიდან 4 ამიერკავკა-  
სიელი იყო.

ნიშანდობლივია, რომ ისეთმა ანტირუსულმა და ამავე დროს განსხვავებული შეხედულებების, პოლიტიკური, რელიგიური თუ სოციალური მრწამსის მქონე რეგიონმა, როგორიც კავკასიაა გამოიჩინა ოპოზიციური სულისკვეთება, ხოლო ამ სულისკვეთების თავისებურ სიმბოლურ გამოხატულებად იქცა ერთიანი ოპოზიციური დასაყრდენის – სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელთა არჩევა დეპუტატებიდა. მხოლოდ უფრო ნაციონალისტურად განწყობილმა სომებმა და საქართველოს მოსახლეობის ნაწილმა (ქუთაისის გუბერნია) ამომრჩეველმა უპირატესობა თავისი ეროვნული ინტერესების უკეთ დამცველთ მიანიჭა. დაახლოებით ასეთი ვარაუდი და შეფასება მისცა არჩევნების შედეგებს მაშინდელმა ანალიტიკურმა პრესამ.

საკუთარი ინდიფერენციზმი და ურწმუნობა სათათბიროს მიმართ „ოქმა“ არც არჩევნების შედეგების შეფასებისას დამალა. „გათავდა ყენობა, დიდი ამბავი იყო, ისეთი ქარბუქი დავაყენეთ, რომ ყველას თვალები დაგვევსო მტვრით და ჩალაბულოთა. ღმერთო ჩემო! რამოდენა მელანი დაიხარჯა, რამდენი კალამი გაცვდა წერით, რამდენი ენა ასისინდა სალაპარაკოდ“ (41. 96). მაგრამ პოლიტიკური დაპირისპირება არათუ ჩაცხრა არჩევნების დასრულებით, არამედ პირიქით – გამწვავდა კიდეც.

IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები მთელი იმპერიის მასშტაბით დიდი დარღვევებით ჩატარდა. ხელისუფლება ცდილობდა თავისთვის სასურველი ხალხის გაყვანას სათათბიროში, საამისოდ მიმართავდა ყოველგვარ უკანონობას. ფაქტიურად ეს იყო ერთადერთი საკითხი სათათბიროს ხუთწლიანი არსებობის მანძილზე, რომელსაც მთელი საპარლამენტო სკექტრი ჩხეიძით დაწყებული და პურიშკევიჩით დამთავრებული, მხარს უჭერდა (54. 27). 1913 წლის 24 იანვარს სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ საჩქარო შეკითხვა დააყენა არჩევნებისას ადმინისტრაციის უკანონობის შესახებ. შეკითხვა დაიცვა ვარლამ გელოვანმაც. სათათბირომ უარყო ამ შეკითხვის სიჩქარე და კომისიას 2 კვირის ვადა მისცა მოკვლევისათვის, შინაგან საქმეთა მინისტრ მაკლაკოვს კი დაევალა პასუხის მომზადება. (54. 8).

მხოლოდ 1 წლის გლობალური შესწავლის შემდგომ, პარლამენტი დაუბრუნდა ამ საკითხს. 1914 წლის 22 იანვარს სათათბიროზე განიხილეს არჩევნებზე მთავრობის ზემოქმედების

საკითხი. ჩევიძემ და მილიუკოვგმა (კადეტთა ფრაქციის ლიდერი) დასვეს საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღების საკითხი და არასაკმარისად მიიჩნიეს 3 ივნისის საარჩევნო კანონის კოსმეტიკური შესწორება, რასაც შინაგან საქმეთა სამინისტრო სთავაზობდა. კერძნსკის აზრით „საარჩევნო კაბინია 3 ძალის: პოლიციის, სამდველოების, სასამართლოს ერთობლივი მოქმედების შედეგია“. (65. 19).

სათათბირომ 176 სმით 95-ის წინააღმდეგ უარყო კადეტების და ტრუდოვიკების ფორმულა და მიიღო პროგრესისტების (160 სმით 125-ზე) შეთავაზება: „მთავრობამ მოაწყო უკანონობათა სისტემა არჩევნებზე, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროთა განმარტებები არაა დამაკმაყოფილებელი“.

სოციალ-დემოკრატთა ბანაკიდან ვარლამ გელოვანს არჩევისთანავე დაუწეუს სახტიკი ბრძოლა, მას ქუთაისელი ამომრჩევლების სახელით მოუწოდებდნენ უარი ეთქვა დეპუტატის მანდატზე, ვინაიდან ნდობას არ იმსახურებდა და დემონსტრაციულად აცხადებდნენ, რომ თავის ბედ-იღბალს ჩევიძეს და ჩენკელს აბარებდნენ (84. 241).

ამგვარი დემაგოგიური გამოსვლები მრავლად იყო, მათ ავტორებს არგუმენტად მოჰყავდათ აღმინისტრაციის თვითნებობის ფაქტი, როდესაც ფოთსა და ქუთაისში არჩევნების შედეგები გაუქმდა სოციალ-დემოკრატების საზიანოდ და თითქოს განგებ, როგორც ვეგენი გეგჭკორი აცხადებდა პეტერბურგის პრესაში, „მთავრობამ უედერალისტებს გაამარჯვებინა“ (61. 749).

ვარლამ გელოვანმა ამ დაუსაბუთებელ ბრალდებას პასუხი გასცა, როგორც ქართველი საზოგადოების წინაშე, ისე პეტერბურგში. (61. 757). იგი აღნიშნავდა, რომ ანალოგიური უსამართლობა ჩადენილი იყო ფედერალისტების მიმართაც (მაგ: სენაკში ჩიჩუას არჩევნების გაუქმება), რაც არ შეიძლება დაბრალდეს სოციალ-დემოკრატებს, ისევე, როგორც ფედერალისტებს ვერ დაბრალდებათ არჩევნების ორგანიზატორთა სხვა ცოდვები.

ბრალდებებზე: „1) რომ ქუთაისის და ფოთის არჩევნების ს. ფ.-ებისგან გასაჩივრებით თითქოს 5 სმა დავუკარგეთ სოციალ-დემოკრატებს, რამაც საბოლოო შედეგებზე გავლენა მოახდინა. 2) აღმინისტრაცია ს. ფ.-ებს უჭერდა მხარს, როდესაც განხრას

ასაჩივრებდა არჩევნებს. 3) ქუთაისის გუბერნიის გლეხობა არ მოვლის წარმომადგენლად და რწმუნებულობას ს. დ.-ებს აძლევს“, ვარდამ გელოვანი შემდეგ პასუხს აძლევს: „ქუთაისის არჩევნები პირველად კადეტმა ჭილაძემ გაასაჩივრა, გავიხსენოთ, რომ სენაკის მაზრაში მემამულებებმა გააშავეს გეგმებითი და გავიდა სოციალ-უცდერალისტი ოფიციალური წინუალი საბიურის გამო არჩევნები მეორედ დანიშნებს და ჩინუას არ მისცეს მონაწილეობის საშუალება. მეც ლექსუმის მაზრაში მეორედ მომიწიდა კენჭისყრაშ. გავიხსენოთ ისიც, რომ ქუთაისის არჩევნების გაუქმებას წინ უძღვდა ადმინისტრაციის თვითნებობა კ. აბაშიძის საწინააღმდეგოდ (იგი I და II სათათბიროს ამომრჩეველი იყო შორაპნიდან).

საგუბერნიო არჩევნებში ს. ფ.-ებს ჰქონდათ 18 ხმა, ს. დ.-ებს 12 (ასე რომ 5-იც რომ მიმატებოდათ არაფერი შეიცვლებოდა), 3 კენჭი კი საერთო მოწინააღმდეგის იყო და ანგარიშში ჩასაგდები არ არის. 8 გლეხი ამომრჩევლიდან 7 ჩემი წინააღმდეგი იმიტომ იყო, ისინი ს. დ.-ებისგან იუვნენ არჩეულნი და პარტიის დირექტივებს უნდა დამორჩილებოდნენ“ (83. 53).

ევგენი გეგმებით „უფლებების“ დასაცავად პეტერბურგში თავგამოდებით იბრძოდნენ მისი პარტიული მეგობრები აკაკი ჩხერიაშვილი და კარლო ჩხეიძე. პირველმა სათათბიროს სხდომაზე ხელადებით განაცხადა, რომ „გელოვანი გლეხებაცობის დეპუტატი არ არის“ (46. 15) და „ქუთაისის გუბერნიის დემოკრატიამ თავისი ინტერესების დაცვა დაავალა მას და ჩხეიძეს და არა გელოვანს“, რაზეც ცნობილი პუბლიცისტი ა-ი. (ალბათ შალვა ამირეჯვიბი. იხ. 178. 145) წერდა: „2 ასეთი დეპუტატის ყოლა სათათბიროში, რომლებიც მუდამ წინააღმდეგნი იქნებიან და მუდამ ასე სკანდალურად განმარტავენ დეპუტატ გელოვანის ყოველ გამოსვლას (ლაპარაკია 1912 წლის 13 დეკემბრის სიტყვაზე, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი – ბ. კ.), საკუთარ გულზე 2 შხამიანი გველის ყოლას ნიშნავს, ისინი კბენას არასოდეს მოშლიან“ (47. 5).

ჩხენკელის უსაგნო რეპლიკას ვარდამ გელოვანმა სათათბიროზე განმარტებით უპასუხა („გიროპარტიული დავის აქ გამოტანას ურიგობად ვთვლიო“) და სამედიატორო სასამართლოში უჩივლა. გელოვანის სიტყვებს მთელი სათათბირო ტაშით შეცვედრია (46. 15). მას კიტა აბაშიძის წინააღმდეგ მიმარ-

თული ბრალდებებისგან დაცვაც მოუხდა: „პარტიამ მე აბაშიძის შემდეგ მეორე კანდიდატად დამასახელა და მას შემდეგ, რაც ამომრჩევლად გასვლა შეუკრეს აბაშიძეს, მე დავრჩი ბუნებრივ კანდიდატად. ჭიათურის ბანჯის ღირექტორი აბაშიძე ავადმყოფობის გამო ზაფხულში საზღვარგარეთ წაგიდა (სხვათა შორის იქმდანაც აქტიურად თანამშრომლობდა „სახალხო გაზეთში“ – ბ. კ.), ს. დ.-ებმა კი გაუკრცელეს ბინძურად ბანჯი ათიათას მანქობით გაქურდა და საზღვარგარეთ გაიქცაო“. (43. 58).

ევგენი გეგეშქორის მიერ 1912 წლის 8 ნოემბრიდან (გაზეთებში „ლუბ“ და „დენ“) დაწყებული კამპანია ვარლამ გელოვანის წინააღმდეგ საბოლოოდ დასრულდა 1914 წლის იანვარში სამედიატორო სასამართლოს განაჩენით (36. 16; 65. 18; 61. 1095-1096). ორივე, მომჩივანი და მოასუხე მხარე ფაქტიურად ბრალდებლად მოგვევლინა. ერთი მხრივ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და სათათბიროს ფრაქციამ სასამართლოს წარუდგინა 4 შეკითხვა, მეორე მხრივ სათათბიროს ტრუდოვიკთა ფრაქციამ და საქართველოს სოციალისტუდერალისტთა პარტიამ 9 შეკითხვა. ვარლამ გელოვანმა პროცესის დაწყებისთანავე განაცხადა, რომ დამარცხების შემთხვევაში უარს იტყოდა დეპუტატობაზე. „გელოვან-გეგეშქორის საქმეს“ განიხილავდა 5 მოსამართლისგან შემდგარი კოლეგია, მათგან 2 (პოტრესოვი და კროხმალი) სოციალ-დემოკრატების, ხოლო 2-იც (ვოლოვოზოვი, ბერებშტაბი) ტრუდოვიკების წარდგენილნი იყვნენ, თაგმჯდომარეობდა კუზმინ კარავაევი. გელოვანის ოფიციალურ ადგომატებად დაინიშნენ აკადემიკოსი მაქსიმ კოვალევსკი და გიორგი ზდანოვიჩი, გეგეშქორის ადვოკატი იურ ცნობილი მენშევიკი აქსელროდი.

სოციალ-დემოკრატთა ბრალდების მირთად პუნქტებზე: 1) ქუთაისის არჩევნების შედეგები ორჯერ გამიზნულად გაუქმდა ვარლამ ჭილაძის და იროდიონ ტყეშელაშვილის საჩივრებით. 2) ფოთის არჩევნები გაუქმდა ანთიმოზ ბოკერიას და კონსტანტინე თელიას საჩივრებით. კოლეგიამ ერთხმად უპასუხა: პროცესზე ვერ დამტკიცდა მათი ფედერალისტობა, ან სიახლოვე ამ პარტიასთან. მაგრამ ფოთის შემთხვევაში პარტია ვალდებული იყო პრესაში ოფიციალური განცხადებით გამიჯნოდა ამ პიროვნებებს.

სასამართლომ არამართლზომიერად ცნო გეგმჭკორის განცხადება პრესით: „სფაქ ადმინისტრაციასთან შეთანხმებით მოქმედებდა არჩევნებშიო“.

სასამართლომ უარყოფითი შეფასება მისცა ორივე დაპირისპირებული მხარისგან წინასაარჩევნო კამპანიისას გამოყენებულ საპოლემიკო ტონს და დასაძრახის საქციელად მიიჩნია პრესით ოპონენტების ლანძღვა, თუმცა ხაზი გაესვა იმასაც, რომ წარმოდგენილი მასალების მიხედვით ამ მხრივ სოციალ-დემოკრატები უფრო გამოიჩინდნენ.

საინტერესოა, რომ გიორგი ზდანოვიჩმა, როგორც ადვოკატმა, „იმერეთის“ წინააღმდეგ მიმართული ბრალდებები, გააბათილა შემდეგი განცხადებით: „ეს გაზეთი არაა პარტიული ორგანო, მასში ფედერალისტებთან ერთად წერებ კადეტები და პროგრესისტები, ეს გაზეთი ზოგადად პროგრესული მიმართულებისაა. ჩვენ გვინდოდა გვექცია იგი ჩვენს ორგანოდ, მაგრამ რედაქცია – სადაც უმეტესობა არაფედერალისტია ჩვენს წინააღმდეგ წიგიდა. საზოგადოდ კავასიაში სფაქ-ს არ აქვს თავის თრგანო“. ეს უკანასკნელი ფრაზა, რა თქმა უნდა, გადაჭარბებულია, მაგრამ „იმერეთის“ ამორფულობის და შიდაწინააღმდეგობის ფაქტი შემდგომში დატრიალებულმა მოვლენებმაც დაადასტურა (იხ. §8).

სასამართლო განაჩენს დაერთო ცალკეულ მოსამართლეთა და ადვოკატთა განსაკუთრებული აზრები. ტრუდოვიკთა მხარე ამგვარად აბათილებდა კ. გელოვანის შემთხვევითი და უკანონო გადეპუტატების მითს: „ამომრჩეველთა რიცხვი და განაწილება პარტიებს შორის: 18 გელოვანის მომხრე და არა 17, 15 – წინააღმდეგი, მათგან მხოლოდ 12 იყო აშკარა მომხრე სოციალ-დემოკრატების, 3 იყო უპარტიო. რომლებიც შესაძლებელია ისეთივე მოწინააღმდეგები ყოფილიყვნენ სოციალ-დემოკრატების, როგორც ფედერალისტების. ამდენად 5 ამომრჩევლის გამორიცხვა არ იძლევა გარკვეულ პასუხს არჩევნების შედეგებზე“ (61. 1096). თუ გავითვალისწინებთ, რომ პროგრესისტები ფედერალისტებს სოციალ-დემოკრატებთან შედარებით „ნაკლებ ბოროტებად“ თვლიდნენ, გამართლებულია ეს პროგნოზი – თუკი გელოვანი მარტო არ იყრიდა კენჭს და მოწინააღმდეგე ეყოლებოდა სოციალ-დემოკრატის სახით, მაშინ მას პროგრესისტებიც დაუჭერდნენ მხარს და 5 სოციალ-დემოკრატი

ამომრჩევლის დამატების შემთხვევაშიც იგი მაინც გაიმარჯვებდა 21 ხმით 17 წინააღმდეგ.

მოგვიანებით ქუთაისის სადგენერატო მანდატი კვლავ გახდა ვნებათა დელვის საგანი. ვარლამ გელოვანის ტრაგიკული სიკვდილის შემდგომ, 1915 წლის 9 აგვისტოს სათათბიროს სხდომაზე წამოჭრა ახალი არჩევნების საკითხი და ნაციონალისტებმა აქტიური წინასაარჩევნო კამპანიაც წამოიწყეს, ხოლო სოციალ-დემოკრატებმა ქუთაისელი ამომრჩევლების ადგენისთვის დაიწყეს ბრძოლა (ფოთელი ამომრჩევლები უმაღლესი სენატის განკარგულებით უკვე დამტკიცებულნი იყვნენ), რადგან კანონით დეპუტატი ძველ ამომრჩევლებს უნდა აერჩიათ (39, 138, 153), მაგრამ არჩევნები საომარი ვითარების გამო ვერ ჩატარდა და ქუთაისის გუბერნიის სადგენერატო ვაკანსია სათათბიროს არსებობის ბოლომდე დარჩა.

პარტიები	III სა-თათბირო	IV სათათ-ბირო	ფრაქციის ხელმძღვანელი
მემარჯვენე	52	65	თავ: ხვოსტოვი, მოად: მარკოვ-II
რესი ნაციონალისტები	93	88	თავ: ბალაშოვი. მოად: ბობრინსკი
ცენტრისტები	—	32	თავ: ვლადიმირ ლოვი
ოქტოაბრისტები	133	98	თავ: ანტონოვი
პროგრესისტები	39	48	თავ: ევრემოვი
კადეტები	53	59	თავ: მილიუმოვი, მოად: შინგარევი
მუსლიმთა ფრაქცია	9	6	თავ: ტევკელევი
პოლონეთის კოლო	11	9	თავ: სვეჟინსკი
ბელარუს-პოლონელ-ლიტვენი	6	6	თავ: პუტკამერი
ტრუდოვიკები	14	10	თავ: ძიუბინსკი. მოად: კერენსკი
სოციალ-დემოკრატები	14	14	თავ: ჩხეიძე. მოად: მალინოვსკი
უპარტიონი	16	7	

IV სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის დაწყებისთანავე ჩამოყალიბდა ის სტრუქტურა და მექანიზმი, რაც თითქმის შე-

ნარჩენდა სათათბიროს არსებობის ბოლომდე. ქვემოთ მოტანილ დიაგრამაზე ნათლად ჩანს IV სახელმწიფო სათათბიროს პარტიული სტრუქტურა და ცვლილება III სათათბიროსთან შედარებით.

გარდა საპარლამენტო პარტიებისა არსებობდა მსხვილი დაჯგუფებები, რომლებიც ძირითადად საარჩევნო კურის მიხედვით კომპლექტდებოდა. გლეხთა ჯგუფში (თავ: ევენევი) გაერთიანებული იყო 55 დეპუტატი, მათ შორის გელოვანი, პაპაჯანოვი და ჯაფაროვი. კაზაკთა ჯგუფში (თავ: ხარლამოვი) – 15, მოქალაქეთა ჯგუფში (თავ: აროფევევი) – 92, ერობათა ჯგუფში (თავ: ვარუნ-სეგრეტი) – 94 დეპუტატი.

სათათბიროს მუშაობის გასაშუქრდლად უშუალოდ თავრიდის სასახლეში განთავსებული იყო პრესის წარმომადგენლობები. მათგან 32 საზღვარგარეთის ქურნალ-გაზეთის ბიურო, დანარჩენი ადგილობრივი. პრიორიტეტი დედაქალაქის პრესას პქონდა. პეტერბურგის 28 და მოსკოვის 7 გაზეთი იყო წარმოდგენილი სათათბიროს კულუარებში, მაშინ როცა პროვინციის პრესას ოდენ 27 გაზეთი წარმოადგენდა. მათგან მხოლოდ ერთი (ისიც არარუსულენოვანი) იყო კავკასიის სამეფისნაცვლოდან – სომხურენოვანი „მშაკი“, რომელიც არა პარტიული, არამედ საქალაქო ნიშნით იყო შეჩერებული (ქ. ტფილისი) და მისი რედაქტორი 1913 წლიდან, გარდაცვლილი ალექსანდრე ქალანთარის ნაცვლად მისივე ვაჟი ლევონ ქალანთარი გახდა. (193. 300).

სათათბიროს შიგნით არსებობდა კომისიები, მათგან 8 მუდმივებედი იყო. არსებობდა დროებითი კომისიებიც. სამივე ქართველი დეპუტატი აქტიურად იყო ჩართული კომისიების მუშაობაში. მათ თითქოს განაწილებული პქონდათ ფუნქციები და ჩვენს წარმომადგენლებს არცერთი კომისია არ დაუტოვებიათ უყურადღებოდ. შედარებით ნაკლებად დაკავებული მათ შორის, როგორც ფრაქციის თავმჯდომარე და ამდენად ფრაქციული მუშაობით დატვირთული, იყო კარლო ჩხეიძე. ამასთან განმკარგულებელ კომისიაში, 6-კაციანი ქვეპომისიის მდივნად არჩეული იყო ვარლამ გელოვანი. ამ სტატისტიკური მონაცემებიდან თვალნათლივ იკვეთება ქართული დეპუტაციის – მემარცხენე ბანაკის წარმომადგენელთა განსაკუთრებული აქტიურობა. თუ გავითვალისწინებთ, რომ მუდმივი კომისიების მუ-

შაობაში დეპუტატთა 55% იღებდა მონაწილეობას, 3 ქართველი დეპუტატის 5 ადგილი (რაც 165% ნიშნავს) უდაოდ მაღალი მაჩვენებელია. ამის გარდა დროებით კომისიებშიც საქმაოდ აქტიურობდნენ ჩვენი დეპუტატები. ჩევიძე სამიწაომოქმედო კომისიაში, ჩეგნკელი – „ნაკაზის“ კომისიაში, ხოლო გელოვანი და ჩეგნკელი ერთად 3 კომისიაში (სასამართლო რეფორმების, ადგილობრივი თვითმმართველობის, საკანონმდებლო განზრახულობათა მიმართულებების) მოღვაწეობდნენ.

#### **IV სახელმწიფო სათათბიროს მუდმივმოქმედი კომისიები**

1. საბიუჯეტო – 67 კაცი (თავ: ალექსეენკო – ოქტიაბრისტი) – **ჩეგიძე**
2. საფინანსო – 44 კაცი (თავ: დერიუგინი – ნაციონალისტი) – **გელოვანი**
3. ბიუჯეტის აღმასრულებელი – 44 კაცი (თავ: გოდნევი – ოქტიაბრისტი)
4. სარედაქციო – 11 კაცი (თავ: მეიენდორფი – ოქტიაბრისტი)
5. შეკითხვების – 44 კაცი (თავ: ვეტჩინინი – ნაციონალისტი) – **ჩეგნკელი**
6. საბიბლიოოთებელი – 11 კაცი (თავ: გაისკოპოსი ანატოლი – მემარჯვენებელი)
7. პირადი შემადგენლობის – 11 კაცი (თავ: სკოროპადსკი) – **ჩეგნკელი**
8. განმკარგულებელი – 22 კაცი (თავ: კოგზანი – ოქტიაბრისტი) – **გელოვანი**

დიაგრამულად ქართველი დეპუტატების კომისიებში საქმიანობა შემდგანაირად გამოისახება.

კომისია	გელოვანი	ჩეგიძე	ჩეგნკელი
დროებითი	3	1	4
მუდმივი	2	1	2
სულ	5	2	6

ქართველი დეპუტატების ერთიანობას მათი საერთო მემარცხენებია განაპირობებდა. უკიდურეს მემარცხენეთა ბანაკი, მიუხედავად სიმცირისა (14 სოციალ-დემოკრატი, 10 ტრუდოვი-

კი), ყველასათვის ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა, „რადგან ყველამ იცოდა, რომ ისინი მოსახლეობის დიდი უმრავლესობის რჩეულნი იყვნენ“ – სამართლიანად შენიშნავს არონ ავრეხი (89. 47).

ორივე ფრაქციაში 1-1 წარმომადგენელი (ტრუდოვიკი ძიუბინსკი და სოციალ-დემოკრატი ჩხეიძე) იყვნენ წინა სათათბიროს დეპუტატები და ბუნებრივია სწორედ ისინი აირჩიეს ფრაქციის ლიდერებად. ტრუდოვიკთა შორის საუკეთესო ორაგორად აღექმდნენ კერძნსკი ითვლებოდა და მცირე ხანში ფაქტიურ ლიდერადაც – ფრაქციის თავმჯდომარედ იქცა (იხ. II თავის § 5), მესამე პოზიცია – ფრაქციის მდივნის პოსტი, ეპაზა ვარლამ გელოვანს.

სოციალ-დემოკრატთა შორის აღიარებული ლიდერი იყო კარლო ჩხეიძე და ისევე როგორც წინა სათათბიროში ამჯერადაც ფრაქციას თავმჯდომარეობდა. ფრაქციის 2 მიმართულებიდან ბოლ შევიკთა 6-ელი, როგორც მუშათა კურიის დეპუტატები, მალინოვსკის მეთაურობით, არჩეულნი იყვნენ ძირითადად ცენტრალური რუსეთის სამრეწველო ოლქებიდან. მენშევიკები კი განაპირა რაიონებიდან, მათ შორის 3 კავკასიელი იყო (ჩხეიძე, ჩხერიელი, სკოდელევი – ფრაქციის მდივანი).

ტრუდოვიკთა ფრაქციაში მაღალი წრის საზოგადოების სიმრავლე და სოციალ-დემოკრატთა შორის კაგებსიელების პრიმიტივისა და მიმართულების განაკვეთობის გადასაცემი და დეპუტატების გელის განვითარება (203. 20). აი ეს ნაწყვეტიც:

„Трудов не любит трудовик.

А "пролетарии всех стран"

Слились в один кавказский стан“.

IV სახელმწიფო სათათბირო 58-თვიანი არსებობის მანძილზე მოწვეველი იყო 5-ჯერ. თითოეული მოწვევა, როგორც წესი შედგებოდა: საშემოდგომო, საზამთრო და საგაზაფხულო სესიებისგან. თუმცა I მსოფლიო ომის დაწყებამ სათათბიროს ჩვეული რიტმული მუშაობა კალაპოტიდან ამოაგდო. IV სახელმწიფო სათათბიროს სამუშაო გრაფიკი ამგვარია:

სესიები	I	II	III	IV	V
საშემოდგომო	15.XI –	15.X –		19.VII –	1.XI –

	21.XII.1912	7.XII.1913		3.IX.1915	16.XII.1916
ზამთრის	21.I – 5.IV.1913	14.I – 28.III.1914.	27.I.1915	9.II – 27.III.1916	14.II – 27.II.1917
საგაზაფხულო	24.IV – 25.VI.1913	15.IV – 20.VI.1914		16.V – 20.VI.1916	
	26.VII.1914 (საგანგებო სხდომა)				

როგორც ამ განრიგიდან ჩანს სათათბიროს მუშაობაში იყო 1 წლიანი, ფაქტიური უმოქმედობის პერიოდი. საომარ პირობებში ცარიზმი ყველანაირად შეეცადა საკანონმდებლო ორგანოს თავიდან მოშორებას, რასაც საშინაო ვითარების გართულება და მასობრივი უქმაყოფილება მოჰყება. დაძაბულობაში პიქს მიაღწია 1915 წლის შემოდგომაზე. ყველა პოლიტიკური ძალა თუ საზოგადოებრივი გაერთიანება ერთხმად მოითხოვდა სათათბიროს მოწვევას. მემარჯვენე ოქტიაბრისტები გუჩქოვის მეთაურობით ამის აუცილებლობას სწორედ საომარი პირობებით ხსნიდნენ (99. 14186; 191), რუსეთის საქალაქო და საერობო კავშირების კრებები დემოკრატიული მონაპოვრების ხელყოფად, „წარსულ სიბრძეები მიბრუნების მცდელობად“ უთვლიდნენ პრემიერ-მინისტრს ამ გადაწყვეტილებას (113. 206), ნიშანდობლივია რომ პრემიერის ამ თვითნებობას, რაც რა თქმა უნდა იმპერატორისა და რასპუტინისგან იყო კურთხეული, პროტესტით შეხვდა თვით მინისტრთა კაბინეტი და საზონოვი (საგარეო საქმეთა მინისტრი) გადადგომითაც კი დაიმუქრა (1. 17).

ტრუდოვიკთა ლიდერი კერძნები დათხოვნის მოტივს – „დუმა არეულობის და რევოლუციის ბუდეა“, წინასწარგამიზნულ დემაგოგიად თვლიდა, „ამ ტუეილით სურთ დუმაზე ხელის შეწმენდა ქვეყანაში გამეფებული ქაოსის გამო და ამდენად სამართლიანად მოაჩვენონ დუმის დათხოვნაც“ (92. 204). საერობო კრების სახელზე იმპერატორისთვის წარსადგენ მოთხოვნათა შორის ერია მოსკოვის ქალაქის საბჭოსთვის გაგზავნილი 2 დეპეშა ივანე ანდრონიკაშვილის (ბათუმის ქალაქის საბჭო) და ივანე ჩიქოვანის (ქუთაისის ქალაქის საბჭო) ხელმოწერით (1. 51). დეპეშებში გამოთქმული იყო მხარდაჭერა სათათბიროს მოწვევასთან დაკავშირებით.

## §2. საქართველოს საკითხის რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროში

IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირება საქართველოსთვის ავტონომიურ უფლებათა მინიჭების საკითხის გარშემო კონცენტრირდებოდა. სათათბიროში წარგზავნილი დეპუტატიც ამ ნიშნით განიზომებოდა.

სოციალ-დემოკრატები, განთქმულნი ნიპილიზმით ყოველივე ეროვნულის, განსაკუთრებით კი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მიმართ პირველი ბურჯუაზიული რევოლუციის შემდეგ იძულებულნი ხდებიან ტაქტიკური მოსაზრებით შეცვალონ დამოკიდებულება (42. 14).

ქართველ სოციალ-დემოკრატებში (მხედველობაში გვაქვს მენშევიკთა ფრაქცია, რადგან ბოლშევიკები ლეგალურ პოლიტიკურ ცხოვრებაში ფაქტიურად არ მონაწილეობდნენ) თავი იჩინა სამა მიმართულებამ:

1) პარტიას გამოეყო ავტონომისტთა ფრაქცია ვლადიმერ დარჩიაშვილის მეთაურობით, რომელმაც 1908 წლიდან გაზირ „ალიონის“ საშუალებით დაიწყო თავისი იდეების პროპაგანდა.

მათი აზრით კავკასია უნდა ყოფილიყო მთლიანი ავტონომიური ერთეული, რომლის შიგნით იარსებებდა ტერიტორიული (კომპაქტურად მოსახლე ქართველებისთვის) და კანტონური (გაფანტულად და შერეულად მოსახლე სომებ-თათართათვის) თვითმმართველობები.

2) პარტიის ერთ-ერთმა ავტორიტეტულმა ლიდერმა აკაკი ჩხერიაშვილმა იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს შეზღუდული თვითმმართველობის იდეა წამოაყენა (ფაქტობრივად ფართო საერობო თვითმმართველობა). იგი უარყოფდა მთელი კავკასიის ავტონომიის იდეას, პრინციპით „მოშორებული ცენტრალიზმი ისევ სჯობს მახლობელ ცენტრალიზმს“.

საინტერესოდ არის სოციალ-დემოკრატთა ეს განწყობა ნაწვენები კავკასიის მეფისნაცვლის უქვეშევრდომილეს ადრესში: „მათ ჯერ საბოლოოდ ვერ დაუდგენიათ პროგრამა და ავტონომიის სახეობა. თუმცა ზოგადად სეპარატიზმი არ არის საშიში, რადგან კომპაქტური მოსახლეობა კავკასიაში არ არის, ერგი

ერთმანეთშია შერეული და არავინ მოისურვებს რუსი მმართველობის ნაცვლად სხვა ერის მმართველობა ჰყავდეს“ (196. 20).

პოლიეთნიკურობის შემთხვევაში პოლიტიკური ავტონომიის დაუშვებლობა იყო 1912 წლის 10 დეკემბერს სახელმწიფო სათათბიროს სხდომაზე ჩენკელის მიერ წარმოთქმული სიტყვის ძირითადი პრინციპი. ამავე პრინციპთ ქართველ მენშევიკთა აღიარებული ლიდერი ნოე ქორდანია 1912-1915 წლებში ეროვნულ საკითხზე გამოქვეყნებულ წერილებში მხარს უჭერს კავკასიის ავტონომიას – არა პოლიტიკურსა და ეთნიკურს, არამედ ეკონომიკურს, „რადგან საქართველო შეიძრო კავშირშია კავკასიის სხვა კუთხებთან და შეადგენს ერთ ეკონომიკურ ერთეულს“. ქორდანია, რომელიც კულტურული ავტონომიის პოზიციაზე იღგა, მოგვიანებით აღიარებს ტერიტორიულ-განტონურ, „დარჩიაშვილისეულ“ ავტონომიას. (158. 63).

3) ტრადიციული, ორთოდოქსული პოზიცია, წერეთლის და ჩეიიძის მეთაურობით, რომელიც კატეგორიულად უარყოფდა „კლასობრივ ბრძოლაში პოლიტიკურიატის ძმური ერთიანობის გამთიშველ ყოველგვარ ავტონომიას“, როგორც კარლო ჩეიიძე აცხადებდა სახელმწიფო სათათბიროზე: „რუსეთის ყველა ერებს უნდა მიენიჭოთ თავისუფლება. ამ თავისუფლებას კი ანიჭებს თავის თავს და სხვებსაც ის, ვინც მას თავისი მახვილის წვერზე ატარებს. მხოლოდ მაშინ, როცა რუსის ხალხი თავს გაინთავისუფლებს შეიძლება შეუდგეს თავის ტანჯულ ძმების განთავისუფლებას. არც IV ღუმას და არც მთავრობას არ შეუძლია თავისუფლების მიცემა“ (53. 7).

ავტონომიის საკითხზე სოციალ-დემოკრატებთან მძაფრი დაპირისპირება და პოლემიკა ჰქონდა ვასილ წერეთელს, ნაციონალისტთა „ძევლი“ და „ახალი“ თაობის თავისებურ მეცავშირეს, ეროვნულ-დემოკრატთა იდეურ წინამდღოლს.

„ურ“ სოციალ-დემოკრატების პარტიას ნახევრადხუმრობით „არ გვინდა ავტონომიას“ პარტიას უწოდებს. მათ იქნება პრინციპით გამოიყენეს ავტონომიის იდეის პოპულარობა რევოლუციის პერიოდში, შემდეგ კი ხელი აიღეს და კატეგორიულად უარყვეს. თუმცა თვით მათი პარტიის რიგებში ფრაქციების გაჩენა და ეროვნული საკითხის სერიოზული გადასინჯვა მოწმობს, უროს აზრით, სოციალ-დემოკრატის იდეურ კრიზისზე და ეროვნულ-დემოკრატიული იდეების გამარჯვებაზე

(42. 27). ამ აზრს ემხრობა გიორგი ლასხიშვილიც, ფედერალისტთა ერთ-ერთი ლიდერი და საბუთად სათათბიროს არჩევნების შედეგები მოჰყავს.

ორივე გუბერნიაში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობიდან 38 კაცი ეკუთვნოდა ან მხარს უჭერდა სოციალ-დემოკრატებს, ხოლო 36 კაცი სოციალისტ-ფედერალისტებს (147. 281). ეს მონაცემები უდაოდ მეტყველებს ფედერალისტთა პოპულარობის გაზრდაზე, ისევე როგორც ეროვნულ საკითხში სოციალ-დემოკრატების მარჯვნივ გადახრაზე.

ვასილ წერეთელი ავტონომიის საკითხზე მსჯელობისას ხშირად მიმართავს პოლიტიკურ პარალელიზმებს, რაც მის ნააზრებს კიდვე უფრო საინტერესოს ხდის. იგი სოციალ-დემოკრატებს დემოკრატიის ნაკლებობას საყვედურობს, რადგან „იყო დემოკრატი მუშათა საკითხში და ამავე დროს გეჯავრებოდეს ავტონომიის ხსენებაც კი, დემოკრატია არ არის“.

„ურ“ დემოკრატიის ნიმუშად მიიჩნევს აშშ და სხვა ფედერალისტურ სახელმწიფოებს (შეეიცარია, ავსტრალია, კანადა), სადაც თითოეულ შტატს თავისი პარლამენტი და მთავრობა გააჩნია, რაც ბიუროკრატიზმს მაქსიმალურად ზღუდავს. ვინაიდან დემოკრატია წარმოუდგენელია ცენტრალისტურ, თანაც მონარქიულ სახელმწიფოში, ავტონომიაზე „გამწერალი“ სოციალ-დემოკრატები მათდა უნგბლივდ გამოდინ ცარიზმის დამცველებად. სოციალ-დემოკრატთა ძირითადი დებულების, რომ ჯერ სოციალური თავისუფლების მოპოვებაა საჭირო მთელ იმპერიაში და შემდეგ ცალ-ცალკე ნაციონალურის, საპასუხოდ ვ. წერეთელი იშველიებს ოსმალეთის იმპერიის მაგალითს, როდესაც სულთნებმა ვერ გამოიჩინეს სათანადო წინდახედულება, არ მიანიჭეს ავტონომია არაბებს, მაკედონელებს, ალბანელებს, რითაც ხელი შეუწყვეს იმპერიის რდვევას (42. 28).

სათათბიროს მუშაობის დაწყების წინ ვარდამ გელოვანს ინტერვიუ ჩამოართვა ბაქოში გადასახლებულმა უურნალისტმა განმა (ცნობილი ქართველი ფედერალისტი გიორგი ლასხიშვილი) (149. 70). დეპუტატმა ისაუბრა თავის სამომავლო გებმებზე, ხაზი გაუსვა, რომ აღიარებს რუსეთის ერთიანობას, მაგრამ აუცილებლად თვლის ამ ფარგლებში ერთა თვითგამორკვევას და ავტონომიას, როგორც ქართველებისთვის, ისე იმპერიას და ავტონომიას, როგორც ქართველებისთვის, ისე

რიის სხვა ერებისთვის, რაც გამორიცხავს ეროვნულ უმცირესობათა შეზღუდვას.

ვ. გელოვანი ავტორიმიას თვლიდა თავისი საღეპუტატო მოღვაწეობის პროგრამა – მაქსიმუმად, დაუყოვნებლივ განსახორციელებლად კი მიჩნევდა ეკლესის, ერობის, უმაღლესი სკოლის, ქართული ენის უფლებისათვის მუშაობას.

გელოვანი თავის შესაძლებლობებს რეალურად აფასებდა და აცხადებდა, რომ მისი ფუნქცია ამოიწურებოდა რესი ხალხისათვის ქართველობის სურვილის და მისწრაფებების გაცნობით, მაგრამ იმ დროისათვის ესეც წინგადადგმული ნაბიჯი იყო, რადგან ქართველი ერის ინტერესების და მოთხოვნილებების შესახებ რესეთის საზოგადოებამ თითქმის არაფერი იცოდა.

ვ. გელოვანის პასუხისმგებლობაზე და მუშაობის სურვილზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მან შრომის ჯგუფს მიაშურა, რითაც თავი აარიდა მარტოხელა დეპუტატის უწეო მდგომარეობას და იმთავითვე განაცხადა, რომ ჭიდროდ ითანამშრომლებდა კავკასიის სხვა დეპუტატებთან, მიუხედავად იმისა, რომ მათი უმეტესობა სოციალ-დემოკრატი იყო (41. 99).

ცარიზმის ნაციონალური პოლიტიკის შერბილება და სიფრთხილე დაადასტურა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კლადიმერ კოკოვცევის საანგარიშო მოხსენებამ სახელმწიფო სათათბიროს სხდომაზე. მოხსენებაში მან გვერდი აუარა ეროვნულ პრობლემას, გაკვრით ისაუბრა ერობის თაობაზე, მხოლოდ არა კავკასიაში.

კოკოვცევის დეკლარაციაში კავკასია მიჩნეული იყო თვითმმართველობისთვის უუნარო, არაპრაქტიკულ რეგიონად. არარუსები პრემიერმა „ნაცმენთა“ (ეროვნული უმცირესობა) ერთიან, დამამცირებელ კატეგორიაში მოაქცია, მისი თქმით „რესეთის ორთავიანი არწივის ფრთხებქვეშ ყველა ეროვნება იპოვის ადგილს მშვიდობიანი ცხოვრებისათვის“ (141. 56).

მოგვიანებით კოკოვცევი კიდევ უფრო მეტ სიფხიზდეს და სიფრთხილეს მოითხოვს, სტოლიპინის მეთოდებით გამოწვეული რეაქციის გასანეიტრალებლად. შინაგან საქმეთა მინისტრ მაკლაკოვთან შეხვედრისას პრემიერმა მოითხოვა იმპერიის მასშტაბით ეროვნული საკითხის გაუმწვავებლობა, რადგან ეროვნული შედლი ხელს უშლის ჯანსაღ სახელმწიფოე-

ბრივ პოლიტიკას, რუსეთის იმპერიას კი დიდშინიშვნელოვანი საქმები აქვს გადასაწყვეტი. „საგარეო ვითარებაც დაძაბულია, ამ პირობებში დია რუსიფიკატორულ პოლიტიკაზე ხელის აღწებაა საჭირო“ – ასკვნიდა მთავრობის თავმჯდომარე (61. 4).

საქართველოს მიმართ რუსეთის იმპერიის დამოკიდებულ უბის შეფასებაში (ნიკოლოზ II-ის მმართველობის პერიოდი) არ-სებობს ალტერნატიული მოსაზრებებიც, რომ იმპერატორი ქართველი ერისადმი კეთილდად იყო განწყობილი და არაერთხელ გაუკეთებია სასარგებლო საქმე, მაგრამ თავი რომ დავანებოთ საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე „სისხლიან“ ოცნებელს (ნიკოლოზ II-ის ეპოქა), რუსეთის იმპერიის ინტერესებში ქართული საქმის კვთება ვერაფრით ვერ მოთავსდებოდა. უბრალოდ ნიკოლოზ II-ის დროს უკვე დამდგარი იყო იმპერიის დაისი და ტრადიციული პოლიტიკა „მახვილი და თაფლაკერი“ უფრო მკვეთრი და სწრაფად შენაცვლებადი გახდა.

რუსეთის პირველი რევოლუციის მიწურულს თავისუფლების შეგრძნებამ იმ ზომამდე მიაღწია, რომ რუსეთის საერობო და საქალაქო მოღვაწეთა კრებაზე (მოსკოვი, 1905 წლის სექტემბერი) მიღებულ დადგენილებაში აღინიშნა: „როცა დამყარდება სამოქალაქო თავისუფლება და განხორციელდება წესიერი სახალხო წარმომადგენლობა საკონსტიტუციო უფლებით (ე. ი. სახელმწიფო სათათბირო – ბ. კ.), მთელი იმპერიისთვის გაიხსნება გზა ადგილობრივ ავტონომიათა დასამყარებლად“ (155. 53), მაგრამ ამ დადგენილების გამომწვევი სულისკვეთება ჩქარა „სტოლიპინის პალსტუხებით“ გაიფანტა, რამაც 5-6 წლის მანძილზე განსაზღვრა რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკა.

მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ნიკოლოზ II-ის თავისებურ დამოკიდებულებას ქართველებისადმი (ისიც ფაქტია, რომ სასახლის კამარილიაში მრავლად იყვნენ ქართველები, მათ შორის: სახელმწიფო საბჭოს არქივარიუსი ფანქულიძე, იალტის ქალაქისთავი ივანე ლუმბაძე, მიხეილ ანდრონიკოვი, მეფის მამინაცვალი გიორგი შერვაშიძე-201. 584; 206. 225, 250, 265), რაც იმპერატორის სენტიმენტალური ბუნებითაც შეიძლება აიხსნას, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამას არ ჰქონდა და არც შეიძლებოდა ჰქონდა პოლიტიკის რანგში აყვანილი ხასიათი („ქართველთა მფარვე-

ლობა“ აბსოლუტურად დისონანსურია რესეთის საიმპერიო პოლიტიკასთან მიმართებაში), ვინაიდან ყველა იმ მმართველმა, რომელმაც დაუშვა გადახვევა სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან სიცოცხლით ზღვი საკუთარი სისუსტისათვის (რომანოვთა დინასტიიდან პეტრე III-ის და პავლე I-ის გახსენებაც საპარამოა ამის ნათელსაყოფად).

ნიკოლოზ II-ის „თბილი“ დამოკიდებულება ქართველებისადმი შემოიფარგლებოდა ვიწრო-ნათესაური წრით, რომელიც ბაგრატიონთა გვართან იყო დაკავშირებული.

საქმე ეხება ერთი რომანტიკულ-ტრაგიკული სიყვარულის ისტორიას, რომელმაც ერთმანეთს დააკავშირა ბაგრატიონთა და რომანოვთა სამეფო გვარები. ერეკლე II-ის ქალიშვილის და სიძის იოანე ბაგრატიონ-მუხრანბატონის ჩამომავალმა, მუხრანბატონთა უმცროსი შტოს წარმომადგენელმა კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-მუხრანბატონმა (1889-1915), რომელიც სამეფო დაცვაში მსახურობდა ფლიგელ-ადიუტანტად, გაიცნო და თავდავიწყებით შეივარა ნიკოლოზ II-ის ძმისწული ტატიანა კონსტანტინეს ასული რომანოვა. ქალიშვილმაც გრძნობას გრძნობით უპასუხა და ახალგაზრდებმა ოჯახის შექმნა გადაწყვიტეს. ამ ამბავს უარყოფითად შეხვდა სასიმამრო, დიდი მთავარი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე, რომლის ერთ-ერთ არგუმენტს ისიც წარმოადგენდა, რომ სასიძო მათ საიმპერატორო დირსებას არ შეეფერებოდა. ამბავი შეიძლება ტრაგიკულად დასრულებულიყო, რომ თვით ნიკოლოზ II არ ჩარეცდის საქმეში. მას როგორც ჩანს მოეწონა ტატიანას რჩეული, ამიტომ თვითონვე დალოცა ახალგაზრდა წყვილი და ძმაც დააწყნარა, განუმარტა ბაგრატიონთა უძველესი ისტორია და სამეფო დირსება. ისიც ადნიშნა, რომ დამოყვრება ასეთ ძველ და საპატიო გვართან რომანოვებისთვის სასიხარულო უნდა ყოფილიყო.

მოგვიანებით კონსტანტინე მუხრანბატონმა მოხალისედ მიაშერა პირველი მსოფლიო ომის ფრონტს (როგორც სამეფო ოჯახის წევრი იგი არასამსედროვალდებული იყო) და რუსული მონარქიისადმი უსაზღვრო რწმენით აღსავსე ტრაგიკულად დაიღუპა ომში. (სიკვდილის შემდეგ დააჯილდოვეს გიორგის ჯვრით). ამ უპანასხელ დასკვნას ის ამბავიც ადასტურებს, რომ მან კატეგორიული უარი უთხრა ანტირუსულ შეთქმულება-

ბაში თანამონაწილეობაზე ქართველ თავადიშვილებს – რუსული არმიის ოფიცერებს (183. 109-121).

ალბათ სწორედ ამ ნათესაური გრძნობების გამოხატულება იყო ნიკოლოზ II-ის მხრიდან ქართველი მონარქიის აღდგენის მცდელობა, რასაც ბუნებრივია ფორმალური ხასიათი ექნებოდა, ისევე როგორც ფინეთსა და პოლონეთში, მაგრამ ოდნავ მაინც დააკმაყოფილებდა ქართველთა ეროვნულ თავმოყვარეობას, რაც ნაწილობრივ უპასუხებდა რუსეთის სახელმწიფოუბრივ ინტერესებს – ზემოდან შეკვეთილი აგზონომიით გაეწიობრალებინათ საქართველოში ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის გავლენა.

სწორედ ამ პრინციპით იქნა შერჩეული მონარქის კანდიდატურა – იგი არაქართველი და რომანოვების უურმოჭრილი მონაუნდა ყოფილიყო, გეორგიევსკის ტრაქტატის ფიქტიური აღდგენის გამოხატულება. საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შვილთაშვილს ილია გრიგოლის ძე ბაგრატიონს, გარდაცვლილს 1899 წელს, დარჩა ქვრივი ელისაბედ ბეზობრაზოვა. სწორედ ეს საიმედო და უწყინარი ქალი შეარჩიეს საქართველოს მომავალ დედოფლად.

1907 წლის დეკემბერში რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ ელისაბედ ბეზობრაზოვა-ბაგრატიონისა აღიარა საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეობა, მაგრამ ელისაბედი არ დაპაყოფილდა ფაქტიური ტიტულით და შეეცადა რეალური ძალაუფლების მოპოვებასაც. მან „საქართველოს საკითხი“ განსახილებად შეიტანა სენატში, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მინისტრთა საბჭოში. 1910 წელს ჩამოვიდა ტფილისში და დაიწყო პროკლამაციების გავრცელება „მონარქის აღდგენის“ მოწოდებებით. უანდარმერიამ ელისაბედ ბაგრატიონს თვალყურის დევნება დაუწყო.

1912 წლის ზაფხულში ქართველი თავადაზნაურობის მადალ ჩინებში გავრცელდა მისი ბროშურა „შეკითხვა სახელმწიფო სათათბიროს კავკასიის აღმინისტრაციის უკანონო საქმიანობის შესახებ“, რამაც განსაკუთრებული აუიოტაჟი გამოიწვია. ჩქარა მეფისნაცვლის მოადგილეს სენატორ ვატაცის შეატყობინეს, რომ პოლიციას ხელთ ჩაუგარდა ბროშურა „სრულიად რუსეთის ისტორია – ქართველი საკითხი“, რომლის აგზორის – ელისაბედ ბაგრატიონის აზრით საქართველოს საკითხი „საერ-

თაშორისო ტრაქტატს“ (გეორგიევსკის) უყრდნობა, რუსეთის იმპერია კი მხოლოდ მოსკოვის სახელმწიფოსგან როდი შედგება, არამედ სხვა განაპირო ქვეყნებისგანაც (180. 13).

ამდენად ელისაბედ ბაგრატიონი გეორგიევსკის ტრაქტატის ფარგლებში საქართველოს ავტონომიურ მონარქიას მოითხოვდა. არ არის შემთხვევითი, რომ პეტერბურგში მის წარმომადგენლად და ადგომატად დანიშნული იყო ვარლამ გელოვანი, რომელიც შესაძლებელია ელისაბედის ფართო პოლიტიკურ განაზრახშიც – პოლიტიკური პარტიის შექმნაშიც იღებდა მონაწილეობას. ამ ორგანიზაციის „უნდა დარქმეოდა „სრულიად რუსეთის სახალხო კავშირი“ და უნდა გამოერკვია იმპერიის მეტროპოლიასა და კოლონიზებულ ერებს შორის არსებული წინააღმდეგობის საფუძველები, რომლის მიზეზი „წმინდა ხასიათის ფაქტების უცოდინრობით აიხსნება“.

ბუნებრივია ასეთ სერიოზულ პოლიტიკურ მოდვაწეობას იმპერიის უშიშროების სამსახურები გულგრილად ვერ შეხედავდნენ. ელისაბედ ბაგრატიონი ჯერ ძალის გამოყენებით გაიწვიქს პეტერბურგს, იქ კი ყოველმხრივ შეზღუდეს და მის აურაცხელ საჩივრებს და პრეტეზიებს 1913 წლის 30 იანვარს უზენაესი სენატის საბოლოო განახენით უპასუხეს. (180. 13).

მართალია ელისაბედ ბეზობრაზოვას ტახტ-გვირგვინი არ დირსებია, მაგრამ ნიკოლოზ II-საც თავისი 1907 წლის გადაწყვეტილება არ შეუცვლია, რაც იურიდიულ იარაღად იქცა საქართველოს ავტონომიისათვის მებრძოლთათვის.

ცარისტული კოლონიალიზმის პირობებში არსებულ ფაქტიურად ერთადეგრო თვიციალურ ეროვნულ დაწესებულებას – თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს პირველი რევოლუციის გარიერაჟზე გაუზინდა სურვილი ხელმწიფე-იმპერატორისთვის შეეხსენებინა საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიული საფუძვლები და ის უფლებებიც, რაც ქვეყნას გეორგიევსკის ტრაქტატმა დაუტოვა.

ხელმწიფე-იმპერატორის მემკვიდრე ალექსის დაბადებასთან დაკავშირებით საკრებულომ უქვეშევრდომილესი ადრესი და მილოცვა აახლა ნიკოლოზ II-ს. ილია ჭავჭავაძის, გრიგოლ დიასამიძის და მიხეილ გელეგანიშვილის ინიციატივით მეფისთვის მისართმევ ადრესში საკრებულომ ჩართო ავტონომიის, პარლამენტის და სხვა დემოკრატიული მოთხოვნები. 1905 წლის

1 აპრილს კრებამ მიხაკო მაჩაბლის წინააღმდეგობის მიუხედავად 44 ხმით 4-ის წინააღმდეგ მიიღო ადრესი (121. 116; 159. 92). ოუმცა იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ მას ბლოკირება გაუკეთა და ტფილისის გუბერნატორის საშუალებით საკრებულოს შეატყობინა – „ადრესის იმპერატორისთვის მირთმევა შეუძლებლად ვცნითო“. ამიტომ უკვე 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობა, ალბათ მეტი იმედებით აღსავსე, შეიკრიბა ავტონომიის საკითხზე სამსჯელოდ. 19 ნოემბერს სხდომამ საბოლოო დადგინდება ვერ გამოიტანა მაზრების თავადაზნაურთა წინამდოლების დაუსწრებლობის გამო (26. 2).

მიუხედავად ამისა დაბეჭითებით შეიძლება ითქას, რომ 1905 წლის 1 აპრილს საიმპერატორო კარის წინაშე პირველად დადგა ლიად საქართველოსთვის ავტონომიურ უფლებათა მინიჭების საკითხი. შეიძლება იმის ვარაუდიც, რომ უკვე ოვერლუციის ქარიშხლების გადავლის შემდეგ ნიკოლოზ II-მ და უმაღლესმა ხელისუფლებამ ზემოთაღწერილი მანევრი – საქართველოს მონარქიის ფიქტიური ადდგენის მცდელობა სწორედ ქართველი თავადაზნაურობის ამ მოთხოვნის საფუძველზე კ. ი. ქართული საზოგადოებრიობის თვალსაზრისზე დაყრდნობით გააკეთა.

ცარისტული ხელისუფლების წინაშე საქართველოს ავტონომიის მეორედ მოთხოვნა, ოღონდ ამჯერად საჯაროდ, მთელი ქვეყნის გასაგონად განახორციელა ვარლამ გელოვანმა სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან. მიუხედავად სოციალ-დემოკრატების მტკიცებისა ვარლამ გელოვანი სრულებითაც არ იყო შემთხვევითი და საქმეში ჩაუხედავი პიროვნება, რაზეც მისი სიტყვის გაწონასწორებულობა და დიპლომატიური ხასიათიც მეტყველებს.

ვარლამ გელოვანი ჯერ კიდევ 1906 წელს I სახელმწიფო სათათბიროსთან შექმნილ „ავტონომისტთა კავშირში“ მუშაობდა მდივნად (თაგმჯდომარე იუ. ა. ლევიცკი-119. 13). მათთან აქტიურად თანამშრომლობდა ილია ჭავჭავაძე და სათათბიროს კომისიაში ლევიცკის დახმარებით განსახილველად შეიტანეს საქართველოს ავტონომიის საკითხი, რაც „პოლონეთის საკითხის“ პარალელურად უნდა დამდგარიყო დღის წესრიგში (125. 109, 125), ოუმცა აღარ მოესწრო.

ლეღნიცკისთან ქართველების თანამშრომლობა შემდგომშიც გაგრძელდა, როდესაც I მსოფლიო ომის პირობებში შესაძლებელი გახდა პოლონეთის დამოუკიდებლობა და 1916 წლის 17 აგვისტოს გიგო აღმიბაიამ და კიტა აბაშიძემ მიღოცვის წერილი გაუგზავნეს ლეგნიცკის, პასუხად მან თანადგომის და ერთად ბრძოლის სურვილი გამოხატა. პოლონეთის დამოუკიდებლობის კონტექსტში „საქართველოს საკითხმა“ საერთაშორისო დონეზე გაიყდერა მიხაკო წერეთლის და გიორგი კერესელიძის 1917 წლის 25 იანვრის მიმართვაში აშშ პრეზიდენტ კუდრო ვილსონისადმი. მიმართვაში გამოთქმული იყო მადლიერება პრეზიდენტის ჰუმანური იდეებისადმი, პოლონეთის დამოუკიდებლობის ცნობის გამო და თხოვნა, მომავალ საზავო კონგრესზე მხარდაჭერა გამოცხადებინა საქართველოს დამოუკიდებლობისთვისაც. (69. 22).

პოლონეთის სახელმწიფო ორგანიზაციის უფლებათა ოფიციალურმა ადიარებამ მაღალჩინოსან ქართველ მოხელეებსაც გაუდივა იმედები, განსაკუთრებით 1915 წლის 25 აგვისტოდან კავკასიის მეფისნაცვლად ყოფილი მთავარსარდლის, დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის დანიშნის შემდგომ. ცნობილი იყო მისი სიმპატიები ქართველების მიმართ, ალბათ ამით შეთამამებულმა ქუთაისის ქალაქის თავმა ჩიქოვანმა მისასალმებელ დეპუტაში ჩართო ფართო პოლიტიკური თვითმმართველობის მინიჭების თხოვნა, რაც უპირველესად მსოფლიო ომში ქართველთა განსაკუთრებული თავდადებისა და სისხლდათხევისთვის ბოძებული ჯილდო უნდა ყოფილიყო.

რუსეთის მინისტრთა საბჭოს თაგმჯდომარის ვ. კოკოვცევის გამოხვდის პასუხად ვ. გელოვანმა თავისთავზე აიღო კავკასიაში საერთო რეფორმის პროექტის სათათბიროზე გატანის მოთხოვნა-შეკითხვის ინიციატივა და სხვა დეპუტატებისგან ხელმოწერებიც შეაგროვა სათანადო კვოტის დასაგროვებლად (46. 14). მას ეს იმდენად აუცილებელ და საშუალებელი მიაჩნდა, რომ ბაქოში სასიკვდილო სარეცელს მიჯაჭვული შვილიც კი დატოვა, რომელიც მამის უნახავად გარდაიცვალა. ვ. გელოვანის დიდ სულიერ სიმხეევეს და ვაჟკაცობას საგანგებოდ აღნიშნავს შვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გაგზავნილ სამძიმრის დია წერილში არჩილ ჯორჯაძე (61. 779).

1912 წლის 13 დეკემბერს ვარდამ გელოვანი აფიდა სათათ-ბიროს ტრიბუნაზე. მის წინ გამოსულმა აკაკი ჩხერიძელმა კრი-ტიქული შეფასება მისცა კოკოვცევის დეკლარაციას, უურა-დღება გაამახვილა ერობის, უნივერსიტეტის არარსებობაზე, მთავრობის ტრადიციულად აგდებულ დამოკიდებულებაზე მცირებიცხოვანი ერების მიმართ და 5 წლის მანძილზე კავკა-სიის საკითხის მიფუჩხებაზე სახელმწიფო სათათბიროში (53. 3).

კიდევ უფრო ზოგადგაგასიური იყო კარლო ჩხეიძის გამოს-ვლა. რაც მნიშვნელოვანია, ორივემ კატეგორიულად უარყო კავკასიაში სეპარატიზმის ყოველგვარი არსებობა (46. 14).

ჩხერიძის „ერთა თვითგამორკვევის და თანასწორობის იდეას“ „ურომ“ ბუნდოვანი უწოდა, მთლიანად გამოსვლას კი პატივმოყვარეობის ზეიმი, პარტიული დემონსტრაცია. „უროს“ თქმით კოკოვცევის დეკლარაციის პათოსს, რომ ამიერკავკასია მზად არ არის ავტონომიისთვის, აუცილებლად უნდა მოჰყო-ლოდა დეპუტატთა უქმაყოფილება, ბოლოსდაბოლოს თვით „ანბანის უქონელი ალბანეთის დამოუკიდებლობა ცნო მთელმა ევროპამ“ – დასხენს პუბლიცისტი (42. 65).

ვარდამ გელოვანის გამოსვლა ფრთხილად და აწონილი სიტყვით იწყება, იგი დაწვრილებით ახასიათებს საქართველო-ში შექმნილ ვითარებას და მართალია რეალობისადმი ხარჯის გადახდით, მაგრამ მაინც კატეგორიულად აყენებს საქართვე-ლოს ავტონომიის საკითხს. ეს იმგვარი პოლიტიკური გამ-ჭრიახობით და მოწიფელობით გააკეთა ვ. გელოვანმა, რომ მემარცხენეთა ტაშიც კი დაიმსახურა. მისი სიტყვა გლობალუ-რად შეეხო ყველა ქართულ სატკივარს (ენის, სკოლის, კალ-სიის, სოციალური პრობლემები) და შემაჯამებლად პოლიტი-კური მოთხოვნა წამოაყენა.

ვარდამ გელოვანის სიტყვას არაერთგვაროვნად შეხვდნენ საქართველოში. ადგილობრივი სოციალ-დემოკრატები გელოვა-ნის სიტყვას სუსტად თვლიდნენ, მათი აზრით ა. ჩხერიძის სიტყვამ სავსებით გაარკვია ეროვნული საკითხი. მოგვიანებით სოციალ-დემოკრატთა აღიარებული ორატორი ირაკლი (კაკი) წერეთელი იმსაც კი აცხადებდა: „1917 წლამდე და რევოლუ-ციამდე საქართველოს ნაციონალურ-ტერიტორიული ავტონო-მიის მოთხოვნა საერთოდ არ წამოუყენებიათო“ (163. 216-217).

„კლდეისტების“ აზრით გელოვანის გამოსვლამ ვერ გამოიწვია სათანადო რეზონანსი, რაც ავტონომიის საკითხის მკრთალად დასმით კი არ იყო გამოწვეული, როგორც სოციალდემოკრატებს პგრიათ, არამედ თვით რუსული პარლამენტარიზმის სისუსტით, რომელსაც „ური გაჩვეული აქცეს ფინლანდიის „დიდ სამთავროზე“, პოლონეთის „სამეფოზე“... ამდენად ეს სიახლე ვერ აღიქვა და ვერ მიიღო სათანადოდ (47. 5). ასეთივე მოსახრებას გამოიტანა „უროც“, იგი აღფრთვანგებულია და „მართალია – წერს იგი, – ეს არ იყო უკმბარის გასკომა, მაგრამ, როგორც ცნობილია ჭეშმარიტება ძნელად მიიკვლევს გზას“ (42. 69).

საქართველოს პოლიტიკური უფლებებისათვის ბრძოლა სათათბიროში კონცენტრირდა საერობო თვითმმართველობის გარშემო, რაც სამივე ქართველი დეპუტატის მიზანს (მხოლოდ სხვადასხვა ფორმით) წარმოადგენდა. ჯერ კიდევ III სათათბიროში ამ საკითხის დასმის მცდელობას კატეგორიულად შეეწინააღმდეგა უმაღლესი მმართველობა, პრემიერ სტოლიპინის თქმით: „...[თქვენ] გადააქცევთ მათ ნაციონალურ თვითმმართველობად. ის რევოლუციური ერობებიც გვამოფა, რაც ცენტრალურ რუსეთში გვაქვს“.

III სათათბიროს თავმჯდომარე ალექსანდრ გუბრეში ამგვარად ასაბუთებდა თავის პოზიციას: „ჩვენი მიზანი კავკასიაში რუსული ელემენტის მომდლავრებაა, ერობის კანონში გვინდა შევიტანოთ მუხლი – რომლის თანახმად მოხელეოთ ნახევარი ერობაში რუსი იქნება. ამას თქვენ არ მიიღებთ, ამიტომ სულაც არაფერს არ მოგცემთ“. (211. 770).

გარდამ გელოვანმა თავისი პირველი გამოსვლის შემდგომ კიდევ 2-ჯერ, 1913 წლის 18 და 20 მაისს, სათათბიროზე ბიუჯეტის განხილვისას ლიად განაცხადა კავკასიისთვის ავტონომიური მმართველობის მინიჭების აუცილებლობაზე. მან გაუგებრობა უწოდა მემარჯვენეთა მხრიდან ვორონცოვის ლიბერალიზმის კრიტიკას – რაც მოჩვენებითია და მისი ფრთხილი ხასიათით არის გამოწვეული, სინამდვილეში კი უველაფერი ძველებურადაა. კავკასიაში რეფორმების „სიოც კი არ ქრის“ (43. 60).

გარდამ გელოვანმა მრისხანე პასუხი გასცა კოკოუცვევის საბიუჯეტო დემარშს – სადაც იმგვარად იყო დასურათებული

ვითარება, თითქოს განაპირა მხარეები, მცირერიცხოვანი ერები რუსეთის ცენტრალური გუბერნიების ხარჯზე არსებობდნენ. მან სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით დაანახა დეპუტატებს, რომ განაპირა მხარეების (ამიერკავკასია, ბალტიისპირეთი, პოლონეთი, ბელარუსია, მაღოროსია) საშემოსავლო წილი ხაზინაში 813 მლნ. მანეთით განისაზღვრება, გასავალი კი მხოლოდ 576 მლნ.-ია.

ჩვენმა დეპუტატმა ფარდა ახადა პრემიერის სტატისტიკურ მანიპულაციებს, კერძოდ ʌ/კ რეინიგზიდან 28 მლნ. მანეთის შემოსავლის დაუფიქსირებლობას, უკეთ ცენტრალურ შემოსავლებზე მიწერას, თუმცა გასავალში 20 მლნ. მანეთი – რეინიგზის შენახვის და მოვლის ხარჯები ტფილისის გუბერნიას ეკისრება. გელოვანის აზრით სამხედრო ხარჯები არ უნდა ჩაითვალოს ადგილობრივ ხარჯად, არასწორად არის დაგეგმილი „ოკრაინების“ საბიუჯეტო გასავლები – 26% სამხედრო საქმეზე და მხოლოდ 4% განათლებაზე.

ვარდამ გელოვანის აზრით ძარცვაა, როდესაც კავკასიის მთელი სავარგულების 52% ხაზინის ხელთაა. ყაჩაღობის სახე მიიღო ბიუჯეტის შევსების ისეთ მნიშვნელოვან წეაროზე, როგორც არაყია, სახაზინო მონოპოლიის დაწესებამ. მთელი იმპერიის 3 მლრდ.-იან ბიუჯეტში 1 მლრდ. არაყზე მოდის. კავკასიაში ეს ციფრი 25% აჭარბებს. ამ ფინანსური დომხალიდან ვარდამ გელოვანის აზრით ერთადერთი გამოსავალი არსებობს – საერობო თვითმმართველობა, რაც გულისხმობს პოლიტიკურ და კონომიკურ დამოუკიდებლობას (85. 139). ერობის საკითხი გელოვანმა დასვა 1914 წლის 14 მარტის სხდომაზეც (28. 14).

თვითმმართველობამ განაპირა რეგიონებში საერობო მოძრაობის თავისთვის სასურველი მიმართულების მისაცემად მოაწყო მოსახლეობის წინასწარი გამოკითხვა (41. 135), რის საფუძვლზეც მოხდებოდა საერობო საზღვრების დადგენა. ეს კი ნიშნავდა გუბერნიების და ოლქების საზღვრების გადასინჯვას, რაც ბუნებრივია შელახავდა მრავალი ერის ნაციონალურ ინტერესებს. განსაკუთრებით რთული ვითარება შეიქმნებოდა ისეთ ჭრელ რეგიონში – როგორიც კავკასიაა. ტერიტორიის გამო სხვადასხვა ერებს შორის მოსალოდნელი დაპირისპირება კი საბოლოოდ ჩაშლამდე მიიყვანდა ერობის დაწესების საქმეს, რაც შეადგენდა კიდევ ცარიზმის ინტერესს.

ფედერალისტთა შორის გაჩნდა პოზიცია (სამსონ ფირცხალავას, კიტა აბაშიძის და გიორგი ზდანოვის მეთაურობით), რომელიც ასეთ ვითარებაში კომპრომისზე წასვლას მოითხოვდა. მათი აზრით ქართული ერობის (რაც მათი რწმენით მომავალში ავტონომიად გადაიქცეოდა) სუბიექტად მხოლოდ ქართველებით კომპაქტურად დასახლებული ტერიტორიები უნდა ქცეულიყო (ე. წ. „„უდაო ტერიტორია“, „რეალური მოსახლეობის პრინციპი“), დანარჩენი კი „სადაო“ და მოლაპარაკების საგანი იქნებოდა (კარძოდ, სოხუმის ოკრუგი ანუ აფხაზეთი, ზაქათალის ოკრუგი ანუ საინგილო, ბორჩალო, ჯავახეთი და შიდა ქართლი). ამ თვალსაზრისმა გაიჟდერა კიუვის არასახლელმწიფოებრივ ერთა კონფერენციაზეც, რაც კრიტიკის ქარცხვებში გაატარეს ქართველმა ეროვნულ-დემოკრატებმა (182. 215; 126. 118.)

ევგენი კრინიცეის მიერ მომზადებული კ. წ. „გუბერნიების გადამიჯვნის პროექტი“, რომელშიც მთავარი ადგილი კავაშავიზდვისპირა გუბერნიის ფარგლებში სოხუმის ოკრუგის და ქუთაისის გუბერნიის ნაწილის შესვლას, 1913 წლის 5 აგვისტოს კავკასიის მეფისნაცვლის სახელით განსახილველად შეიტანეს სახელმწიფო სათათბიროს კომისიაში. ამ პროექტს წინ აღუდგნენ ვარლამ გელოვანი და სახელმწიფო საბჭოს წევრი ერისთავი.

კავკასიის ადმინისტრაციისგან იყო „ტფილისის გუბერნიის გადამიჯვნის პროექტის“ გატანის მცდელობა, რაც სომხური ფინანსური ოლიგარქის კარნახით იყო შედგენილი. ეს იდეა ჩანასახშივე იქნა ლიკვიდირებული. საბოლოო მცდელობა დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძესთან არის დაკავშირებული. მისი პროექტით თითოეული გუბერნია ცალკე საერობო ერთეული იქნებოდა (ე. ი. სულ 5). დადგებითი ფაქტი იყო სოხუმის ოკრუგის უშუალოდ ქუთაისის გუბერნიაზე და ზაქათალის ოკრუგის თბილისის გუბერნიაზე მიერთება. დადგესტანი, ბათუმი და ყარსი საოლქო ერობის სტატუსს მიიღებდნენ. ცალკე საერობო ერთეულებად სომეხთა მოთხოვნის საფუძველზე გამოცხადდებოდა ქალაქები ტფილისი და ბაქო. (69. 24).

ამ პროექტების გვერდის ავლით კავკასიელი დეპუტატები აქტიურად იღწვოდნენ სათათბიროში ერობის საკითხის საბოლოოდ გადასაჭრელად. უკვე ვარლამ გელოვანის ტრაგიკული

აღსასრულის შემდგომ, რომლის დამსახურებაც საერობო მოძრაობაში დეპუტატი პაპაჯანოვის თქმით განსაკუთრებული იყო, სათათბიროს კომისიის დონეზე 1915 წლის 22 ივნისს იმართება საგანგებო თათბირი (45. 21), რომლის გადაწყვეტილებათა საფუძველზეც ახალი სესიის დროს – 1916 წლის 17 მარტს ჩვენმა დეპუტატებმა დებატები მოაწყვეს პარლამენტიში.

პაპაჯანოვმა ნაციონალურ უფლებათა უკეთ უზრუნველყოფისათვის დასვა როგორი, 3-საფეხურიანი (უბანი, ოლქი, მხარე) ერობის დაწესების საკითხი. ამასთან ბოლო, სამხარეო ერობაში ნებაყოფლობით გაერთიანების უფლებით. 17 მარტის განხილვაში ნაციონალისტური განწყობილებით გამორჩეული იყო აკაკი ჩხერიძის სიტყვა, რაც სათათბიროს არსებობის ბოლოსათვის მისთვის დამახასიათებელი შეიქმნა. ეს გამოსვლა იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ამ პერიოდში სათათბიროში ერთადერთი ქართველი დეპუტატიღაა, გელოვანის გარდაცვალებას დაემატა ჩხეიძის მძიმე ავადმყოფობაც.

აკაკი ჩხერიძის თქმით, „მთავრობამ ვერაგულად დაარღვია რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება, რომლის ძალითაც საქართველოს სრული ავტონომია ეცუთვნის (იგულისხმება გეორგიევსკის ტრაქტატი – ბ. კ.), ეს ხელშეკრულება კანონთა კრებულშია შეტანილი. რა მოვალეობის შესრულება შეუძლია მოითხოვოს მთავრობამ, რომელიც თვითონ არ ასრულებს არავითარ მოვალეობას. ჩვენ მოვითხოვთ დემოკრატიულ ერობას“.

ამგვარი მძაფრი განხილვის შემდგომ სათათბირომ მიზანშეწონილად მიიჩნია კავკასიაში ერობის შემოღება და თვითმმართველობის კომისიას დაავალა კანონის მომზადება (63. 536).

ერობის საკითხი უკანასკნელად 1916 წლის 8 დეკემბერს განიხილეს. იმჯერად ჩხეიძემ და კერძნსკიმ ერთიანი ფრონტით გაილაშქრეს და დაიწუნეს საერობო კანონპროექტი, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის და საქალაქო მმართველობის უფლებათა შემბდალაფი.

საერობო მოძრაობის, როგორც ავტონომიური უფლებებისთვის ბრძოლის შემადგენელი ნაწილის, გააქტიურებას ხელისუფლებამ უპასუხა მკვეთრი დემარშით. უპე აგონიაში მყოფი იმპერია ემზადებოდა კავკასიის სამეფისნაცვლის (ამ ფორმალური სუვერენიტეტის) სალიკვიდაციოდ და კავკასიის საგენერალ-გუბერნატოროს შესაქმნელად, ექს-არემიურ ტრეპოვის

თავმჯდომარეობით (63. 775), მაგრამ თებერვლის ბურჯუაზიულ-მა რევოლუციამ ამ განზრახვასაც და სათათბიროში საქართველოს უფლებებისათვის ბრძოლის საჭიროებასაც წერტილი დაუსვა.

### §3. სოციალური საკითხები სათათბიროში და ქართველი დეპუტატები

IV სახელმწიფო სათათბიროს არსებობის პერიოდში საქართველოსთან დაკავშირებული სხვადასხვა სოციალური ტიპის იმ საკითხთა შორის, რაც ამ უწყების განხილვის საგანს წარმოადგენდა, უმნიშვნელოვანესი იყო კ. წ. „ხიზანთა საკითხი“.

ოფიციალური, დებულებითი განმარტებით ხიზანი ისეთი გლეხია, რომელიც თავისი სურვილით დაქსახლა მემამულის მიწაზე, შეინარჩუნა პირადი თავისუფლება და მიწის სარგებლობაში გარკვეულ გადასახადს იხდის. კანონით, ხიზნის სტატუსის მიღება 1891 წლიდე დასახლებულ გლეხს შექძლო (67. 18). ოუმცა, ხშირად ხიზნის სახელს, მიწის დამკვიდრების მიზნით ბევრი არახიზანი კაოტინებოდა, რასაც ტრაგედიამდეც კი მიჰყავდა საქმე. მაგალითად, სოფელ ხიზაბავრადან (ჯავახეთი) გადმოსახლებულმა ქართველ კათოლიკეთა 15 კომლმა სოფელ სკრაში იყიდა თავად შალიკაშვილის მამული 1500 დგსეტინა 40 ათასად. მათ შეიამსხანავს ადგილობრივი გლეხები და ერთად აპირებდნენ მიწის შექმნას, მაგრამ ამ განხრახვას წინ აღუდგნენ მეზობელი სოფლის ოსები, რომლებიც თავს ხიზნებად (ოუმცა მთაგრობაში არ დაუმტკიცა სტატუსი) და მიწის მფლობელებად აცხადებდნენ. შეხლა-შემოხლას 2 ქართველი გლეხი და სოფლის პატრი შეეწირნენ. ანალოგიური ვითარება შეიქმნა თავად ციციშვილის მამულთან დაკავშირებით, რომელიც შეიძინა მდივანმა, მაგრამ ოსმა ხიზნებმა იგი არ შეუშეს ნასყიდ მიწაზე. (47. 10-12, 36).

ხიზნების დიდი უმეტესობა იყენებ შიდა ქართლსა და ბორჯომის ხეობაში მცხოვრები ოსები, თითო-ოროლა ხიზანი გურია-სამეგრელოშიც იყო (126. 129). მათი მთავარი დამცველები იყვნენ სოციალ-დემოკრატები, ხოლო მოწინააღმდეგენი ეროვნულ-დემოკრატიული ჯგუფი და უურნალი „კლდე“.

შალვა ამირეჯიბის აზრით ხიზანთა ინსტიტუტი თავისთავად, თანდათანობით გაუქმდებოდა და ამ პროცესის დაჩქარება, ხიზანთა პრივატულების მდგრმარეობაში ჩაყენება ცუდის მეტს არაფერს მოიტანდა. „ქართველი თავად-აზნაურობის მამულები უცხო ელემენტს – ოს გლეხობას ჩაუგარდება ხელთ,

რაც ეთნოგრაფიულ რეგის შიდა ქართლში ძღვიერ შეცვლის“ (47. 12). პრობლემას ამგვარად უყურებდა ფედერალისტთა პარტიის მნიშვნელოვანი ნაწილი, არჩილ ჯორჯაძე... თუმცა პარტიის ერთ ჯგუფს („სახალხო გაზეთის“ გარშემო) ორჭოფული პოზიცია ეკავა, რაც გარკვეულად ამნელებდა ზედა ეშელონებში ხიზნობის საკითხის ჩვენს სასარგებლოდ დაყენებას. მეტიც, „სახალხო ელემენტი“ და „თემი“ თითქმის არ ჩამოუვარდებოდნენ სოციალ-დემოკრატებს „კლდეისტების“ შეფასებაში – „ურაპატრიოტები“, „თავად-აზნაურობის აპლოგებები“... ასეთი გაი-თეტებით ამკობდნენ ეროვნულ ძალებს (41. 123).

ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად ხიზანთა ქართველ გლეხობასთან უფლებრივი გათანაბრების უარყოფითი შედეგების შესახებ სწორი და სამართლიანი დასკვნა გამოიტანა მერაბ ვაჩნაძემ (134. 107). ხიზანის მიწაზე დაკანონება, რასაც ითვალისწინებდა ერევნის ვიცე-გუბერნატორ სტრელბიცეს და სხვა „გამათავისუფლებელი“ პროექტები, ხელს უწყობდა ქართულ მიწაზე უცხოტომელის დამკვიდრებას და ართულებდა ისედაც რთულ დემოგრაფიულ ვითარებას.

ხიზანთა განთავისუფლების საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა III სახელმწიფო სათათბიროს მიერ 1912 წლის 9 ივნისს დროებითი ვალდებულების სალიკვიდაციო პროექტის მიღების შემდგომ, რაც სახელმწიფო საბჭომ 13 დეკემბერს დაამტკიცა (122. 165). ქართველი თავადაზნაურობა მოითხოვდა ხიზნების თანათანობით განთავისუფლებას, კერძო საკუთრების შებდალვის გარეშე.

ხიზნობის საკითხი პირველად III სათათბიროში წამოჭრა სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ (1911 წლის მაისი), რაც თავადაზნაურობის წინააღმდეგობის გამო გადაიდო, საკითხის არასაკმარისად შესწავლის საბაბით. IV სათათბიროსათვის მომზადდა 2 პროექტი: 1. სოციალ-დემოკრატთა ფრაქციის (30 დეკემბერის ხელმოწერით). 2. კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოსი. ეს უკანასკნელი ხიზნების დროებითვალდებულთა მდგომარეობაში ჩაექცებას და მიწების დაუყოფნებლივ მათ საკუთრებაში გადაცემას ითვალისწინებდა (64. 1). საბჭომ უარყო თავადაზნაურობის შუამდგომლობა ხიზნებისათვის თავისუფალი მოიჯარადრის სტატუსის მინიჭების შესახებ (148. 314).

1913 წლის მაისიდან სათათბიროს აგრარულმა ქვეკომისიამ დაიწყო ხიზანთა პროექტების შესწავლა. ორგზის, 1913 წლის 29 ნოემბერსა და 1914 წლის თებერვალში მოეწყო განხილვა. ვარლამ გელოვანის დიდი მცდელობის შედეგად „სტრელბიცებისეული“ ხიზანთა პროექტი, თავდაპირუელი მოწონების მიუხედავად ქვეკომისიამ უარყოფითად შეაფასა (საინტერესოა, რომ ხიზანთა საკითხზე გელოვანს კონსულტაციებს უწევდნენ ალექსანდრე ყიფშიძე და მიხეილ მაჩაბელი). გელოვანის ამგვარმა პოზიციამ გაააგთრა სოციალ-დემოკრატები, მათ დაიდ მოთხოვეს ტრუდოვიკთა ფრაქციას, გაეძვებინა თავისი შემადგენლობიდან ვარლამ გელოვანი, ამგვარი „არამემარცხენული“ საქციელისთვის, რაც გამოიხატებოდა გლეხთა ინტერესების წინააღმდეგ გალაშქრებაში. ამ ბრალდებას მათ დაურთეს გელოვანის ძველი, საადვოკატო საქმიანობის მასალები (კ. წ. „უხუთის საქმე“), რაც მათი აზრით კიდევ უფრო ამჟაქბდა ვ. გელოვანის – „თავადობის ამ აპოლოგეტის“ პოლიტიკურ იმიჯს.

ტრუდოვიკთა ფრაქციამ და პირადად ა. კერენსკიმ დაიწყო ამ საქმის გამოძიება. მიუხედავად მასთან გელოვანის ახლო ურთიერთობისა ქართველი დეპუტატი დალიან მმიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ქართველი ეროვნული ინტერესების დაცვის მიზეზით თავისი პოზიციის ახსნა ტრუდოვიკთა ფრაქციის წინაშე, ვისოფისაც ქართველი „ეროვნული ინტერესები“ არაფრისმთხველი და მეტიც, უარყოფითი ტონის მატარებელი იყო, გაუმართლებელი იქნებოდა.

ამიტომ ვარლამ გელოვანი იძულებული ხდება განაცხადოს თავისი პოზიციის გადასინჯვის შესახებ. ამ ტაქტიკურ ნაბიჯს ამჯერად „კლდეისტების“ განრისებება მოყვა. გელოვანს უწოდეს „შანტაჟისტი“, რომელიც მხოლოდ პარტიის დირექტორებს მისდევს და ოკითონ ვერ ერკვევა საქმის არსები (48. 24). როგორც ჩანს, ეს ტაქტიკური უკანდასევის იდეა მართლაც ცენტრიდან მოდიოდა, მაგრამ ფაქტია, რომ პოლიტიკური დებატების პირველი რაუნდის მოგებით გელოვანმა უპირველესად დრო მოიგო (ცოტა ხანში I მსოფლიო ომიც დაიწყო და ხიზენები ადარავის გახსენებია, ვიდრე თვით სოციალ-დემოკრატები არ მოვიდნენ ხელისუფლებაში, 1917 წელს). პრინციპულ მიღებომას ამ საკითხისადმი შეიძლება მხოლოდ დაუჩქარებინა

ხიზნობის გაუქმების პროცესი და ევნო საქმის ინტერესებისათვის.

სხვა დანარჩენ სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით ქართველი დეპუტატები ოუ ერთიანი ფრონტით არ გამოდიოდნენ სათათბიროზე, ყოველი შემთხვევისათვის საერთო აზრი მაინც გააჩნდათ და ერთმანეთს არ უპირისპირდებოდნენ. ქართული ენის უფლებები სკოლაში, უმაღლესი სასწავლებლის და ქართული ეკლესის ინტერესები, სასამართლო რეფორმის განხორციელება კაგასიაში – საკითხთა ეს სპექტრი აღელებდათ ქართველ დეპუტატებს ომისწინა პერიოდის სათათბიროს მუშაობისას.

1912 წლის ივნისში მიღებული ახალი სასწავლო კანონის თანახმად ისედაც შეეიწროებულ მდგომარეობაში მყოფი ქართული ენა (კვირაში მხოლოდ 2 საათი), საერთოდ ამოვარდა სავალდებულო სასწავლო საგანთა რიცხვიდან და ბედის ანაბარა იქნა მიღებული ე. ი. სახაზინო დაფინანსების შეწყვეტის გამო თითოეული სკოლის პედაგვანოს ინდივიდუალურად უნდა გადაწყვიტა ესწავლებინა ოუ არა ეს საგანი და უნდა მოექცენა კერძო ქვემოქმედი, ვინც დააფინანსებდა სასწავლო ხარჯებს (44. 27). ეს ინიციატივა ეკუთხოდა ქუთაისის გუბერნიის სასწავლო ოლქის დირექტორ კრუპსკის.

საქართველოს და ქართველობის წინააღმდეგ იყო მიმართული ახალი კანონის კიდევ ერთი პუნქტი. უქმდებოდა 1882 და 1907 წლების დებულება და სახალხო და საერთო სკოლების I კლასში შემავალი ბავშვი სწავლას იმთავითვე რუსულად იწყებდა. ძველი კანონით 4 თვე მაინც (იანვრამდე) სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ქართულად და მხოლოდ შემდეგ გადაღიოდნენ რუსულ ენაზე. ამდენად ეს მცირე უფლებაც ერთმეოდათ ქართველ ბავშვებს. განსაკუთრებით ანტიქართულად განწყობილი სასწავლო ოლქის ინსპექტორები გროზდოვი და გასპარიანცი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში პედაგოგებს სკოლიდან დათხოვნით ემუქრებოდნენ (74. 2).

1913 წლის იანვარში სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ სათათბიროში შეიტანა შეკითხვა ამ საკითხზე. შეკითხვას შეუერთდა ვარდამ გელოვანიც. ეს იყო პირველი შემთხვევა ქართველი დეპუტატების ერთობლივი ბრძოლისა ამდენი ხნის უბრად ყოფნის შემდგომ. ოუმცა იმდროინდელმა ქართულმა

პრესამ, ორივე ბანაკიდან, კვლავ გააგრძელა არაფრისმთქმელი და ერთურთის განმაქტებელი მასალების პუბლიკაცია. იმჯერად დავის საგანი იყო ბავშვური კინკლაობა თემაზე: „ვინ შეიტანა პირველად შეკითხვა სათათბიროში, სოციალ-დემოკრატთა ფრაქციამ თუ ვარდამ გელოვანმა“.

6 თებერვალს სათათბიროში მოწყო განხილვა ამ შეკითხვის სახწრაფოობასთან დაკავშირებით. ჩეხენკელის განცხადებით ესაა გარუსების ახალი ეტაპი საქართველოში, ჩეხიძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამ ფაქტამდე თანდათხობით მიდიოდნენ სასწავლო ოლქის მესვეურნი, როდესაც მასიურად ნიშნავდნენ პედაგოგებად რუსებს. ამით ქართველ ბავშვებს სკოლაც შეაძლეს (54. 31). სათათბირომ უარყო ამ შეკითხვის სიჩქარე. გელოვანმა სცადა საკითხის გადარჩენა და დგპუტატებს შესთავაზა საკითხის კომისიისთვის გადაცემა და 2 კვირაში დასკვნის წარმოდგენა, მაგრამ შოვინისტურად განწყობილმა სათათბირომ არც ეს კომპრომისული წინადადება მიიღო.

IV სახელმწიფო სათათბიროს განხილვის საგანს წარმოადგენდა კავკასიაში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების საკითხიც. მართალია ქართულ საზოგადოებაში იყო მცირე ჯგუფი, რომელიც თვლიდა, რომ „რუსულენოვანი უმაღლესი სასწავლებლისათვის ბრძოლას“ ჯობდა ენერგია მიმართულიყო საშუალო განათლების გაუმჯობესებისაკენ. ალბათ ამ განწყობილების გამოძახილი იყო ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ XIX ს-ის 80-იანი წლებიდან დაწყებულ „საუნივერსიტეტო კამპანიაში“ ქართული საზოგადოება ძალიან დაგვიანებით ჩაერთო (144. 493).

ხელისუფლებამ უმაღლესი სასწავლებლის სტატუსი „უნივერსიტეტიდან“ „პოლიტექნიკურამდე“ დააქვეითა, ოდენ ფორმალური თანხმობით დაგმაყოფილდა, ხოლო მშენებლობისათვის ხაზინიდან კაპიტიც კი არ გაუღიათ. ამით კარგად ისარგებლა სომხურმა ბურუჟუაზიამ, ტფილისის ქალაქის თავის ალ. ხატისოვის მეთაურობით და მდიდარი სომეხი კომერსანტების დახმარებით თავისი ხარჯებით შეუდგა მშენებლობას, თუმცა საამისოდ სრულიად უვარგისი – ნავთლურის ტერიტორია იქნა შერჩეული, რაც დაამტკიცა კიდეც მეფისნაცვალთან შექმნილმა სამშენებლო კომიტეტმა, საპირისპიროდ ტფილისის გუბერნიის

თავად-აზნაურობისაგან შეთავაზებული საბურთალოს ნაკვეთებისა.

პარალელურად უმაღლეს დონეზეც მიმდინარეობდა ბრძოლა კავკასიაში პირველი უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის. იმპერიის შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრების წინააღმდეგგობის მიუხედავად (მათი მთავარი არგუმენტი იყო უნივერსიტეტისაგან მოსალოდნელი საშოშროება, კავკასიის, ამ ისედაც რთული რეგიონის, რევოლუციონერებით ავსებისა), სტოლიანის სიკვდილის შემდეგ ეს პროცესი დაჩქარდა და 1912 წლის 20 ივნისს ნიკოლოზ II-მ დასტური მისცა პოლიტექნიკუმის დაარსებას.

1913 წლის 4 მარტს IV სახელმწიფო სათათბირომ დაადგინა ტფილისში უმაღლესი სასწავლებლის გახსნის აუცილებლობა. 4 ივნისს ვარდამ გელოვანმა სათათბიროს ტრიბუნიდან მკაცრად გააკრიტიკა განათლების მინისტრი ამ პროცესის შეფერხებისათვის და ტრუდოვიკთა ფრაქციის ინიციატივით სათათბირომ მოითხოვა საპოლიტექნიკუმო კანონპროექტის დაჩქარება. თუმცა საბიუჯეტო კომისიისაგან შემუშავებული კანონპროექტი სათათბირომ საქმაოდ გვიან 1916 წლის 20 ივნისს მიიღო, ისიც აკაკი ჩხერიძელის დაუინტებული მოთხოვნით. კანონპროექტს რატიფიცირება გაუშეთა სახელმწიფო საბჭომაც (40. 136).

I მსოფლიო ომმა შეაფერხა პოლიტექნიკუმის მშენებლობა, მის განახლებაზე აქტიურად იღწვოდნენ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები. 1915 წლის სექტემბერში პაპაჯანოვი სთავაზობდა ხატისოვს დაეთანხმებინა მეფისნაცვალი მოეცა ფინანსური გარანტია, რაც უზრუნველყოფდა ვარშავის პოლიტექნიკუმის ტფილისში ევაკუაციას. ამ ინიციატივას უარყოფითად შეხვდა ვაჭრობის მინისტრი მახოვესკი. 20 სექტემბერს კი განათლების მინისტრი იგნატიევს ეწვივნენ დეპუტატები ჯაფაროვი, პაპაჯანოვი, სკობელევი და შესთავაზეს ნებისმიერი ევაკუირებული პოლიტექნიკუმის ბაქოში გადატანა, თუმცა არც ეს შეთანხმება შემდგარა (15. 64).

სათათბიროს პირველი სესიების დროს განსატურებული აჟიოტაჟი მოპევა კავკასიელი დეპუტატების მიერ სასამართლო რეფორმების მოთხოვნას იმპერიის სამხრეთ რეგიონებში, რაც თავის დროზე არ დაასრულეს. 1913 წლის 28 მაისს იუსტიციის

სამინისტროს წლიური ბიუჯეტის სათათბიროზე დამტკიცებისას აკავი ჩეგნელმა მოითხოვა სასამართლო პროცესის დროს ადგილობრივი, არარუსი მოსახლეობისათვის თარჯიმნის დადგენა. ვარდამ გელოვანმა კიდევ უფრო დააზუსტა ეს საკითხი და ხარჯთაღრიცხვაში მოითხოვა თანხების გამოყოფა მოსამართლებისთვის ადგილობრივი ენების შესასწავლად, ხოლო რეფორმის აუცილებელ ნაწილად მიიჩნია მხოლოდ ისეთი მოსამართლების დანიშნა, რომლებიც ფლობენ ადგილობრივი მოსახლეობის ქას. სათათბიროშ კენჭის ყრით მიიღო გელოვანის ფორმულა (43. 68).

ჩეგნი დეპუტატების მნიშვნელოვან წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს ადგილობრივი სასამართლოს შესახებ დემოკრატიული კანონი, რაც რუსეთის იმპერიის 9 სამხრეთულ გუბერნიაზე ვრცელდებოდა. კანონი ამოქმედდა 1914 წლის 1 იანვრიდან და მისი განხორციელება უნდა დასრულებულიყო 5 წელიწადში (85. 50).

დიდი რეზონანსი მოჰყვა სინოდის ბიუჯეტის განხილვას სათათბიროში 1913 წლის მაისში. ჩეგიძისა და კერქნების სათათბიროს სხდომიდან გამეცებას პროტესტით შეხვდა სათათბიროს ფრაქციათა დიდი ნაწილი; სოციალ-დემოკრატებმა, ტრუდოვიკებმა, კადეტებმა და პროგრესისტებმა დატოვეს დარბაზი და დარჩენილდა 152 დეპუტატმა უპრობლეგმოდ მიიღო სინოდის ბიუჯეტი. ამ ფაქტის გათვალისწინებით გრიგოლ რასპუტინის შვამდგომლობით მომავალი სესიისათვის სინოდმა წარმოადგინა კანონპროექტი, რომლის თანახმად საეკლესიო საქმეებთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი და კანონები მხოლოდ უწმინდესი სინოდის კომპეტენცია იქნებოდა და სათათბიროს არ ექნებოდა მისი განხილვის უფლება (54. 58).

ეს იყო უარყოფითი მოვლენა ქართული ეკლესიისათვის, რადგან სათათბიროში ქართველი დეპუტატები ასე თუ ისე ახერხებდნენ მისი ინტერესების დაცვას, ამის შემდგომ ეს შეუძლებელი იქნებოდა მითუმებელს იმ პერიოდში მიმდინარეობდა აფხაზეთის (სოხუმის) ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოდან ჩამოშორების კამპანია, ეკლესიების რუსულ ყაიდაზე გადაკეთება, სახარების აფხაზურად თარგმნა...

შეიძლება დავასკვნათ, რომ სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით ქართველი დეპუტატების საქმიანობა სათათბიროში, სხვა უფრო მნიშვნელოვან პრობლემებთან შედარებით წარმატებული იყო.

## §4. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ქართველი დეპუტატები IV სათათბიროში

IV სახელმწიფო სათათბიროში ყველაზე აქტიური და შესამჩნევი, მცირერიცხოვნობის მიუხედავად, იყო სოციალ-დემოკრატთა ფრაქცია. მის ბირთვს კი ამიერკავბათიელი დეპუტატები ქმნიდნენ: ფრაქციის თაგმჯდომარე კარლო ჩხეიძე, ფრაქციის მდივანი მათე სკობელევი და აკაკი ჩხერიძე. შემთხვევითი როდია, რომ „НОВОЕ ВРЕМЯ“ ჩხეიძე-ჩხერიძელის დუეტს უწოდებდა „ყელში გაჩხერილ ძვლებს“. მეორე მხრივ მათ აკრიტიკებდნენ ქართველი მემარჯვენე ნაციონალისტები, „მათ ხმა არ ამოუღიათ საქართველოს მდგომარეობაზე, მის გმირულ ბრძოლაზე ოშმი, გაჭირვებაზე, შიმშილსა და ნგრევაზე... მხოლოდ ზოგად პროლეტარიატის პრობლემები (86. 169).

მაგრამ ეროვნული სატკივარი მათვისაც სათათბიროს წლიანი არსებობის მანძილზე თანდათანობით აქტუალური ხდება. განსაკუთრებით დასაფასებელია ჩხერიძელის დვაწლი, რომელიც უკანასკნელი სესიების დროს სათათბიროში დარჩენილი ფაქტიურად ერთადერთი ქართველი დეპუტატია.

მათი უპირატესობა მარტოდ მყოფ გელოვანთან შედარებით ისიც იყო, რომ ისინი ხშირად ერთმანეთის საქმეს აკეთებდნენ, როდესაც არდადეგების დროს ჩხეიძე პეტერბურგში იყო საქმეებით დაკავებული, ჩხერიძელი თავის საარჩევნო ოლქის გარდა ტფილისის გუბერნიასაც მოინახულებდა, და პირიქით.

ჩხეიძის და ჩხერიძელის ინიციატივით დამკვიდრდა დეპუტატების მიერ საარჩევნო ოლქებში ჩასვლის, საკუთარ ამომრჩევლებთან სესიებს შორის პერიოდში შეხვედრისა და პრობლემათა გაცნობის ტრადიცია. პირველი ამგვარი ვრიაჟი 1913 წლის ზაფხულში შედგა. მას წინ უძღვდა შინაგან საქმეთა მინისტრ მაკლაკოვის ცირკულარი, რომელიც შეიცავდა კოდექსის იმ მუხლების შინაარსის დაწვრილებით აღწერას, რომელთა ძალითაც შეიძლებოდა სათათბიროს დეპუტატის პასუხისმიერებაში მიცემა, იმ შემთხვევაში თუ იგი სათათბიროს საქმიანობის მოსახლეობისათვის გაცნობის საბაბით დაიწყებდა თავისი იდეების პროაგანდას (23. 94).

განსაკუთრებით მაცრი მეთვალყურეობა დაწესდა მემარცხენე დეპუტატებზე. ინფორმაციები მათი ყოველდღიური გა-

დააღილებებისა და შეხვედრების შესახებ უკლებლივ „ოხრან-კაში“ იგზავნებოდა. ოუმცა „ფილერები“ ხშირად უხერხულ მდგრმარეობაშიც აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. მაგალითად, ტრამ-ვაის შემანქანეთა გაფიცვის დროს შექმნილი ფაეტონების დე-ფიციტის გამო ხელიდან გაუსხვდეთ ჩეკიძე... მეორე შემთხვევაში ჩეკიძე სკობელევის მანქანით ტფილისიდან კახეთში გაემგზავრა და ბუნებრივია, ამჯერადაც დაიკარგა თვალთახ-ევის არედან.

პ. ჩეკიძის 1913 წლის საარდადვაებო მარშრუტი: თბილისი (1. VII) – ფუთი – თბილისი (12. VII) – ფუთი (24. VII) – თბი-ლისი (31. VII) – ყარსი (4. VIII) – ბაქო (6. VIII) – თბილისი (16. VIII) – ფუთი – თბილისი (29. VIII) – თელავი – სიღნალი – თბილისი (4. IX) – პეტერბურგი (15. IX).

ა. ჩეკინელის მარშრუტი: ყარსი (8-15. VII) – სარიყამიში – არდაგანი – ოლთისი – ახალცხე – ტყიბული – ბათუმი (21. IX) – ფოთი (26. IX) – სოხუმი (28. IX).

ჩვენი დეპუტატების აქტიურობაზე მიუთითებს ამ მოკლე ხანში განხორციელებულ საქმეთა უბრალო ჩამონათვალიც: შეამდგრმლობა ყარსისათვის საქალაქო თვითმმართველობის მინიჭების აღმერაზე, ტყიბულში დაწყებითი სასწავლებლის გახსნა, ქზიყის სარწყავი სისტემის გასამართი სამუშაოები, ხაზინიდან დაფინანსება რეინიგზის ბაქან იანეთის საღგურად გადაკეთებისათვის, ოლთისის მოსახლეობისათვის საგადასახ-ადო შედავათებზე შეამდგრმლობა, ყარსი-ბათუმის რეინიგზის გაყვანის საკითხის წამოჭრა, ტყიბულის ქანახშირის, ბაქოს ნავთობის საწარმოს და თბილისის ტრამვაის დეპოს მუშაოთა გაფიცვებისას დაპატიმრებულთა გათავისუფლება (23. 96-374).

ნიშანდობლივია, რომ ამ გაფიცვების წამქეზებლად და ინ-იციატორად პოლკოვნიკი პასტრულინი მიიჩნევს სოციალ-დემოკრატ დეპუტატებს. თავის სააგარიშო მოხსენებაში ის აღნიშნავს ზოგად ტენდენციას – დეპუტატების ამიერკავკასია-ში ჩამოსვლას იმწამსვე მოჰყვება ხოლმე საგაფიცვო მოძრაო-ბის ტალღა (ამას მასტიმულირებელია ის, რომ დეპუტატთა დახმარებით, რადგან მათ ანგარიშს უწევს კავკასიის ხელი-სუფლება, გაფიცულები გაცილებით იოლად აღწევენ თავის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას), თუმცა პირდაპირი სამხილის უქონლობის გამო დეპუტატებს ბრალს ვერ დებენ.

მხოლოდ ერთხელ მოახერხა უანდარმერიამ 129-ე მუხლით სკობელევის პასუხისმგებაში მიცემა და ერთხელაც, საზღვარგარეთიდან ჩამოსულ ჩხენჯელს და სკობელევს არალეგალური ლიტერატურა ჩამოართვეს (23. 443). შემჩეული იყო ტფილისში ინკოგნიტოდ ჩამოსული ჩხეიძეც, რომელიც ცდილობდა IV სათათბიროს ბოლშევიკ დეპუტატთა დაპატიმრების გამო საპროტესტო გაფიცვის ორგანიზებას (25. 13).

სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ IV სათათბიროს მოწვევისთანავე დაიწყო ზრუნვა ციმბირში გასახლებულ II სათათბიროს თანაპარტიულ დეპუტატებზე. ჩხეიძემ პოლიციის დეპარტამენტს წარუდგინა იმ პოლიტკატორლელთა სია, რომელთაც ომის დაწყებიდან (1914 წ. აგვისტო) ადარ მიუღიათ საჭმლის და ტანსაცმლის ფული (13. 5), განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფ ანიკინსა და წერეთელს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით მიეცათ თავისუფალი გადაადგილების უფლება (65. 35). ეს გადაწყვეტილება ჩხეიძემ ბელეცკის აიძულა მას შემდეგ, რაც მასიური გაძირების გამო ხაზინის თანხები კატორდელებისათვის არასაკმარისი გახდა (15. 93).

ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა მოითხოვა საქმის კასაცია, ხოლო ფრაქციამ 1913 წლის 30 ოქტომბერს სათათბიროზე პროტესტი გამოთქვა და მოითხოვა საქმის შეჩერება. სათათბირომ უარყო II სათათბიროს სოციალ-დემოკრატ დეპუტატთა შესახებ შეკითხვის სასწრაფოობა. მოგვიანებით, ჯანმრთელობის გაუარესების გამო მოხერხდა 2 მათგანის, ისიდორე რამი შვილის და ბიკნტი (ჭოლა) ლომთათიძის გათავისუფლება (13. 109). ეს უკანასკნელი გზად, სარატოვში გარდაიცვალა 4 ნოემბერს. მწერლისა და პოლიტიკოსის ცხედარი სამშობლოში აკაკი ჩხენჯელმა ჩამოასცენა და დიდი პატივით კუკის სასაფლაოზე დაკრძალეს (15. 101-115).

#### ფრაქციის გაყოფის ისტორია

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორად გახდეჩა, რასაც ჯერ კიდევ II ყრილობაზე (1903 წ.) ჩაეყარა საფუძველი და პრადის პარტიულ კონფერენციაზე (1912 წ.) გაფორმდა ოფიციალურად, ბუნებრივია თავის გავლენას ახდენდა სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მთლიანობაზეც. მართალია, ფორმალურად არჩევნებისას პარტია ერთიანი სიით გამოვიდა, მაგრამ ფაქტიური გათოშელობა მაშინაც იგრძნო-

ბოდა. 6 ბოლშევიკი დეპუტატი ძირითადად მუშათა კურიდან აირჩიეს, ხოლო მენშევიკები საერთო კურიაში იყრიდნენ კენჭს. შემდგომში ეს ფაქტი „საჯილდაო ქვად“ იქცა, იმის გამოსარკვევად თუ „ვინ უფრო კათოლიკეა?!“...

ბოლშევიკების მტკიცებით მხოლოდ ისინი, როგორც მუშათა კლასის მიერ არჩეულნი, იყვნენ ჰეშმარიტი სოციალ-დემოკრატები. საპასუხო არგუმენტად მენშევიკები იმას იშველიებდნენ, რომ მუშათა კურიებში სადეპუტატო ადგილები პარტიას გარანტირებული ჰქონდა, ხოლო მენშევიკებს საერთო კურიებში მძღვანელობა კონკურენციის პირობებში მოუწიათ გამარჯვებისათვის პრძოლა (67. 10).

ბოლშევიკთა პრეტეზიის საფუძველი ისიც იყო, რომ იმპერიის მასტებით მათი გავლენა და პოპულარობა გაცილებით აღემატებოდა მენშევიკებისას („ერთადერთი მენშევიკური ოაზისი მთელ რუსეთში ამიერკავკასია“), ხოლო ფრაქციაში ისინი უმცირესობაში იყვნენ.

პირველივე საკითხები, რაც სათათბირომ განიხილა-კოკოვცების დეპლარაციის პასუხად, ბოლშევიკებმა ლენინის უველა თეზა (8 საათიანი სამუშაო დღე, მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის კრიტიკა) გაიტანეს, მაგრამ თავიანთვის მეტად არასასიამოვნო კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიაზე დათანხმდნენ მენშევიკებს (192. 51).

იმუმად პარტიაში შექმნილ რეალურ ვითარებას ნათლად წარმოაჩენს ნოე ქორდანია: „მთელ რუსეთში პარტიული ცხოვრება ჩამკვდარი იყო, ლიდერები საზღვარგარეთ იყვნენ, ერთობოდნენ, ხანდახან კრებებს მართავდნენ. 1914 წელს ჩეიიგემ მთხოვა ცკის შეკრება, მაგრამ ვერ მოხერხდა“ (158. 65). ამასვე ადასტურებს ფრაქციის დახურულ სხდომაზე მიღებული განცხადება, რომ პარტიული მუშაობა ხარკვის, პეტერბურგის და ამიერკავკასიის გარდა არსად მიმდინარეობს, სრული სიწყნარეა.

ასეთ ვითარებაში სათათბიროს ფრაქციას ენიჭებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. ჩეიიგემ და სკოდელევმა, რადგან ხედავდნენ ფრაქციის გათიშვის საფრთხეს 1913 წლის 6 აგვისტოს ბაქოში რამდენიმე შეკრება ჩაატარეს (მათ შორის ერთი – კონსპირაციულად, ნავში), სადაც შეეცადნენ პარტიის გაერთიანების საკითხის დასმას (23. 250).

1913 წლის 1 იანვარს კრაკოვში დასრულდა რსდმპ ლენინური ცკის ხუთდღიანი თათბირი. მიღებული დადგენილების II მუხლი დადადებდა: „სათათბიროს 6-ეული უნდა ემორჩილებოდეს პარტიის გენერალურ ხაზს, პარალელურად უნდა გააგრძელოს არალეგალური მუშაობა, გაღმოიბიროს და ცპოვის შეარჩიოს სახელმწიფო სათათბიროს წევრები“. VI მუხლი: „ნაციონალისტები, ლატვიელები, პოლონელ-ლიტველები, „ბუნდელები“ ასეუსტებენ ორგანიზაციას, შეაქვთ გათიშველობა და ოპორტუნიზმი. აუცილებელია მკაცრი ცენტრალიზმი“ (23. 23-24). ბოლშევიკი დაცუტატების შემამზადებელ ამ თათბირს ჩქარა მოყვა უფრო კატეგორიული და ზუსტი ინსტრუქციები.

1913 წლის 25 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე გალიციაში, ზაკოპანესთან მდებარე დაბა პორონინოში გაიმართა ლენინური ცპ-ს და სათათბიროს ბოლშევიკთა ფრაქციის თათბირი, რომელშიც 29 კაცი მონაწილეობდა (მათგან 22 გადამწყვები ხმის უფლებით), შემდეგი შემადგენლობით: ვ. ლენინი (ულიანოვი), ა. ზინოვიევი (რადომისლესკი), ლ. კამენევი (როზენფელდი), ნ. კრუპსკაია, ა. ტროიანოვი; მალინოვსკი, ბადაევი, პეტროვსკი, მურანოვი, შაგოვი, სამოილოვი (ბოლშევიკ დაცუტატთა ექპ-სეული); დელგაბტები: შოტმანი, არმანდი, ნოვოუილოვი, ბალაშოვი, როზმიროვიჩი, ლობოვი, დერიაბინა, კრივობოკოვი (23. 466-468).

თათბირმა მიიღო შემდეგი მირითადი გადაწყვეტილებანი: 1) ერთა თანასწორობა და მცირერიცხოვან ერთა უფლებების დაცვა. ფართო საოლქო აგტონომია და დემოკრატიული ადგილობრივი თვითმმართველობა. 2) ნაციონალური სკოლები ერთ სახელმწიფოში საზიანოა, უარყოფილ იქნას სავალდებულო სახელმწიფო ენა. 3) ნაციონალური თვითგამორკვევა გამოყოფამდე. თუმცა თითოეული ამგვარი შემთხვევა ინდივიდუალურად არის განსახილებელი. 4) სათათბიროს ფრაქციის გათიშვა, თუ „შვიდეული“ არ დაემორჩილა „ექვსეულის“ ნებას. (23. 400).

თათბირმა დაადგინა აგრეთვე, ეროვნულ საკითხებე პარტიული ჰუბლიკაციების მაქსიმალური გაშუქება და პოპულარიზაცია. რათა ამით დაიძლიოს მენშევიკთა პრიორიტეტი ეროვნულ საკითხში. იმავე დროს თათბირმა უარყო ბუნდელთა და მენშევიკთა თეზა, ნაციონალურ-ჟულტურული აგტონომიის შესახებ.

ფრაქციის გახდების ინსტრუქცია ბოლშევიკმა დეპუტატებმა მოკლე ხანში განახორციელეს. სწორედ შენიშვნას არონ ავრეხი, რომ სათათბიროს ბოლშევიკები მთლიანად ემორჩილ ებოდნენ ცენტრს (ამის დასტურია კრაკოვის და პორონინოს თათბირების სულისკვეთება), ხოლო მენშევიკი დეპუტატები თავს ავტონომურ ერთეულად მიიჩნევდნენ და ცენტრს არა ფერს ეკითხებოდნენ (189. 49). ამის მიზეზი ჩვენი აზრით, რუსეთში მენშევიზმის დამცრობაა და ამიტომ, ფაქტიურად 3 კავკასიელმა დეპუტატმა სათათბიროს ფრაქცია პარტიად აქცია.

1913 წლის ოქტომბერში ბოლშევიკებმა დასვეს ფრაქციის ფედერატიული პარიტეტის პრინციპით მოწყობის საკითხი. უარის შემთხვევაში კენჭისყრაში არ მონაწილეობით დაიმუქლნებ (77. 237). ისინი მენშევიკებს აღანაშაულებდნენ ძალადობაში (მაგალითად, საბიუჯეტო კომისიაში ფრაქციის კუთვნილი 2 ადგილიდან ბოლშევიკებს არცერთი არ არგუნეს, „შეკითხვების“ დროს ყოველთვის მენშევიკები აქტიურობენ, ბოლშევიკ ორატორებს – მალინოვსკის და პეტროვსკის წართმეული აქვთ სიტყვა).

პრეტენზიები ძირითადად 3 საკითხზე იყო კონცენტრირებული: 1. კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის შესახებ. 2. ფრაქციაში პოლონელი იაგელოს მიღება, რითაც მენშევიკთა რიცხობრივი უპირატესობა გაიზარდა, შეფარდებით 8:6. 3. „პრავდის“ და „ლურის“ შესახებ (89. 39).

მენშევიკებმა მათ პრეტენზიებს ამგარად უპასუხეს: 1. კჩეიძის განმარტება: „ყოველდღიურ მუშაობაში ჩვენ ვერ დაველოდებით, სანამ პლეხანოვი ან ლენინი გამოოქვამს თავის აზრს, სანამ ყრილობა გაიმართება. გააპროტესტეთ და ჩვენ დავემორჩილებით უმრავლესობის ნებას (ამ საკითხზე პორონინოს თათბირმა უკვე მიიღო რადიკალური გადაწყვეტილება-ბ. კ), ეროვნული საკითხი პარტიისთვის საყურადღებოა, ის მნიშვნელოვანია კავკასიისათვის“. 2. მ. სკობელევის განმარტება: „იაგელო ტიპიური სოციალ-დემოკრატია, სასურველი და საჭირო ფრაქციისათვის, მაგრამ პარტიის პროგრამით პარტიაში მიღება არაა რიგითი წევრის გადასაწყვეტი, ამიტომ მისი პარტიულობის საკითხი ჯერჯერობით გაურკვევლია“. 3. მ. სკობელევის განმარტება: „სათათბიროს მუშაობაში ფრაქცია ერთიანია, აზრთა სხვადასხვაობა იყარგება, აქ მოქმედებს

მხოლოდ გარეთ შექმნილი წინააღმდევობები, „6-ეული“ განიცდის გარედან დაწოლას. ასევე პარტიის ცენტრალური პრესაც ერთსა და იმავეს წერს, მხოლოდ „პრავდა“ წერს უფრო პოპულარულად, კულგარულადაც, ხოლო „ლუზის“ სტილი უფრო აკადემიურია (23. 376-384).

ამგვარად კომპრომისი ვერ მოინახა და 1913 წლის 16 ოქტომბერს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ორად გაიყო. 1913 წლის 25 ნოემბერს მალინოვსკიმ ოფიციალურად გამოაცხადა ახალი ფრაქცის შექმნა, სახელით „რუსთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია“. თუმცა თვით ამ იდეის ავტორი აღმოჩნდა თამაშგარე, როდესაც 1914 წლის იანვარში მიატოვა ფრაქციაც, სათათბიროც, სამშობლოც და ემიგრაციაში წავიდა. თანაპარტიულებმა მას „პროვოკატორის“ იარღიყი მიაკრეს და ამგვარადვე დამკიდრდა მისი პერსონა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. შესაძლებელია, თუ გავითვალისწინებთ ბოლშევიკ დეპუტატთა შემდგომ ბედს, მალინოვსკის გაქცევა თვითგადარჩენის ინსტინქტმაც განაპირობა.

ფრაქციის გახდებას უარყოფითად შეხვდნენ საზღვარგარეთ. სოციალისტურმა ბიურომ კაუცის თაგმჯდომარეობით, ბოლშევიკთა 6-ეულს არ მიანიჭა ფრაქციის სტატუსი და რუსეთის იმპერიის კველა სოციალ-დემოკრატს (პოლონელთა ჩათვლით) გაერთიანებისკენ მოუწოდა.

გიორგი პლეხანოვმა ფრაქციის გათიშვაში მენშევიკები დაადანაშაულა (88. 432). „სინდისის ქვეზნაში“ უბიძგა დეპუტატ ბურინოვს დაგტოვებინა სოციალ-დემოკრატთა ფრაქცია, რათა ხელი შეეწყო პარტიის გაერთიანებისათვის. ჩხეიძე ლოიალურად შეხვდა ბურინოვის ამ ნაბიჯს (65. 16).

ავტორიტეტის ასამაღლებლად და შერყუელი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით მენშევიკებმა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კონფერენცია მოიწვიეს (1150 დელეგატის მონაწილეობით). კონფერენციამ დაადგინა ადგილებზე სათათბიროს კომისიების შექმნა, რომლებიც მოსახლეობას გააცნობდა ფრაქციის საქმიანობას, მთავრობის ქმედებებს, მოუმზადებდა დეპუტატს მასალებს „შეკითხვებისთვის“, უზრუნველყოფდა მის მოგზაურობას საარჩევნო ოლქში (23. 484).

I მსოფლიო ომის დაწყებისას სოციალ-დემოკრატებმა კიდვე ერთი დიდი დარტყმა გადაიტანეს, ამჯერად მთავრობისგან. 1914 წლის ნოემბერში სამშობლოს დალატის ბრალდებით დააგვეს სათათბიროს 5 ბოლშევიკი დეპუტატი (179. 85). საერთოდ, „გერმანოფილური“ განწყობა სოციალ-დემოკრატთა ორივე ბანაკს ახასიათებდა ომის პერიოდში (158. 65), მაგრამ თუ ბოლშევიკები თავიადაკლული „პორაუენცები“ იყვნენ, მენტევიკო რიგებში „ობორონცობას“ სერიოზული დასაყრდენი ჰქონდა.

დაპირისპირების მიუხედავად, მენტევიკებმა გამოიჩინეს პარტიული თანადგომა ტურუხანსკში გადასახლებული დეპუტატების მიმართ. 1915 წლის 15 აგვისტოს ჩენკელი და კერენსკი მოითხოვენ მათ გათავისუფლებას. ჩეიიძის გამოსვლა საქმაოდ თამამი იყო და სიტყვის სრული თავისუფლების, ცენზურის აკრძალვის კონტექსტში გაიჭდერა, „ნუ მივიყვანთ საქმეს იქამდე, რომ სიტყვები, რომლებიც აქ უნდა წარმოოქმულიყო, სხვაგან გაისმას“ (39. 138).

ამ პოლესებმა თავისი დაღი დაასვეს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის, მემარცხენეთა ამ ციტადელის საქმიანობას. სათათბიროს არსებობის ბოლოს 14-დან 6 დეპუტატამდე შემცირებული ფრაქცია ბუნებრივია ისეთი სიძლიერით, როგორც მანამდე, ვეღარ წარმოაჩენდა თავს.

### „ჩეიიძის საქმე“

ყველაზე სკანდალური, ფართო რეზონანსის მქონე მოვლენა ომამდელ სათათბიროში იყო კ. წ. „ჩეიიძის საქმე“. არონ ავრეხის აზრით, ეს იყო ყველაზე მსხვილი აქცია, მიმართულია IV სახელმწიფო სათათბიროს წინააღმდეგ (189. 119). თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩეიიძე იყო „ყველაზე მემარცხენე დეპუტატი“ და მისი შეჯახებები „ყველაზე მემარჯვენე დეპუტატი“ ვლადიმირ პურიშევიჩთან, რაც 1913 წლის 15 თებერვლიდან სათათბიროს რეგულარულ სანახაობას წარმოადგენდა, ფაქტიურად რადიკალიზმის ტრიუმფი იყო. იმთავითვე შეიძლებოდა ვარაუდი, რომ ხელისუფლება ჩეიიძეს, როგორც „განტევების გაცს“, სათათბიროსათვის „ურჩი დეპუტატის სამსჯავროს“ სუბიექტს, ხელიდან არ გაუშვებდა. ეს უნდა ყოფილიყო სამაგალითო, საჩვენებელი დასჯა, რადგან ჩეიიძეს, ამ გამოცდილ ორატორს ბევრი მიმბაძველი ყავდა, მისი რადიკალური გამო-

ნათქვამების ფონზე ბევრის გამოსვლა უპვე ისე აღარ ჭრიდა ხელისუფალთა კურს, აღარ აფრთხობდა...

საჭირო იყო ხელსაყრელი მომენტი, და ამგვარი მომენტი ერთი შეხედვით სრულიად უწყინარი გამოსვლისას დადგა (ჩხეიძეს მანამდეც და შემდგომშიც გაცილებით რადიკალური განცხადებები გაუკეთებია სათათბიროს ტრიბუნიდან), მაგრამ ხელისუფლებამ ვერ გაითვალისწინა, რომ როგორც სანიშვნო „ტარიგად“ წარმოაჩენდა ჩხეიძეს, ასევე მიიღებდა პასუხესაც – სათათბიროს მთვლი ჯანსაღი ნაწილი სოციალ-დემოკრატებიდან ოქტიაბრისტებამდე ჩხეიძის გვერდით დადგა. მათი უმეტესობა შესაძლებელია ვერც იტანდა ჩხეიძეს, მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი იცავდნენ არა კონკრეტულ დეპუტატს, არამედ ზოგადად – სათათბიროს დეპუტატის სიტყვას თვით სუფლების იდეალს, რასაც თვით 17 ოქტომბრის მანიფესტი აღიარებდა.

დეპუტატის ხელშეუხებლობის და სიტყვის თავისუფლების საკითხი სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ ჯერ კიდევ 1913 წლის 8 ნოემბრის სხდომაზე დააყენა. 1914 წლის 11 მარტს შრომა-გამოსწორებითი კოლონიების შექმნასთან დაკავშირებით, რაც მიმართული იყო უპირველესად რევოლუციონერებთან საბრძოლებლად, ჩხეიძემ წარმოოქავა სიტყვა, რომელშიც გაიყდერა შემდეგია: „რეუიმს ამგვარი მეთოდებით ვერ განაახლებთ. ქვეყნის განახლებისათვის ყველაზე მისაღებია დემოკრატიული რეჟიმის დაწესება, საპარლამენტო რეჟიმის ან თუ გნებავთ უფრო ზუსტი განსაზღვრება – რესპუბლიკური რეჟიმის“. ამ გამოსვლის სტენოგრამას საკმაოდ გვიან მიაქციეს ყურადღება, რაც ადასტურებს „ჩხეიძის საქმის“ წინასწარგანზრახულობას. ამ სიტყვის გამოქვეყნებისათვის დახურეს „სევერნია რაბოჩია გაზეება“, რასაც 15 აპრილს სათათბიროზე ჩხეიძის საპროტესტო გამოსვლა მოჰყვა. იმავე დღეს სათათბირომ არ მიიღო სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის 6 შეკითხვა (28. 29). 19 აპრილს 129-ე მუხლის ძალით (ამ მუხლით უმეტეს შემთხვევაში ასამართლებდნენ გაზეთის რედაქტორებს), ფორმულირებით „სახელმწიფოს დალატი, მონარქის დამხობისაკენ მოწოდება“ სახელმწიფო საბჭოს I დეპარტამენტმა პასუხისმგებაში

მისცა კარლო ჩხეიძე (189. 119). მასთან ერთად პასუხისმგბაში მისცეს კერვნსკი, ოუმცა მას ჩქარა მოუხსნეს ბრალდება.

დაირღვა სათათბიროს დებულების მე-14 მუხლი დეპუტატის ხელშეუხებლობის შესახებ. მთელ რუსეთში დიდი სკანდალი ატყდა. საინტერესოა, რომ I დეპარტამენტი ჩხეიძის პასუხისმგბაში მიცემის საკითხის განხილვისას, თვით თავმჯდომარე საბუროვმა პროტესტის ნიშნად დატოვა სხდომა და გადაწყვეტილება მის გარეშე მიიღეს.

გაცოფებული სოციალ-დემოკრატები ყოველი გამოსვლისას განგებ ხმარობდნენ სიტყვას „რესპუბლიკა“. ლამის ოქტიაბრისტებიც გამემარცხენდნენ. 23-24 აპრილს მოსკოვსა და პეტერბურგში 80 ათასი მუშა გაიფიცა, 26 აპრილს მოსკოვის 23 ქარხანამ 1 დღიანი გაფიცვა მოაწყო ჩხეიძისადმი სოლიდარობის ნიშნად. სიტუაცია მთავრობისათვის სრულიად არახელ-საყრელი ხდებოდა და მოვლენებიც დაუგეგმავი გზით წარიმართა.

სათათბიროს თითქმის ყველა ფრაქციამ ერთხმად მოითხოვა „ჩხეიძის საქმის“ შეჩერება და დაიმუქრა ბიუჯეტის დაუმტკიცებლობით, რასაც ხელისუფლების მხრიდან სათათბიროს გარეკვის ნაცნობი გაფრთხილება მოყვა. „ჩხეიძის საქმეს“ კიდევ 2 გაზეთი: „ნოვი“ და „ვეჩერნოე ვრემია“ შეეწირნენ, პასუხისმგბაში მისცეს რედაქტორი სუვორინი, ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილი პიროვნება (44. 34-37).

დეპუტატებმა გაიხსენეს გაჭირებული კანონპროექტი „სათათბიროს ტრიბუნიდან წარმოთქმული სიტყვისათვის დეპუტატის სრული დაუსჯელობის შესახებ“, რომელიც პროგრესისტთა ფრაქციამ ჯერ კიდევ 1913 წლის 5 ნოემბერს წარმოადგინა.

„ჩხეიძის საქმის“ კულმინაციად იქცა 21-22 აპრილის სათათბიროს სხდომები. ბიუჯეტის განხილვის წინა დღეს პრეზიდიუმი შევიდა 2 განცხადება (58 და 46 დეპუტატის ხელმოწერით) ჩხეიძის საკითხის დაუყოვნებლივ განხილვის და გაჭირებული კანონპროექტის სასწრაფოდ მიღების მოთხოვნით (189. 129).

ამ წინადაღებებს შექმნდნენ პურიშკევიჩი. გაერთიანებული ოპოზიციის სახელით კადეტთა ლიდერმა მილიუკოვმა კატეგორიულად განაცხადა: „ოუ ჩვენ გვართმევთ ჩვენს ელემენტარულ

პრივილეგიებს, მაშინ ჩვენ გამოვიყენებთ ჩვენს ელემენტარულ უფლებას, კრედიტების ასიგნების უფლებას“. სათათბიროს ცენტრში ჯერ კიდევ ჭოჭმანობდნენ, სათათბიროს მოსალოდნელი გარეკვის შიშით და მემარცხენებს კეთილგონიერებისაკენ, ბიუჯეტის დამტკიცებისაკენ მოუწოდებდნენ. ეს პოზიცია კენჭისყრამ დაფიქსირა: 80 მომსრე, 164 მოწინააღმდეგებ, 18 თავშეკავებული.

მეორე დღეს, 22 აპრილს თავმჯდომარის სახელზე შევიდა 30 დეკუტატის განცხადება, მოთხოვნით: „შეჩერდეს დღის წესრიგის ყველა საკითხის განხილვა, ვიდრე დეკუტატის სიტყვის თავისუფლების კანონპროექტი არ განიხილება და დამტკიცდება“. ამჯერად გაერთიანებული ოპოზიცია დაიშალა, განცხადება მხოლოდ ტრუდოვიკებმა და სოციალ-დემოკრატებმა შეიტანეს. ჩხეიძეს სიტყვა შეაწყვეტინეს, შემდეგ გამოვიდა გელოვანი, რომელმაც დაასრულა შემდეგი ფრაზით: „ხელთამანი ნასროლია და ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ“. კენჭისყრით „30-ის განცხადება“ სათათბირომ უარყო 140 ხმით 76-ის წინააღმდეგ და დაიწყო ბიუჯეტის განხილვა.

ტრიბუნაზეა პრემიერი გორემიკინი, მემარცხენები არ აცლიან ლაპარაკს... უწყობენ ობსტრუქციას. რომიანე 15 სხდომით (სასჯელის უმაღლესი ფორმა სათათბიროში) აძევებს 7 სოციალ-დემოკრატს, მათ შორის სკობელევს და ჩხეინელს. ჩხენელი არ ემორჩილება თავმჯდომარის განკარგულებას, რომიანე იძულებულია გამოაცხადოს შესვენება და პოლიციელებს დარბაზიდან გააყვანინოს ჩხენელი, რასაც მოჰყვა ჩხენელის ცნობილი ფრაზა: „ვემორჩილები ძალადობას“.

ობსტრუქცია კვლავ განახლდა... ამჯერად აძევებენ გელოვანს, კერძესკის და პეტროვსკის. დაუმორჩილებლობის გამო რომიანე კვლავ შესვენებას აცხადებს და განაჩენი პოლიციელების დახმარებით მოყავს სისრულეში.

სხდომის განახლებას კვლავ ობსტრუქცია მოყვა, ამჯერად 3 სოციალ-დემოკრატი და 2 ტრუდოვიკი გააძევებს (მათ შორის ძიუბინსკი და ჩხეიძე). კვლავ შესვენება და ძალის გამოყენებით უკანასკნელად, 15 სხდომიდან გაძევება წილად ხვდათ დარბაზში მყოფ მემარცხენეთა ნაშობს (3 ტრუდოვიკი და 2 სოციალ-დემოკრატი), რომლებიც სხდომის მორიგ განახლებას სკანდირებით შეეგებნენ. მხოლოდ ტრიბუნაზე მეოთხედ ას-

ვლის შემდეგ მოახერხა გორემიკინმა თავისი მოხსენების დასრულება.

ამ მოვლენებს მთელი რუსეთის პრესით დიდი გამოხმაურება მოჰყვა. უმაღლესი მთავრობა იძულებული გახდა არ დაემტკიცებინა სახელმწიფო საბჭოს I დეპარტამენტის გადაწყვეტილება და „ჩხეიძის საქმე“ სამუდამოდ მოქსპო (44. 102).

თუმცა ხელისუფლებამ გარკვეულ შედეგს მაინც მიაღწია. შემდგომში მემარცხენები ცდილობენ უფრო თავშეგავებულად ისაუბრონ სათათბიროს ტრიბუნიდან. „ჩხეიძის საქმე“ ერთ უარყოფით ტრადიციასაც დაუდო სათავე. ამ სესიის ბოლოსათვის დეპუტატთა არნახული სიმცირეა, 100-ზე მეტი დეპუტატი პეტერბურგიდან წასულია და სათათბიროს შემდგომი სხდომებისას ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ნახევრად დაცარიელებული დარბაზი.

\* \* \*

როგორც უკვე აღვნიშნეთ სათათბიროს არსებობის ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდა აკაკი ჩხენკელი. იგი ფაქტიურად ფრაქციის წამყვანი წევრია და შესაშური ენერგიით იღწვის ნებისმიერი საკითხის გამოსაკვლევად, გადასაწყვეტად.

პირველი უმნიშვნელოვანები საქმე, რომელიც ჩხენკელმა წარმატებით განახორციელა დაკავშირებული იყო მურდულის ხეობის მანძულის სპილენძის მაღაროებთან. ამ საწარმოს კონცესიები ეუთვნოდათ ამერიკელებს და ადგილობრივი პოლიციის დახმარებით ცდილობდნენ მაქსიმალური მოგების მიღებას. ისინი სამუშაოზე იღებდნენ იაფფასიან მუშახელს, რუსთის ტერიტორიაზე უკანონოდ მიგრირებულ ირან-ოსმალეთის ქვეშევრდომებს, რომელთაც თავის მხრივ პოლიციაც ფულს სძალავდა და სიამოგნებით ამარაგებდა მაღაროებს ამ კატეგორიის ხალხით. სამაგიეროდ აქ სამუშაოს მიღებაზე ოცნებაც კი არ შეეძლო უფრო განათლებულ და მაღალი ანაზღაურების მოსურნე რუსთის ქვეშევრდომს, რომელსაც უპასპორტოდ არ უშეებდნენ და ათასნაირ პრეტენზიებს უკენებდნენ.

ამასთან ერთად მაღაროებში სრული განუკითხაობა სუცევდა, არ იცავდნენ უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნებს. 1913 წლის 31 ოქტომბერს ჩამოიქცა მაღაროს ერთ-ერთი შახტა და

35 მუშა გატელიტა. არსებული ბზარების შესახებ მეთვალყურის მიერ წინადღით გაფრთხილების მიუხედავად კონცესიონერმა სამუშაოს გაგრძელება მოითხოვა. ტრაგედიის შედეგებს ლიკვიდაცია უჟვეს, საქმე ჩაფარცხეს, ყალბ ოქმზე კი წერაკითხვის უცოდინარ მუშებს მოაწერინეს ხელი. აკაკი ჩხერიძემა არდაღების დროს გამოიძია ეს საქმე და 1914 წლის 4 ოქტემბერის სათათბიროზე მოხსენებით წარსდგა. მან მოითხოვა კანონის მე-40 მუხლით მაღაროს მეპატრონებით პასუხისმგებაში მიცემა (65. 43).

სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის მდგომარეობა აკაკი ჩხერიძის განსაკუთრებული ზრუნვის საგანს წარმოადგენდა. მითუმეტეს ომის დაწყების შემდგომ, როცა ეს მხარე ფრონტის ხაზად იქცა. მან ჯერ გორემიკინთან საუბრისას დააყენა ქართველი მაპმადიანების საკითხი (113. 32). შემდეგ კი უმაღლესი სამხედრო ხელისუფლების წინაშეც.

აკაკი ჩხერიძემა სათათბიროში გაილაშქრა აჭარელთა მიწების გაყიდვის წინააღმდეგ. 80-იან წლებში სახაზინო მფლობელობაში გადაცემულ მიწათა მნიშვნელოვან ნაწილს თანდათანობით დაუფლა სომხური ბურჟუაზია, იმუამად კი სათათბირო აპირებდა ამ ტერიტორიის კერძო საკუთრებაში დაკანონებას (18. 51).

ჩხერიძი აქტიურად ებმება მაპმადიანი აჭარლების პროცესთან დაკავშირებით და ქ. ყარსისთვის თვითმმართველობის მინიჭების კამანიაში. გამოდის საქველმოქმედო საზოგადოების შექმნის ინიციატივით, რომელიც ქართველ და სომებს ლტოლევილებს მოემსახურებოდა ომის პირობებში. იგი ამ საკითხზე მოლაპარაკებებს აწარმოებდა სომხური ბურჟუაზიის ლიდერებთან ხატისოვსა და თამაშევთან.

ჩხერიძი ქუთაისის გუბერნიის ომით დაზარალებული მოსახლეობის ინტერესების დასაცავად ხვდება მეფისნაცვლის თანაშემწე პეტერსონს, გენერლებს პოროშინსა და მიკულსკის (13. 195). ჩხერიძის უშაალო ჩარევით მთავრობამ დახმარება გაუწია სამურზაყანოვდ გლეხობას. იგი ფასების გაზრდასთან დაკავშირებით მთავრობასთან შუამდგომლობს სოხუმის გაფიცელ ვაჭრებს და სათათბიროზეც აყენებს ამ საკითხს (179. 95).

ოჩამჩირის თვითმმართველობის შემოღების საკითხი უმაღლეს დონეზე სწორედ ჩხერიძემა წამოჭრა პირველად (31.

9). მისი დიდი ავტორიტეტის მანიშნებელია ეგზარქოს პიტირიძის მოკრძალებული წერილი და მისი ჩარევის შემდგომ იღორის წინამდგრის მიმართ ჩადენილი უსამართლობის დაუყოვნებლივ გამოსწორება.

როგორც უკვე აღნიშნეთ, სათათბიროში აკაკი ჩხერიძელი თანდათანობით ტრანსფორმირდა მუცურვალე ნაციონალისტად... მან შეძლო ნაწილობრივ მაინც შეეცხოვ გელოვანის დაღუპვით გამოწვეული დანაკლისი. ერობის, და ბოლოს ავტონომიის მოთხოვნის ბრწყინვალე გამოსვლებით მან მოიგო ანგისოციალისტურად განწყობილი ქართული საზოგადოების გულიც. კიევში არსებულმა არჩილ ჯორჯაძის საზოგადოებამ ამისთვის აკაკი ჩხერიძელს სამადლობელი დეპეშაც კი გაუგზავნა (63. 782).

ერთ-ერთი პირველი ნაციონალისტური სულისკვეთებით დამუხტელი მისი სიტყვა უკავშირდება 1914 წლის 5 მარტს ხარკოვში პოლიციის მიერ შევჩენკოს იუბილესთან დაკავშირებით მოწყობილი სტუდენტური მანიფესტაციის დარბევას. შინაგან საქმეთა სამინისტრომ საერთოდ აკრძალა ამის შემდეგ შვჩენკოს იუბილეს აღნიშვნა. ჩხერიძელმა და გელოვანმა ეს ფაქტი უკრაინელთა ეროვნული დირსების შეურაცხოფად ჩათვალეს (28. 6-8) და შეკითხვაც შეიტანეს ამასთან დაკავშირებით, რომელიც სათათბირომ უარყო.

აკაკი ჩხერიძელი სათათბიროში გამოდიოდა ზოგად საკითხებზეც. მან ხმა აღიმადლა უზენაესი სენატის გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომლის საფუძველზეც რუსეთთან მეომარი სახელმწიფოს ქვეშევრდომებს წაერთვათ სასამართლო დაცვის უფლება (104. 71). ჩხერიძელის თქმით, ესაა სამარცხვინო პროფანაციის შედეგი, რაც შჩეგლოვიტოვის და ხვოსტოვის ხელში განიცადა რუსულმა სასამართლომ. ჩხერიძელმა ხმა აიმადლა ომის პირობებში მოხელეთა მექრთამეობა-თვითნებობის წინააღმდეგ, მოითხოვა „პასუხისმგებელი სამინისტროს“ შექმნა (63. 529).

მან დიად დასდო ბრალი მთავრობას რესული იმპერიალისტური, სლავიანოფილური პოლიტიკის წარმოებაში (85. 128). 1916 წლის 19 ნოემბერს ჩხერიძელმა პროგრესულ ბლოკს მსჯავრი დასდო ხელისუფლებასთან ლოიალობაში, „ჩვენ ჩიხში შევდივართ, საიდანაც ერთადერთი გამოსაგალი რევოლუციაა“

(188. 141). ამ სიტყვებისთვის მემარცხენეთა ორივე ფრაქცია 8 სხდომით გააძვევს სათათბიროს დარბაზიდან.

აკაკი ჩხერიელი იყო 87-ე მუხლთან დაკავშირებით შეკითხვის შეტანის ინიციატორი, რომელიც ფრაქციამ კადეტების და ოქტიაბრისტების პროტესტის შემდგომ მოამზადა. ამ მუხლის თანახმად მთავრობას უფლება ეძლეოდა სათათბიროს არდადებებისას, თუ ექსტრემალური კითარება შეიქმნებოდა, თვითონ მიეღო კანონი და შემდგომ დაემტკიცებინა სათათბიროზე. კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევები ლაშის ყოველდღიურობად იქცა (188. 141). ამასთან, როგორც წესი, მთავრობა იღებდა იმ ახალი კანონების თავისთვის ხელსაყრელ ვარიანტებს, რომლებიც მუშავდებოდა სათათბიროს კომისიებში, ამისათვის ბოლო სესიები შემოკლებული გრაფიკით ჩატარდა და სათათბირო ნაადრევად გაუშვეს შვებულებაში.

1916 წლის 3 ივნისის გამოსხვლაში აკაკი ჩხერიელმა ივარაუდა მოვლენათა შემდგომი განვითარება რუსეთის იმპერიაში (31. 28). წინასწარმეტყველური აღმოჩნდა მისი სიტყვები: „ევროპის ომი, რომელიც 2 წელია მძინვარებს, დასრულდება. საგარეო კრიზისები ადგილს დაუთმობენ საშინაო კრიზისებს. რუსეთისთვის ამ მომენტის დაღგომა იმის ნიშანი იქნება, რომ გადაწყვდება საჭირობოროტო საკითხები, რომლებიც ქვეყანას ბორჯილებისგან გაათავისუფლებს“.

## §5. ვარლამ გელოვანი და IV სახელმწიფო სათათბიროს ტრუდოვიკთა ფრაქცია

ვარლამ გელოვანის ბიოგრაფიის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი მჭიდროდ უკავშირდება რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს. იგი ჯერ კიდევ I სახელმწიფო სათათბიროსთან არსებულ „ავტონომისტთა კავშირსა“ (რომელიც დეპუტატი ლედნიცკის და პეტრავიცკის ინიციატივით ჩამოყალიბდა. აქვე იყო გაერთიანებული ქართველი დაბუტატი იოსებ ბარათაშვილი) და „ურნალისტთა ბიუროში“ მუშაობდა მდივნად.

თავისი პროფესიული საქმიანობის გარდა (იმავე, 1906 წლიდან ვარლამ გელოვანი პეტერბურგის ნაფიც მსაჯულთა თანაშემწების კორპორაციის თავმჯდომარის, თავისი სტუდენტობის დროინდელი მეცნიერის ალექსანდრ კერენსკის მოადგილეა), ვარლამ გელოვანი აქტიურად ინტერესდება პოლიტიკით. იგი ეხმარება ილია ჭავჭავაძეს „ავტონომისტთა კავშირთან“ ურთიერთობის დამყარებაში და შესაძლებელია გარკვეული იურიდიული საკითხების მოგვარებაშიც (159. 103).

1907-1910 წლებში ვარლამ გელოვანი თანამშრომლობს ელისაბედ ბეზობრაზოვასთან (იხ. ამავე თავის § 2), როგორც ჩანს ეხმარება ბროშურის და სააგიტაციო მასალების მომზადებაშიც. მას შემდგა, რაც უანდარმერიამ აუკრძალა ბეზობრაზოვას კავკასიაში ცხოვრება, ვარლამ გელოვანთან პეტერბურგის ბინაზე 1912-1914 წლებში ხშირად სტუმრობდა კონსტანტინე მუხრანსკი, ნიკოლოზ II-ის მმისშვილ ტაგიანას მეუღლე (136). რთულია და შემდგომ კვლევას მოითხოვს მათი ურთიერთობის რეალური ინტერესების საკითხი, მაგრამ შესაძლებელია ვივარაუდოთ ვარლამ გელოვანის მონარქისტული ტენდენციები. შესაძლებელია, მას საქართველოს მომავალი გეორგიევსკის ტრაქტატის პირობათა ფონზე წარმოედგინა.

დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია შეხედულება ვარლამ გელოვანის „შემთხვევითი დეპუტატობის“ შესახებ. აქ იგულისხმება, როგორც ტექნიკური მხარე, ისე გელოვანის პოლიტიკური წონა. ეს შეხედულება თანამედროვე პუბლიცისტიკაში მუხირებდა იმთავითვე. ასე თვლიდნენ გრიგორი რობაქიძე, არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი... (147. 274).

ჩვენს მიერ მიკვლეული დოკუმენტი (იხ. თავი 1. § 2) ცხადებულს, რომ გარდამ გელოვანს იმთავითვე სადეპუტატოდ ამზადებდნენ, ოღონდ ტფილისის გუბერნიაში. მას შემდეგ, რაც შეთანხმება სოციალ-დემოკრატებთან არ შედგა (შესაძლებელია პარტიის ხელმძღვანელობისათვის ეს გარიგება უცნობი იყო, ანდა მათ ეგონათ, რომ მეტი ადგილის მიღებას შეძლებდნენ და ამიტომ ჩაშალეს ფედერალისტებთან შეთანხმება), წინა პლაზე გამოვიდა კიტა აბაშიძის კანდიდატურა, ხოლო ტფილისის გუბერნიაში ფედერალისტებს ადარც უბრძოლიათ სერიოზულად.

გარდამ გელოვანს ახლო ურთიერთობა ჰქონდა კიტა აბაშიძესთან და გიორგი ზდანოვისთან, ხოლო არჩილ ჯორჯაძეს კი, რა უცნაურადაც არ უნდა უდერდეს, როგორც ჩანს პირადად არც იცნობდა 1912 წლამდე (ყოველ შემთხვევაში ამის დამადასტურებელი პირდაპირი მასალა არ ჩანს, ხოლო 1900-1911 წლებში მათი ცხოვრების გზები არ გადაკვეთილა).

აქედან გამომდინარე შეიძლება დავუშვათ, რომ მოლაპარაკება, რომელიც ზდანოვის ინიციატივით შედგა გასახლებულ სამსონ ფირცხალავასთან, უცნობი იყო არჩილ ჯორჯაძისთვის. პარტიოლოგიაში მიღებული თეორიით პოლიტიკურ პარტიებს საწყის ეტაპზე ახასიათებთ ამორფულობა. სოციალისტუდერალისტთა პარტიისათვისაც დამასასიათებელია ეს ფაქტორი, განსაკუთრებით 1910 წელს პარტიის დარბევის და მისი დიდერების კავკასიიდან გასახლების შემდგომ.

პარტიის მართვის სადაცები ძირითადად ზდანოვის და აბაშიძის ხელში გადაღის (მათ ფინანსური საშუალებებიც ჰქონდათ). ამდენად გასაგებია მათი დაინტერესება, რომ გარანტირებული 1 ადგილის შემთხვევაში (სოციალ-დემოკრატებთან წარმატებული მოლაპარაკებისას – იხ. თავი 1. § 2) სწორედ ვ. გელოვანი გაეცვანათ დეპუტატად. მას პეტერბურგში ცხოვრების 10-წლიანი სტაჟი, ნაცნობობის ფართო სპექტრი, დიდი ავტორიტეტი სათათბიროსა და იქაურ ქართველობაში უმაგრებდა ზურგს.

საქართველოში ვარდამ გელოვანს ფართო საზოგადოება არ იცნობდა და ამიტომ, როგორც კი ბრძოლა გახდა საჭირო დეპუტატობისათვის, მისი კანდიდატურა ქუთაისის გუბერნიაში უფრო პოპულარულმა კიტა აბაშიძემ შეცვალა. თუმცა საბო-

დოოდ ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც ფედერალისტებს პქონდათ ჩაფიქრებული – მათი №1 კანდიდატი გახდა სათათ-ბიროს დეპუტატი.

ვარლამ გელოვანის დეპუტატად გახდომისთანავე დადგა სა-კითხი, თუ რომელ პოლიტიკურ ჯგუფს შეუერთდებოდა იგი. გან. „ბაქესთან“ ინტერვიუში გელოვანმა განაცხადა, რომ ფე-დერალისტებთან ყველაზე მეტ პროგრამულ სიახლოვეს ამ-ჟღავნებენ ტრუდოვიკები (41. 99).

მართლაც ამ ფრაქციის შემადგენლობაში შედიოდნენ: ეს-ფ-რები, ნაროდნიკ-ხოციალისტები და უკრაინელი ფედერალისტე-ბი. მათთან გელოვანს დიდი ხნის ურთიერთობები აკავშირებდა, ტრუდოვიკთა ერთ-ერთი ლიდერი ად. კერენსკი კი მისი სტუ-დენტობის დროინდელი მეგობარი იყო. ამასთან ეს ფრაქცია სოციალ-დემოკრატებთან ერთად ქმნიდა უკიდურეს მემარცხე-ნეთა ბლოკს, მათთან დაკავშირება კი გარკვეულწილად გაა-ნელებდა იმ დაბაძულ დამოკიდებულებას, რაც თანამემამულე სოციალ-დემოკრატებთან შეექმნა გელოვანს.

თვით სოციალ-დემოკრატები უარყოფითად შეხვდნენ გელო-ვანის „ტრუდოვიკობას“. „ფედერალისტები თამაშობენ, შინ ნა-ციონალისტობენ, გარეთ კი [რუსეთში] სოციალისტობენ“ – წერდა სოციალ-დემოკრატიული პრესა (74. 4) და უფრო სა-მართლიანად მიიჩნევდა ვარლამ გელოვანი პოლონური „კო-ლოს“, როგორც ნაციონალისტური ფრაქციის რიგებში შესუ-ლიყო.

„ისარის“ აზრით ვარლამ გელოვანი ჯობდა კადეტი ყოფი-ლიყო, მაშინ მის მიერ ავტონომიაზე საუბარს უფრო დიდი რე-ზონანი მოჰყვებოდა (ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ კადეტები მხოლოდ პოლონეთის ავტონომიის საკითხს გა-ნიხილავდნენ და გელოვანს მათთან ყოფნის შემთხვევაში შე-საძლოა საერთოდ ვედარ ამოედო ავტონომიაზე ხმა – ბ. კ.). იგივე „ისარის“ აზრით გელოვანი ემორჩილება პარტიულ დის-ციპლინას და უკვე ძლიერად გათქვევილი „ტრუდოვიკებში“ (1914 წლის მარტისთვის). „სამწუხაროდ სათათბიროში საქართ-ველოს დეპუტატები აღარ ჰყავს – დაასკვნა „ისარმა“, საერთო კანონპროექტთან დაკავშირებით გელოვანის განცხადების შემდგომ: „ჩვენ წარვადგენთ უკიდურესად რადიკალურ

პროექტს, რომელსაც სათათბირო აუცილებლად შეკვეცავს და მივიღებთ შედარებით ნორმალურს“.

გამ „ჩვენი ერი“ აქტიურ ქართულ პოლიტიკას სათათბიროში უპერსპექტივოდ მიიჩნევს, „გაცილებით მრავალრიცხოვანმა პოლონელებმაც კი რუსული დემოკრატიული წრეებისაგან უარყოფითი დამოკიდებულების მეტი ვერა მიიღეს რა“.

„ისარმა“ ქართულ პოლიტიკურ პრესაში პირველმა წამოაყენა სამივე ქართველი დეპუტატის ერთ ფრაქციაში გაერთიანების იდეა. „თუ აქამდე მათ ფრაქციებში მოღვაწეობას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ამ შემთხვევაში მცირეოდენი მნიშვნელობა მაინც მიეცემა“. სამომავლოდ კი, შესაძლებელი იქნება სხვა ჩაგრულ ეროვნულ უმცირესობათა დეპუტატების მოზიდვაც და ძლიერი საპარლამენტო ფრაქციის შექმნა.

ეს იდეა ვარდამ გელოვანს, როგორც ჩანს, თავიდანვე ჰქონდა. პირველივე სესიის დროს, 1912 წლის დეკემბერში მისი თაოსნობით შედგა კავკასიელ დეპუტატთა კრება. მიზანი—საერთო სამოქმედო გვერდის შემუშავება. მონაწილეენი: ნიკოლაევი (შავიზლევისპირა გუბერნიის დეპუტატი), ჯაფაროვი (თაორების დეპუტატი), დადესტნის დეპუტატი და პაპაჯანოვი (ეს უკანასკნელი ავადმყოფობის გამო სხდომას ვერ დაესწრო). კრებას არ ესწრებოდა სოციალ-დემოკრატთა კავკასიური „სამეული“.

საერთოდაც ქართველ დეპუტატთა „უბრად ყოფნა“ გრძელდებოდა თითქმის მთელი პირველი სესიის განმავლობაში. პირველივე შეკითხვისას პრემიერ კოკოვცევის მიმართ კავკასიაში საერთო რეფორმების განახლების თაობაზე (12. XII. 1912) სოციალ-დემოკრატებმა ამჯობინეს არ შეერთებოდნენ გელოვანს და ცალკე შეეტანათ თავისი ფრაქციის სახელით შეკითხვა (61. 778).

გელოვანის შეკითხვის შედეგი იყო გიორგი ზდანოვისთან ერთად მომზადებული შესანიშნავი სიტყვა, სადაც ვარდამ გელოვანმა პირველად დააყენა საქართველოსათვის პოლიტიკური ავტონომიის მინიჭების საკითხი (იხ. თავი II. § 2).

ვარდამ გელოვანის ხანმოკლე, მაგრამ ინტენსიური სადეპუტატო მოღვაწეობის პერიოდში განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი გამოსვლები:

- 1) 13. XII. 1912 – პრემიერ კოკოვცევის დეპლარაციის პასუხად, სა-დაც პირველად გაიჭდერა საქართველოსთვის პოლიტიკური აგზონო-მიის მოთხოვნაში.
- 2) 14. III. 1913 – არჩევნების დროს ადმინისტრაციის მიერ მოწყო-ბილ უკანონობათა შესახებ. ამ გამოსვლას მოჰყვა კრუპენსკის ხუ-ლიგნობა და გელოვანს ჩეკიძესთან ერთად შეაქვს შეკითხვა.
- 3) 18 და 20. V. 1913 – საერობო რეფორმის მოთხოვნა. გელოვანი ბიუჯეტის ანალიზისას ასაბუთებს კავკასიისათვის ერობის აუცი-ლებლობას.
- 4) 28. V. 1913 – სასამართლო რეფორმის შესახებ იმპერიის სამ-ხრეთში. სათათბირომ მიიღო გელოვანის ფორმულირება.
- 5) 4.VI. 1913 – „კავკასიის უნივერსიტეტის“ კანონპროექტის დაჩქა-რების მოთხოვნა.
- 6) 8. XI. 1913 – არჩევნების დროს ადმინისტრაციის უკანონობის შესახებ შეკითხვა (შორაპანის მაზრაში მოსახლეობას 13 ათასი მან. „შეაწერეს“, გელოვანი მოთხოვს ადგილობრივ მოხელეთა დახჯას). შეკითხვა მიიღეს.
- 7) 27. XI. 1913 – დასავლეთ საქართველოში შიმშილობასთან და-კავშირებით შეკითხვა. მოითხოვს მეფისნაცვლის საბჭოსგან ყურა-დღებას. პრემიერი იძლევა პირობას.
- 8) 21. I. 1914 – კალავ შიმშილობასთან დაკავშირებით. ვარლამ გელოვანი არასაკმარისად მიიჩნევს მეფისნაცვლის განმარტებას და მოითხოვს 8,5 მლნ. მანეთის გამოყოფას, სასურსათო კომიტეტის შექმ-ნას და ადგილობრივი მოსახლეობისათვის ერთი წლით გადასახადე-ბის შექრებას.
- 9) 14. III. 1914 – ამიერკავკასიისათვის საოლქო თვითმმართველობის დაწესების მოთხოვნა.
- 10) 20. V. 1914 – განათლების სამინისტროს ბიუჯეტის განხილვი-სას გელოვანი საუბრობს ქართული სკოლების, ქართული ენის უმ-ძიმეს მდგომარეობაზე. მოითხოვს პოლიტექნიკურის საპირისპირო გაგასიის უნივერსიტეტის განახლებას.
- 11) 27. V. 1914 – „ჩეკიძის საქმესთან“ დაკავშირებით მოითხოვს საეციალური დეპლარაციის მიღებას.
- სხვა დეპუტატების მსგავსად საზაფხულო არდადეგების დროს ვარლამ გელოვანიც ეწვია თავის ამომრჩევლებს. თუმცა ასეთი მოგზაურობა მან მხოლოდ ერთხელ მოასწრო 1913 წელს (23. 127-386).
- მარშრუტი: ივლის-აგვისტო (თავრიდის სასახლის რეკონ-სტრუქციის კომისიის წევრია) – 7. IX. ბაქო (მუშათა გაფიც-ვებში ხელისუფლების ჩარევით გამოწვეული ვითარების შე-

სასწავლად) – 4. X. ბათუმი (აქ მასზე „ოხრანკა“ აწესებს თვალთვალს) – 5-9. X. ლეჩხუმი – შორაპანი – ჭიათურა – საჩხერე – სამტრედია (შეხვდა ზღანოვისა და აბაშიძეს, შეაგროვა მასალები შიმშილობის შესახებ ზემო იმერეთში, ადმინისტრაციის თვითნებობის შესახებ) – 18. X. ფოთი (სარწყავი არხის გაყვანის და რიონის ჯებირის ხარჯთაღრიცხვა შეადგენინა და ხაზინიდან დახმარებას შეპირდა) – 19. X. სენაკი – ზუგდიდი (გზების შეკეთების თაობაზე, შუამავლობს მინგრელსკისა და გლეხებს შორის) – ტფილისი – პეტერბურგი.

ერთიანი კავკასიური ფრაქციის შექმნის გელოვანისეულ ინიციატივას გაგრძელება მოჰყვა 1913 წლის საზაფხულო არდა-დეგების დროს. ტრუდოვიკთა ფრაქციაში დგაუტატებს დაურიგა ანკეტა, იმის გამოსარკვევად თუ ვისგან შეიძლებოდა დაკომპლექტებულიყო სხვადასხვა ეროვნებათა ჯგუფების ერთიანი ფრაქცია (41. 140).

ტრუდოვიკთა ფრაქცია ამის პარალელურად ცდილობდა მოეზიდა სხვადასხვა ფრაქციაში გაერთიანებული გლეხი დეპუტატები, განსაკუთრებით მონარქისტი და მემარჯვენე გლეხები და შექმნა „გლეხთა ფრაქცია“, რომლის თავმჯდომარევაც ჩაფიქრებული იყო ვარლამ გელოვანი.

ეს განზრახვა ვერ განხორციელდა, ისევე როგორც ნაციონალისტური ფრაქციის შექმნის ინიციატივა. ამის ხელშემდებლი პირობები, ჩვენი აზრით, უშეალოდ ტრუდოვიკთა ფრაქციაშიც უნდა ვეძიოთ, რომლის ლიდერიც თავიდან იყო ძიუბინსკი, უკრაინელი ნაციონალისტი, ვინც ყოველმხრივ აქზებდა და მხარს უჭერდა გელოვანის ინიციატივებს.

1913 წლის ობერვალში სათათბიროზე განიხილავდნენ რომანოვთა ზეობის 300 წლისთავის აღსანიშნავად 0,5 მლნ. მანეთის გამოყოფის საკითხს. საპროტესტო განცხადებები გააკეთეს მურანოვმა (სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით) და ძიუბინსკიმ (ტრუდოვიკთა ფრაქციის სახელით). სათათბირომ თანხა რასაკვირველია გამოუყო, ხოლო ტრუდოვიკთა ფრაქციაში განხეთქილება მოხდა. ვინაიდან ძიუბინსკიმ წაიკითხა საკუთარი ვერსია განცხადებისა, რომელიც ფრაქციის კუბაზე დაიწუნეს და არა კერძნსკისა, რომელიც მოწონებული იყო (41. 31).

ამ ფაქტს ცოტა ხანში მოყვა ძიუბინსკის გადაეცენება და ფრაქციის თავმჯდომარე გახდა ალექსანდრ კერენსკი (1881-1970), განთქმული ორატორი, შემდგომში დროებითი მთავრობის თავმჯდომარე. მიუხედავად ვარლამ გელოვანთან მისი მეგობრობისა (გელოვანი კვლავაც ფრაქციის მდივნად რჩება, ფაქტობრივად მეორე პერსონაა ფრაქციაში) ჩვენი დეპუტატის მდგრამარეობა გართულდა. კერენსკი უფრო მემარცხენე იყო და არ უწონებდა გელოვანს ნაციონალისტურ მისწრავებებს. იგი მოუწოდებდა კოლეგებს: „აგლოგანი სშირად ლაპარაკობს ეროვნულ საკითხზე და ურჩიეთ, როგორც სოციალისტმა, ეროვნული საკითხი მხოლოდ სოციალისტური თვალთახედვით გააშუქოს“ (182. 27).

კერენსკი საერთოდაც წინააღმდეგი იყო საქართველოს ავტონომიისა. დავით კლდიაშვილის გადმოცემით, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ზდანოვისთან და მის მოადგილე კიტა აბაშიძესთან მოსალაპარაკებლად სშირად დადიოდნენ შინგარიშვი და კერენსკი. როცა ამ უკანასკელმა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განხილვისას თავისებური განწყობა გამოავლინა, ზდანოვისმა მკაცრად მიმართა: „ალექსეი ფოლოროვიჩ, თუ ამგვარი შეხედულების ხართ საქართველოზე, უმჯობესი იყო აქ ფეხი არ დაგედგათ“. კერენსკიმ ჩადუნა თავი, ააპარაბალა თავისი ბეცი თვალები და ბოდიშისმაგრარი სიტყვებით ალაპარაკდა. (140. 529).

პოლიტიკურ შეხედულებათა შეუთავსებლობის მიუხედავად, კერენსკის და გელოვანს ახლო ურთიერთობები აკავშირებდათ. პირველმა სწორედ კერენსკიმ დაიცვა გელოვანი ხიზანთა საკითხთან დაკავშირებით სოციალ-დემოკრატთა ბრალდებებისაგან. „სევერნიაია რაბოჩაია გაზეტაში“ მემარცხენე სტუდენტებმა გამოაკვეყნეს 3-პუნქტიანი საპროტესტო განცხადება (მანამდე ბრალდებების ეს ტალღა საქართველოშიც აგორდა): 1. სათათბიროს საბიუჯეტო კომისიაში ვარლამ გელოვანი იცავდა თავად დადიანის ინტერესებს. 2. აგრარულ კომისიაში მან არ დაიცვა ხიზანთა ინტერესები, მიემსრო თავადაზნაურობას. 3. არ დაიცვა ს. უხუთის 90 კომლი გლეხის ინტერესები.

ამასთან დაკავშირებით კერენსკიმ, როგორც ფრაქციის ლიდერმა, გააკეთა ოფიციალური განცხადება, სადაც გელოვანის წინააღმდეგ მიმართულ ყველა ბრალდებას არგუმენტირებული

პასუხი გასცა. 1. „დადიანის საქმე“ იყო გელოვანის სააღვოკატო საქმიანობის ჩვეულებრივი ნაწილი. იგი იცავდა 1867 წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დადიანთა უფლებებს – მთავრობას უნდა გადაეხადა მთავრის მემკვიდრისთვის 1 მლნ. ოქროს მანეთი. 1913 წლის 14 მარტიდან, როგორც დეპუტატმა, მან უარი თქვა ამ ერთადერთი საქმის წარმოებაზეც. 2. გელოვანის ხიზანთა წინააღმდეგ ლიად არასდროს გაულაშქრია. მან ქართველი თავადაზნაურობის დეპუტაცია შეახვედრა აგრარულ კომისიას. პუნქტობრივი განხილვისას გააცნო მათი პოზიცია და საქმე დროებით შეაჩერებინა. უკეთ შესასწავლად დაუბრუნდა ქვეკომისიას. ის ყოველთვის ჩხეიძესთან ერთად გამოდიოდა ხიზანთა საკითხზე. 3. უხუთელ გიორგაძეებთან დაკავშირებით კი ვფიქრობთ, რომ გელოვან-გეგმებორის სასამართლოს შემდგომ (ეს პროცესი 1914 წლის 24 იანვარს დასრულდა – ბ. კ) ველა უნდა ეცადოს პარტიული კინკლაობისაგან თავის შეკავებას (44, 39, 50).

გელოვანთან კერძნების ახლობლობის დამადასტურებელია ის შეამდგომლობაც, რაც ითხოვა პეტერბურგის ქართულმა საზოგადოებამ კერძნებისგან 1917 წელს. ტფილისის უნივერსიტეტის გახსნის დაჩქარების თხოვნა დროებითი მთავრობის წინაშე აღძრა გელოვანის ქვრივმა ნინო თარხნიშვილმა, მასთან ერთად პრემიერთან აუდიენციაზე იმყოფებოდნენ ზურაბ ავალიშვილი და შალვა ნუცუბიძე.

ნინო თარხნიშვილს (1876-1949) განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ვარდამ გელოვანის ცხოვრებაში, არა მხოლოდ როგორც მეუღლეს, არამედ როგორც თანამოაზრეს, თანამებრძოლს. ისინი 1905 წელს დაქორწინდნენ. მათი ბინა პეტერბურგში (კავალერგარდის ქ. 22) ქართული საზოგადოების თავშეყრის ადგილი, სული და გული იყო. არც ის არის შემთხვევითი, რომ სწორედ თარხნიშვილების ბინაზე (ტვერის ქ. 4) შეიქმნა პეტროგრადის ქართველთა კომიტეტი 1917 წელს, საგანგებო ვითარების დროს (შემადგენლობა: ზ. ავალიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ნ. თარხნიშვილი, შ. ნუცუბიძე, ი. ყიფშიძე, ჩერქეზიშვილი, სიდამონ-ერისთავი). აქვე გადაწყდა ეროვნული ყრილობის მოწვევა (კომიტეტის წევრთა გარდა მონაწილეობდნენ ნიკო ნიკოლაძე, კოტე აბხაზი, აკაკი შანიძე, ალექსანდრე ცაგარელი).

მეუღლის დაღუპვის შემდეგ ნინო თარხნიშვილი სპათაგორ-შია, გელოვანების მამულში. 1917 წლიდან კი პეტროგრადში ბრუნდება და კიტა აბაშიძის თხოვნით სათავეში უდგება სო-ციალისტ-ფედერალისტური პარტიის პეტროგრადის ორგანიზა-ციას.

გელოვანების ერთადერთი ვაჟი 1 წლის ასაკში მენინგიტით დაიღუპა ბაქოში მაშინ, როდესაც ვარლამ გელოვანი პეტრ-ბურგში საქართველოს ავტონომიის შესახებ აცხადებდა სახ-ელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან. ალბათ პირადი ცხოვრე-ბის ამ დიდმა ტრაგედიამაც განაპირობა ცოლ-ქმრის განსაკუ-თრებული თავდადება და თავგანწირვა ყოველი საზოგადო, ეროვნული საქმისადმი, ამან განაპირობა ვარლამ გელოვანის ტრაგიკული, გმირული აღსასრული.

I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, 1914 წლის აგვისტოში იქმნება IV სახელმწიფო სათათბიროს ომის დამხმარე კომიტე-ტი. მის შემადგენლობაში მყოფი III სანიტარული რაზმის მთა-ვარი რწმუნებულია ვარლამ გელოვანი. რაზმი ჯერ დასავლე-თის ფრონტზე იბრძოდა და განსაკუთრებული თავდადებისთ-ვის, დაჭრილი მებრძოლების გადარჩენისთვის გელოვანი და-ჯილდოვდა გიორგის ჯვრით. ნოემბერში რუსეთ-თურქეთის ფრონტზე გაიხსნა და 12 დეკემბრიდან რაზმი სამხრეთის ფრონტზე გადაიყვანეს. ეს როგორც ჩანს თვით გელოვანის ინიციატივით მოხდა. მას არ ურჩევდნენ სამხრეთში წასვლას, სახადი მძვინვარებს და სახიფათოაო, იგი კი შეუვალად პა-სუხობდა: „თუ საქართველომ ტერიტორია დაკარგა, მაშინ პე-ტერიტურგში სხვადასხვა საკითხის მოგვარება საჭიროა აღარ იქნება“.

გელოვანის რაზმს გამოარჩევდა თავდადება, მიდიოდნენ ყველაზე ცხელ წერტილებში. 1915 წლის 26 იანვარს ვერიშანში 200-ზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები გამოიყვანეს ფრონტისპი-რა მიწურებიდან ვარლამმა, ნინომ, 4 სანიტარმა და 4 მედდამ (13. 10). თებერვალში, ოლთისის ლაზარეთებში მუშაობისას ვარლამ გელოვანს და მის მეუღლეს შეეყარათ პარტახტიანი ტიფი. ისინი სასწრაფოდ გადაიყვანეს ტფილისის საქალაქო (ქ. წ. არმიანცის) საავადმყოფოში.

22 თებერვალს, დიდის 5 საათზე ვარლამ გელოვანი გარ-დაიცვალა. 23 თებერვალს გარდაიცვალა მისი თანაშემწე ქო-

ბულაშვილი. ნინო თარხნიშვილი ბერიგზე გადაურჩა სიკვდილს. 23 თებერვალს ალექსანდრე ნეველის სახელობის სამხედრო ტაძარში ვარლამ გელოვანს გადაუხადეს პანაშვილი. 25 თებერვალს ქაშვეთის ტაძარში დაასვენეს ცხედარი, წირავდა გორელი ეპისკოპოსი ანტონი, წესი აუგო ეგზარქოსმა პიტირიმმა,, გალობდა ფილარმონიული საზოგადოების ხორო ზაქარია ფალიაშვილის ლორტბარობით (63. 220).

გამოსათხოვარი სიტყვები წარმოთქვეს იოსებ ბარათაშვილმა, ალექსანდრე ხატისოვება და სათათბიროს თაგმჯდომარის მოადგილე ვარუნ-სეკრეტმა. ესწრებოდნენ სათათბიროს კავკასიელი დეპუტატები ჯაფაროვი და პაპაჯანიშვილი.

წინასაბანაშვილო სიტყვა წარმოთქვება დეკანოზმა კალისტერაშვილი ცინცაძემ. ქართველი თავად-აზნაურობის სახელით წაიკითხეს კოტე აბხაზის სამიმარი. 26 თებერვალს გელოვანის ნეშტე გადაასვენეს ქუთაისში. გზად, რეინიგზის სადგურებზე პროცესიას აუარებელი ხალხი ხვდებოდა.

ქუთაისის დამკრძალაგმა კომისიამ გიგო გველესიანის, სიმონ მდივნის, ევგენი გმბეჭორის, გრიგოლ გიორგაძის და აკაკი ფალავას შემადგენლობით ცხედარი ქუთაისის საკრებულო ტაძარში დაასვენა. გადაუხადეს პანაშვილი,, გამოსათხოვარი სიტყვები წარმოთქვეს ივანე ჩიქოვანმა (ქალაქისთავი), ია ეკალაძემ, კიტა აბაშიძემ... წაიკითხეს დეპუტები გიორგი ზდანოვისის, აკაკი ჩხენკელის, ალექსანდრ კერენსკის, კაკი წერეთლის,,,

ათებლიანი და 400 ცხენოსნიანი პროცესია ლეჩეუმის გზას შეუდგა. სპათაგორში, გელოვანების საგვარეულო საძველებისაბარეს ტანჯული მამულიშვილის ნეშტი (152. 89).

დამახასიათებელი იყო გაზეთ „სამშობლოს“ სიტყვები: „უმადურობით და გასაშეტერებელ დეპნით დაკოდილმა გულმა განისვენა. „ხალხის მტარვალმა“ სწორედ ამავე ხალხის შვილების მოვლას უმსხვერპლა თავისი სიცოცხლეც და ოჯახიც, მაგრამ ქართველი, მთა – გადაღმიელთა უბედურებისათვის თავგამოდებული შინაობაში ხშირად გულქვაობასა და გულგრილობას იჩენს. ჯგუფის მკვდარი! ჯგუფის ცოცხალი! ჯგუფის წმინდანი!“.

ვარლამ გელოვანის ტრაგიკულ აღსასრულს დიდი გამოხაურება მოჰყვა რუსეთში. 24 თებერვალს პეტროგრადის ამაღ-

და სახელმწიფო სათათბიროში გადაიხადეს პანაშვიდი, რომლის უშუალო ორგანიზაციორები რომიანკო და კერენსკი იყვნენ (63. 224). სახელმწიფო სათათბიროში სხდომების განახლებისას ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას. რუსეთის ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნდა არაერთი წერილი ვარლამ გელოვანზე. მისი ავტორიტეტი და პოპულარობა პოლიტიკური პორნენტებისათვის საკმაოდ მოულოდნელიც კი აღმოჩნდა (152. 84).

ქუთაისის გიმნაზიაში დაწესდა ვარლამ გელოვანის სახელობის სტიპენდია. 27 მარტს სანიტარული რაზმის უფროსად დაინიშნა თერგელი დეპუტატი კარაულოვი (13. 47), შემდგომში დროებითი მთავრობის მინისტრი.

თოთქოს სიმბოლურია, რომ „უკანასკნელი შეტყოფინება ვარლამ გელოვანისაგან იყო მისი დეპუტატი, გამოგზავნილი სარიცამიშიდან დიდი აკაკის გარდაცვალების გამო: „ოსმალეთის საზღვარზე მყოფმა მხოლოდ ეხლა გავიგე ის დიდი ეროვნული უბედურება, ჩემს სამშობლოს რომ დაატყდა თავს, აღარ გვიაქს დიდებული აკაკი, ვის სახელითაც თავს იწონებდა მთელი განათლებული ქვეყნის წინაშე საქართველო. აღარა გვყავს დიდი ქართველი, მაგრამ მისი სახელი შოთასა და ილიასთან ერთად მარადის იცოცხელებს ჩემს გუდში. მოწიწებით მუხლს ვიდრეკ დიდი პოეტის ნეშტის წინაშე და მთელი ქართველი ხალხის ზღვა ცრემლებს გუერთებ ჩემს ცრემლებსაც“ (63. 202).

უდროოდ წავიდა ვარლამ გელოვანი, ვერ მოასწრო ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის და ერობის შესახებ უკვე გამზადებული კანონპროექტების წარდგენა სათათბიროში (33. 13). ქართველი საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი პიროვნება წელიწადნახევრის მანძილზე შეიქმნა უპოპულარესი და უსაყვარლესი მისი მშობელი ხალხისათვის, სათათბიროში თავისი თავდადებული და პატრიოტული საქმიანობით. შეიძლება ითქვას, მისმა ტრაგიკულმა აღსასრულმა საქართველოსთვის ზღვარი დაუდო სახელმწიფო სათათბიროს მოღვაწეობის ერთ დიდ ეტაპს.

## №6. I მსოფლიო ომი და სახელმწიფო სათათბიროს ქართველი დეპუტატები

I მსოფლიო ომის დაწყებამ კარდინალურად შეცვალა სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის სტილი და გრაფიკი. 1 წლის მანძილზე ჩატარდა სათათბიროს ორად-ორი სხდომა, რომელთა მთავარი მიზანი იყო პატრიოტულ გრძნობათა მანიფესტაცია და ბიუჯეტის სასწრაფოდ დამტკიცება (1914 წლის 26 ივნისის და 1915 წლის 27 იანვრის საგანგებო სხდომები), რაც იოლად მოხერხდა კიდევ, მიუხედავად მემარცხენეთა წინააღმდეგობისა (188. 31).

ქართველი პოლიტიკური ძალები არაერთგვაროვნად შეხვდნენ ომს. სოციალ-დემოკრატთა შორის თავდაპირებელად შეინიშნებოდა გარეველი დაბნეულობა და მერყეობა. ამის დამადასტურებელია ტფილისის ქალაქისთავ ხატისოვთან ჩეკიძის სატელეფონო ზარი. ეს უკანასკნელი თხოვდა გადაეცა ადგილობრივი მენშევიკებისათვის (6. უორდანია...), რომ ომის პირობებში შეეჩერებინათ მუშაოთა გამოსვლები. ასეთ დროს რევლუციონერობა ზედმეტია და საშიში (187. 130).

ქართველ სოციალ-დემოკრატთა „ფაქტობრივ ნეიტრალიტებს“ მკვეთრად დაუპირისპირდა უორდანია, იგი „ობორონეც-ცობის“ აგიტაციას ეწეოდა და 1914 წლის ოქტომბერში ტფილისის პარტიულ თათბირზე სათათბიროს მენშევიკ დგუტაციას მოუწოდებდა მხარი დაჭირათ ბიუჯეტის სამხედრო ხარჯებისათვის, მაგრამ უმრავლესობა ვერ დაითანხმა.

კავკასიის ფრონტის გახსნამ პრორუსეულ ორიენტაციას მეტი სფუძველი შესძინა და უმცირესობაში მყოფმა უორდანია 1915 წლის ოქტომბრის ახალსენაკის თათბირს მიაღებინა რეზოლუცია, რომელშიც ომი „სამშობლო ომად“ ცხადდებოდა და ჯარისათვის ყველანაირი დახმარების გაწევა საჭიროდ მიიჩნეოდა (185. 142).

ბოლშევიკები იმთავითვე მკვეთრად იდგნენ „პორაუენცობის“ პოზიციაზე, რაც ოფიციალურად ბაქოს პარტიული თათბირის რეზოლუციამაც დაადასტურა 1915 წლის ოქტომბერში. ამიტომ ჯერ კიდევ 1914 წლის ნოემბერში, მაშინ როცა ნიკოლოზ II ხალხში პატრიოტული აღტკინების გამოსაწვევად კავკასიაში მოგზაურობდა, „სამშობლოს დალატის“ ბრალდებით დააპატი-

მრეს სათაობიროს ბოლშევკითა „ხუთეული“ (179. 85). ამ ფაქტ-მა შესაძლებელია დამატებითი სტიმული მისცა მენშევიკებისა-გან პოზიციის გარკვევას („ობორენცობის“ აქტიურ პროპაგან-დას სწევდა გრიშა ურატაძის „ახალი კვალი“), რასაც სიხ-არულით შეხვდა ოხრანკა (131. 37).

ბოლომდე არ იყნენ გარკვეული ომის საკითხთან მიმარ-თებაში ფედერალისტები, სამაგიეროდ მტკიცე პროგერმანული კურსი ეჭირათ ეროვნულ-დემოკრატებს. ამგვარი პოზიციის სა-ფუძველი იყო, გერმანიის დახმარებით სამხრეთ საქართველოს შემოერთების და ავტონომიის გამოცხადების იმედი. ამ მიზნით შეიქმნა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, რომ-ლის მთავარი იდეოლოგი მახაცო წერეთელი თავის „რუსეთი-საგან ამიერკავკასიის ჩამოცილების და მისი შემდგომი პოლი-ტიკური მოწყობის გეგმაში“ უფრო შორსაც მიდიოდა და სა-ქართველოს მომავალს გერმანიის პროტექტორატის ქვეშ, პო-ლიტიკური ქოწინების ბაზაზე (პრინც იოაკიმ პოპენცოლერნის და მარინე მახაბლის ქოწინებით) განიხილავდა (128. 72). ოს-მალეთის ნაწილის საქართველოსთან შემოერთების გეგმამ ცენტრალურ პრესაშიც გაიქცერა, „რუსებია ვედომოსტში“ გა-მოქვენდა ამ საკითხზე ვანო ზირგითელის წერილი (48. 32).

ასეთ განსხვავებულ და დაპირისპირებულ პოლიტიკურ ორიენტაციათა შესაჯერებლად ფედერალისტთა პარტიის ინ-იციატივით ქუთაისში, ვ. ფის ბინაზე გაიმართა პოლიტიკურ პარტიათა შეკრება (185. 149). ესწრებოდნენ პარტიების 2-2 წარ-მომადგენელი, სულ 6 კაცი: შალვა ამირეჯიბი, რევაზ გაბაშ-ვილი (ეროვნულ-დემოკრატები), სამსონ ფირცხალავა, გრიგოლ რცხილაძე (სოციალისტ-ფედერალისტები), ნოე ქორდანია და ევგენი გეგმური (სოციალ-დემოკრატები) (126. 150).

გამოიკვეთა ნოე ქორდანიას პოზიცია. მას იმ მიზნის მიღწე-ვა, რაც „დამკომს“ პქონდა განზრახული, რუსეთის მხარდაჭე-რით უფრო რეალურად მიაჩნდა. მხარეებმა კონსენსუსით მიიღეს სწორი გადაწყვეტილება: ემუშავათ თავიანთი მიმარ-თულებებით. ხელი არ შეეშალათ ერთმანეთისათვის და ორივე შემთხვევაში, რომლის „ფალავანსაც“ არ უნდა გაემარჯვნა, დაეცათ საქართველოს ინტერესები.

ხელისუფლებისთვის უცნობი არ იყო „დამკომის“ არსებობა და პროგერმანული განწყობილებანი. საქართველოსთვის სეპა-

რატიზმის ბრალდებით შეითითხნა კ. წ. „აჭარელთა საქმე“. 1915 წლის 4 მარტს პეტერბურგში გამოქვეყნდა ვიწეში მყოფი გერმანელი ემისრის დეპეშა კონსტანტინოპოლის გერმანიის საელჩოსადმი: „მუსლიმი ქართველები კარგად არიან მომზადებულნი. იარაღი განაწილებულია, მთებში გამაგრდნენ. რუსთა ჯარმაც დაიხია უკან, მდ. ჭოროხისაკენ. ოურქეთს აქვს სამუსლიმანო საქართველოს გამოსვლის იმედი. მართალია პროკლამაციები ჩავუარეთ, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერაში არ გარო დარწმუნებულნი, რადგან უმეტესობა ამ ორგანიზაციაში თურქია (მაჟმადიანი ქართველობა – პ. კ.). იმ შემთხვევაში დაგვეხმარებიან თუ რამდენიმე ასეულ გერმანელ მატროსს გადავსვამთ ნატანებში, ბათუმიდან ჩრდილოეთით 50-ქმ-ზე, სადაც სულ ქართველები ცხოვრობენ, და ისინი დაემორჩილებიან საქართველოს ნაციონალურ კომიტეტს. აუცილებელია იარაღის შეტანა ნაღმოსნით, რომელიც შეძლებს ჩემი და ქართველთა კომიტეტის წაყვანას. გერმანიის ჯარის სარდლად გთავაზობთ ფონ შმიდტის კანდიდატურას“ (49. 9; 63. 227).

ამ დეპეშის გამოქვეყნებამ საქართველოში დიდი პანიკა გამოიწვია, რუსები ყველას ციმბირში გადაგვასახლებენ... 8 მარტს ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში შემდგარ კერძო თათბირზე არჩეულმა კომისიამ (პ. ჩხეიძის, გ. ქურულის, მ. მაჩაბლის, გ. ყაზბეგის, გ. ლიასამიძის, მ. თუმანიშვილის, იაკ. ცინცაძის შემადგენლობით), მიიღო საპასუხო რეზოლუცია-მიმართვა. „დამკომი“ გამოცხადდა ნაძირალათა და ავანტიურისტთა ბრძოლ. დეპეშა კი ავისმზრახველთა ინსინუაციად (39. 8).

10 მარტს პეტერბურგის დეპეშათა სააგენტომ გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით უარყო 4 მარტის დეპეშის რეალობა. მათი განმარტებით ეს არის გერმანიის დიპლომატის ფანდი, რომლის მიზანი ქვეყნის შიგნით განხეთქილების და არგულობის გამოწვევა (170. 364).

მიუხედავად ამგვარი პოლიტიკური ნაბიჯისა, ხელისუფლების რეაგირებას რა თქმა უნდა არ დაუგვიანია და აჭარაში გაიგზავნა დამსჯელი ექსპედიცია. დარბიეს 15 სოფელი, გადაწეს 200-მდე სახლი. ბათუმში ჩატარდა 9 აჭარელის საჩვენებელი გასამართლება. განწირულები ბრწყინვალედ დაიცვეს

სოციალისტ-ფედერალისტმა აღვოკატებმა შალვა მესხიშვილმა და იოსებ ბარათაშვილმა (130. 18).

ხელისუფლებამ მიიღო საგანგებო ზომები. აჭარა ფრონტის პირა ზონად გამოცხადდა, დაიწყო მაპმადიანი ქართველების ძალით გასახლება ოსმალეთში და მათი სახლ-კარის, მიწების გაყიდვა, ძირითადად ძღიდარ სომხებზე. ამ საგანგაშო ვითარების წინააღმდეგ ხმა აღიმაღლდა აკაკი ჩხერიელმა. მან ჯაფაროვთან ერთად სათათბიროში პრესის წარმომადგენლებისათვის გააკეთა მოხსენება, თითოდან გამოწოვილ „აჭარელთა დალატზე“ (31. 2).

1916 წლის 10 თებერვალს სათათბიროში გამოსვლისას აკაკი ჩხერიელმა მოითხოვა აჭარელთა ქონების გაყიდვის შეჩერება, რადგან გაძევებულნი აუცილებლად მობრუნდებიან. მან შეკითხვა შეიტანა „აჭარელთა საქმეზე“, მოითხოვა აჭარისთვის საგანგებო სტატუსის მოხსნა და იქ ქართველ მოღვაწეთავის თავისუფალი გადაადგილების უფლება. ჩხერიელმა საგარეო საქმეთა მინისტრ საზონოეს მოთხოვა მომავალ საზავო კონფერენციაზე დატოლვილი აჭარლების თურქეთიდან დაბრუნების საკითხის დასმა (72. 5).

„აჭარელთა საქმე“ სწორად შეაფასა ზოგიერთმა ცენტრალურმა პერიოდულმა ორგანომაც. „პეტერბურგსკიე ვედომოსტის“ კორესპონდენტი „სტორონი“ ქადაგით იხსენიებს აკაკი ჩხერიელის თავაგამოდებას, სამაგიეროდ აკრიტიკებს თავადაზნაურობის საკრებულოს ინდიფერენციაზეს, მაშინ როცა ხატისოვმა ტფილისში იმპერატორს 1-საათიანი „რეზი“ წაუკითხა სომხების გასაჭიროზე, „სომხურ საკითხზე“.

„სომხური საკითხი“ ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე დადგა დღის წესრიგში. ეს ხელისუფლებას აწყობდა და ყველანაირი საშუალებით აქტებდა „პნჩაკის“ და „დაშნაკცუთიუნის“ პრორულსულ ორიენტაციას. რუსეთის მხრიდან ამ საკითხს საერთაშორისო ღონებზე ლობირებდა კადეტთა პარტიის ლიდერი პავლე მილიუკოვი. მისი აზრით სომხები ყველაზე ერთგული ერია, ამის ერთ-ერთი მიზეზი თურქეთის ანატოლიაში სომებთა სიმრავლეა (1913 წლის აღწერით 39%), სომხური ინტელიგენცია პოლიტიკურად ახლოს არის ჩვენთან. პაპაჯანოვი ჩვენს ფრაქციაშია, ხოლო ხატისოვი – ჩვენი დასაქრდენია ამიერკავკასიაში“ (204. 365).

1913 წლის 17 ნოემბერს პარიზში საფრანგეთის აზიური კომიტეტის და გენერალ ლაკრუას ინიციატივით გაიმართა სომებთა მეგობრების კომიტეტის კონფერენცია. რუსეთის დელეგაციის მეთაურობდა მიღიუკოვი, სომხეთისას პოგოს-ნუბარუაშა. კონფერენციამ სცადა ევროპის ქვეყნების უურადღება მიექცია სომებთა რბევის ფაქტებისადმი.

მიიღეს რეზოლუცია ოსმალეთის სომხეთში რეფორმების შესახებ. დაადგინეს, შეუწყვიტონ ოსმალეთს საერთაშორისო დახმარება და სესხები, სანამ არ დათანხმდება ელჩითა მიერ შემუშავებულ პროექტს (204. 366). ეს პროექტი პირველად წარადგინეს სტამბულის დიპლომატიურ თათბირზე და ითვალისწინებდა 6 ვილაიეთში (ერზერუმი, დიარბექირი, ვანი, ბითლისი, ხარფუთი, სიგასი) სომხეთის ავტონომიის შექმნას. მხარის მმართველად, სულთნის და დიდი სახელმწიფოების შეთანხმებით 5 წლით დაინიშნებოდა ევროპელი გენერალ-გუბერნატორი. მხარის საკანონმდებლო კრებაში ქრისტიანებსა და მაჰმადიანებს პარიზებული წარმომადგენლობა უქნებოდათ, მსხვილ მოხელეებად ევროპელი დაინიშნებოდნენ, დაბალ თანამდებობებზე კი მუსლიმები და ქრისტიანები ასევე პარიზების საფუძველზე. სახელმწიფო ენად თურქეთის პარალელურად გამოცხადდებოდა სომხური. სომები მოსახლეობა სამხედრო სამსახურს ადგილზე გაივლიდა (61. 1019).

ამ პროექტს უარყოფითად შეხვდნენ ოსმალეთი და მისი მოკავშირენი. სულთნის ბრძანებით კიდევ უფრო გაძლიერდა სომხების შევიწროება, ამჯერად ქურთებიც გამოიყენეს.

„დაშნაკცუთიუნი“ პირველი რევოლუციიდან მოყოლებული ქმნიდა „ზინვორებს“, საბრძოლო რაზმებს, რომელიც ჯერ რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული (მაგ: გოლიცინის დაჭრა), მაგრამ მას შემდეგ, რაც ახალმა მეფისნაცვალმა ეჩმიაძინის ეკლესიას წართმეული ქონება დაუბრუნა და მათი დევნაც შეწყდა, დაშნაკცულებმა პოლიტიკა შეცვალეს (138. 230). „სომებთა ნაციონალურმა ბიურომ“ უარყო სახალხო მოლაშქრეთა რაზმების შექმნა, მაგრამ ადგილებზე მაინც იქმნებოდნენ ისინი. მათი მთავარი იდეოლოგები იყვნენ ეპისკოპოსი მესროპი, არუთინოვი, ხატისოვი, გენერლები ანდრანიკი და დრო (200. 10).

სომხური პოლიტიკური წრები ოსმალეთის სომხეთის მოავლის 3 გარიანტს განიხილავდნენ: 1) ავტონომია რუსეთის

პროტექტორატით; 2) აგტონომია დიდი სახელმწიფოების გარანტით; 3) რომელიმე რომანოვის მმართველობით ცალკე სომხეთი. რუსული პრესა აქეზებდა სომქეთა ამ გადაწყვეტილებებს, თუმცა რეალური პოლიტიკური გარანტიები არ არსებობდა. მოგვიანებით „დაშნაკცუთიუნის“ დიდერი კაჩაზნუნი დანანებით აღნიშნავდა: „ჩვენ, ანტანტის გამარჯვებაში დარწმუნებულნი უაპლაციოდ ვადექით რუსულ ორიენტაციას... ლაპარაკობდნენ ვორონცოვის რადაც წერილზე კათალიკოსისადმი, სინამდვილეში იგი არაფერს შეიცავდა ბუნდოფანი წინადაღების გარდა, რომლის ნებისმიერად გაგება შეიძლება. ჩვენ კი ეს წერილი ჩვენი მომავალი უფლებების იურიდიულ გარანტად მივიჩნიოთ“.

„პრიზონი“ იმდენად გათამამდა, რომ საუბარი დაიწყო 2 სომხეთზე: „კავკასიის სომქეთა საკითხთან არაფერი აქვს საერთო ანატოლიის სომქეთა საკითხს, იგი ცალკეა განსახილველი“. იშხანიანცი კი მეოთედურად ამკვიდრებს ტერმინებს „ძველი ქალაქი“ (ტფილისის ნაცვლად) და „ბავკასიელები“ (ნაცვლად ცალკეული ეროვნებებისა)... ტრაპიზონიც კი, სადაც მოსახლეობის 60% ლაზებია, თავის აგტონომიას მიაკუთხეს (48. 36).

1914 წლის 12 მაისს სათათბიროზე გამოსვლისას დეპუტატმა პაპაჯანოვმა მთითხოვა ოსმალეთის სომხებისათვის დიპლომატიური არხებით დახმარება, რეფორმების დაჩქარება. კავკასიელი დეპუტატები ამას პროტესტით შეხვდნენ, სკოლებევმა პაპაჯანოვს ეწმიათინის დიპლომატი უწოდა. ჯაფაროვმა სათათბიროს სიფრთხილისაკენ მოუწოდა („ოსმალეთი რუსეთის მეგობარი ქვეყანაა და მისი გადამტერება არ ივარგებს“). ჩხენაკელმა ნათელი მოჰყინა ვითარებას, გაანალიზა სომხური ბურჟუაზიის შოვინისტური ზრახვანი, ფარდა ახადა მთავრობის ორპირობას, ფარულ ინტერესებს. მისი თქმით „დიდი სახელმწიფოები სომხეთში მეორე მაკედონიას ხედავენ...“

1915 წლის აგვისტოში ანატოლიაში გათამაშდა არნახული დრამა 1,5 მლნ სომქებს მოუწყვეს გენოციდი, 150 ათასამდე ლტოლევილი მოაწყდა კავკასიას. ნერსეს ეპისკოპოსმა დაიწყო მათოვის რუსული პასპორტების გამოთხოვნა, ლტოლევილთათვის სამუშაო ადგილების მოძიება. ნიშანდობლივია, რომ გამოქცეულნი დარიბ-დატაკნი არიან, არცერთი მდიდარი სომქები

არ გამოქცეულა. „პეტერბურგსკი ვედომოსტი“ უარყოფითად აფასებს ლტოლვილთა მოსალოდნელ დასახლებას ყარს-ბორჩალო-ახალქალაქში, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს შეჯახება თათრებთან და ქართველებთან.

გენოციდი თვით სომებთა მიერ იყო ინსპირირებული. მას შემდეგ, რაც რუსეთის ჯარებმა ვილაიფოები დაიკავეს, მიღი-უკოვმა დაიწყო პროპაგანდისტული კამპანია და მოითხოვა და-პირებული ავტონომიის ბოძება სომხებისათვის. ოსმალეთის სულთანატშა გადადგა უკადურესი ნაბიჯი, ტერიტორიის სა-ბოლოოდ დაკარგვის საფრთხე მოსახლეობის გაუდეტით გაა-ნეიტრალა.

უკანასკნელად, მთელი კატეგორიულობით სომხეთის ავტო-ნომიის საკითხი პაპაჯანოვმა სათათბიროში დასვა 1916 წლის 17 მარტს. მაშინ, როდესაც ამ საკითხისათვის უკვე აღარავის ეცალა და აღარც იყო აქტუალური, რუსეთს უკვე მიეღწია სა-წადელისთვის.

\* \* \*

ომის პირობებში მიმდინარე დიდ დანახარჯებს დაერთო მთავრობის დაუფიქრებელი საბიუჯეტო პოლიტიკა. 1914 წლის 28 ივლისს გამოცხადებულმა მშრალმა კანონმა იმპერიის ბი-უჯეტს 1 მლრდ. მანეთის ზარალი მიაყენა. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა კახეთის ეკონომიკაც, ღვინის გაყიდვის აკრძალ-ვამ 40 მლნ. მანეთის ზარალი მიაყენა მხარეს. შეწყდა მარგა-ნეცის გატანა, აბრეშუმის, მატყლის და თამბაქოს წარმოება (48. 27). სათათბირომ მთავრობას დაუკანონა არაპირდაპირი გადასახადების აკრეფის უფლება.

ხელისუფლება სოციალური სიდუხტირიდან გამოსვლას და დასავლეთის ფრონტზე წარუმატებლობის რეაბილიტაციას ხე-დავს ე. წ. „აკუდიანებზე ნაღირობაში“. პირველი სიგნალი მისცა ფანჩულიძემ თავისი ანტისემიტური გამოხდომით საერობო თათბირის დროს. ტალღა სწრაფად აიტაცეს სახელმწიფო სა-თათბიროშიც, პურიშევიჩმა, მარკოვებმა,.. სათათბირომ მიიღო სამარცხვინო გადაწყვეტილება – სასამართლო პროცესის დროს მოწინააღმდეგე მეომარი სახელმწიფოს ქვეშვერდომთ აეკრძალათ საადვოკატო დაცვის უფლება. დაიწყო ებრაელების და გერმანული გვარების ქქონე პირთა დევნა. სათათბიროში

მათი დაცვა თავის თავზე აიღეს ჩხეიძემ, ჩხენკელმა და სკობელევმა.

1915 წლის 3 აგვისტოს სოციალ-დემოკრატია და ტრუდოფიკო ფრაქციებმა ებრაელთა დევნის შესახებ სათათბიროში შეიტანეს შეკოთხვა, რომელიც 1916 წლის 10 მარტს გაიმორეს სოციალ-დემოკრატებმა. ებრაელების დასაცავი სიტყვებისათვის სათათბიროს სხდომებიდან გააძევეს ჩხენკელი და სკობელევი (8. III. 16). ამ საკითხთან დაკავშირებით ჩხეიძე უპირისპირდება კარაულოვს, თერგელ დეპუტატს.

სათათბიროს ხანმოკლე სესიებს ომის პირობებში საერთო სცენარი ახასიათებს. ხელისუფლების წინააღმდევე გალაშქრება მემარცხენეთა გარდა დაიწყო სათათბიროს ისტორიაში ყველაზე მსხვილმა ცენტრისტულმა ფრაქციამ – ე. წ. „პროგრესულმა ბლოკმა“.

ამ ბლოკს საქმაოდ ხანგრძლივი წინაისტორია ჰქონდა. 1913 წლის 6 ოქტომბერს მაქსიმ კოვალევსკის ინიციატივით მოსკოვში შედგა კადეტთა და პროგრესისტთა საპარლამენტო ფრაქციების თათბირი. ჩამოყალიბდა 2 ძირითადი შეხედულება სათათბიროში გასატარებელ პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით: 1. პროგრესისტების – ვინაიდან ხალხში მატულობს ოპოზიციური სულისკვეთება, საჭიროა მაქსიმალურად პროგრესული კანონპროექტების მიღება, რაც ხალხში თანაგრძნობას გამოიწვევს, მიუხედავად იმისა მიღებს თუ არა ამ კანონებს სახელმწიფო საბჭო. 2. კადეტების – სათათბირო ჩამორჩა ქვეყნას. ამიტომ კანონპროექტებზე წვალება დროის ტყუილი ფლანგვაა. საჭიროა გამოვიყნოთ ჩვენი უფლება – ბიუჯეტის დამტკიცებისა, არ მივცეთ მთავრობას ფული, თუნდაც ამისთვის სათათბირო გარეკონ.

პოზიციათა შეჯერების შემდგომ გამოცხადდა ამ ორი პარტიის სტრატეგიული ერთიანობა. 12 ოქტომბერს ბლოკში შესვლის სურვილი გამოთქვეს ოქტიაბრისტებმაც გუჩკოვის მეთაურობით. სათათბიროში პროგრესული ბლოკის ოფიციალური გაფორმება მოხდა საქმაოდ დაგვიანებით, 1915 წლის 22 აგვისტოს (206. 249).

მიღიუფოვის განმარტებით ბლოკის მთავარი მიზანია შავწითელი საფრთხისაგან ქვეყნის დაცვა და „ომი გამარჯვებამდე“, რადგან მეფეს ადარ შეუძლია ომის წარმოება. ბლოკში

გაერთიანდნენ მემარცხენე ნაციონალისტები, ოქტიაბრისტები, ცენტრისტები, პროგრესისტები და კადეტები. მემარცხენეები მიესალმნენ ბლოკის შექმნას. ხელისუფლების რეაქცია მოსალოდნელის ადექვატური აღმოჩნდა, ჯერ პრემიერმა გორემიკნმა გააკეთა განცხადება სათათბიროს მოსალოდნელი დათხოვნის თაობაზე, ხოლო 3 სექტემბერს უმაღლესი ბრძანებაც გამოქვეწდა სათათბიროს დათხოვნის შესახებ.

პროგრესული ბლოკის შექმნა დაემთხვა 1915 წლის ზაფხულში რუსეთში კადეტთა პოპულარობის პიქს. გინაიდან დემოკრატიული პრესა აკრძალული იყო (1914 წლის 20 ივნისის დროებითი სამხედრო ცენტურა, რომელიც სათათბირო 1916 წლის მარტში კანონად აქცია), ხოლო შავრაზმულს ხალხი არ ეპარებოდა, განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა კადეტურლი იქცერალურმა პრესამ.

ომის დაწყებიდან მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ გაძედა ხელისუფლებამ სათათბიროს მოწვევა საგანგებო სესიის საბაბით. 27 იანვრის სესია გაიხსნა ოფიციალური მისალმებით. იმპერატორს გაეგზავნა უქვეშევრდომილესი ადრესი, სიტყვებით გამოვიდნენ რომიანკო და გორემიკინი, შემდეგ კი ფრაქციათა ლიდერები და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები. მათ შორის სამწუხაროდ აღარ ერია საქართველოს წარმომადგენლი. ვარდამ გელოგანი ფრონტზეა, სადაც 1 თვის შემდეგ ტრაგიკულად იღუპება.

ებრაელთა სახელით ილაპარაკა ფრიდმანმა, „კოლოს“ სახელით იასინსკიმ, ლატვიელთა სახელით ზალიტმა, ესტონელთა სახელით რაიმონტმა, სომეხთა სახელით პაპაჯანოვმა. კარლო ჩხეიძემ პირველად მოითხოვა „უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი“. მის გამოსვლას განსაკუთრებით დიდი რეზონანსი მოჰყვა საზღვარგარეთ, გერმანიის რუსი ტყველების გაზეთშიც კი დაბეჭდეს გამოსვლის ტექსტი. ამან აღაშფოთა გიორგი პლეხანოვი, გააკრიტიკა და რეალობას მოკლებული უწოდა ჩხეიძის მოთხოვნას (101, 98).

სათათბიროს მუშაობა შედარებით ნორმალურ ვითარებაში წარიმართა 1915 წლის ზაფხულიდან. ხელისუფლება იძულებული გახდა ანგარიში გაეწია დეპუტატთა მოთხოვნებისათვის და მართალია შეკვეცილი გრაფიკით, მაგრამ მაინც მიეცა მუშაობის საშუალება სათათბიროსთვის. 1915 წლის 19 ივნისის

სხდომით გაიხსნა სათათბიროს მორიგი სესია. დეპუტატებმა ფქეზე ადგომით პატივი სცეს ომში დაღუპული დეპუტატების კაზინის, ნაკონებნის და გელოვანის სხსოვნას (გელოვანის შესახებ იხ. II თავის გვ. 55).

რომიანებმ აღნიშნა მიმდინარე მომენტის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა და დეპუტატებს მოუწოდა თანამშრომლობისკენ, ერთიანობისკენ. სამხედრო-საზღვაო კომისიაში დაუშვეს ტრუდოვიკები და სოციალ-დემოკრატები, რაც დუმის ხელმძღვანელობისგან უდაოდ პრიგრესული და მისასალმებელი ნაბიჯი იყო (39. 116).

მთავრობის დეკლარაცია სათათბიროს გააცნო პრემიერმა გორემიკინმა. საანგარიშო მოხსენებით წარდგნენ საგარეო საქმეთა მინისტრი საზონოვი და ფინანსთა მინისტრი ბარეი. თავისი პოზიცია მიმდინარე მომენტთან დაკავშირებით გამოხატეს ფრაქციათა წარმომადგენლებმა: მარკოვმა (მემარჯვენე), ბობრინსკიმ (ნაციონალისტი), ლოვოვმა (ცენტრისტი), სავიჩმა (ოქტოაბრისტი), ეფრემოვმა (პროგრესისტი), კარაულოვმა (სახალხო), მილიუკოვმა (კადეტი), კერენსკიმ (ტრუდოვიკი) და ჩხეიძემ. გამოვიდნენ ეროვნებათა წარმომადგენლებიც.

მთავრობის დეკლარაციის სულისკვეთება – არავითარი პარტიიბი, გარდა ომის პარტიისა და არავითარი საკითხები, გარდა ომის საკითხებისა. ამის საპასუხოდ პროგრესულმა ბლოკმა მთავრობას მოთხოვა პასუხისმგებლობის აღება თავის თავზე. ბლოკის ეს პირველი გამოსვლა უმრავლესობაშ შეაფასა პრინციპის: „ომის პირობებში არ ვეხებით საშინაო საკითხებს“ – დალატად.

ალბათ ამავე პრინციპის გამოვლინების გამო კარლო ჩხეიძე ვერ ახერხებს აქტიურად მოქმედებას. იგი ხატისოვისადმი წერილში აღნიშნავს: „კავკასიის ერობის საკითხი იმიტომ არ დავაუქნე, რომ საჭიროა მომზადება – ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, შევგლოვიტოვმაც (შინაგან საქმეთა მინისტრი – პ. კ.) თავშეკავება მირჩია“.

გორემიკინმა დეკლარაციაში გამოაცხადა უმაღლესი გადაწყვეტილება პოლონეთის ავტონომიის შესახებ და ამით დეპუტატებს დაანახვა იმპერიის მესვეურთა უმწეობა. ავტონომიის მინიჭება, მაშინ როცა გერმანული ჩექმა პოლონეთის მიწაზეა და პოლონელები თვით აცხადებენ დამოუკიდებლობას, რაზეც

რუსული შოგინისტური პრესა და საზოგადოებრივი აზრი ქბილებს იღესავს – როგორ თუ იმპერატორის ფიცს უდალატებო, ყველაფერი ეს უკვე მიანიშნებს სახელისუფლებო კრიზისზე.

ჩხეიძის 19 ივლისის გამოსვლა გამოირჩეოდა თავისი სიმბაფრით: „ხალხს ტანჯავთ, მიასოედოვები კი რუსეთს ყიდიან. თქვენ ამ დროს ებრაელთა დალატს იგონებთ. პოლონეთის ავტონომიაზე ახლადა დაპარაკობთ, როცა საზღვრები სწორდება და არ ვიცით რომელი ტერიტორია სად დარჩება. კავკასიაში „გათოშე და იბატონებს“ პოლიტიკას ახორციელებს უკვე არა ავადმყოფი ვორონცოვ-დაშკოვი, არამედ მისი ცოლი, 80 წლის დედაბერი. აჭარაში ქალებს აუპატიურებენ სალდათები. აჭარას მართავს ლიახვი, რომელიც აძევებს მაკმადიანებს და ასახლებს მოსულებს (სომებ ლტოლვილებს)“.

ჩხეიძის ამ გამოსვლამ დაახქარა ვორონცოვის განთავისუფლება მეფისნაცვლობიდან. 25 აგვისტოდან კავკასიის ახალ მეფისნაცვლად დაინიშნა დიდი მთავარი ნიკოლოზის ძე.

დიდი სკანდალი მოჰყვა ჩხეინკელის 2 აგვისტოს გამოსვლასაც. „1 წელი მთავრობა გუნდრუქს უქმევდა ოშს, ლაპარაკობდა ხალხის და მთავრობის ერთიანობაზე. ამ ხნის მანძილზე იგი პირველად მიუბრუნდა კანონშემოქმედებით საქმიანობას. არმიას ყველა ძალაცვას, დუმის თანხმობით სამხედრო მინისტრი დიქტატორად გადაიქცა. ის ერევა ცხოვრების ყველა სფეროში... დიქტატურა კი არ იხსნის ამ უფსერულიდან ქვეყანას, პირიქით. დუმა მთავრობას ჩაეხმატებილა, მრეწველები ჯიბეს ისქელებენ ხელსაყრელი კანონმდებლობით, რაზეც დუმა თანხმობას აძლევს... კადეტებმა ვერ გამოიჩინეს სიმტკიცე. ლოიდ ჯორჯი წინასწარმეტებელებს, „გერმანიის დაწოლით რუსეთში მოხდება რევოლუცია““. ს-დ. ფრაქცია იხსნის პასუხისმგებლობას. ასეთი მთავრობის მხარდაჭერა დალატის ტოლფასია“. ამ სიტყვებისათვის ჩხენკელს 200 ხმით 63-ის წინააღმდეგ აძევებენ სათათბიროდან 10 სხდომით. პროტესტის ნიშნად ფრაქცია უკან მიყვება.

1916 წლის სესიების დროს, ჩხენკელი ილაშქრებს პუტილოვის და სხვა თავდაცვითი სფეროს ქარხნების გასაიდუმლოების წინააღმდეგ, ცენტრისტებს მოუწოდებს არ დაამტკიცონ ბიუჯეტი (18. 20), აგრიტიკებს პროგრესისტთა ბლოკის დეკლარაცია უკან მიყვება.

ციას, რომელიც მისი აზრით, მთავრობის ძლიერ სუსტ კრიტიკას შეიცავდა.

1916 წლის 9 თებერვალს გაიხსნა სათათბიროს მორიგი სესია. ამ დღეს დაინიშნა ახალი პრემიერი შტიურმერი (206. 131). სათათბიროს პირველად ეწვია მეფე, რომელმაც სიტყვაც წარმოთქვა სამთავრობო დეკლარაციების შემდგომ. პრემიერმა პირდაპირ დასვა საკითხი: „მიუხედავად საშინაო პოლიტიკური საკითხების მნიშვნელობისა, მათ ადგილი უნდა დაუთმონ ომის კითხებებს“.

„არაფითარი ზავი, ბრძოლა ბოლომდე“ – სათათბიროს ამ ლოზუნგს მხოლოდ მემარცხენები აყენებენ ეჭვებეშ. „პროგრესულმა ბლოკმა“ მოითხოვა ნდობით აღჭურვილი სამინისტრო, ვინაიდან „ომის ერთმა წელმა აჩვენა, რომ ლოზუნგი „ყველაფერი ომისათვის, ჯერ გამარჯვება და შემდეგ რეფორმები – დამდუპველია“ (31. 13). ბლოკის მოთხოვნის პასუხად მემარჯვენებმა შესთავაზეს მათ, რომ სათათბიროს შეედგინა პასუხისმგებელი სამინისტრო, მაგრამ „პროგრესულმა ბლოკმა“ ამ ვითარებაში პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება ვერ გაბედა.

1916 წლის მარტ-აპრილში უკვე სახეზეა სერიოზული კრიზისი, მექრთამეობით და კორუფციით დაკავებულ უმაღლეს მთავრობას მხოლოდდა სიტყვიერად სცალია ომის წარმოებისთვის. ახლოვდება რევოლუცია და სათათბირო ემზადება განვლილი 4 წლის მანძილზე თავისი კვლაზე მნიშვნელოვანი ფუნქციის შესასრულებლად.

## §7. IV სახელმწიფო სათათბიროს უკანასკნელი დღეები

სათათბიროს ბოლო სესიაზე დაგეგმილი იყო ბეჭდვითი საქმის, ცენზურის, საერობო და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტების მიღება. დაპირისპირებამ პიკს მიაღწია. სასურსათო კრიზისის განხილვისას სკოდელება და ჩხენკელმა სათათბიროს წინაშე დააყენეს ისეთი ორგანიზაციის შექმნის საკითხი, რომელიც რეალიზაციას გაუკეთებდა გადამალულ ხორცს. 1916 წლის 31 მაისს სათათბირომ მიიღო კანონი ხორცის მოხმარების შემცირების შესახებ. დაწესდა სავალდებულო მარხვა-კირაში 4 დღე, დიდ ქალაქებში ხორცი ტალონებით გაიცემოდა (40. 120).

3 ივნისის სხდომაზე ჩხენკელმა და კერძნებიმ წოდებრიობის გაუქმების საკითხი დააყენეს. მათი გამოისვლები გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიცხარით, მაგრამ მემარჯვენებებმა ბობრინსკის მეთაურობით ეს საკითხი უარყვას.

თებერვლიდან თითქმის წლის ბოლომდე ჩხეიძე მმიმედ ავადმყოფობს. ფრაქციის ლიდერობა იტვირთა ჩხენკელმა, სკოდელებთან ერთად. ისინი რომიანების დაუპირისპირდნენ ცენზურის საკითხის განხილვისას. ფაქტობრივი სამხედრო ცენზურა, რაც დროებითი სტატუსით ჯერ კიდევ ომის დაწყებიდან არსებობდა, სათათბირომ დააკანონა. დამახასიათებელია, რომ ცენზურის გაუქმებას მემარცხენებთან ერთად მოითხოვენ უკიდურესი მემარჯვენებიც. მარკოვის განცხადებით, როცა არ ქვეყნდება სოციალ-დემოკრატია სიტყვები, იქრება და იშლება სტენოგრამა, სადაც მეფის და მთავრობის შეურაცხმყოფელი სიტყვებია მოთავსებული, ამით ჩვენ დამნაშავეებს ვმგარველობთ და ვიცავთ პასუხისმგებლობისაგან. ამავე არგუმენტით რომიანები მემარცხენებს უმტკიცებდა ცენზურის სარგებლიანობას მათვის, დასჯას გადარჩებოთ.

ახალი, 3 მლრდ. მანქოის ბიუჯეტის დამტკიცებას მთავრობამ უპასუხა სათათბიროს დათხოვნით, საბაბი-ქორუმის არქონა (მართლაც 20 ივნისისთვის მხოლოდ 180 დგჲუტატი ანუ 40% ეს-წრებოდა). პროგრესული ბლოკი ამ ფაქტს პროტესტით შეხვდა. მათ რიგებშიც დაიწყო რღვევა. პროგრესისტები კადეტებს ადანა-შაულებდნენ მთავრობასთან ლოიალობაში, ზომიერი კანონპროექტების ლობირებაში. მათი 70-ჯაციანი ფრაქცია ჩამოშორდა ბლოკს, თუმცა პროგრესული ბლოკი მაინც სათათბიროს ყველაზე მსხვილ გაერთიანებად დარჩა (40. 246).

1 ნოემბერს მოწვევულმა სათათბირომ ყველას დაანახა კატასტროფის გარდუვალობა. გეომეტრიული პროგრესით, რაც უფრო მარცხნივ მიღიოდა ქვეყანა, მით უფრო მარჯვნივ მიიწვედა სათათბირო. კიდევ უფრო მემარჯვენე განწყობილება პქონდათ იმპერატორს და მთავრობას. რომიანების ორივე მოადგილედ სათათბირომ მემარჯვენები ბობრინსკი და ნოვიკოვი აირჩია. უმაღლეს წრებში საუბარი იყო თვით რომიანებს, როგორც ზომიერი პოლიტიკის მომხრის გადაყენებაზე.

1 ნოემბერს განხორციელდა ე.წ. „შტურმი ხელისუფლებაზე“. მემარცხენებმა და ცენტრისტებმა (სოციალ-დემოკრატები, ტრუდოვიკები, კადეტები და პროგრესული ნაციონალისტები) მთავრობას ბრალი დასხვეს შექმნილ ვითარებაში და მოითხოვეს გადადგომა. მილიუკოვის, კერტნესკის, ჩხეიძის და თვით შელგინის სიტყვებს განსაციიფრებელი იდეური ერთიანობა ახასიათებს (188. 125).

ჩხეიძე მიმართავდა კადეტებს და მემარცხენებო ბლოკს: „გაბჭდავთ ბიუჯეტის უარყოფას? ვშიშობ, რომ ვერა. მაგრამ ბატონებო დადგა გადამწყვეტი წუთი, როცა ან უნდა იყოთ ხალხთან მთავრობის წინააღმდეგ ან მთავრობასთან ხალხის წინააღმდეგ“.

ამ დემარშს მოჰყვა პრემიერ შტიურმერის გადაყენება, მაგრამ ისტორიოგრაფიაში სამართლიანად არის შეფასებული, რომ ხელისუფლებამ ამ შემთხვევაში „ჩხეიძის და კომპანიის“ სურვილი კი არ დააქმაყოფილა, არამედ განაწყენებული გრიშკა რასპუტინისა, რომლის მკვდელობაც სულთმობრძავი იმპერიის ბოლო აკორდი იყო.

არონ ავრეხი ეთანხმება კადეტ ველიხოვის მემუარებს და მიიჩნევს, რომ სათათბიროში შექმნილი „მასონთა გაერთიანების“ (მასში შედიოდნენ აროგრესისტები, კადეტები, ტრუდოვიკები, სოციალ-დემოკრატები) მთავარი მიზანი იყო თვითმპყრობელობის დამხობა და ხელისუფლების ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისთვის (იმუამად კაჭასის მეფისნაცემი) გადაცემა (189. 110). რაც შეეხება რევოლუციას, მისი ეშინოდა ყველას და „სათათბიროში არავის არ სურდა იგი“ (გრაფ, დეპუტატ მუსინ-პუშკინის წერილიდან ვორონცოვდაშვილისადმი).

უმართავი პროცესები და ბრძოს ძალაუფლება არ შედიოდა მემარცხენებო ინტერესებში. „ეს ხელისუფლება – აცხადებდა სათათბიროს ტრიბუნიდან აკაკი ჩხერიელი – ახდენს რევოლუციის პროვოციებას, ჩენ კი ამისათვის მზად არ ვართ. ჩვენ შევდივართ ჩიხში, საიდანაც ერთადერთი გამოსაყალი არსებობს – რევოლუცია“ (19 ნოემბრის სიტყვიდან). „ფრთხილად ბატონებო, –

დასძენდა კერენსკი – თორემ რუსეთში ისეთი ამბები დატრიალ-დება, 1612 წლის „სმუტა“ ბავშვურ გართობად მოგეჩვენებათ“.

1917 წლის 14 ოქტომბერის სათათბირომ განაახლა მუშაობა. მეცე შეპირდა „პასუხისმგებლობის სამინისტროს“, მაგრამ დანაპირები არ შეასრულა. ჩეიიძემ და კერენსკიმ კვლავ გააგრძელეს შეტევა ხელისუფლებაზე („რეალობას მოწყდით, სტამბოლის სრუტებზე დაპარაგობთ და ქვეყნის დაცვა არ შეგიძლიათ“). ჩეიიძემ მოითხოვა „ნდობის სამინისტრო“, „მანამდე კი დაპირისპირება მთავრობასთან უნდა გაგრძელდეს და ძალაუფლება ხელში აიღოს ბურუსაზიამ, რათა არ აღაარაკედეს „ქუჩა“ (188. 151).

სათათბირო კვირაზე შეტხანს განიხილავდა არმიის მომარაგების საკითხს. 24 ოქტომბერის იმპერატორმა დათხოვნა გამოაცხადა, მაგრამ სათათბირო არ დაიშალა... დაიკავა მომლოდინე პოზიცია. ამასობაში დაიწყო რევოლუცია და მხოლოდ შელგინის და მილიუკოვის დაუინგული მოთხოვნის შემდეგ გაბედა რომიანკომ ძალაუფლების ხელში ადგება (რომელიც, ხატოვანი გამოთქმა რომ მოვიშველიოთ „ქუჩაში ეგდო“). მას არ სურდა რევოლუციონერის მანტიაში გახვევა, მხოლოდ მონარქისადმი ერთგულებამ, ქუჩის პოლიტიკოსებს რომ არ ემარჯვნათ, გადაადგმევინა რომიანკოს ეს ნაბიჯი.

27 ოქტომბერის შედგა სახლმწიფო სათათბიროს აღმასრულებელი კომიტეტი, შემდგენ შემადგენლობით: თავმჯდომარე: მიხეილ რომიანკო (1859. ოქტიაბრისტი, ეპატერინოსლაგის გუბ. დუბუტატი), წევრები: ალექსანდრე კერენსკი (1881. ტრუდოვიკი, სარატოვი), ნიკოლოზ (კარლო) ჩეიიძე (1864. სოციალ-დემოკრატი, ტფილისის გუბ.), გასილ შულგინი (1878. ნაციონალისტი, კოლინის გუბ.), პავლე მილიუკოვი (1859. კადეტი, პეტროგრადი), მიხეილ კარაულოვი (1878. ოფიცერი, თერგის თლქი), ალექსანდრე კონგვალოვი (1875. პროგრესისტი, კოსტრომა), ივან დმიტრიკოვი (1872. ოქტიაბრისტი, კალუგა), ვლადიმირ რუსესკი (1866. პროგრესისტი, მოსკოვი), სერგე შიდლოვსკი (1861. ოქტიაბრისტი, კორონეცი), ნიკოლოზ ნეკრასოვი (1879. მემარცხენე კადეტი, ტომსკის გუბ.), ვლადიმირ ლვოვი (1872. ცენტრისტი, სამარის გუბ.).

1 მარტის სადამოს ადამიანებისა და პეტროგრადის მუშათა და პუტიატების საბჭოს (ჩეიიძე, კერენსკი) შორის დაწყებული მოლაპარაკება დასრულდა დილის 4 საათზე. კერენსკიმ მიიღო მთავრობაში მონაწილეობის წინადადება. ჩეიიძემ კი უარი განაცხადა, რადგან კერ გრძნობდა დასაყრდენს (204. 461). მას სთავაზობდნენ შეექმნა ნებისმიერი სამინისტრო, თუნდაც თვითონ მოეგონებინა

სახელი, მაგალითად – შრომის სამინისტრო, მაგრამ ვერაფრით ვერ დაითანხმება.

2 მარტს გამოცხადდა დროებითი მთავრობის, ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს შექმნა. ხელმწიფე-იმპერატორმა თავისი ძმის მიხელის სასარგებლოდ უარი თქვა ტახტზე, ამ უკანასკნელმაც უფლებამოსილებანი დროებით მთავრობას და დამფუძნებელ კრებას გადასცა. დროებითი მთავრობა ძირითადად სათათბიროს ბაზაზე ჩამოყალიბდა, შემდეგი შემადგენლობით: გ. ლვოვი (თავმჯდომარე), მილიუკოვი (საგარეო საქმეთა მინისტრი), კერენსკი (იუსტიციის მინისტრი), ნეკრასოვი (გზათა მინისტრი), კონვალიოვი (ვაჭრობა – მრეწველობის მინისტრი), გუნკოვი (სამხედრო და საზღვაო მინისტრი), შინგარევი (მიწათმოქმედების მინისტრი), ტერეშჩენკო (ფინანსთა მინისტრი), გოდნევი (სახელმწიფო კონტროლიორი), ვლ. ლვოვი (სინოდის ობერ-პროკურორი), მანულიოვი (განათლების მინისტრი).

დროებითმა მთავრობამ ამიერკავკასიაში კომისრებად გააგზავნა: ხარლამოვი (თავმჯდომარე), პერევერზევი, კიტა აბაშიძე, პაპაჯანოვი და ჯაფაროვი. ცოტა ხანში დაემატა მეექსე კომისარიც აკაკი ჩხერიმელი. თუმცა გათამაშდა პატარა დრამაც, ჩხერიმელი დაინიშნა კიტა აბაშიძის მაგივრად, რაც გააპროტესტა ქართულმა საზოგადოებამ და გადაწყდა ორივე ქართველი კომისარი ყოფილი ხელისუფლებაში (63. 818).

სათათბიროს არსებობა გახანვრდივდა 1917 წლის 6 ოქტომბრამდე. თუმცა ამ პერიოდში მას რაიმე მნიშვნელოვანი საქმე საქართველოსთან მიმართებით არ განუხილავს. დროებითმა მთავრობამ 1917 წლის 7 ოქტომბერს გადაწყვიტა დამფუძნებელი კრების არჩევნების ჩატარება, თუმცა ეს ორგანო მკვდრადშობილი აღმოჩნდა ბოლშევკითა მეოხებით. ამგვარად დასრულდა IV სახელმწიფო სათათბიროს ხუთწლიანი, დრამატიზმით აღსაგსე გპოპება.

## § 8. რუსეთის IV სახელმწიფო სათათბირო და ქართულ პოლიტიკურ ძალთა ტრანსფორმაცია 1912-1917 წლებში

აღნიშნული პერიოდი, როგორც უკვე აღვნიშნავდით ნაშრომის შესავალში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პერიოდია ქართული პოლიტიკური პარტიების ისტორიაში. ამ პერიოდის ზოგადი ტენდენცია შეიძლება განვხაზღვროთ ლოზუნგით: „მემარცხენება“ გამემარჯვენება და მემარჯვენება გამემარცხენება“ ანუ ქართულ პოლიტიკურ ცნობიერებაში თანდათანმდით შერბილდა რადიკალიზმი, მოხდა სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა შეხედულებების დაახლოება. ამავე დროს გამრავლდა და დიფერენცირდა მანამდე არსებული მსხვილი პოლიტიკური გაერთიანებები.

ეს პროცესები მთლიანად რუსეთის იმპერიაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან ლოგიკურ კავშირშია და საქართველოს დამოუკიდებლობის „ოქროს ხანის“ პოლიტიკური ისტებლიშმენტის თავისებური შემამზადებელი ეტაპია.

სოციალ-დემოკრატები ეროვნულ საკითხში მნიშვნელოვან დათმობაზე წავიდნენ. 1913 წელს იგეჭდება ნარიძის (ნ. ჟორდანია) „ნაციონალური კითხვა ჩვენში“ (64. 8-12), სადაც ქართველ მენშვიკთა ლიდერი ოფიციალურად უშვებს კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის თეზას. იგი კამათება ერთის მხრივ სტალინს, მეორე მხრივ „ისარს“. 1914 წელს ეს შრომა ქვექნდება ცალკე ბროშურის სახით, მისი შენახვა-გაფრცხლებისთვის უნდაარმერია პასუხისმგბაში აძლევს ხალხს. მაგალითად, დააბატიმრეს გაზ. „სიტყვის“ რედაქტორი ვ. აბდალაძე (65. 19).

სოციალ-დემოკრატთა გამემარჯვენების ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი მაგალითი იყო I სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ივანე გომართელი, რომელიც რადიკალმა თანაპარტიელებმა დარჩიაშვილისა და ევდოშვილის მსგავსად მოღალატედ შერაცხეს.

ივ. გომართელი გაზ. „მერცხალისადმი“ მიწერილ „ჩემ პასუხში“ იძლევა IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების ანალიზს და ცდილობს ობიექტურად შეაფასოს არჩევნებში დამარცხების მიზეზები. „ჩვენს წრეში – წერს იგი – სამწუხაროდ აზრთა სხვადასხვაობას ვერ იტანენ. მე კი არ გამიხარდა, პირიქით ძლიერ მეწყინა გმეტებორის გაშავება. სწორედ ამიტომ ვლაპარაკობ და არ ვარ ჩუმად“ (41. 151).

ივ. გომართელი აღნიშნავს 3 შემთხვევას: 1) 1905 წლის I სათათბიროს არჩევნებისას ჩვენთვის ეროვნული საკითხი იყო სრულიად გაურკვეველი. პეტერბურგის სასტუმრო „ეგროპაში“ შეხვე-

დღრისას ჩვენ, სოციალ-დემოკრატ დეპუტატებს გვირჩია იღია ჭავჭავაძემ ეროვნული საკითხის მიმართ ყურადღება და ხალხში საპროპაგანდოდ ავტონომიის გატანა. „ნარიძეც“ აღიარებს თავის ბოლო წიგნში, რომ მტერმა მშვენივრად გამოიყენა ჩვენი უკურადღებობა ეროვნული საკითხისადმი. ამიტომაც წავაგეთ არჩევნები. 2) ტფილისის გუბერნაციაში გამარჯვება დამარცხებაზე უარესი იყო, რადგან თუ სოლოლაკების აქნები არ მოეცათ, ვერ გავიმარჯვებდით. მათ თავის სათამაშო ბურთად გაგვიხადეს და ასეთ გამარჯვებას მე დამარცხება მირჩევნია. თქვენ ამბობთ, მათ დახმარებაზე უარს არც ფედერალისტები იტყოდნენო, მით უარესი მათვის, თუ ასე იქნებოდა. 3) ვინც გაგჟკორის დამარცხებას მხოლოდ „ფედერალისტთა ხულიგნობას“ აბრალებს, იგი ბრძანა. მაში რატომ ვერ გაიმარჯვეს წინა არჩევნებზე, განა მაშინ ვერ იხულიგნებდნენ? ამ წლებში ეს პატარა, სუსტი ჯგუფი, ძლიერ და სერიოზულ პარტიად იქცა. ამის დაუნახაობა მომავალში დამარცხების საწინაარია. მტერი მომზადებული გამოვიდა, ჩვენ კი მოუმზადებელი დაგხვდით.

მიუხედავად ამგარი განწყობილებისა ს-დ პარტიის ძირითადი ბირთვი კვლავ ძველ პოზიციაზე რჩებოდა. მემარცხენე ფედერალისტთა ორგანო „ზეირთი“ მიესალმა „თანამედროვე აზრის“ გარკვეულ გამგემარჯვენებას, მაგრამ ისიც ადნიშნა, რომ „სექტანტური აზროვნება მათ არ აძლევთ დაახლოების საშუალებას. თუმცა ჩვენ მზად ვართ თანამშრომლობისთვის“.

ორთოდოქსი სოციალ-დემოკრატები თავისი პოზიციის უპირატესობას შემდეგნაირად ასაბუთებდნენ: „რატომ არის, რომ I სათათბიროდან ჟორდანია, რამიშვილი და გომართელი დაამახსოვრდა ხალხს და არა ბარათაშვილი, რომელსაც „საქართველოს სახელით“ მისალმების გარდა არაფერი გაუკეთებია. დეპუტატის სიტყვა ზოგადსაკაცობრიო და დემოკრატიულ მოთხოვნებს უნდა ეხებოდეს და არა მხოლოდ ერთი ერისას“ (39. 125).

„საქართველოსტებთან“ პოლემიკაში გამომუდავნდა მეტევიკო პოზიციის ცვლილება. ამჯერად ისინი ნაციონალისტურ განწყობილებებს აუცილებლად მიიჩნევნ და თავმოყვარეობაც კი კლახებათ, თუ პატრიოტიზმს დაუწუნებენ, „ჩვენ ეროვნულ გრძნობას კი არ ვებრძვით, არამედ მის მონაბლობიზებას! ისე წარმოაჩენო თითქოს ჩვენ ერის წყლული წყლულად არ მიგვაჩნდეს... ერის ცხოვრებაში პირველი სოციალური მხარეა, ყველა დანარჩენი მეორების არისხოვანი. განკერძოებული გამოხვლა ჩვენი დეპუტატებისა დიდი

შეცდომა იქნებოდა, რადგან ვითარება საერთოა მთელი რუსეთისათვის...

ბ-ნი თედო ლლონტი წერს: „სათათბიროში ოდნავადაც არცხადდება ქართველების ეროვნული ხასიათის საჭიროებანი, თითქოს მხოლოდ პური და მარილი გვაკლდეს, ან მხოლოდ ბიუროკრატები უაუღმართობანი იყოს აღსანებული და საგალადო“. აბა ერთი თედო, მარცხენაში – პური და მარჯვენაში ავტონომია დაიჭირე, რომელს მიაფრინდება ჩვენი ხალხი?“ – ამგვარი დემარგიური არგუმენტებით ცდილობდნენ მემარცხენენი პოლიტიკურ დებატებში გამარჯვებას.

თუმცა ეროვნულ საკითხში მენშევიკთა უკანდახევა, რომ მხოლოდ ტაქტიკური ნაბიჯი იყო და არა გულწრფელი, შეგნებული უარყოფა კოსმოპოლიტური ფსიქოლოგიისა, მათივე სიტყვები ადასტურებს: „ჩვენ საქართველოსთვის გაღიარებოთ გულტურულ ავტონომიას, თორებ განსაზღვრულ პირობებში, თუნდაც სხვა ერთათვის, როცა ეს უკანასკნელი ხელს არ შეუშლის პროლეტარიატის ბრძოლას – ჩვენ ვემხრობით ავტონომიის ყველანაირ ფორმას, „უბრალო თვითმმართველობიდან სრულ დამოუკიდებლობამდე“ (39. 11).

ეროვნულ საკითხში ორთოდოქსულ რადიკალიზმს ინარჩუნებდნენ ქართველი ბოლშვევიკები. „წყაროს“ პუბლიცისტები (ფ. მახარაძე...) წუწუნებდნენ, ეროვნული საკითხის გამო ჩვენს ძირითად საქმეს მოგწყდით, პოლემიაში დაგმარცხდით და მუშათა კლასშიც ავტორიტეტი წაგინდათ“ (71. 2-4).

1914 წლის ოქტომბერში აკაკი ჩხერიელი ს-დ ფრაქციის დეკლარაციას აგიტაციას უწეს და ცდილობს ინტერპარტიული ბიუროს შექმნას. თუმცა მისი ამ ინიციატივიდან არაფერი გამოვიდა (131. 41).

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცკ. იძულებელია ლოიალობა გამოამჟღავნოს „დამკომის“ მიმართ, რადგან თვით პარტიაშიც უკვე საკმარისად არიან პროგერმანულად განწყობილნი (გეგეჭკორი, ხომერიკი, რამიშვილი). შემთხვევითი როდია, რომ სწორედ ეს ჯგუფია ყველაზე უფრო ნაციონალისტური კლემბენტი მენშევიკთა შორის (130. 23).

1915 წლის ოქტომბერში ახალსენაკის მენშევიკურმა კონფერენციაში ვერ გაძევდა ეროვნულ საკითხზე რეზოლუციის მიღება. ეს იყო უპრეცენდენტო შემთხვევა. „ჩხერიელის ჯგუფის“ გამო დაიხედაც წინააღმდეგობებით მოცული პარტიის ერთიანობის შენარ-

ჩუნების მიზნით კონფერენციამ ამ საკითხს გვერდი აუარა (181. 98).

1917 წლის იანვარში ნოე ქორდანიამ როგორც იყო გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯი. ჯონჯუათის პარტიულ კონფერენციაზე მიიღეს დაგენილება – ხელსაყრელ და საჭირო შემთხვევაში გამოაცხადონ საქართველოს დამოუკიდებლობა. მხოლოდ გარეაულ დრომდე, რათა არ გაადიზიანონ ცარიზმი, ეს გადაწყვეტილება საიდუმლოდ იქნეს შენახული.

ამ რეზოლუციაშიც გამომჟღავნდა ნოე ქორდანიას პოლიტიკური პაბილუსისთვის დამახასიათებელი ორქოფორმი. ნაციონალისტი მებუევიკები (ხომერიკი, რამიშვილი) ამგვარი ფორმულირების წინააღმდეგანი იყვნენ და მოითხოვდნენ მიღებული რეზოლუციის, დამოუკიდებლობის გამოცხადების პროპაგანდას (134. 137).

შეიძლება დავისკვნათ, რომ ერთადერთი მებუევიკი, რომლის პოლიტიკურ შეხედულებებსაც ეროვნულ საკითხზე განვლილ პერიოდში არავითარი ტრანსფორმაცია არ განუცდია (უფრო მისგან დამოუკიდებელი მიხეზის, ქართული საზოგადოებისა და პოლიტიკური ცხოვრებისგან ფაქტობრივი იზოლაციის გამო), იყო ირაკლი წერეთველი. მისი „ისტორიული წერილები“ განსაკუთრებით შმაგი ანტიაგრონომისტური ოქუსია. თვით წერეთლის აზრით 1917 წლამდე ავტონომის საკითხი საქართველოში დღის წესრიგში არც მდგარა (163. 216).

ზომიერ ნაციონალისტთა ბანაქშიც, როგორადაც განვიხილავთ სოციალისტ-ფედერალისტებს, აღნიშნულ პერიოდში მრავალი ცვლილება მოხდა. ეს ცვლილებები ჩვენი აზრით დაკავშირებულია პარტიის ახლებური სტრატეგიის განსაზღვრასთან.

არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების შემდგომ თბილისის კომიტეტში დიდი გავლენა მოიპოვა არჩილ ჯაჯანაშვილმა („სახალხო გაზეობის“ რედაქტორი), რომელმაც წამოაყენა ახალი ლოზუნგი: „კეთილ დაწესებულებები დავიკავოთ ადგილი, რათა ცხოვრებაზე გავლენა ვიქრიოთ“.

ამ სტრატეგიის გამოვლინება იყო 1916 წლის ტფილისის თვითმმართველობის არჩევნები, სადაც სომხური ბურჯუაზიის პარტიულ საარჩევნო სიებში ფიგურირებდნენ წამყვანი ფედერალისტები: გიორგი ლასხიშვილი და შალვა მესხიშვილი. სწორედ ამიტომ მოუწოდებდა „ზაკ. რეჩ.“ ხელისუფლებას, მხარი დაეჭირათ მათოვის, სოციალ-დემოკრატების, როგორც ანტისახელმწიფოებრივი ელემენტის წინააღმდეგ ბრძოლაში. კ. წ. „ტაქტიკური მოსაზრებ-

ბები“, რაც სოციალ-დემოკრატთა მთავარი იარაღი იყო, დამახასიათებელი ხდება ფედერალისტებისთვისაც.

„ერთა ტერიტორიული გამიჯვნის პროექტმა“, რაც ფედერალისტთა აზრით შეარბილებდა ნაციონალურ შუდლს ამიერკავკასიაში, გადამწყვეტი როლი შეასრულა პარტიის 3 ნაწილად დაშლაში. „ახალ კალებებთან“ პოლემიკის ნიადაგზე (ამ უანასკნელთა აზრით „გამიჯვნის პროექტი“ ერთა სოლიდარობას კი არ გამოიწვევდა, პირიქით კიდევ უფრო გამწვავებდა ვითარებას. გაჩნდებოდნენ გაბატონებული და ჩაგრული ერები – 31. 9) მოხდა „სახალხოელთა“ მემარცხენე დაჯგუფების გამოყოფა, რომელმაც 1915 წლის ოქტომბერში ჩამოაყალიბა გაზეთი „ზეირო“. მათმა წამყვანმა პუბლიცისტმა „გორდელმა“ პირველივე, საპროგრამო გამოსვლაში მოითხოვა არისტოკრატი ინტელიგენციისგან პარტიის გაწმენდა. განსაკუთრებულ მაგალითად დასახა ვარლამ გელოვანი, რომელსაც მისი აზრით არაფერი ქონდა საერთო მუშაოთ კლასთან და არ უნდა ყოფილიყო ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენელი სათაობიროში (?!). ამასთან დაკავშირებით „კლდეისტები“ გაოცებით აღნიშნავდნენ: „თავადები რომ გაყაროთ, ვინდა დაგრჩებაოთ“ და ფედერალისტებს ზომიერ, მერყევ პარტიას უწოდებდნენ.

უფრო ადრე, როცა პირველად გახმაურდა „გამიჯვნის პროექტი“, მემარჯვნე ფედერალისტებმა ჩამოაყალიბეს გაზ. „ერო“ და ფაქტიურად ეროვნულ-დემოკრატიულ იდეოლოგიას მიემსრნენ. 1914 წლის მარტიდან მათშიც მოხდა განხეთქილება და ჩამოყალიბდა ორი ჯგუფი. მირითადმა ბირთვმა გააგრძელა „ჩვენი ერის“ გამოცემა, ხოლო რადიკალმა მემარჯვენებმა ააღმონა მთავრობისგან 6 თვის მანძილზე დახურული გაზეთი „იმერეთი“ და ახალი მიმართულება შესძინეს მას.

„ისარი“ ფედერალისტებს „გადაღებებაშიც“ დებს ბრალს, „მათ აღარ აქვთ ეროვნული პროგრამა, საქართველოს კი აღარ ყველა თავისი წარმომადგენელი სახელმწიფო სათაობიროში... ფედერალისტები ჯორჯაძის სიკვდილის შემდგომ გამემარცხენდნენ და ესდევაებს დაუახლოვდნენ“.

რადიკალმა ნაციონალისტებმა (შემდგომში ეროვნულ-დემოკრატიული პარტია) ამ მოქლე ხანში საქმაოდ სერიოზული განაცხადი გააკეთეს და პოპულარობაც მოიხვეჭეს მოსახლეობაში. მათი პერიოდული ორგანო უერნალი „კლდე“ 1912 წელს აცხადებდა: „ჩვენ ვიქებით ზომიერი სოციალურ საკითხში, ხოლო უკიდურესად რადიკალნი ეროვნულ საკითხში“. „კლდეისტები“ კრიტიკით

შეხვდნენ გელოვანის ხშირ ბლოქს ქართველ სოციალ-დემოკრატებთან, „მათი წყალობით ბიუჯეტის განხილვისას, როცა ყველაზე მეტი საშუალებაა მთავრობაზე გალაშქრებისა, სამივე ქართველი დეპუტატი გაძვვებულია. პოლონელები კი მხოლოდ სეირს უყურებენ და ყოველ ნაბიჯზე პირში უვარდებიან მთავრობას“ (48. 21).

ქართველი დეპუტატის ფუნქციასთან დაკავშირებით 1915 წლის ივნისში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთი: „იმერეთი“ და „სამშობლო“. ერთი მხრივ ვასილ წერეთელი, მეორეს მხრივ კი შალვა ამირეჯიბი. ვასილ წერეთლის აზრით „ჩვენმა დეპუტატებმა უნდა შექმნან განსაკუთრებული ჯგუფი – მათ სხვა ფრაქციებში სულ დაკარგეს სახე. საყვედურს კი არ ვეუბნები ჩვენს დეპუტატებს – მათ ადგილზე მეტის გაკეთება შეუძლებელია“ (45. 21).

შ. ამირეჯიბის აზრით: „ჩვენს დეპუტატებს ყოველგვარი ბრალ-დება უნდა ჩამოვაშოროთ და უსაზღვრო ნდობა გამოვუცხადოთ“. ამაზე ვ. წერეთელი გაოცებით შენიშნავდა, ამით ხომ სულაც სა-დათას ძილს მიეცემიან და ეროვნულ საკითხს სულ დაივიწყებენ.

ეროვნულ-დემოკრატთა იდეურ ბეჭდადად და წინამძღვრლად იქცა ნიკო ნიკოლაძე. იგი პარტიისთვის აუცილებელი იყო ილიას დიდი ავტორიტეტის შემდგომ, თორემ ნიკოლაძის ეროვნულ-დემოკრატობა იმ დროისთვის სულაც არ იყო პოლიტიკური შეხ-ადულების შედეგი (იხ. I თავის ს 5), არამედ ლოგიკური არჩევანი ფედერალისტთა ლიდერებთან ზდანოვთასა და მეუნარგიასთან და-პირისპირების შემდგომ. ეროვნულ-დემოკრატებს, როგორც მემარჯ-ვენ ნაციონალისტებს სხვა პარტიებთან შედარებით გაცილებით დიდი ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერა ჰქონდათ საზღვარგარეთ. ბერლინსა და უენევაში გამოსცემდნენ გაზეთებს.

ჩვენს მიერ შედგენილ „პოლიტიკურ პარტიათა ძირითადი პერი-ოდული ორგანოების“ დაიგრამდან იკვეთება რამდენიმე შნიშვნე-ლოვანი ტენდენცია. უპირველესად მიმართულებათა ფართო სპექტრი, სოციალ-დემოკრატთა ამორფულობა, დიფერენცირება (რაც პრესის მრავალფეროვნებაში გამოიხატება) და ეროვნულ-დემოკრატთა შესამჩნევი გაძლიერება, მზარდი მზაობა.

სოციალ-დემოკრატული პრესა	სოციალისტ-ფედერალისტთა პრესა	ეროვნულ-დემოკრატიული პრესა
„მერცხალი“ (ქუთ.) 1912-1913	„გოლხიდა“ – „იმერეთი“ (ქუთ.) 1911	„კლდე“ (თბ.) 1912
„დილა“ (ქუთ.) 1912-1913	„სახალხო გაზეთი“ (თბ.) 1904	„ერი“ – „ჩვენი ერი“ (ქუთ.) 1913
„თანამედროვე ქვეყანა“ (ქუთ.) 1913	„სახალხო ფურცელი“ (თბ.) 1914	„იმერეთი“ (ქუთ.) 1914
„სიმართლის ხმა“ (ქუთ.) 1913-1914	„მეგობარი“ – „ჩვენი მეგობარი“ (ქუთ.) 1915	„სამშობლო“ (ქუთ.) 1915
„განთიადი“ (ქუთ.) 1913	„ზეირთი“ (თბ.) 1915	„საქართველო“ (თბ.) 1915
„ახალი აზრი“ (თბ.) 1913-1915		„თაგისუფალი საქართველო“ (ქენევა) 1913
„თანამედროვე აზრი“ (თბ.) 1915-1917		„ქართული გაზეთი“ (ბერლინი) 1916
„ფიქრი“ (თბ.) 1913-1914		
„ახალი გვალი“ (ქუთ.) 1915-1916		
„წეარო“ – „ჩვენი წეარო“ (ბაქო) 1913 (ბოლშვიკთა)		
„შადრევანი“ (თბ.) 1914-1915 (აგზონისტთა)		

## დასკვნები

1. სადისერტაციო ნაშრომის ქრონოლოგიამ (1912-1917 წლები) მიგვიყვანა იმ დასკნამდე, რომ ჩვენი საკვლევი პერიოდის საწყისი – 1912 წელი საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის პერიოდიზაციისას შეიძლება გამოიყოს ცალქე პერიოდის მიჯნად. ვინაიდან ამ წელს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მრავალი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. კერძოდ, პროვინციებში განხდა პირველი პოლიტიკური პერიოდული ორგანოები, ქართველ ნაციონალისტთა რადიკალური მიმართულება ოფიციალურად გაფორმდა ქურნალ „ძლიერი“ ჯგუფის სახით. ქართველ სოციალ-დემოკრატთა რიგებაში გაძლიერდა მემარჯვენერობის ტენდენციები, ხოლო სოციალისტ-ფედერალისტებს კი თანდათან მემარცხენე დაჯგუფება გამოვყო.

ჩვენ ამ პერიოდის განმსაზღვრელად ვიყენებთ ფორმულას: „მემარცხენეთა გამემარჯვენება და მემარჯვენეთა გამემარცხენება“.

2. ჩვენი აზრით ტერმინი „სათათბირო“ არააღექატურად ასახავს ამ სიტყვის შინაარსს. თითქმის ყველა ეპოქაში ენაში ეს სახელწოდება გადმოდის დენის ენაზე და არ ითარგმნება. თუმცა ამჯერად მხოლოდ საკითხის დასმით ვიფარგლებით და სადისერტაციო შრომაში ტრადიციას არ ვდალატოთ.

3. რესეტის IV სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კანონი განსაკუთრებით დისკრიმინაციული იყო განაპირა გუბერნიებისთვის, არარუსი ერებისთვის. ეს გამოიხატებოდა კავკასიელი დეპუტატების არააღექვატურ შეფარდებაში დეპუტატთა საერთო რაოდენობასთან, საარჩევნო ოლქების ტერიტორიების ხელოვნურად შეკოწიებაში, რასაც ერთვოდა არჩევნების მრავალსაფეხურიანობა და ცენზები.

4. საქართველოში არჩევნებზე გამოდიოდა 3 ძირითადი პოლიტიკური ძალა: 1. ნაციონალისტები (ფედერალისტთა პარტია, რომელსაც ეროვნულ-დემოკრატებიც ქმნიოდნენ); 2. ცენტრისტები, რომლებიც პროგრესისტთა პარტიის სახელით მოქმედებდნენ და 3. სოციალ-დემოკრატები. არსებობდა აგრეთვე „ნეიტრალთა“ ბანაკი, რომელიც ძირითადად საარჩევნო პროცესის ანალიზით და შეფასებით იყო დაკავებული.

5. საარჩევნო ბრძოლა გაცილებით უფრო დრამატული იყო ქუთაისის გუბერნიაში, ვიდრე ტფილისის გუბერნიაში. ეს აისხენება ქუთაისის გუბერნიაში დაპირისპირებულ ძალთა მეტი პოლარიზაციით და ქართული მოსახლეობის მაღალი პროცენტით, მაშინ

როდესაც ტფილისის გუბერნიაში მნიშვნელოვანი იყო სომხური ბურუუზის პოლიტიკური გავლენა და სოციალ-დემოკრატებსაც მქარი პოლიტიკური ლობი გააჩნდათ. ხოლო მათ შორის საარჩევნო აღიანს და ურთიერთგაბებას კავკასიის ადმინისტრაციაც უწყობდა ხელს.

6. კავკასიის ადმინისტრაცია და მეფისნაცვლის საბჭო არჩევნებში ორმაგ თამაშს ეწეოდა. ერთი მხრივ საიმპერატორო კარს არწმუნებდა კავკასიის მხარის სტაბილურობასა და კეთილსაიმედოობაში, მეორეს მხრივ კი კავკასიაში „მემარცხენება“ წარმატებაში ღრმად დარწმუნებული ცდილობდა თავისთვის „2 ბოროტებას“ შორის (ხაციონალისტები და სოციალ-დემოკრატები) უმცირესისთვის დაჭირა მხარი.

კავკასიის მეფისნაცვალი გრაფი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი თავის არჩევანს სოციალ-დემოკრატიის სასარგებლოდ შემდეგნაირად ხსნიდა: „ეს არის ერთადერთი პარტია, რომელიც იცავს რუსეთის მთლიანობას და ებრძვის ქართველ თავადაზნაურობაში დამკვიდრებულ ნაციონალიზმსა და სეპარატიზმს“.

7. ტფილისის გუბერნიაში კარლო ჩხეიძის დეპუტატად გახდომაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ადმინისტრაციის მიერ წაქე-ზებულმა სოციალ-დემოკრატიის და სომხური ბურუუზის აღიანსმა. ამასთან კ. ჩხეიძე საარჩევნო კანონის დარღვევით გახდა და დეპუტატი.

8. ქუთაისის გუბერნიაში ადმინისტრაციამ ორივე ძირითადი კანდიდატის თავიდან მოშორება შეძლო (კ. აბაშიძე, მებ. გეგმებრი). დეპუტატი გახდა ვარლამ გელოვანი. საარქივო მასალების საფუძველზე უარყოფილია კ. გელოვანის „შემთხვევითი დეპუტატობის“ მითი და დასაბუთებულია, რომ მისი გაყვანა სახელმწიფო სათათბიროში ფედერალისტთა პარტიის მიზანდასახული გეგმა იყო.

9. ქართველი დეპუტატები სათათბიროს ყველაზე აქტიურ ნაწილს წარმოადგენდნენ. არსებობდა მცდელობა კავკასიური ფრაქციის შექმნისა, რაც სოციალ-დემოკრატთა მეოხებით ჩაიფუშა.

10. ვარლამ გელოვანის მიერ 1912 წლის 13 დეკემბერს სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან გამოთქმული პოლიტიკური მოთხოვნა წარმოადგენდა საქართველოში მიმდინარე ავტონომისტური მოძრაობის ლოგიკურ დაგვირგვინებას. შემდგომში საერობო თვითმმართველობის მოთხოვნით კავკასიელი დეპუტატები ერთად გამოდიან.

11. ქართველი დეპუტატები ერთობლივი ფრონტით გამოდიან სოციალური საკითხების განხილვისას, გამონაკლისი იყო კ. წ. „ხიზანთა საქმე“, სადაც ვარლამ გელოვანს სწორი პოზიცია ეკავა. ჩვენი აზრით, სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით ქართველი დეპუტატების საქმიანობა სათათბიროში წამოჭრილ სხვა პრობლემებთან შედარებით წარმატებული იყო.

12. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბირთვს წარმოადგენდნენ კავკასიელი დეპუტატები, სწორედ მათმა პრიორიტეტულობამ განაპირობა ბოლშვიკიების მიერ ერთიანი ფრაქციის დატოვება.

„ჩხეიძის საქმე“ ომამდელი სათათბიროს ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო და სოციალ-დემოკრატთა მესვეურობით ერთიანი ოპოზიციის შექმნის პირველ შემთხვევას წარმოადგენდა.

13. მსოფლიო ომის პერიოდში ხელისუფლება გამიზნულად ავიწროვებს და პროვოკაციებს უწეობს არარუს ერებს. ამის ნიმუშია „აჭარელთა საქმე“, „სომხური საკითხი“. ქართველი დეპუტატები სათათბიროს ტრიბუნიდან იღაშქრებენ ამის წინააღმდეგ.

14. ქართველი სოციალ-დემოკრატები სათათბიროს არსებობის ბოლოს გვევლინებიან ოპოზიციის ლიდერებად და ამხელენ, როგორც „პროგრესული ბლოკის“ უნიათობას, ისე ხელისუფლების კორუფციას და გამყიდველობას. ისინი წინასწარმეტყველებენ რევოლუციას.

15. 1912-1917 წლებში ქართულ პოლიტიკურ ცნობიერებაში რადიკალიზმის შერბილების ხანაა. განსხვავებულ პოლიტიკურ პლატფორმაზე მყოფი ძალები დაახლოედნენ, რასაც ძირითად პოლიტიკურ ძალთა შიგნით დიუკრენცირება მოჰყვა. კერძოდ ვედერალისტთა პარტია 3 ნაწილად დაიშალა, გაძლიერდნენ ეროვნულ-დემოკრატები და მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები.

Бондо Купатадзе

## ГРУЗИЯ И IV ГОСУДАРСТВЕННАЯ ДУМА РОССИИ

В введении книги показано, какую цель преследует работа, отмечено новшество и до настоящего времени монографически неизученность данного вопроса. При исследовании нами использованы материалы периодического органа, до 100 наименований, до 30-ти архивных дел, что расширило ареал исследования, и книга представляет собой попытку отображения ряда неизвестных фактов истории Грузии не только связанной с Государственной Думой России, но и, вообще, общественно-политической обстановки 10-ых годов XX века, истории политических партий и общественных организаций; анализа событий.

Значительной частью источниковедческой базы является мемуарная литература. В процессе исследования мы опирались на воспоминания Малакия Болквадзе, реваза Габашвили, Георгия Тархнишвили, Георгия Ласхишвили, Ноэ Жордания, Василия Церетели, Александра Хатисова, Александра Гучкова, Владимира Коковцева, Павла Милюкова, Михаила Родзянко.

С целью изучения деятельности IV Государственной Думы России, мы ознакомились с трудами русских исследователей: А. Авреха, В. Дьякина, Э. Черманского, А. Смирнова, А. Слонимского, С. Мелгунова, Б. Николаевского, Н. Думовой, Н. Лазаревского и других.

Ряд фактов связанной с IV Государственной Думой общественно-политической истории Грузии в грузинской историографии впервые затронула профессор Лейла Наниташвили. В частности, в публицистических статьях она рассмотрела роль Акакия Церетели и Арчила Джорджадзе и их взаимозависимость при проведении в Грузии выборов IV Государственной Думы. Она же вместе с профессором Александром Бендианишвили изучила общий фон выборов в Грузии. Лейле Наниташвили принадлежит первый очерк о депутате IV Государственной Думы, Варламе Геловани.

Статьи о двух других грузинских депутатах IV Государственной Думы, Карло Чхеидзе и Акакий Чхенкели опубликовали профессора Гурам Шарадзе и Вахтанг Гурули.

Интересные политические портреты грузинских депутатов: Чолы Ломтадзе, Иосифа Бараташвили, Ноэ Жордания, арчила Джапаридзе, Евгения Гегечкори, Ираклия Церетели, деятельность которых связана с предыдущими Думами, создал доцент Гела Саитидзе.

В период работы над книгой мы широко использовали исторические труды, монографии общего характера, отображающие данный пятилетний период (1912-1917 г.г.). Среди них особое значение имели итоговые работы профессоров: Реваза Гrdзелидзе, Вахтанга Гурули, Дмитрия Швейцеридзе, Отара Джанелидзе об истории политических партий Грузии и истории Грузии данного периода. Эти труды оказали нам большую помощь в создании историографической базы нашего исследования и решении ряда теоретических вопросов.

